

ს ვ ე ტ ი ც ხ ე რ ვ ა ლ ი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№1, 2017





**საქართველოს საპატიონარებოს,
 საქართველოს საინიციატივო აკადემიისა და
 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
 თაორგობის სასეავლო - სამეცნიერო ცენტრის
 სამეცნიერო საინიციატივო უნივერსიტეტი**

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის

მოადგილები: აკადემიკოსი ნანა საზარაძე
 დეკანოზი ლევან მათეშვილი
 მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ გასიტაშვილი
 ივანე გორგიძე
 ვახტანგ გურული
 ალექსანდრე გრიგოლიშვილი
 გიორგი კოკოშაშვილი
 თამარ ლომინაძე
 შალვა ნაჭყებია
 გივი ღამბაშიძე
 არჩილ ფრანგიშვილი
 ტარიელ ფუტკარაძე
 მაკა ხართიშვილი
 თემურ ჯაგოდნიშვილი
 გურამ ჯავახაძე

კასუების მმართველი მდივანი:

ქეთევან მახაშვილი



4

სამეცნიერო-სოლიტურული ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI



ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის
სრულიად საქართველოს კათალიკოს-
პატრიარქის, მცხეთა-თბილისის
მთავარეპისკოპოსის და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტის ილია მეორის
დაბადებიდან 85 და ინტრონიზაციის 40
წლისთავს





ურნალ

„სვეტიცხოველის“, 1917 წლის დეკემბრის,
ყდის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი გუდივი მოცემულობაა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმეისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გავებულ ოკეანეში და წინამდებარე ურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ურნალ სვეტიცხოველის რედაქცია





8

საბუნებრივ-სოციულური კურტხეული

Scientific-Historical Journal

სვეტიცხოველი

SVETITSKHOVELI



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, აკადემიკოსი ივერი ფრანგიშვილი,
უწმიდესი და უნდარესი ილია II



1981 წლის 15 მარტს, მისმა უწმინდესობამ და უნგრარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა იღია II-მ, სამღვდელმთავრო ომოფორი მოასხა არქიმანდრიელ ანანია (ჯაფარიძეს) და ეპისკოპოსად დაადგინა





საბუნებრივ-სოციულური ჟურნალი

Scientific-Historical Journal

სვეტისხოველი

SVETITSKHOVELI





პატრიარქმა თანადგომის დღედ 1 ივლისი დააწესა: უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იღია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი, 2008 წლის ივლისი

"მოწყალების საქმე ბაზარჩენს სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწმიდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძლვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიღის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმბიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმბიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებადოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან საქართველოს საინიციატივო აკადემიისა და კომპანია "მედინსერვის" წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწმიდა. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შევწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იღია II-ის ქადაგებიდან სულთმოფენობის დღესასწაულზე

ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

380005, თბილისი, მეტე, ერეკლე II მოდე. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქს: (995 32) 98 71 14



CATHOLICOS PATRIARCH

OF ALL GEORGIA

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.

Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივნისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა
და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად
ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.
ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის
დამდგენი მუდმივმოქმედი კოშისია მისი მაღალყოვლადუსმღვდელოუსობის,
მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ აჩანიას (ჯაფარიძის)
ხელმძღვანელობით;

II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების
პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესიონალური
მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



სარკვევი

უფრიდესი პატრიარქის იღის II-ის მიერ საქართველოს ეპლენის ავტოგეზალური მოძრაობის დაბგირებინება მიტროპოლიტი ანანია ჭავჭარიძე.....	15
“ვარია ვნახე ლამაზი, თამარის ბამოზრილია, სხვა მონასტრებიც ააგო გაგუთხული და თლილია...” ხალხური ნანა ხაზარაძე თამარ ხოხობაშვილი.....	17
მირონოვის წესის ზორმილების ისტორია დეკანოზი ლევან მათეშვილი დეკანოზი კახაბერ შურდაია.....	23
რელიგიურ-ეროვნული კოლიტსაეპულაციები კავკასიაში დეკანოზი ლევან მათეშვილი ნარი ჩხაბერიძე.....	27
ხანძთა და ხანძთელობა მესამე ათასობილის ბაზასახედიდან თემურ ჭავლიძის შვილი ივანე ჭავლიძი.....	33
მთავარეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე) სერგო გარდონანიძე.....	39
ქართული საერო და საეპლენიო ენა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მანანა ტაბიძე.....	43
საქართველოს უადრესი ეპლენიები მანანა აბუთიძე.....	47
გიორგი მთაწმიდელის პრმოლა ქართული ეპლენის ავტოგეზალისათვის ხათუნა თოდაძე.....	50
ქართველი საულიერო პირების მისიონერული მოღვაწეობა XVIII-XIX საუკუნეებში მაია გურამიშვილი	54
გულაშის ჯვარცმის ეპლენის ისტორიიდან ედიშერ გვერეტაძე	58
თბილის შემოერთებული სოცლები მანანა ქუთათელაძე	63



ჩართული, მართლმადიდებლური, ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი ტაძრის კომპარზიციური სტრუქტურის ფორმირების მეთოდი	100
ზურაბ ტიტვინიძე.....	
მორწმუნებისა და ათეისტების ღირებულებათა პლეივა საქართველოში ხატია წიქლაური.....	125
იაშვილები - ჩართული ეპლესიის სამსახურში ნუგ ზარ (ზაზა) იაშვილი.....	129
რას ბგამცნობენ მველი პრინციპების ჩანდაპებები დავით გორგიძე, გიორგი ქოუშაშვილი, გრიგოლ დავითაშვილი, ზურაბ ჩახანიძე	132
ღილი მოურავი და მართლ-კახეთის სამეფო კარი გაუგ ოთარაშვილი.....	144
განხილვება ЕЩЕ РАЗ К ВОПРОСУ ПРОИСХОЖДЕНИЯ ГРУЗИНСКОГО АЛФАВИТА Джагоднишвили Темур, Чхайдзе Леван	153



უფიდესი პატრიარქის ილის II-ის
მიმრ საქართველოს ეპლესის
აგროკულტური მოძრაობის
დაბგირბგინება

**პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია
ჯაფარიძე**

საქართველოს ეპლესის ავტოკულტურია საეკლესიო სამართლის თანახმად უკანონოდ გააუქმეს XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო კარის მოთხოვნით. XIX ს-ის I ნახევარში დაიწყო ბრძოლა ავტოკულტურის აღდგენისათვის, რაშიც მონაწილეობდა საქართველოს ეპლესის მღვდელმთავრები, კულტურული ეპარქიის სამღვდელოება, მრევლი და დიდი ნაწილი ქართული ინტელიგენციისა.

საქართველოს ეპარქიებში ტარდებოდა სამღვდელოების კრებები. სამღვდელოება იღებდა დადგენილებებს პეტიციის სახით, რომელსაც უგზავნიდნენ რუსეთის იმპერატორს. პეტიციაში სამღვდელოება თხოვდა საიმპერატორო კარს გაერთიანებინა ერთ ადმინისტრაციულ ერთეულად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები ზაქათალას ოლქთან და სოხუმის სამხედრო ოკრუგთან ერთად. ამ ერთიან ადმინისტრაციულ ერთეულს უნდა წოდებოდა საქართველო, რომელიც ავტონომიური ერთეულის სახით იარსებებდა რუსეთის იმპერიის წიაღში. საბოლოოდ კი, ამ ავტონომიური ერთეულის საფუძველზე უნდა დამყარებულიყო საქართველოს ეპლესის ავტოკულტურია ანუ საქართველოს ეპლესის ავტოკულტურისათვის აუცილებლად საჭირო იყო ერთიანი ადმინისტრაციული ერთეულის არსებობა, რასაც თხოვდა ქართველი სამღვდელოება რუსეთის საიმპერატორო კარს.

მრავალი ასეთი მოთხოვნის შემდგომ, მართლაც განხილულ იქნა ეს საკითხი და რუსეთის იმპერატორმა პირადად ამ საკითხის გადაჭრა, ანუ საქართველოს ეპლესის ავტოკულტურის

შესახებ დადგენილების გამოტანა, დაავალა რუსეთის დიდ საეკლესიო კრებას, რომელიც უნდა ჩატარებულიყო XX ს-ის დასაწყისში, კერძოდ კი დაბეგმილი იყო ის ჩატარებულიყო 1917-18 წლებში.

საქართველოს ეპლესის მაღალმა იერარქებმა, ამასთან დაკავშირებით ბრძანებს, რომ საქართველოს ეპლესია ავტოკულტური იყო ჯერ კიდევ მოციქულთა დროიდან, ამიტომაც ამ საკითხზე არ უნდა ემსჯელა რუსეთის გაფართოებულ კრებას.

1917 წლისათვის შეიქმნა შესაბამისი პოლიტიკური მომენტი. კერძოდ, I მსოფლიო ომში ოსმალეთის ფრონტზე წარუმატებლობა განიცადა რუსეთის მხედრობამ და მან დატოვა ამიერკავკასია, და ამასთანავე 1917 წლის ოქტომბრის თვეში საიმპერატორო ტახტი დატოვა იმპერატორმა. რუსეთის იმპერიის მმართველობა გადაეცა დროებით მთავრობას. ამ პერიოდში, 1917 წლის 25 მარტს, აღნიშნული მომენტით ისარგებლა საქართველოს ეპლესის მაღალმა იერარქიამ და სვეტიცხოველში წირვის შემდგომ გამოაცხადა ავტოკულტურის აღდგენა.

საქართველოს ეპლესის ავტოკულტურია არ ცნო რუსეთის ეპლესიამ და არც სხვა იმჟამინდებლმა დიდმა საპატრიარქოებმა ვიდრე 1943 წლამდე. 1943 წელს საბჭოთა მთავრობამ ჩანს გაითვალისწინა ქართველი ერის თავდადებული დვაწლი გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ მოში, რაც საფუძვლად დაედო რუსეთის ეპლესის მიერ საქართველოს ეპლესის ავტოკულტურის აღიარებას.

ამასთან ერთად რუსეთის ეპლესიამ ცნო საქართველოს ეპლესის საპატრიარქო ღირსება და მე-6 ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში. ეს იყო ძალზედ დიდი გამარჯვება, მაგრამ მსოფლიო საპატრიარქოებმა ამის მიუხედავად არ ცნებს საქართველოს ეპლესის ავტოკულტურის და სხვა უფლე-



ბები. 1977 წლის შემდგომ, რაც საქართველოს ეკლესიას სათავეში ჩაუდგა უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია II, მან დაიწყო ძალზედ დიდი ბრძოლა, შრომა და დიდი დვაწლი ჩადო, რათა მსოფლიო საპატრიარქებს, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. პირადად მახსოვეს, რადგანაც იმ დროს საქართველოს საპატრიარქოში გმოღვაწეობდი 1981 წელს ვითარცა ეპისკოპოსი, ვეცნობოდი შესაბამის წერილებს, რომელიც მოდიოდა კონსტანტინოპოლიდან. კერძოდ, ამ წერილებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ითხოვდა საქართველოს ეკლესიის შესახებ მასალებს. კერძოდ, ისინი წერდნენ, რომ არ ყოფნიდათ და არ ქონდათ მასალები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით და თხოვდნენ საქართველოს ეკლესიას გაეგზავნა კონსტანტინოპოლში თავის ავტოკეფალიის დამადასტურებელი ისტორიული წყაროები, საბუთები, მასალები, გამოკვლევები. ამის გამო უწმიდესი პატრიარქი ილია II თხოვდა საქართველოს გამოჩენილ მეცნიერებს, ასევე გვავალებდა ჩვენც, დამავალა პირადად მეც მემუშავა ამ საკითხე და მოგვემზადებინა შესაბამისი წყაროები. კერძოდ, უწმიდესმა პატრიარქმა მე დამავალა დამეწერა თემა საქართველოს ეკლესიის ადგილის შესახებ მართლმადიდებლურ დიატიხში. დამავალა ასევე მეორე თემაც – საქართველოს ეკლესიის ძველი ავტოკეფალია. როგორც მე, ასევე სხვა მეცნიერებმა ნაშრომები გადავცით პატრიარქს. საქართველოს საპატრიარქოს მჭიდრო ურთიერთობა ქონდა კონსტანტინოპოლიდან. იქიდან რამდენჯერმე ჩამოვიდნენ მაღალი საპატრიარქო დელეგაცია, რომელიც აზუსტებდა საბოლოო ტექსტს ავტოკეფალიასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, საქართველოს პატრიარქის უდიდესი შრომით,

მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტის გათვალისწინებით, მისი უშუალო დვაწლით 1990 წელს მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს კონსტანტინოპოლმა გამოაცხადა და გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის სიგელი. ეს სიგელი უშუალოდ პატრიარქმა ჩამოაბრძანა სტამბოლიდან ანუ კონსტანტინოპოლიდან თბილისში და გააცნო საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს ეს უდიდესი გამაჯვება. მე პირადად, მიმაჩნია ჩემთვის სასიამოვნო მომენტად, რომ სინოდის ამ სხდომაზე უწმიდესმა პატრიარქმა პირადად მე დამავალა წამეგითხა აღნიშნული სიგელი მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა.

ეს იყო უდიდესი მოვლენა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში, კერძოდ კი, ცნობის ეს სიგელი წარმოადგენდა თითქმის 200 წლოვანი ავტოკეფალური მოძრაობის დაგვირგვინებას. ეს იყო ჩვენი უწმიდესი პატრიარქის უდიდესი შრომისა და ლგაწლის შედეგი.

ამის დადებით შედეგს ჩვენ ვგრძნობთ ამჟამადაც კი. კერძოდ, დაიშალა საბჭოთა კავშირი, გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რის შემდგომაც აფხაზეთში მოიკალათეს საეკლესიო სეპარატისტებმა. ისინი მუდმივად უგზავნიდნენ თხოვნებს მსოფლიო საპატრიარქოს, ასევე სხვა ეკლესიებს, რათა მათ ეცნოთ აფხაზეთის ე.წ. ეკლესიის ავტოკეფალია. ამის პასუხად კონსტანტინოპოლიდან მათ შეატყობინა, რომ 1990 წელს კონსტანტინოპოლმა აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედის მათ შორის აფხაზეთი. მსგავსი ვიზარება არის ცხინვალის რეგიონის მიმართ. ანუ უწმიდესი პატრიარქის აღნიშნული ლგაწლი დღესაც არის საფუძველი საქართველოს ეკლესიის მთლიანობისა საერთაშორისო მასშტაბით.



“ვარდია ვნახე ლამაზი, თამარის
ბამოჟრილია, სხვა მონასტრებიც
ააბო ბაბუთხული და თლილია...”
ხალხური

**ნანა ხაზარაძე, აკადემიკოსი
თამარ ხოხობაშვილი, პროფესორი**

დვოისმშობლის წილხედომილ,
ღვთისმშობლის კვართის, სარტყლის,
მასთან დაკავშირებული სხვა რელიკ-
ვიების ქვეყანაში – საქართველოში
ბოლო ორიათასწლეულის მანძილზე
მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური,
სოციალური, ეთნოკულტურული ურთუ-
ლესი პროცესების, 1811 წელს საქართ-
ველოს სამოციქულო მართლმადიდე-
ბელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქ-
მების, XX საუკუნეში საქართველოში
დამყარებული ბოლშევიკური რეჟიმის
მიერ, განსაკუთრებით 1921-1924 წლებში
ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ
გამოცხადებული დაუნდობელი დაპი-
რისპირების მიუხედავად, ქართველი
ქალის სულიერი სამყარო ქრისტიანუ-
ლი ლირებულებებით იყო აღსავსე. ამ
თვალსაზრისს სადღეისოდ არსებული
ქართული და უცხოური წერილობითი
პირველწყაროები, ეპიგრაფიკის ნიმუშე-
ბი, ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-
მინაწერები, ქართული ზეპირსიტყვიუ-
რება, ქართული ქრისტიანული არქიტექ-
ტურის ძეგლები, სამეცნიერო ძიებებით
დადგენილი ფაქტები სავსებით ადას-
ტურებს. სწორედ ზემო აღნიშნული
მონაცემების კონტექსტში ირკვევა, რომ
ქართველი ქალი საუკუნეების მანძილზე
აქტიურად მონაწილეობდა ქართული
ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობა-
ში, განახლებაში, მოვლა-პატრონობაში,
თვალმარგალიტით შემკული ჯვარ-
ხატების, საეკლესიო ლიტურგიისათვის
აუცილებელი ნივთების შეწირვაში.

ამჯერად ყურადღებას, ძირითა-
დად, ქართველი ქალის საეკლესიო
აღმშენებლობით მოღვაწეობასთან და-
კავშირებულ პირველწყაროებში ასა-

ხულ ფაქტებზე გავამახვილებთ, რომ-
ლებიც, ფაქტობრივად, პირველადაა
თავმოყრილი.

ქართველი ქალის მოღვაწეობის
ამ მნიშვნელოვან მხარეზე პირველ
ცნობებს მცხოვრის ჯვრის 596-605
წლებით დათარიღებული სამშენებლო
წარწერა გვამცნობს. ამ წარწერის
ინფორმაციით ჯვრის მონასტრის „დე-
დათა სამყოფელის“ მშენებლობის ქი-
ტორი „თემებია მხევალი ქრისტესი“
ყოფილა, ხოლო სამშვილდის სიონის
კედლის 777 წლით დათარიღებული
წარწერიდან ვგებულობთ, რომ ეს ტა-
ძარი დედოფალმა დებორამ ადაშენა.
ქორეთის დმრთაების ეკლესიის ბალა-
ვარის მშენებლობა (X ს.) მარიამ დე-
დოფალს უკისრია. ღუმურიშის ეკლე-
სიის აღმშენებლის სახელს კირქვის
ფილაზე გამოსახულ ორნამენტირებულ
ჯვარზე ამოკვეთილი XI ს-ის შემდეგი
წარწერა გვამცნობს: „[ქ. ღმერთო შეიწ-
ყალე თრთავე ცხოვრებასა შინა ამას
ტაძრი]სა მ(ა)შ(ე)ნ(ე)ბ(ე)ლი დ(ეო)ფ(ა)ლ-
თა დ(ეო)ფ(ა)ლ[ი] ს(ა)გდ(ე)ხებ,
ნ(ია)ნ(ია)ს ას(უ)ლი, ა(მე)ნ“. ხეოთის
ეკლესიაში აღმოჩენილი, ვ. სილოგავას
მიერ X-XI სს-დმი მიკუთვნებული წარ-
წერიდან კი ვგებულობთ, რომ ამ
ეკლესიის აგების პატივი ულუმპია
ხანძთელს ჰქონია („ქ(რის)ტე, ად(ი)დე
ულ(უმ)პ(ია)დ ს(ან)ცო(ელ)დ მ(ა)თ
ა(და)შ(ე)ნ(ე)ს.“)

სავსებით კანონზომიერია, რომ
ქართული საეკლესიო სურომოძღვრე-
ბის შედევრების მშენებლობა მაინცდა-
მაინც დავით აღმაშენებლის, გიორგი
III-სა და მეფე თამარის ზემბის წლებ-
ზე მოდის. ჩვენი ისტორიის ამ მონაკ-
ვეთს განეკუთვნება გელათის, იკორ-
თის, ბეთანიის, ქვათახევის, ფიტარე-
თის, წელრუდაშენის, ერთაწმინდის,
ტიმოთესუბნის, ყინწვისის ეკლესია-
მონასტრების, ვანის ქვაბებისა და
ვარძის სურომოძღვრული კომპლექ-
სების აგება. ამავე ეპოქით თარიღდება
ხელოვნების ისეთი ცნობილი და



უმნიშვნელოვანები, როგორიცაა: ხახულის კარედი, ბექა და ბეჭედი თბიზრების მიერ შექმნილი წყაროსთავის სახარების ყდა, ანხისხატის მოქედილობა, ბერთას სახარების ყდა, ვარძის, ბეთანის, ყინწვისის, ბერთუბნის, ახტალის ფრესები და მონუმენტური მხატვრობის ნიმუშები. შემთხვევითი როდია, რომ მეფე თამარის „ქებას“ ჩახრუხაძე შემდეგი სიტყვებით ამთავრებს:

„მტკიცედ აქვს სჯული, ჩანს მართლმსაჯული,

მას რომ უხმობენ დმრთის სახერსა.

ძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი შვიდსა და წრფელსა და ლმობიერსა“.

მეფე თამარისადმი ასეთივე ამაღლებულ დამოკიდებულებას ქართულ ხალხურ პოეზიაშიც ვხვდებით, სადაც იგი ხშირად სწორედ საქართველოს ეკლესიის სამსახურისთვისაა ხოტბა-შესხმული. ხალხურ ლექსებში მრავლადაა დამოწმებული ასეთი სტრიქონები:

„სივანს ციხე ამიგია, ახალციხეს ყველაწმინდა...“ ან „უბისს ავაგე საყდარი, უწყალოს წყალი ვადინქ“... ან „ვარძია ვნახე ლამაზი, თამარის გამოჭრილია, სხვა მონატრებიც ააგო გაკუთხული და თლილია... ან „ხახმატს ავაგი საყდარი, ვერცხლის თასები შავაღი“ და სხვა.

მეფე თამარის დვაწლზე საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინაშე ბევრი დაწერილა და კვლავაც ბევრი დაიწერება. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მომენტს გავისხენებთ. უდავოა, რომ ქართველთა სულიერ ცხოვრებაში მეფე თამარს სრულიად გამორჩეული ადგილი ეკუთვნოდა. მის სიცოცხლეშივე მას არა მხოლოდ „მზეთამზედ“, „დედოფალთა დედოფლად“, „შარავანდედთა შორის უმეტეს ამობრწყინებულად“, „ყოველთა კელმწიფეთა გპრგბად“, „სამგზის სანატრელად“

აცხადებდნენ, არამედ „ღმერთქმნილად“, „მესიის თაყვანისმცემლად“ და „მესიის მსახურად“. უფრო მეტიც, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედანის“ ავტორის თვალსაზრისით: „ოუ მაშინ ნაბუქოდონოსორ სამთა ყრმათა თანა ოთხებად იხილა ერთი სამებისაგანი, აქა კულა სამებისა თანა იხილვების ოთხებად თამარ, მისწორებული და აღმატებული“.

ერთ-ერთი ადრეული ცნობა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელ ქალთა აღმშენებლობით საქმიანობაზე ლაშა-გიორგის დროინდებულმა მემატიანებ შემოგვინახა, რომლის თანახმადაც, საქართველოში დაბრუნებულ შარვანშაპის აღსართანის ქვრივს, დავით აღმაშენებლის ქალიშვილს თამარს 1152 წელს თიღვის ეკლესია აღუშენებია, მონაზვნად აღკვეცილა და იქვე აღსრულებულა. ამ ინფორმაციას ვახუშტი ბატონიშვილიც იმეორებს. თიღვის ეკლესიამ ქრისტესადმი მიძღვნილი თამარის ვედრების შემცველი ხელსტრიქონიანი იამბიკონი შემოგვინახა. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ეს შესანიშნავი ძეგლი, უნიკალური ფრესკებითურთ, დღეს რუსეთის მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე აღმოჩნდა, რადგან სადღეისოდ არსებული მონაცემების თანახმად, შიდა ქართლშიც და აფხაზეთშიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვალის გაქრობის პროცესი მიზანდასახულად და ინტენსიურად მიმდინარეობს.

საუკუნეთა მანილზე ზრუნვა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიაზე ქართველი ქალის წმინდათაწმინდა მოვალეობას წარმოადგენდა. ცნობილია, თუ რა დვაწლი დასდეს ალავერდის ტაძარს „წმიდათა ეკლესიათა შემწე“ კახეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1476-1511 წწ.), მისმა დედამ – დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა და მეუღლემ – ანა



დედოფალმა. ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის მოწმობით: „ამან ალექსანდრე და დედამან მათმან ბაგრატიონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან დაქცეული და დაცველებული აღუშენა ალავერდსა სამტრენი და გუმბათი, და დაახატვინა და შეამკო ჯუარითა და ხატითა, წიგნითა და ეკლესიის შესამკობელითა“. „ქართლის ცხოვრების „ანასეული ნუსხის გადამწერის ანდერძმინაწერში კო, გაითხულობთ: „ადიდენ ღმერთმან... დედოფალთა-დედოფალი ნესტან-დარეჯანი, და მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა. ესე იყვნენს... მაშენებელი ეკლესიათანი, რამეთუ ალავერდი წარტყუენელ იყო წარმართოაგან... აღაშენელს ცავ და გუმბათი და სამტრონი“. იმავე დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა კახეთის სხვა „საეპისკოპოზო“ ეკლესიებიც „შეამკუნა და შესწირა ყოველნივე საეკლესიო სამკაულინი“.

ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტის თანახმად, საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1443 წწ.) „აღმზრდელმან მრავლის ჭირნახულობითა, ბებია მისმან ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე – ყოფილმან რუსა, ამან იწყო მრავლის ღუაწლითა და გულისმოდგინებით აღშენებად სუეტთა საყდრისათა და ვერდარა სრულ ჰყო აღშენება მისი, ეგრეთ მიიცვალა ამიერ სოფლით“. ღვთისმშობლის სახელზე აგებული ვალეს ეკლესიის სამ სვეტად შესრულებული 45-სტრიქონიანი წარწერა გვამცნობს, რომ იგი მეორედ „აღუშენების“ ათაბაგ ქაიხოსრო II-ის (†1570) მეუღლეს, ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის (1484-1505 წწ.) შვილიშვილს და ქართლის მეფის, ბაგრატის (1487-1540 წწ.) ასულს, ათაბაგ-ამირსპასალარის რძალს – დედის იმედს.

ბერი ეგნატაშვილისავე ცნობით, კახეთში ეკლესიების მშენებლობისათვის გურიელის ასული, კახთა

„მცყრობელის“ ლევანის (1520-1574 წწ.) მეუღლე თინათინიც დამაშვრალა. მას შეამთის მონასტერი აუგია, „ყოველივე სამონსატრო წესითა და სამკაულითა შეუქია“. ქართველი ისტორიკოსის თანახმად, თინათინ დედოფლისათვის ღვაწლი დაუფასებიათ და ანდერძიც შეუსრულებიათ: იგი მისსავე აშენებულ ტაბარში დაუკრძალავთ („...მიიცვალა გურიელის ასული თინათინ, და დაუტევა ანდერძი, რათა არ დამარხონ გუამი მისი ქმრისა თვისსა აღშენებულსა ლევანის თანა, არამედ დაემარხოს იგი შეამთას თვისსა აღშენებულსა მონასტერსა. და ყვეს ეგრეთ, და ამისთვის არა დაემარხოს ქმრისა თვისისა, თანა, რამეთუ ლევან იყო სიძვისა და მრუშების მოყვარე“).

დღესაც მისაბაძ მაგალითად რჩება მანუჩარ დადიანის ასულის, ლევან დადიანის დის, ჯერ სიმონ გურიელის, ხოლო შემდგომ ორი გამაჟმადიანებული ქართველი მეფის როსტომისა და ვახტანგ V-ის მეუღლის, მარიამ დედოფლის საეკლესიო სააღმშენებლო მოგაწეობაც. ეჭვს არ ბადებს, რომ ქართულ საქმეს გამაჟმადიანებული ქართველი მეფების ნაცლად (ზოგჯერ მათი მხარდაჭერითაც), ძალზე რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, სპარსეთის მძიმე წნევის პირობებში, სწორედ მათი „სახელოვანი თანამეცხედრე“ მარიამ დედოფალი ახორციელებდა.

ჩვენთვის საინტერესო ასპექტით მარიამ დედოფლის პიროვნების წარმოსახენად ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტის შემდეგი სიტყვებიც იკმარებდა: „...და დედოფალმან მარიამ შეამკო ეკლესიანი შესამოსლითა ხატითა, ჯუარითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუალითა. და ედგა ამა დედოფალსა პატივი დიდი ყაენისაგან და ყოველთა საქართველოსა კაცოაგან და ქალთაგან, მთავართა და დიდებულთაგან, იყო ყოვლითურთ



შემკული კეთილითა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არდარავი...“

XX საუგუნის 80-იან წლებში გ. უორჯოლიანმა ქართულ, ქართულ-სპარსულ ისტორიულ დოკუმენტებში, ასევე ქართულ წერილობით წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობები მოიძია საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის დამოკიდებულების პირუთვნელი სურათის აღსადგენად. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ქართულ-სპარსული ისტორიული დოკუმენტის ჩვენებით, 1650 წელს როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის თაოსნობით ელისე თბილელეს სიონის ეკლესიის „გუმბათი და სამხროები“ განუახლებია და „ყოვლისა საეკლესიო სამკაულითა“ გაუმართავს. იმავე წელს, მეფე-დედოფლის მცხეთის სვეტიცხოვლის ჩამოქცეული გუმბათი შეუმკიათ“, აღუდგენიათ „დაქცეული წმიდა მონასტერი ალავერდისა“, ქრისტეფორე კათოლიკოსის მონაწილეობით თბილისში „ოქმურ ლენგისაგან შემუსრული“ კვირაცხოვლის საყდარი განუახლებიათ, ერთაშმიდაში წმ. ესტატეს ტაძარი არა მხოლოდ შეუკეთებიათ, არამედ დანგრეული შენობის აღდგენაზე უზრუნიათ, თემის პირას კი, „საყდარი და მონასტერი აღუშენებიათ“.

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, მარიამ დედოფლის სახელს „შემუსვრილი“ ბოლნისის ტაძრის განახლება-აღდგენა უკავშირდება: „ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი. მას ზემორ ეკლესია დიდი, უგუმბათო, ბოლნისისა, რომელი აღაშენა კ“თ მეფემან ფარსმან, და გორგასალ დასუა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსვრილი აღაშენა კ“თ დედოფლიმან მარიამ“. იგივე ავტორი მარიამ დედოფლის აღმშენებლობითი მოღვაწეობის შესახებ კიდევ ორ ცნობას გვაწვდის. კალაზე საუბრისას ისტორიკოსი

აღნიშნავს: „არს კუალად დაბალს ციხესა შინა ეკლესია გუმბათიანი და აწ ცარიელი, და სხუანი გუმბათიანნი არიან. უგუმბათო აღაშენა კარის საყდრად კ“თ დედოფლიმან მარიამ“, ხოლო გორისა და „ლიახვისა ზეითისა“ აღწერისას დასძენს: „აღაშენა ეკლესია ესე (იგულისხმება რუისის ტაძარი – ნ. ხ., თ.ხ.) ო“ვ მეფემან აღექსანდრემ. შემდგომად კუალად განაახლა და შეამკო კ“თ დედოფლიმან მარიამ“.

საეკლესიო აღმშენებლობას მარიამ დედოფლი ვახტანგ V-ზე დაქორწინების შემდეგაც აქტიურად განაგრძობდა. შემხვევითი არ არის, რომ საქართველოს საეკლესიო ცხოვრების აღმავლობას ბერი ეგნატაშვილი მაინც-დამაინც ვახტანგ V-ის, მისი ვაჟებისა და, განსაკუთრებით, მარიამ დედოფლის სახელს მიაწერს. ბერი ეგნატაშვილის თანახმად, ვახტანგ V-ის მეფობის დროს: „წმიდანი ეკლესიანი ხეშთა აღმატებულიყო შესაწირავითა აგარაკთა და ყოველთა სამკაულთა მიერ განაშენებული“... ყოველნივე წესნი ეკლესიასთანა განმრავლებული“, ეკლესიები მარიამ დედოფლის მიერ შემკული „შესამოსელითა ხატითა, ჯუარითა და წირვის იარაღითა, ნაკერითა მარგალიტითა და თუაღითა“. შემდეგიცაა საგულისხმო: მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ V-ის პირველი თანამეცხედრის, როდამის პირვენებას ქართველი ავტორები მაღალ შეფასებას აძლევდნენ („ქალი ფრიად პატიოსანი და შემკული ყოვლითავე საქმითა კეთილითა, სრული სწავლითა საღმოთოთა და საერთოა“...), მარიამ დედოფლისაგან განსხვავებით, მას მხოლოდ ერთი ეკლესის მშენებლობას მიაწერენ.

როგორც ირკვევა ეკლესია-მონასტრების აღმშენებელთა და განმააბლებელთა როლში ქართველი ქალები ხშირად თანამეცხედრებობან და შვილებთან ერთად ჩანან. ამ თვალსაზრისით კი, შემდეგია საინტერესო: V-VI



სს-ში ჯვრის აღმართვის კტიტორად მეუღლის თათვარაზის გვერდით ჩვენთვის უცნობი მარიამი ფიგურირებს“. ცნობილია, რომ ბაგრატის ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში (1001-1008 წწ.) მის აღმშენებლად ბაგრატ III-სთან (978-1014 წწ.) ერთად მისი დედა გურანდუხტი გვევლინება. პატარა ონის წმ. გიორგის ეკლესიის კარიბჭესა და წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ფასადზე დამოწმებული XI ს-ის წარწერებიდან ვაებულობთ, რომ ამ ტაძრების აღმშენებლობაში მონაწილეობა კახა ერისთავთან ერთად, მის მეუღლეს – დალიდა დედოფალსაც მიუდია. თლულის წმ. გიორგის სახელობის, დღეს უკვე არარსებული, ეკლესიის აგებისა და მისი კედლების მოხატვის ინიციატორები XVII ს-ში მცხოვრები მერაბ წულუკიძე და მისი მეუღლე ანიკა ყოფილან. გ. ბოჭორიძის ცნობით, ეკლესიის კედლის ფრესკებზე ამ წყვილს ხელო ეკლესიის მოდელის გამოსახულება ეპურა. გეგუთის წმ. ელიას სახელობის ეკლესიის წარწერა კი გვამცნობს, რომ იგი ბაკურ (ბაკა) იაშვილმა და მისმა თანამეცხედრე აბაშიძის ქალმა, მარქება „აღაშენებ“ და ა.შ.

ქართველი მოღვაწე ქადების ზრუნვა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე საქართველოს მხარეებით არ შემოიფარგლებოდა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მონათხობით, მეფე თამარმა „არა ოდენ საქართველოსა მონასტერი ააშენა, არამედ პალესტინეს იერუსალიმს ააშენა პირველად მონასტერი; და კუალად კაპრეს დალია შეამკო და უყიდნა შესავალი და აღაშენა მონასტერი და შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა მონასტრისათა. და კუალად კონსტანტინეპოლის აღაშენა მეტოქი მათი. და გრძელ სადმე არს ყოვლისა მოთხობილობა, რომელ საბერძნეთს და ყოველსა ელადას შინანი მინასტერი უხუად წყალობამიფენილ ყვნა და საქართველოსა მცირითგან მონასტრით

საყდარ-ეკლესიანი არა დაუტევა, რომელ არა წყალობითა აღავსო“.

საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ, წმინდა მიწაზე განლაგებულ ეკლესია-მონასტრებს არც მარიამ დედოფალი აკლებდა ყურადღებას. იოკევა, რომ მარიამ დედოფალი და როსტომ მეფე ქართული სულიერი კულტურის ამ კერებს დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდნენ.

ქართველი ქალის საეკლესიო, სააღმშენებლო მოღვაწეობის მაგალითების გამრავლება უსასრულოდ შეიძლება, თუმცა მოყვანილიც საკმარისია, საუკუნეთა მანძილზე ამ მიმართულებით ქართველი ქალის ღვაწლის წარმოსახენად. სასიხარულოა, რომ 2000 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-აბერიარქის უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით დაფუძნებული საპატრიარქოსთან არსებული „მორწმუნე ქალთა საზოგადოება“ დღესაც დირსევულად აგრძელებს ეკლესია-მონასტრები აღმშენებლობის საუკუნეთა მანძილზე არსებულ ტრადიციას. ქართველი ქალის სულიერი სამყარო კვლავ ქრისტიანული დირებულებებითაა აღსავსე.

SUMMARY

„ I SAW BEAUTIFUL VARDZIA,
SCULPTURED BY TAMAR, WHO ALSO
BUILT OTHER MONASTERIES
CONSTRUCTED AND HALVED”

FOLK

*Academician Nana Khazaradze
Professor Tamar Khokhobashvili*

In the context of Georgian and foreign primary sources, epigraphic samples, Georgian manuscripts and vestiges, Georgian oral painting, monuments of Georgian Christian architecture and established facts by scientific findings, it is highlighted how Georgian



women were rebuilding church-monasteries for ages.

According to the research, the authors came to the conclusion that in Georgia, which is Virgin Mary's inheritance, Virgin's robe, belt and other related relics' country, the spiritual world of Georgian women was replete with Christian values during the last two decades despite the political, economic, social, ethno-cultural processes, during the abolition of Georgian Apostolic Orthodox Church at 1811, despite the Bolshevik regime established in Georgia at XX century and especially during the ruthless confrontation of the Christian religion at 1932-1924.

It is emphasized that "Society of Religious Women," established based on the prayer-blessing of Georgia's Catholicon-Patriarch, His Holiness and Beatitude, Ilia II, continues the centuries' tradition of rebuilding church-monasteries with honor.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ოლქექიძე ზ. ვინ არის „სრულიად აღმშენებელი“ სამშვილდის სიონისა, მრავალთავი, XVI, თბილისი, 1991
2. ბოჭორიძე გ. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბილისი 1992
3. ბოჭორიძე გ. რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები, თბილისი, 1994
4. მეტრეველი რ. დავით ადმაშენებელი, მეფე თამარი, თბილისი, 2002
5. მუსეელიშვილი ლ. არქეოლოგიური ექსკურსიები მამავერას ხეობაში, 1941
6. Парсадан Горгиджанидзе. История Грузии, Перевод Р.К. Кикнадзе и В.С Путуридзе, Исследование и указатели Р. К Кикнадзе, Тбилиси 1990
7. ჟორჟოლიანი გ., საქართველო XVII საუკუნის 30-50იან წლებში (ქართლ-კახეთი), თბილისი, 1987
8. რჩეულიშვილი ლ., თიღვა (შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა), თბილისი, 1960
9. სილოგავა ვ. ხეოთის ახლადაღმოჩენილი წარწერები, ახალციხე 1997
10. უმიკაშვილი პ. ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I, ტფილისი, 1937
11. ქართლის ცხოვრება, II
12. ქართლის ცხოვრება, მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული კომისია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, თბილისი 2008
13. ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილია უკელა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბილისი, 1973
14. ქართლის ცხოვრება, II ტექსტი დადგენილი უკელა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბილისი, 1959
15. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბილისი, 1980
16. ქართული წარწერების კორპუსი, I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980
17. ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბილისი, 1978
18. ხაზარაძე ნ., მინდაძე ნ., ღვთისმშობლის სარტყლის ქვეყანაში, რედაქტორი ხოხობაშვილი თ., თბილისი 2008
19. ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი 1967



მიროცხვის ფასის ვორმირაბის ისტორია

**დეკანოზი ლეგან მათეშვილი,
პროფესორი
დეკანოზი კახაბერ შურდაია,
ასოც. პროფესორი**

იოანეს სახარებაში ნათქვამია:
„დღესასწაულის უკანასკნელ დღე
დღეს ადგა იქსო, შესძახა: „თუ ვინმეს
სწყურია მოვიდეს ჩემთან და შესვას;

ვისაც სწამს, როგორც წერილი
ამბობს, მისი მუცლიდან იდინებენ ცო-
ცხალი წყლის მდინარეები.

ეს მან იმ სულზე სთქვა, მის
მორწმუნებს რომ უნდა მიეღოთ, რად-
გან ჯერ არ იყო სული, რაკი იქსო
ჯერ განდიდებული არ იყო“.

ორმოცდამეათე დღეს მოციქუ-
ლებმა მიიღეს სულიწმინდის მადლი
და იმ დღესვე დაიწყეს მისი ქადაგება
იმათთვის, ვინც ირწმუნა იქსო ქრისტე.
„შეინანეთ და ნათელიდეთ თითოეულმა
თქვენგანმა – უთხრა იმ დღეს მოცი-
ქულმა პეტრემ ხალხს – მიიღებთ ყვე-
ლანი სული წმინდის ნიჭს“.

პირველად მოციქულები ლოცვი-
თა და სულის დასხმით ახდენდნენ
სული წმინდის გადმოსვლას იმათზე,
ვინც „აღტაცებით მიიღეს“ კეთილი
ცნობა და მოინათლენენ.

მოციქულთა საქმეები მოგვითხ-
რობენ, რომ მოციქულები პეტრე და
იოანე ნათლავდნენ სამარტინელებს. მი-
ვიდოდნენ რა მათთან, მოციქულები
ლოცულობდნენ მათზე, რომ მათ
მიეღოთ სულიწმინდა.

მოციქულმა პავლემ მონათლა
იოანე ნათლისმცემლის ზოგიერთი
მოწაფე. „როდესაც პავლემ დაასხა მათ
ხელი, გადმოვიდა მათზე სულიწმინდა
და იწყეს ვნებით ლაპარაკი და გაქა-
დაგნენ“.

სულის საიდუმლოს აღსრულება
ხელის დასხმით მოითხოვდა მოცი-

ქულთა პირად მონაწილეობას საიდუმ-
ლოში. მოციქულები მოგზაურობდნენ
და ქადაგებდნენ წმინდა სახარებას,
ამიტომ მსურველთა მონათვლას ახდენ-
დნენ მოციქულთა მიერ ნაკურთხი
ებისკოპოსები და მდვდლები მირონ-
ცებით. მირონის კურთხევა კი შეეძ-
ლოთ მხოლოდ ებისკოპოსებს. თავის
მოქმედებაში მოციქულები ხელმძღვანე-
ლობდნენ სული წმინდის მადლით,
ასესენებდნენ ყველას დაეცვათ ჭეშმა-
რიტება და ის მცნებანი, რომელიც
დაგვიტოვა მაცხოვარმა. ხელის დასხმა
მონათვლის დროს შეიცვალა მირონ-
ცებით, რაც დვოის ნებით იყო განპი-
რობებული.

სიტყვა „მირონი“ ბერძნულ ენაში
ნიშნავს „კეთილსურნელოვან ზეთს“. მი-
რონი განსაწმენდლად გამოიყენებოდა
ჯერ კიდევ ძველი აღოქმის დროს. მირონით
განწმინდა მოსემ უფლის „კიდობანი“. მირონი სცხეს აარონს, რა-
თა შეესრულებინა პირველი მდვდელ-
მთავრის მოვალეობა. ყველა შემდგომი
პირველი მდვდელმთავრები და წინას-
წარმეტყველი იყვნენ მირონით ცხე-
ბულნი, სანამ შეუდგებოდნენ დვოის
სამსახურს. მირონის შემადგენლობა
მოსეს თავად დმერთისაგან ეუწყა.
წმინდა წერილი მირონის მომზადებას
უწოდებს წმინდა საქმეს, ხოლო თავად
მირონი არის „დიდი სიწმინდე“.

სული წმინდის გადმოსვლის
საიდუმლოების შესრულებისას მირო-
ნის გამოყენება საეკლესიო თემებმა
მიიღეს როგორც ძალიან მიზანშეწონი-
ლი საქმე. ებისკოპოსები და მდვდლები,
რომლებიც დაადგინეს მოციქულებმა, რომ
ემწყემსათ ქრისტეს სამწყსო,
ასრულებდნენ მირონების საიდუმლოს
(„თქვენ გაქვთ კურთხევა (სული) წმინ-
დისაგან და იცით ყოველივე... კურ-
თხევა, რომელიც თქვენ მიიღეთ მის-
გან... არის ჭეშმარიტი და სწორი...“
წერდა იოანე დვოისმეტყველი).

„ხოლო ცხებულება, რომელიც
თქვენ მიიღეთ მისგან, თქვენშია და



არავისგან სწავლა არ დაგჭირდებათ, არამედ მისი ცხებულება გასწავლით ყველაფერს, და ის არის ჭეშმარიტი და უტყუარი, რასაც ის გახსავლით. მასში დარჩით“ - წერდა იოანე ღვთისმეტყველი თავის პირველ სამოციქულო წერილში. ამასვე ამბობს პავლე მოციქული თავის მეორე წერილში კორინთელთა მიმართ: „ის, რომელიც წვენ თქვენთან ერთად გვამტკიცებს ქრისტეში და რომელმაც გვცნო წვენ, ღმერთის, რომელმაც აგრეთვე დაგვბეჭდა და მოგვცა წვენს გულებში სულის საწინდარი“.

ცხებას (ბერძნულად ჯიბა-„ქსიდმა“) აქვს მეორე საკრამენტალური მნიშვნელობა – დაბეჭვდა – ჯვრის ნიშანი, რომელიც სრულდება წმინდა სამყაროზე. „ვადებ ბეჭვდეს“, „ვბეჭდავ“ - ქრისტიანი მწერლები ხმარობდნენ შემდეგი მნიშვნელობით: „ნიში“, „გსახავ ჯვრის ნიშს“. გამოთქმა „ჩვენს მკერდში“ მიუთითებს რომ ცხება წმინდა მირონით ხდება მკერდზე, რომელიც ყველაზე ახლოს არის ადამიანის გულთან, რომელიც არის საცხოვრისი წმინდა სულის მაღლისა.

ეკლესია ყოველთვის ასრულებდა მირონცხების საიდუმლოს, როგორც დამოუკიდებელს, მაგრამ მონათვლასთან დაკავშირებულ საიდუმლოს IV საუკუნეში საიდუმლო მირონცხების საშუალებით უშუალოდ მონათვლის შემდეგ სრულდებოდა. ამ ცხებით იბეჭდებოდა სხეულის სხევადასხვა ნაწილი: თავი, ნესტორები, ყურები, თოთები – შემდეგი სიტყვების წარმოთქმით: „ბეჭვდი მონიჭებულ არს სულისა წმინდისა მიერ“. თავად ცხება ხდებოდა ჯვრის გამოსახვით.

მართლმადიდებელი ეკლესიის მოთხოვნათა წესებში მირონცხების წესი იბეჭდება მონათვლის წესებთან ერთად, საერთო სათაურით „წმინდა ნათლობის თანმიმდევრობა“.

მირონცხების საიდუმლო შედგება ორი ცალ-ცალკე შესრულებული

წმინდა მოქმედებისაგან: 1) დამზადება და კურთხევა მირონის და 2) ახალმონათვლულის მირონცხება მდგდლის მიერ, რომელიც ხდება უშუალოდ მონათვლის საიდუმლოს აღსრულების დამთავრებისთანავე. მიუხედავად იმისა რომ ორი წმინდა მოქმედება ერთმანეთისაგან გამოყოფილია დროით, მათ შორის არსებობს მჭიდრო ორგანული კავშირი, როგორც წმინდა ნიჭთა კურთხევისა და მორწმუნეთა მიერთება ეპარქიისტის საიდუმლოსადმი.

ძველ საყდარში მირონცხების საიდუმლო არ იყო გამოყოფილი დამოუკიდებელ წესის აგებად. ის მონათვლასთან ერთად წარმოადგენდა ერთ მთლიანს და იყო მჭიდრო ორგანულ კავშირში ეკარისტიის საიდუმლოსთან. მოციქულთა სწორის კონსტანტინე დიდის დროიდან (IV საუკუნე) კათაკმეველთა მონათვლა ხდებოდა დიდ საეკლესიო დღესასწაულებში: აღდგომის წინ, ქრისტეს შობისა და ღმერთის გამოცხადების, წმინდა სამების, ამაღლების, ფერისცვალების, მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლისა და იერუსალიმში საყდრის განახლების დროს. ხშირად მონათვლას ამთხვევდნენ დიდ შაბათს, ქრისტეშობის და ღვთის გამოცხადების დღესასწაულებს, რადგანაც ამ დღესასწაულებს წინ უსწრებდა მარხვები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მონათვლულებს მიეღოთ ქრისტეს რჯული და აეთვისებინათ ეკლესიის დოგმატები. მონათვლის შემდეგ კონსტანტინოპოლის ეკლესიაში ახლადმონათვლულები სიმღერით „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიდებიეს“ სამდვდელოების და „ნათლიების“ თანხლებით, ანთებული სანთლებით მიემართებოდნენ სანათლავიდან საყდრისაკენ.

საყდარში მთელი ეკლესიის კრების თანდასწრებით ხდებოდა მირონცხების საიდუმლოს აღსრულება და ახლადმონათვლულები პირველად იღებდნენ მონაწილეობას ეკარისტიაში.



XI-XII საუკუნეებში მირონცხების განსაკუთრებულობა მდგომარეობდა იმაში, რომ მოსანათლავებს მოსავდნენ თეთრი სამოსით, ადგამდნენ გვირგვინს და ხელში აძლევდნენ სანთლებს. გვირგვინის ქვეშ იგულისხმებოდა სახვევი, რომელიც ფარავდა მირონცხებულის შუბლს.

მონათვლისა და მირონცხების შემდეგ ახლადმონათლულს აზიარებდნენ ლიტურგიაზე, რომელიც მოსდევდა უშუალოდ ამ საიდუმლოებას.

XIV საუკუნეში მირონცხების საიდუმლოება სრულდებოდა შემდეგნაირად: კვერცხსის შემდეგ იკითხებოდა ლოცვა, რომელიც ახლაც იკითხება, შემდეგ გალობდნენ „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებიეს“, შემოუვლიდნენ ემბაზს. შემდეგ ცხებდნენ მირონს, ახლადმონათლულს სხეულის იმ ნაწილებზე, სადაც დღესაც ცხებები.

მირონცხება XV საუკუნეში ხდებოდა ფსალმუნის თანხლებით. სხეულის იმ ნაწილების გარდა, რომელსაც მირონს ახლაც ცხებენ, XV საუკუნეში ზოგჯერ ხდებოდა ცხება გულზე, მუცელზე და მხრებზე. ზოგიერთი სის თანახმად მირონცხების შემდეგ ახლადმონათლულს მოსავდნენ ზედა ტანსაცმლით. მდვდელი ამბობდა: „შეიმოსა მონა დვთისა, სამოსელსა სიმართლისასა“. ზედა სამოსლით შემოსვისას მდვდელი ამბობდა: „იხარებდეს სული შენი“.

XVI საუკუნეში მდვდელი ახლადმონათლულს მირონს ცხებდა სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებზედაც დღესაც ცხებენ, მაგრამ უმატებდნენ „გულს, სტომაქს და მხრებს“. მირონცხების დროს საჭირო იყო შემდეგი სიტყვების თქმა: „ესე არს ბეჭედი სული წმინდის ნიჭისა“, თუმცა იყო სხვა დამატებები.

მირონცხების წესის აღსრულების ერთი რედაქციით მისი აღსრულების შემდეგ ყრმას შემოსავდნენ ახალი

სამოსით და ამბობდნენ შემდეგ სიტყვებს: „იმოსება მონა დვთისა“.

ემბაზის სამგზის შემოვლა შემოღებულ იქნა მას შემდეგ, რაც მონათვლისა და მირონცხების საიდუმლოების აღსრულება გამოეყო ლიტურგიას და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მსახურებად. ძველ ეკლესიაში სამოციქულო და სახარება იყო ლიტურგის შემადგენელი ნაწილი, რომელიც უშუალოდ მოსდევდა მონათვლას. ლვთისმსახურების წესებში დიდ შაბათს შენარჩუნებულ იქნა შემდეგი ჩვეულება, რომელიც ნათლად უჩვენებს, რომ: ლიტურგიული სამოციქულო და სახარების სანახევროდ კითხვა ამ დღეს – სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვე თანმიმდევრული აღსრულება ნათვლიბისა და მირონცხებისა. XVI საუკუნეში ემბაზის შემოვლა არ იყო, მხოლოდ გალობდნენ: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებიეს“.

ზოგიერთი მოთხოვნის ნუსხის მიხედვით XV საუკუნეში მირონცხების შემდეგ ხდებოდა ახლადმონათლულების მიერ ამბიონის სამგზის შემოვლა.

XVI საუკუნის ძეგლების მიხედვით მირონცხების შემდეგ მღვდელი და მიმრქმელი ჩვილთან ერთად სამგზის შემოუვლიდა ემბაზს და თუ ახლადმონათლული ბიჭი იყო შეპყავდა საკურთხეველში, ხოლო თუ გოგო მიჰყავდა აღსავლის კარამდე და არ შეჰვავდა საკურთხეველში.

ძველის პერიოდის ტაძარში სამოციქულოს და სახარების კითხვა შედიოდა ლიტურგიაში, რომელიც იწყებოდა მონათვლის საიდუმლოსა და მირონცხების დამთავრებისთანავე.

ამ საიდუმლოების დამოუკიდებლად გამოყოფის შემდეგ წესი წმინდა წერილის კითხვისა ჩართულ იქნა მორონცხების წესებში.

ზოგიერთ ეკლესიაში XVI საუკუნემდე არ მოიპოვებოდა ცნობები იმის შესახებ კითხულობდნენ თუ არა



სამოციქულოსა და სახარებას. წყაროებში მითითებულია მხოლოდ ის, რომ მირონცხების დასრულების შემდეგ იწყებოდა საღვთო ლიტურგია, რომლის დროსაც კითხულობდნენ წმინდა წერილებს. ხოლო XVI საუკუნის ზოგიერთ ძეგლში მითითებულია, რომ სამოციქულოსა და სახარების კითხვა ჩართულია მირონცხების წესებში. ეს გახდათ სიახლე, რომლის შესახებ წინა საუკუნეებში არაფერი იცოდნენ.

ძველი დროის ეკლესიის ტრადიციის თანახმად, შვიდი დღის შემდეგ მირონცხების საიდუმლოს აღსრულებისა, ახლადმონათლული მიდიოდა ტაძარში, რათა მდგდლის ხელით განხანილიყო.

ეკლესიის ახალი წევრის კუთვნილება ლიტურგიული ცხოვრებისადმი ავალდებულებდა მას შეენახა მის სხეულზე ბეჭედი წმინდა მირონისა. ამიტომ ახლადმონათლული მერვე დღემდე არ იხდიდა სამოსელს რომელიც მას ეცვა მონათვლისას. მირონცხების დვოისმსახურებიდან 7 დღის გასვლის შემდეგ ხდებოდა განბანვა, რომლის დროსაც ახლადმონათლული იხდიდა თეთრ სამოსელს. ახდისას მას ხსნიდნენ სახევებს სხეულის იმ ნაწილებიდან, რომელზეც იყო მირონცხებული. შემდგომ სხეულის ეს ნაწილი განიბანებოდა წმინდა მირონისაგან.

XV საუკუნეში ახლადმონათლულის განბანვა ხდებოდა მერვე დღეს და ტაძარში შესვლისა იკითხებოდა ფსალმუნი. განბანვა ხდებოდა პირველი ლოცვის შემდეგ და ახლადმონათლულის სხურების გარეშე.

XVI საუკუნეში ახლადმონათლული ესწრებოდა ლიტურგიას. დიდი შესვლის დროს მას ეჭირა ანთებული სანთელი, მას მოსდევდა მდგდელი, რომელსაც მიჰქონდა კურთხევისათვის მომზადებული ძღვენი. ლიტურგიის დამთავრების შემდეგ ნათესავებისა და

ნაცნობების თანხლებით, რომელთაც ხელში ეჭირათ ანთებული სანთლები, ახლადმონათლული მიდიოდა სახლში. შვიდი დღის განმავლობაში ის მოვალე იყო დასწრებოდა დილის, საღამოს ლოცვებს და ლიტურგიას. ამ დროს ახლადმონათლულს ხელში ეჭირა ანთებული სანთლები. დასასრულს სრულდებოდა განბანვა მერვე დღეს. ამავე დროს მდგდელი წარმოთქვამდა ასამაღლებელს: „კურთხეულ არ ღმერთი ჩვენი...“ ჩვეულებრივი დასაწყისი: ყოვლადწმინდაო სამებაო, მამაო ჩვენო, ტროპარი და ლოცვა შემდეგ მდგდელი წარმოთქვამდა: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი, რომელიც განწმინდავს და გაანათლებს ყოველ ადამიანს...“ და მდგდელი კითხულობდა ორ ლოცვას, რომელიც დღევანდელ მოთხოვნებში წაკითხეულ უნდა იქნეს განბანვის წინ.

ძველ ეკლესიაში ახლადმონათლულს აჭრიდნენ თმას ნიშნად იმისა, რომ მიეღოთ დვთის დალოცვა. ამ ჩვეულებით ახლადმონათლული გამოხატავდა მზადყოფნას დვთისადმი თავ-შეწირვისა. XV საუკუნეში ზოგიერთი მართლმადიდებელი ეკლესიის წერილობითი ძეგლები მოგვითხრობენ, რომ თმის შეკვეცა ხდებოდა ახლადმონათლულის შემოსვის შემდეგ. როგორც წმინდა საუკუნეებში, ისე XV საუკუნეში თმის შეკვეცა ხდებოდა მოსანათლის შემოსვის შემდეგ, რასაც მოსდევდა ის ლოცვები, რაც დღესაც იკითხება. XV საუკუნეში შემოვიდა წესი თმის შენახვისა: მდგდელი იღებს თბილ სანთელს და შიგ ჩააწებებს და შეინახავს ეკლესიის კედელში, თუ ეკლესია ქვის იყო, ხოლო თუ არა, მაშინ თმას ჩაფლავდნენ მიწაში, რომელსაც ამოთხოვდნენ საკურთხევლის უკან.



რელიგიურ-ერქანული აოლიტსაეპულაციები გავკასიაში

დეკანოზი ლევან მათეშვილი, პროფესორი ნარი ჩხაძერიძე, დოქტორანტი

კავკასიური ერების ისტორიაში ეთნიკური მრავალფეროვნების საფუძველზე, გარდა საინტერესო და მიმზიდველი კულტურული ფაქტორის არსებობისა, დღემდე, ისეთი მეტად სამწუხარო ეთნოკონფლიქტების პრობლემები ჩნდებოდა, რომელთა ფონზეც ზოგი ეთნოსი საერთოდ გაქრობის ან გადაგვარების მსხვერპლი გამხდარა. როგორც წესი, ამ კონფლიქტების მთავარი გამომწვევი მიზეზები იმ კოლონიზატორი ერების პოლიტსპექტულაციების შედეგად ფიქსირდება, რომლებიც კავკასიას, თავისი გეოპოლიტიკური მიზეზების გამო არასდროს აკლდა.

ისტორიულად კავკასიაში სხვადასხვა დროს თავისი ეპოქის შესაბამის პოლიტმაქინაციებს აწარმოებდნენ ირანი, ბიზანტია, არაბეთი, თურქელჩუკები, რუსეთი თუ ევროპა-აზიის სხვადასხვა გაძლიერებული სახელმწიფოები. ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მდებარე ეს დიდებული ადგილმდებარება თავისთვის ნებისმიერი გაძლიერებული სახელმწიფოსთვის სასურველ ადგილს წარმოადგენდა და შესაბამისად, ყოველ ღონესა თუ ხრისტეს ხმარობდნენ მის ასათვისებლად.

ასეთი ხრისტიანობისთვის ერთეული მნიშვნელოვანი როლის შესასრულებლად, მტერი ძალიან ხშირად რელიგიას იყენებდა. კავკასიური ერები ხშირად ებმებოდნენ მტრის მიერ რელიგიის ნიადაგზე შემუშავებული სხვადასხვა მზაკვრული გეგმების განხორციელების მახეში. კოლონიზატორების უმრავლესობა ერთმორწმუნეობის ნიდბის ქვეშ აიძულებდნენ კავკასიელებს თავისი მიზნების შესრულებისთვის გამოეყენებინათ. მოსახლეობას, ზეწლისა და ზოგჯერ ფიზიკური განადგუ-

რების შიშის შედეგად, ხშირად უწევდა საკუთარი რელიგია დაეთმო და მტრის აღმსარებლობას შესდგომოდა.

ასეთი პროცესების ორომტრიალში ურთულესი იყო სარწმუნოებრივი თვითმყფადობის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა საქართველომ, როგორც კავკასიის წამყვანი კულტურული ძლიერების ქვეყანამ, მრავალ ისტორიულ ქარცეცხლს გამოატარა და დღემდე შეურყვნელად მოიტანა ქრისტიანული მართლმადიდებლური აღმსარებლობა, რის შესაბამისადაც დღეს ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალურობით.

ზემოთ აღნიშნული ისტორიული ქარცეცხლის ერთეული უმნიშვნელოვანების მოვლენას წარმოადგენს მონოფიზიტობისა და დიოფიზიტობის საბაბით წარმოებული პოლიტსპექტულაციები კავკასიაში. სწორედ მონოფიზიტობის ერები წარმოადგენდა კავკასიაში ერთეულ უზარმაზარ საფრთხეს მართლმადიდებლური აღმსარებლობის წინააღმდეგ გამიზნებლს. ჩემს მიერ წარმოდგენილ თემაში შევეცადე განვიხილო ამ ერების შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა, რა არსის შემცველია და როგორ იყენებდნენ მას სხვადასხვა დამპყრობელი ერები თავისი კოლონიზატორული პოლიტიკის განსახორციელებლად კავკასიაში.

მონოფიზიტობა 433 წელს ბიზანტიაში ჩამოყალიბდა და დანარჩენ ქრისტიანობას 451 წელს ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ გამოეყო. მის ფუძემდებლად ითვლება კონსტანტინოპოლის ერთეული დიდი მონასტრის წინამდგვარი – არქიმანდრიტი ევგენი. მონოფიზიტური სწავლების მიხედვით თავიდან ცალცალკე არსებობდა ქრისტეს ორი ბუნება – ღმერთის და კაცის, მაგრამ განკაცების შემდეგ ეს ორი ბუნება შეერთდა და მხოლოდ ღვთაებრივი ბუნება დარჩა. ტერმინი „მონოფიზიტობა“ მხოლოდ VII საუკუნის ბოლოდან მკვიდრდება.



მონოფიზიტების სწავლება გავრცელდა ბიზანტიის აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც ჯერ კიდევ იქმ შემორჩენილი მოკვდავი დმერთის კულტი. V საუკუნის ბოლოს მონოფიზიტებმა დაიკავეს ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქო საყდრები. VI საუკუნეში სწავლება გავრცელდა ნუბიასა და არაბეთში. [1] მონოფიზიტობა ძერძნული სიტვაა და ნიშნავს ერთბუნებიანობას (მონე „ერთი“ და ფიუსის „ბუნება“). ერესიარქებად ითვლებიან დიოსკორე და ევტიქი. გამოჩენის დღიდანვე იგი დაიყო რამდენიმე შტოდ იაკობის, პეტროსის, სეკეროზის, თეოდოსისა თუ გაიანეს მოძღვრებათა მიხედვით. [2]

V ს-ის მეორე ნახევარში მონოფიზიტობა რამდენიმე განშტოებად იყოფა – ზომიერ და უკიდურეს მონოფიზიტებად. შემდეგში ეს განშტოებები კიდევ იყოფა აქტისტიტებად – უკიდურეს მონოფიზიტებად და ქრისტეს სხეულის სრწადობისა და უხრწადობის მომსრუებად. აქტისტიტები ქრისტეს კაცობრივ ბუნებას უქმნელად მიიჩნევდნენ. თანამედროვე მონოფიზიტები ამ კონფესიის ზომიერ ფრთას წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთი შუასაუკუნეების მამების ტრადიციისამებრ - ქრისტეს ერთიანი ბუნების აღიარებისას ქრისტეს კაცობრივ ბუნებას ჩვენი ბუნების თანაარსად აღიარებენ.

XII ს-ის მეორე ნახევარში სომხური ეკლესიის ცნობილმა მამამ, კათალიკოსმა ნერსეს შხორალიმ, ეკლესიების გაერთიანების თაობაზე ბიზანტიურ-სომხური საეკლესიო მოლაპარაკების წინ, იმპერატორ მანუალ კომნინის თხოვნით - სარწმუნოებრივი აღმსარებლობა დაწერა, რომელიც სომხური ეკლესიის ოფიციალურ აღმსარებლობას წარმოადგენს. მასში ვკითხულობთ: „... ერთი და იგივე იქსო ქრისტე არის ხორციელიცდა უხორცოც: ხორციელი კაცობრივი ბუნებით,

რომელიც მან მიიღო და უხორცო დვთაებრივი ბუნებით, რომელიც მას გაიჩნდა; იგივეა ხილული და უხილავი, შექებადი და შეუხებელი, დროული და უდროო, მე კაცისა და ძელვთისა, დვთაებით მამისთანაარსი და ადამიანობით ჩვენითანაარსი, მაგრამ ერთი არსება და ერთი პირი ორი ბუნებისგან შემდგარი, რაცერთიესო ქრისტეშია გაერთიანებული, შეურევნელად და განუყოფელად“ [3].

ნერსეს შხორალის ოფიციალური მრწამსიდან ვკითხულობთ აგრეთვე შემდეგს: „მიაჭედეს ხეს (ქრისტე) აგაზაკთა შორის, როგორც ადამიანი, მაგრამ ნათელი დააბნელა და ავაზაკი სამოთხეში შეიყვანა, როგორც დმერთა მოკვდა ადამიანური ბუნებით, როგორც ადამიანი, მკვდრებს კი დვთაებრივი ძალით აღადგენდა. სიკვდილი იგემახორციო, სანამდეც თვითონ უნდოდა, როგორც ადამიანმა, სიკვდილი კი სიკვდილით დათრგუნა, როგორც დმერთა. ორი საპირისპიროსგან შეერთებული, ერთი შეიქნა, თაგის თავში ორივე (ბუნების) საპირისპირო შეგრძნებებს აგარებდა ადამიანური ბუნებით ვნებასა და სიკვდილს, დვთაებრივი ბუნებით კი უგნებლობასა და უკვდავებას“ [4].

როგორც ჩანს, მონოფიზიტები, ქრისტეს სრულყოფილი ადამიანურობისა და დვთაებრიობის ჰემარიტებას - დვთაებრივ და კაცობრივ ბუნებათა შეურევნელობის დოგმატს - აღიარებენ მსგავსად დიოფიზიტებისა: „სამ მსოფლიო კრებაზე: ეფესოს III (ნესტორის წინააღმდეგ), ქალკედონის IV (ევტიქის წინააღმდეგ) და კონსტანტინოპოლის (მონოთელიტების წინააღმდეგ), ეკლესიამ განაცხადა დოგმატი, რომლის თანახმად უფალი იქსო ქრისტე ერთპირობასოვანი და ორბუნებოვანია (დვთაებრივი და კაცობრივი), ამასთან აქვს ორი ნება, რომელთაგან კაცობრივი მთლიანად ემორჩილება საღვთო ნებას.“ [5], მაგრამ მონოფიზიტები,



ბუნებათა გაერთიანების შემდეგ - ორი არსის განუყოფელი ერთობისგან შედგენილ ერთ ღვთაებრივ ბუნებას მიიჩნევენ. სწორედ აქ არის სხვაობა, რომელიც მონოფიზიტებს არისტოტელური ლოგიკის - „არ არსებობს ბუნება ჰიპოსტასის გარეშე“-ს გამოყენებით აქვთ მიღებული და ბუნებისა და ჰიპოსტასის აღრევის შედეგად დიდ ქრისტოლოგიურ ცდომილებაში ვარდებიან.

აღსანიშნავია, რომ სშირად მონოფიზიტებისადმი, ყოველგვარი გამომეძიებლობისა და სამართლიანობის გარეშე, ისმის კრიტიკა მათ მიერ ქრისტეს კაცობრივი ბუნების არ აღიარებასა და შესაბამისად ჯვარცმისას ვნების გერგანმცდელობის შესახებ, მაშინ როცა ეს ასე არ არის. ზემოთ, მათ ოფიციალურ მრწამსში, ცხადად ვნახეთ ამის შესახებ რასაც წერს ნერსეს შემორალი... ასეთი დაუსაბუთებელი კრიტიკის ავტორები ნებისოთ თუ უნდღიერ კიდევ უფრო აღვივებენ უთანხმოებას მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის და ხელს უშლიან მათ დაახლოებასა და სარწმუნოებრივ ერთობას. განსაკუთრებით სავალალოა სარწმუნოებრივი უთანხმოება ერთ რეგიონში მცხოვრებ მართლმადიდებელ ქართველებსა და სომხებს შორის, რომლებიც ასევე მართლმადიდებლებს უწოდებენ თავიანთ თავს. ამ უთანხმოების საფუძველი იმთავითვე იყო პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენებული.

სხვადასხვა მეცნიერებთან ერთად, სომხეთში მონოფიზიტობის გავრცელების მიზეზად, ფანატიზმადე მისულ ტრადიციებთან ერთად - პოლიტიკას მიიჩნევს რუსი ბოლოტოვიც: „სომხეთში მონოფიზიტობა გაუგებრობის გამო წარმოიშვა. ...უფერული ბიზანტიელი იმპერატორები არათანმიმდევრულნი იყვნენ სომხებთან დაკავშირებით: ხან მათთან კავშირს ამყარებდნენ და ხანაც სპარსებთან პირისპირ ტოვებდნენ. გართულებული პოლიტიკური ვი-

თარება რთულად აისახებოდა საეკლესიო ცხოვრებაზე ...სომხების ბიზანტიისთან ურთიერთობა სულ უფროდაუფრო სუსტდებოდა და მათ ავტოკაფალიას მიაღწიეს. ...ამ უკელაფერს დაემატა წესჩვეულებითი სხვადასხვაგვარობაც და ეს განსხვავებები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სომხები სირიელი მონოფიზიტების კრიტიკასაც იმსახურებდნენ. სომხები თავიანთ ტრადიციებს იმაზე ნაკლებად არ იცავდნენ, ვიდრე ერთი ბუნების შესახებ მოძღვრებას. ამიტომაც იყო, რომ უნიასთან დაკავშირებით დაწყებული ნებისმიერი მცდელობისას ისინი თავიანთ ეკლესიაში არსებულ თავისებურ ნიშნებს უსგამდნენ ხაზს. სომხეური ფანატიზმი დღევანდელ დღემდე შეინიშნება. სომები მონაზვნის ერთ დისერტაციაში ნათქვაქმია, რომ სომხეურ ეკლესიას თავისებურება გრიგოლ განმანათლებლის დროიდან აქვთ შენარჩუნებული და ის სამუდამოდ შეურყევლად იარსებებს. ამგვარად, მონოფიზიტები წარმოიშვნენ არა მხოლოდ საეკლესიო ვითარებიდან, არამედ პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. პოლიტიკური და რელიგიური ფაქტორები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს“. [6].

სომხები მსოფლიოს სამ საეკლესიო კრებას უპრობლემოდ ეთანხმებოდნენ, მეოთხე, ქალკედონის კრების გადაწყვეტილებას იგივე საკითხზე დიოფიზიტობის შესახებ - უკვე უარყოფენ. ასევე ბიზანტიის იმპერატორ ზენონისაგან გამოცემულ შემრიგებლურ „ვენოტიკონსაც“ უპირობოდ იღებენ, მაგრამ სულ მაღლ ისევ სპარსული პოლიტიკისან თავსმოხვეული იდეოლოგის გატარებას აიძულებენ და 506 წელს, დვინის I საკლესიო კრებაზე ისევ მონოფიზიტურ სწავლებას აღიარებენ, ქალკედონიტების საწინააღმდეგო მხარეს დგებიან და უკვე დვინის II საეკლესიო კრებაზე საბოლოოდ გამოეყოფიან ბიზანტიის ეკლესიას.



მართლმადიდებლური ეკლესია ასწლეულობით ებრძოდა მონოფიზიტობას, როგორც მთელი რიგი ქრისტოლოგიური სწავლებების გაუკუდმართებულ ერესს. ამ ბრძოლის ძირითადი პერიოდია 448-681წწ. საუკუნეების მანძილზე მონოფიზიტობა მეტად დახვეწილი არამართლმადიდებლურ სწავლებად ჩამოყალიბდა. ქართული ეკლესია ყოლთვის მტკიცედ იდგა დიოფიზიტურ, ქალკედონიტურ სწავლებაზე და ბოლომდე გაუძლო იმ პოლიტიკურ ზეწოლასა და ძალადობებს, რომელთა გადატანაც ხშირად უხდებოდა სხვადასხვა დამპყრობლებისა თუ დაპყრობილი მეზობელი ქვეყნებისგან დატრიალებულ ისტორიულ ქარცეცხლში.

მაშინდელი მსოფლიოს ორი უძლიერესი სახელმწიფო, აღმოსავლეთით სპარსეთი და დასავლეთით ბიზანტია, ერთმანეთს გამუდმებით ებრძოდნენ ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის, მათ შორის ერთერთი მსხვერპლი იყო სომხეთი, რომელიც იმ სპარსეთის ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა რომლის მიზანიც იყო ბერძნული კულტურისა და მწიგნობრობის ასურულით ჩანაცვლება. შესაბამისად სპარსი დიპლომატები ყოველ დონეს ხმარობდნენ კავკასიაში მცხოვრებ ქრისტიანებს ანტიბიზანტიური, მწვალებლური აღმსარებლობა გაევრცელებინათ. არსენ კათალიკოსის „განყოფისათვის ქართველთა და სომხეთი“ გვამცნობს: „სპარსთა მეფენი აიძულებდეს სომქეთა, რათა განეშორენ ბერძენთა სარწმუნებასა... და რათა სიძულვილი შთავარდეს შორის მათსა განშორებითა სჯულისათა და ამით, უმეტეს მორჩილ იყვნენ სამეფოსა სპარსთასა და ქრთამი დიდალი აღუთქუნა წინამდუართა სომქეთა, რათამცა იქმნა ეგრე“. [7]

მძიმე პოლიტიკური მდგრმარეობის დროს, სომხური გრიგორიანული ეკლესია კავკასიაში სხვადასხვა აღმსარებლობითი მიმართულების ქრისტიანებისათვის იძულებით თავშესაფრად

იქცეოდა ხოლმე, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ იგი არ იყო მკაცრად მიუღებელი და რელიგიური გრძნობების დიდად შემრყვნელი დიოციზიტური მიმართულების აღმსარებლებისთვის. თუმცა, ეს მოვლენა ზოგჯერ ძვირად უჯდებოდათ ეთნიკური გადაგვარების თვალსაზრისით, რადგან ხშირი იყო სარწმუნოების გაიგივება ეროვნებასთან. შესაბამისად, უმეტესად ოკუპანტთა ინტერესებიდან გამომდინარე, მასიურად ხდებოდა ამა თუ იმ ეთნოსის გასომხება, არმენიზაცია.

აღნიშნული პროცესების ერთეულთი მსხვერპლი აღმოჩნდა, შემდგომში უკვე რუკიდან გამქრალი – კავკასიის ალბანეთიც: „...VII საუკუნეში არაბულმა ხელისუფლებამ ალბანური ეპლესია სახელიკად დასაჯა პრობიზანტიური ანუ ქალკედონიტური მიმართულებისათვის და ის სომხურ ეკლესიას დაუმორჩილა, ამის შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა ალბანეთის მოსახლეობის არმენიზაცია და ისლამიზაცია“. [8] საქართველოში ერთეულთი ფართომასშტაბიანი პოლიტიკური მოვლენა იყო რელიგიური სპეციალაციებით ქართველთა გასომხება, რაც გამოწვეული იყო მეზობელი, დიდი ქრისტიანული იმპერიების - ქალკედონურ ბიზანტიასა და რუსეთთან მებრძოლი მაკმადიანი დამპყრობლების - სპარსელების, არაბების, ოსმალებისა და თურქების მიერ გატარებული დონისძიებებით – კავკასიაში ერთმორწმუნების საყრდენი გამოცემათ მოწინააღმდეგებისათვის. რადგან დიოციზიტი ქრისტიანებისთვის გამაპმადიანება გაცილებით უფრო ურთულესი პროცესი იყო, ვიდრე სომხური მონოფიზიტური სარწმუნოების მიღება, მასიურად ხდებოდა სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე კავკასიელი მოსახლეობის მოქცევა, რის შედეგადაც იცვლებოდა მათი ეთნოფსიქოლოგიაცა და რელიგიასა და ეროვნებას შორის ზღვარის წაშლას ოკუპანტები რელიგიის შესა-



ბამისი ეროვნების შეცვლის დარეგისტრირებით ასრულებდა.

ამდენად, ვინც ვერ გაამაჰმადიანეს, სომხურ ეკლესიას დაუქვემდებარეს. ვინაიდან მაშინდელი ხალხი სარწმუნოებას ეროვნებასთან აიგივებდა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ოქუანტებიც შესაბამისი რეგისტრირებით უწყობდა ხელს, შესაბამისად გაგრიგორიანებულები - სომხები ხდებოდნენ, გამაჰმადიანებულები - თათრები, გაკათოლიკებულებს კი - ფრანგებად მოიხსენიებდნენ.

მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისას, როცა თავისი მიწები გააერთიანა არამარტო კავკასიაში, არამედ მცირე აზიაშიც ვასალური სახელმწიფოები დაარსა - ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლას ვერავინ ბედავდა, მაგრამ XV ს-იდან ქვეყნის ერთიანობის რდევევასთან ერთად, თურქეთი და ირანი ცდილობს ქართული ეკლესიის დასუსტებისთვის ბრძოლასა და სომხურის გაძლიერებას. მასვე უქვემდებარებს კავკასიაში მცხოვრებ სხვა ერებს.

როცა თურქეთის დაპყრობილ ტერიტორიაზე არნახულად გაიზარდა სომები ვაჭარ-მრეწველთა და გრიგორიანული ეკლესიის ავტორიტეტი, კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა მათ, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ ბრძოლისთვის, მესამე ძალის ფუნქცია მიანიჭა და შეუქმნა მეორე სომხური საპატრიარქო კონსტანტინოპოლში, რომელსაც დაუმორჩილა სომხები, სირიელები, ქალდეველები, კოპტები, აბასინიელები, ქართველების ის ნაწილი, რომლებიც ამ დროს თურქების მიერ დაპყრობილი ყარს-არზრუმისა დანაწილობრივ იმიერ ტაოს მიმდებარე მოსახლეობას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის სომხეთს სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდა, პქონდა ორი საპატრიარქო

ემიაძინ-კონსტანტინოპოლისა და ორი საკათალიკოსო - სისისა და ახტამარის.

თუ ადრე ირანის პოლიტიკური ინტერესები კავკასიის დაპყრობასთან დაკავშირებით ბიზანტიასთან იკვეთებოდა და ანტიბიზანტიური მიმართულების რელიგიას უჭერდა მხარს, მოგვიანებით ანტირუსული მიმართულების მხარდაჭერა გახდა საჭირო, რათა რუსეთს ერთმორწმუნე საქართველოს სახით არ გასწენოდა კავკასიაში დასაყრდენი და შესაბამისად ყველა ღონეს ხმარობდა თავისი პოლიტიკის სასარგებლოდ რელიგიის გამოყენებისათვის. ირანი მეტად სწყალობდა გრიგორიანობას. „იმ დროს, როცა საქართველოს კათალიკოსი ევლემოზ დიასამიდე სპარსება ხელისუფალმა კლდიდან გადააგდებინა, ხოლო კათალიკოსი დომენტი სტამბოლის ციხეში იყო გამოკეტილი, ირანის დედაქალაქში სპარსელი შაჰების ხელშეწყობით აგებდნენ სომხურ ეკლესიებს ბრწყინვალე არქიტექტურული გადაწყვეტილ, მოოქროული ჭერითა და გუმბათებით, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული მხარვრობით (1605-1663 წწ.), ამავე დროს კი თბილისის სიონი კინადამ მაჰმადიანურ მეჩეთად გადააკეთეს“ [9].

ქართველი გრიგორიანებულები მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ მართლმადიდებელი ქართველების-გან. სხვა მხრივ ბოლომდე ინარჩუნებდნენ ეროვნულ თვითმყოფადობას, მაგრამ მათ სომხურ ეროვნულ იდენტიფიცირებას შემდეგში ხელი შეუწყორუსულმა პოლიტიკამ, რომელიც სხვა დამკურობლებზე კიდევ უფრო ვერაგი გეგმებით იყო კავკასიაში და საქართველოში შორს გამიზნული სეპარატისტული მიზნების განხორციელებისა და ქართველთა დენაციონალიზაციის მიზნით, შეგნებულებ ახდენდა რელიგია შეცვლილი პიროვნებების შესაბამის, სხვადასხვა ეროვნებისად დარეგიტრირებას. იგივე სიტუაციაში აღმოჩ-



დნენ შიდა ქართლში მცხოვრები ქრისტიანი დვალებიც, რომელთაც გაოსება და ოსების წარმართულ რელიგიასთან ზიარება მოუხდათ.

იკვლევდა რა ქართველთა დენაციონალიზაციის საკითხებს მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, გვაუწყებს: „მოსახლეობის დაბალი ფენები ეროვნებას და სარწმუნოებას ერთმანეთთან აიგივებდა. მაგალითთად, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი გრიგორიანელები ენიო, ადათ-წესებით, ჩვეულებით ქართველები იყვნენ, ხელისუფლებამ სხვადასხვა საბუთებში მათი რჯულით „სომხობა“ ეროვნების გრაფაში შეიტანა. რჯულით სომხები ეროვნებით სომხებად იქცნენ მათ აუკრძალეს ქართულენოვანი განათლების მიღება და სომხურენოვანი დანერგება. მაგ. ეროვნებით მაპმადიანები ეროვნებით არაქართველად ადრიცხეს. თუმცა ქართველი კულტურული წრეებისათვის კარგად იყო ცნობილი არამარტო მაპმადიანების ნამდვილი ეროვნება, არამედ წარჩინებულთა მრავალი ოჯახის ქართული გენეალოგიაც კი. როგორც ვხედავთ, რუსული ხელისუფლება საქართველოში არსებულ სარწმუნოებრივ ვითარებას განიხილავდა არადიფერენცირებულად, არამედ სწორხაზოვნად“. [10]

თუ ოსმალების პოლიტიკისთვის მართლმადიდებლობა მიუღებელი იყო და სახელმწიფო დევნიდა, კათოლიკობის მიმართ შემწენარებლობას იჩნდნენ. გამამადიანებისა და გასომხების თავიდან ასაცილებლად ქართველთა ნაწილი კათოლიკობის მიღებას ამჯობინებდა. შედეგად მათ ფრანგებად მოიხსენიებდნენ. ქართველი მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოფაშვილი, იგივე ნიკიფორე იორბახი წერდა: „ყოველდღე ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალი ქართველი სომხებიან, უფრო მომეტებული მათგანი კი მაპმადის სარწმუნოებას იღებს, მაშ ვისაც უნდა გაფრანგება რაღად უნდა დაეშალოსო“. [11]

სომები იერარქები კი ვერ იტანდნენ გაკათოლიკებულ ქართველებს და დიდი სისახტიკით ექცეოდნენ მათ.

სარწმუნოების ცვლილებათა ასეთი მასშტაბების შესამცირებლად ანტონ კათალიკოსმა შექმნა თავისი ცნობილი „მზამეტყველება“, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და XIX საუკუნეში რუსეთის იმპერატორის დავალებითაც გამოუციათ. მასში ანტონ I-მა დაწვრილებით დასაბუთებული სარწმუნოებრივი პასუხი გასცა მონოფიზიტურ მწვალებლობას და ამან საგრძნობლად დიდი როლი ითამაშა ქალკედონიტ მართლმადიდებელთა სასარგებლოდ. ქართულმა ეპლესიამ საბოლოო ჯამში თითქმის მთელ საქართველოზე შეინარჩუნა ზეგავლენა მესხეთის, საინგილოსა და ლორგეტაშირის გარდა.

თუმცა, XV ს-იდან დაწყებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დაშლისა და შესაბამისი დენაციონალიზაციის შედეგად ქართულ სამეცო-სამთავროებში დანაწილებულ ქართველებს უჩნდებათ კუთხური თვითდამკიდრების ახალი პრობლემა. ყალიბდება იმერლობა, ქართლელობა, კახელობა, მეგრელობა და სხ. ამასთანავე სახეზეა აღმსარებლობა შეცვლილთა გასომხება, გათათრება, გაფრანგება თუ გაოსება და ასეთ გარემოებებს მტერი მომდევნო საუკუნეებში შესანიშნავად იყენებს ახალი ეთნოკონფლიქტების გასაღვივებლად ისე, რომ უკვე რელიგიური ფაქტორის გამოყენება აღარც სჭირდება. რამდენადაც უახლეს ისტორიაში დაფიქსირებული კავკასიური ეთნოკონფლიქტები ურთიერთდამოკიდებულებაშია, რელიგია უკვე აღარ თამაშობს გაამწევებ ფაქტორს. რელიგიური ნიშანი ეთნიკურობის განმსაზღვრელი მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორია.



ლიტერატურა

1. რელიგიები საქართველოში : [კრებული / რედ. ზურაბ კიკაძე, სტილის რედ. ლევან ბრეგაძე ; ფოტო: არჩილ ქიქოძე, ლევან ხერხეულიძე ; გამოც. პმგ ბექა მინდიაშვილი] ; საქ. სახალხო დამცველთან არსებ. ტოლერანტობის ცენტრი, საქ. სახალხო დამცვ. ბიბ-კა. - თბ., 2008.

2. პაპუაშვილი ნუგზარ მსოფლიო რელიგიები საქართველოში / [რედ.: სონარ სუბარი] - თბ. : თავისუფლების ინ-ტი, 2002

3. <http://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/12.htm>

4. С. Троицкий. Изложение веры Церкви Армянских, начертанное Нерсесом, католикосом армянским, по требованию Боголюбивого Государя греков Мануила. С.-Петербург, 1875. с. 27-28

5. ვასილ ბოლოტოვი. ეკლესიის ისტორია მსოფლიო კრებების პერიოდში. გამომცემლობა „ახალი ივირონი“ თბილისი, 2009, გვ.411-414.

6. <http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=53&id=2216>

7. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე – ალბანეთისა და ხუნძეთის საეკლესიო იურისდიქცია. თბილისი 2013.

8. <http://meufeanania.info/ქართლ-კახეთი-გასომხება>.

9. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში. მონოგრაფია. 2010.

10. თამარაშვილი მიქელ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე 1902, გვ. 127

ხანძთა და ხანძთელობა მესამე ათასწლეულის ბაზასახმდიდან

**თემურ ჯაგოდნიშვილი, პროფესორი
ივანე ჯაგოდნიშვილი, პროფესორი**

ისტორიას ანალოგიური სჩვევია, თანაც განსხვავებულ სიტუაციონალურობასა და კონტექსტურობაში, რადგან დრო საერთო მნიშვნელობის ფაქტსა და მოვლენას სწორედ სიტუაციას და კონტექსტს უცვლის, ანდა სულაც უკარგავს. ამით ფაქტს ამბად გარდასახავს. ამბის მნიშვნელობა ისტორიული ეპოქის წიაღში რჩება, თავად ამბავი კი დროის მსვლელობის მიღმა დგება და ისტორიულ ნორმატივად იქცევა. თუმცა დრო თავისი კუნიუნქტურით ამბის რეალობასაც ხელყოფს, მემატიანეს კონიუნქტურისათვის ანგარიშის გაწევას აიძულებს. ამის გამოა, რომ დრო და დრო აუცილებელი ხდება რეალური ისტორიის დაწერა. ჩვენში ამის საჭიროება სწორედ ჩვენს სინამდვილეში შეიქმნა. ამის დასტურია ქართული ეკლესიის საპატრიარქოში საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი კომისიის ამოქმედება, რომლის მიზანი სწორედ დროის კონიუნქტურით გაყალბებული, „გამოსარჩლებით – ადგომატური“ (ივ. ჯავახიშვილი) ისტორიის ნაცვლად საქართველოს რეალური ისტორიის აღდგენაა, რის სერიოზულ მაგალითებსაც იძლევა აღნიშნული კომისიის ხელმძღვანელი მეუფე ანანია. ამას ცხადებულის თუნდაც მისი ქართული ეკლესიის ისტორიის ოთხტომეტული და განსაკუთრებით მომენტური ნაშრომი „ქალდეა“ (საეპისკოპოსო ლაზიკაში, 2013), რომელშიც საქართველოს ისტორიის ფაქტები რეალური ისტორიის პრიციპით არის გაანალიზებული და სრულიად ახალი ინტერპრეტაციებია წარმოდგენილი. შემთხვევითი, ცხადია, არც ის არის, რომ ჩვენი წარსულის



ფაქტებისა და მოვლენების დროის კონიუნქტურისაგან გათავისუფლება და რეალური ქართული ისტორიის აღდგენა ქართულმა ეკლესიამ იტვირთა. ქართული სახელმწიფოს ისტორია და პოლიტიკური ფილოსოფია სწორედ ეკლესია-მონასტრებში იწერებოდა, ისევე, როგორც ცივილიზებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი ცხოვრების მატიანები. მართალია, ქართული ისტორიის კატაკლიზმების გამო, არაერთი ხელნაწერი წყარო დაგვეკარგა, მაგრამ ჯეროვანი ყურადღება არც იმას დათმობია, რაც შემოგვრჩა. ერთი ასეთი ხელნაწერი ძეგლია გიორგი მერჩულეს „თხზულება „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელმაც გვიანდელი – XI საუკუნის ვერსიით მოადწია და რომელიც VIII-IX და ნაწილობრივ X საუკუნების ფაქტებისა და მოვლენების **აგიოგრაფიულ თხრობას შეიცავს.** ამ თხზულების ტექსტი ცხადყოფს, რომ ერთი საუკუნეც (100 წლიწადი) კი საკმარისია იმისათვის, რათა საეროვნო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფაქტებს და მოვლენებს კონტექსტის დაუსუსტდეს, გაუცემრმკთალდეს და მათი პერსონაჟის ცხოვრება-მოღვაწეობის ამბად გარდაისახოს. ამ ტენდენციას კი, თავის მხრივ, ამ ამბის აგიოგრაფიული თხრობაც აიძულებს.

XIX საუკუნიდან (1845 წლიდან) მოყოლებული დღემდე ქართველი მკონტენის ცნობიერებაში გიორგი მერჩულეს ტექსტი დიდი სასულიერო მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზის **მხატვრული თხრობაა,** სადაც წინა პლანზეა გრიგოლ ხანძთელის პიროვნება, ხოლო ფაქტები და მოვლენები იმდენად და ისე არის დანახული, რამდენადაც და როგორც წარმოაჩენენ მის პიროვნულობას და ამ ფაქტსა და მოვლენებში მონაწილეობა. თუმცა ამგვარია ამ ტექსტის ტრადიციული (მიზანმიმართული) წაკითხვა, რაც ქართულმა ლიტერატურისმცოდ-

ნეობამ დაამკვიდრა. ხელნაწერის ფილოლოგიური წაკითხვა (სიტუაციონალურობისა და კონტექსტურობის გათვალისწინებით) ცხადყოფს, რომ მისი რეალური დეშიფრირება, ტექსტში შთაბეჭდილი ფაქტებისა და მოვლენების მისი (ამ ტექსტის) დამბადი ეპოქის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და კულტურული სულისკვეთების უნისონში გააზრება ჯეროვნად არ მომხდარა. ამ მიმართულებით გიორგი მერჩულეს ტექსტი პავლე ინგოროვებამ იკვლია, შთამბეჭდავი შედეგებიც წარმოადგინა თავის კაპიტალურ ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ (1954), სადაც აღნიშნა: „არც ერთ ჩვენ დრომდე მოღწეული საისტორიო წყარო ამ ხნისა არ გვაგრძნობინებს ისე ახლო ეპოქის სულს, როგორც გიორგი მერჩულის ძეგლი“ (გვ. 75). მიუხედავად ამისა, „შორიდან მაყურებლობამ“ (იგი ტაო-კლარჯეთში არ იყო ნამყოფი) ყველაფრის დეტალურად რკვევაში საგრძნობლად შეუშალა ხელი. ეს განსაკუთრებით ხანძთის მონასტრის ადგილმდებარეობის რკვევას დაეტყო, კერძოდ, ძველი ხანძთის იგნონირებას და მისი ნაშთის ძიებას ახალი ხანძთის მონასტრის ტერიტორიაზე. არადა სწორედ ორი ხანძთის არსებობის ფაქტში იკითხება ხანძთისა და ხანძთელობის არსი, სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, იდეოლოგიური მნიშვნელობის შინაარსი. ხანძთელობა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ მეტაფორად წარმოსდგა.

ხანძთელობა არ იყო სადაცრობის გამომხატველი სახელი. ხანძთელობა ქვეყნის, სახელმწიფოს სულიერი, ინტელექტუალური მსახურების ფილოსოფიად იქცა. იგი, ცხადია, პოლიტიკის პრაგმატიკასაც შეიცავდა. მისი შინაარსი გრიგოლ ხალმელება გააცხადა ჯავახეთის საგანგებო საეკლესიო კრებაზე: საქართველოა ყველა რეგიონი (მხარე), სადაც ხალხი ქართულ ენაზე



მეტყველებს და ღვთისმსახურებას ადასრულებსო. ეს იყო ახალი საქართველოს იდეოლოგიური დოქტრინა და მისი რეალიზების ფორმაც და საშუალებაც, – იყო ეროვნული ცნობიერების გამოკვეთა მართლმადიდებლობის ნიადაგზე.

ამაში ეძებება ახესნა იმ დროის საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის უპრეცენდენტო ფაქტს – კონკრეტული მონასტრის ახალ – მომლოცველთათვის (და ცხადია, არა მარტო) ხელმისაწვდომ ადგილზე „გადატანას“ დაახლოებით 900-940-იან წლებში, რომელიც საგანგებოდ დააფიქსირა თავის თხზულებაში გიორგი მერჩულემ: „შემდგომად გურგენ კურაპალატისა, ძემან მისმან აშოტ ერისთავთ ერისთავმან (კუხმა – თ. ჯ.) ხანძთის ახალი ეკლესია დაიწყო წადიერად, „ხოლო გურგენ, მმისწული აშოტისა, დიდი ხელმწიფე ფრიადოთა ნათესავთა, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა ერისთავად და მან განასრულა ეკლესია ხანძთისა“. ამ ცნობით ახალი ხანძთის აგების დროც დაზუსტებულია. აშოტ II (კუხი) ქართველთა ერისთავთ-ერისთავი იყო 896-918 წლებში, ე. ი. ახალი ხანძთის მშენებლობის დაწყება სწორედ ამ წლებშია სავარაუდებელი. თვით ცნება „ახალი ხანძთაც“ გიორგი მერჩულეს ეკუთვნის.

ორივე ხანძთის – ძველის და ახლის არსებობის თეზისი და მისი დეტალური დასაბუთება წარმოდგენილია წვენს წიგნში „ხანძთა: ძველი, ახალი“ (2014), რომლის არგუმენტაცია მთლიანად გიორგი მერჩულეს ტექსტს ემყარება, მაგრამ ასევე გამყარებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2014 წლის ივნისში ტაო-კლარჯეთში, მათ შორის ძველ ხანძთაში განხორციელებული საგანმანათლებლო-შემეცნებითი და სამეცნიერო ექპერიციის მიერ მოპოვებული მასალებით.

ხანძთის მონასტრის ადგილმდებარების შესახებ არსებულ აზრთა

სხვადასხვაობის მიუხედავად (რომელიც 6. მარის დროიდან – XX საუკუნის ათიანი წლებიდან – მომდინარეობს), სულ უფრო მეტი მკვდევარი იზიარებს ძველი ხანძთის არსებობის ფაქტს. ბოლო დროს ასეთი აზრი გამოთქვა ცნობილმა მეცნიერმა და ისტორიული სამხრეთ საქართველოს მკვიდრთა ქართული მეტყველების მკვლევარმა შუშანა ფუტკარაძემ 2016 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ჩვენებურების ქართული“ (წიგნი II, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2016, გვ. 27). მან დააფიქსირა ძველი ხანძთის მონასტრის არსებობის ფაქტი და მიუთითა, რომ ძველი ხანძთა კლდეზე დაშენებული ნაგებობაა, ამჟამად ნუკი ქილისას (პატარა ეკლესიას) რომ უწოდებენ. შ. ფუტკარაძისათვის ნუკი ქილისა „ისტორიული ხანძთაა“, ხოლო ახალი ხანძთა – „ისტორიული შატბერდის“ მონასტერი. X-XI საუკუნეებში აგებული და განახლებული ეკლესია-მონასტრების მონუმენტურობის ფონზე ძველი ხანძთა მართლაც პატარაა და სახელიც ხალხს ზედმიწევნით ზუსტად შეურჩევია. ხანძთის ძველმა მონასტერმა, ამის მიუხედავად, განსაკუთრებული როლი შეასრულა VIII-IX საუკუნეების ახალი ქართული სამეფოს აღმშენებლობაში. ამის მაუწყებელი არაერთი ფაქტი თავად გიორგი მერჩულეს აქვს დააფიქსირებული, რომელთა უტყუარობა ქართული ისტორიის სხვა წყაროებითაც დასტურდება.

ცნობილია, რომ VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ქართული სამეფოს პოლიტიკურმა და აღმინისტრაციულმა ცნობრმა (მეტროპოლიამ) თბილისიდან სამხრეთ საქართველოში (არტანუჯი) გადაინაცვლა. ამის მიზეზი არაბთა შემოსევები იყო. ისინი განსაკუთრებით VIII საუკუნის 60-იანი წლებიდან გაძლიერდნენ და მთელს აღმოსავლეთ საქართველოს დაეპატრონენ. ბაგრატოვანი მეფე აშოტ I, ქართველთა კურაპალატი მტერს გაეცალა, შავშეთ-კლარჯეთში



გადავიდა. იქაურ მიუვალ მთებში გამაგრდა, კერძოდ ბუნებრივი ზღუდებით დაცულ არტანუჯში, გაამაგრა ციხის ზღუდეები და სატახტო ქალაქად აქცია. ეს 813 წელს მოხდა. არტანუჯი იძერის დედაქალაქი X საუგუნის მეორე ნახევრამდე იყო. ამ დროიდან კი ჭოროხის ხეობაში ამიერ ტაოს მხარეში მეორე სახელმწიფოებრივი ცენტრი – ბანა გაჩნდა. აშოგ პირველმა შავშეთ-კლარჯეთში მნიშვნელოვანი კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა გაშალა. მან არაბთაგან ხელყოფილი არაერთი ქრისტიანული ტაძარი და მონასტერი აღადგინა: დაახლოებით 818 წელს განახლა ოპიზას მონასტერი და დედათა მონასტერი სოფელ მერესთან; ააგო მიჯნაძორის, წყაროსთავის, ბარეთელთას, დაბის, ჯმერკის, ბერთას, პარეხის, დოლიყანის უმშევნიერესი ტაძრები. ამ ტაძრებს გვერდში დაუყენეს ხანძთისა და შატბერდის მონასტერები, რომლებიც უკვე გრიგოლ ხანძთელის ძალის-ხმევით აიგო და ამით შეიკრა ის დიდი სულიერების სივრცე, რომელიც ზეციური ჯვარიონით იყო დამშევნებული და „საქროველოს სინა“ ეწოდა.

გრიგოლ ხანძთელი დიდი ეროვნული ტრადიციების ოჯახში იყო აღზრდილი, სანიმუშო განათლება პქონდა მიღებული და სიყრმიდანვე სასულიერო მოღვაწეობისაკენ მიღრეკილი. მას კარგად პქონდა გაცნობიერებული ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელობა ახალი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში. ასევე კარგად ხედავდა სამხრეთ საქართველოს პერსპექტიულობას ამ აღმშენებლობისათვის. სწორედ ამიტომ გაიარა ცოტა ხნით ადრე აშოგ პირველის მიერ 813 წელს განვლილი გზა და დამკვიდრდა ოპიზაში. გრიგოლ ხანძთელის განათლება, ბუნებითი ნიჭირება, დროის სულისკვეთების წვდომის უნარი, პოლიტიკური აღდო და კულტურული ცნობიერება იმთავითვე გამოარჩევდა და განსაკუთ-

რებულობით აღბეჭდავდა მის ყოველ ნაბიჯს. მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ქმნიდა იგი ახალი ქართული სამეფოს იდეოლოგიურ დოქტრინას და მისი რეალიზების ფორმასა და საშუალებებს. ეს იყო ეროვნული ცნობიერების მოდელის შექმნა მართლმადიდებლობის ნიადაგზე. აშოგ პირველმა კურაპალატმა ეს მოდელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე აზიდა და ქართული ეროვნული პოლიტიკური ფილოსოფიის შექმნაზე იზრუნა. როგორც ითქვა, გრიგოლ ხანძთელი ქართულ ქრისტიანობას ამყარებდა სახელმწიფოს (ქვენის) გაერთიანების უზენაეს მისიას. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე დაუპირისპირდა იგი ანჩის კათედრალის წინამდვარს, თბილისის არაბი ამირას მსტოვარს ვინძეციონის, რომელიც ანაფორას ამოფარებული ხმალამოდებულ მტერზე უარესი იყო, რადგან ქრისტიანულ ღირებულებებს უყალბებდა შინაარსს. ცქირის „მოღვაწეობის“ ამგვარ შინაარსს ისიც ადასტურებს (მართალია არაპირდაპირ), რომ მის გამო უპრეცენდენტო ამბავიც კი მოხდა:

სასულიერო პირისათვის შეუფერებელი (უდირსი) საქმიანობის გამო, იგი შერისხეს, სამოსისაგან განაბარცვეს, გაკრიჭეს, ეკლესიიდან განკვეთეს, მაგრამ ამირა საკაჭმა დაიცვა და პოლიტიკური ზეწოლით კვლავ დააბრუნა ანჩის კათედრალის ეპისკოპოსად. ანჩის კათედრალის ფუნქციები ცქირის სიკვდილის შემდეგ გრიგოლის მიერ აგებული ხანძთის მონასტერზე გადავიდა. ხანძთის მონასტერი გახდა ტაოკლარჯეთის სასულიერო მეტროპოლია. თუმცა იმის გამო, რომ გრიგოლმა ხანძთის მონასტერი მიუვალ, ციცაბო, მიუვალ კლდეს დაშენა, სასულიერო მეტროპოლიის (ცენტრის) ფუნდიდი გაჭირვებით ასრულებდა. მოხუცებულ გრიგოლსაც დიდად ემნელებოდა ხანძთის მონასტერიდან ტაო-კლარჯეთის საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრება –



საქმიანობის მართვა. ამის გამო უფრო შატბერდის მონასტერში იმყოფებოდა, ვიდრე ხანძთელმა ბერებმა არ დააბრუნეს უკან. ამას გიორგი მერჩულე გვაუწყებს. იმასაც გვაცნობებს, რომ გრიგოლი ხანძთაში გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა.

ამ დროიდან თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ ტაო-კლარჯეთში საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობის ბუმი განახლდა, მეორე ტალღა გაიშალა, რომელიც მონუმენტალურის, ფუნქციონალურის და ეროვნული ხუროთმოძღვრული სტილის დამკვიდრებით აღიბეჭდა.

ამ ეტაპზე განსაკუთრებით გამოირჩენ აშოგ მეორე ქართველთა კურაპალატი (923-954), რე ადარნასე პირველისა და მისი მემკვიდრე გურგენ პირველი, ბაგრატ მეორის ძე (975-994-1008 წწ.). მათ, ახალი გრანდიოზული ტაძრების მშენებლობასთან ერთად, აღადგინეს ან ხელახლა ააგეს არაბობამდელი და აშოგ პირველის დროს განახლებული და აშენებული ეკლესია-მონასტრები. აშოგ მეორემ, კუხად წოდებულმა (896-918) და მისმა მემკვიდრემ გურგენ პირველმა ააშენეს ხანძთის ახალი მონასტრები, ოღონდ სრულიად ახალ ადგილას, ხანძთის ძველი მონასტრიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, სოფელ ფორთას ვენახებთან, უფრო მისადგომ ადგილზე. ცნობა ამის შესახებ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტშია წარმოდგენილი. ამ ტექსტში, ფაქტობრივ, სამი ხანძთის მონასტრის შენების ფაქტებია დაფიქსირებული. პირველი – ხის მონასტერი გრიგოლმა, საბამ, თეოდორემ და ქრისტეფორემ ააგეს. გიორგი მერჩულეს სიტყვებით, მათ ააგეს „ძველი ეკლესია და შემდგომად საყუდელი და თითო სენაკები მმათა მათოვის მცირე და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი“ – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის 1981 წლის გამოცემა („ქართული პროზა“, ტ. 1, თბილის, 1981 წელი, გვ.

227). მეორე, უკვე ქვითკირის, მონასტერი დიდი ფერდალის გაბრიელ დაფანებულის დახმარებით 783-784 წელს ააგეს, ანუ „კეთილად განესრულა ძველი იგი ეკლესია ხანძთისა“ (გვ. 232). მესამე, ახალი ხანძთის მონასტრის გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის (დაახლოებით 896 წლის) შემდეგ აშენების შესახებ კი გიორგი მერჩულე წერს: აშოგ II, კუხად წოდებული შეუდგა შენებას „ხანძთის ახალი ეკლესია დაიწყო წადიერად და ურუცხვი შესაწირავი გარდაპმატა მას“ (გვ. 257). ახალი ხანძთის აგება რომ გამორჩეული, ეროვნულ-სახელმწიფო ბრივი პრეტერი იყო, იმითაც დასტურდება, რომ ახალი ხანძთის მონასტერი აშენდა „მის თანამყოფელთა დიდებულთა ხელმწიფელთა და აზნაურთა და ყველმან ერმან მორწმუნებან“ მიიღო მონაწილეობა (გვ. 258).

ახალი ხანძთა რომ ძველი ხანძთის ადგილმდებარებიდან შორს აიგო, დაადასტურა ვახტანგ ჯობაძის კვლევებმა (იხ. მისი წიგნი „ადრეული შეასეკუნების მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთშა და შავშეთში“, 1992. ქართული თარგმანი დ. თუმანიშვილისა და დ. ხოშგარიასი, 2007, გვ. 41). ვ. ჯორბენაძემ დაასაბუთა პ. ინგოროვას მოსაზრების უსაფუძვლობა, თითქოს ახალი ხანძთის ტერიტორიაზე, ოპიზას სიახლოესს, სოფელ ქვემო ფორთასთან, შემორჩენილი იყო ძველი ხანძთის ნაშთები. სინამდვილეში, იგი X საუკუნის შემდეგ დროის სამრეკლოს ნაგრევი აღმოჩნდა.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში ძველი და ახალი ხანძთის მონასტრების სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ადგილზე აგების ფაქტების ლიად, აშენად ფიქსირების მიუხედავად, დღემდე გრძელდება გრიგოლის მიერ აგებული ხანძთის მონასტრის ადგილმდებარების ძიება და ნაირნაირი არგუმენტების წამოყენება. ამგვარი აზრთა სხვადასხვაობის ერთი



მიზეზია გიორგი მერჩულეს ტექსტის შინაარსისადმი უყურადღებობა, ხოლო მეორეა ხანძთის აგების თანადროული სახელმწიფოებრივი ცხოვრების რეალიებისა და პოლიტიკური ფილოსოფიის გაუთვალისწინებლობა, ამასთან ამ პოლიტიკური ფილოსოფიის შინაარსის განსაზღვრაში გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის, ხანძთელობის არსის და ხანძთის მონასტრის როლის გაუთვალისწინებლობაა.

შემთხვევითი არ იყო, რომ გიორგი მერჩულეს ტექსტი სწორედ ხანძთის ახალი მონასტრის აგების შემდეგ დაიწერა, არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ ტექსტის რედაქტირებაში აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ხელისუფალი ადარნასე კურაპალატის ძე ბაგრატი. მეტიც, ცალკეული ფაქტები თხზულებაში ავტორს სწორედ მისი კარნახით შევქონდა. გიორგი მერჩულებეს ფაქტიც საგანგებოდ დააფიქსირა. „ესე ბაგრატ გულისხმის ყოფითა ქებულ წმიდათა ეკლესიათა აღმშენებელ, საღმრთოთა წიგნთა მემიებელ და შემკრებელ, წმიდათა ოხა მარადის შემწე ეყავნ მას აქა და საუკუნოდ, რომელმან ნეტარისა მამისა გრიგოლისა ცხორება ესე განაახლა სასწაულითა მათ გამოხვებულთა შერთვითა“ (გვ. 308). ამგვარი დამატებებით, მწიგნობარი ხელისუფალი ჩანაფიქრით, ბუნებრივია, გაძლიერდა გრიგოლის პიროვნული გამორჩეულობა, მისი ნადგაწის განსაკუთრებული მნიშვნელობის განცდა. ტექსტში მთავარი სათქმელიც სწორედ ამ ტენდენციაში იკითხება. ეს არის მისი მოღვაწეობის შინაარსით ახალი საქართველოს იდეოლოგიურ-პოლიტიკური დოქტრინის დასაბუთება, რომელიც ამ სახელმწიფოს არსებობის მისია და ტერიტორიული მოწყობის პრინციპს ცხადჰყოფდა: საქართველოს ტერიტორიად ცხადდებოდა ყველა ის მხარე, რომელთა მოსახლეობა ქართულ ენაზე მეტყველებდა და აღასრულებდა წირვა-ლოცვას, ქართულ ენაზე

აღავლენდა უფლის საღიდებელს. და რაც მთავარია, მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ რომელიმე ამგვარი რეგიონი მტერს ჰქონდა მიტაცებული. ქართული სახელმწიფო ასეთ ტერიტორიას თავისად აცხადებდა და დაბრუნების გარდაუგალობასაც ასაბუთებდა. ამგვარად იქცა ხანძთა და ხანძთელობა „ქართველთა ახალი სამეფოს“ პოლიტიკური დევოლუციური მეტაფორა და სიმბოლო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჯავახეთის საეკლესიო კრებაზე მამა გრიგოლოს მიერ გაცხადებული გამონათქვამი X საუკუნის ქართული სინამდვილისათვის შეიქმნა, რადგან ამ საუკუნეში გაშალა ფრთები ქართულმა სახელმწიფომ, რაც მონუმენტალიზმში, ფუნქციონალიზმსა და უკელაფერში ეროვნული ქართული სტილის დამკვიდრებაში გამოიხატა და განსაკუთრებით საეკლესიო ხუროთმოძღვრებას დაეტყო. თუ ხანძთელობა მის სულიერებასა და შინაარსს ქმნიდა, ახალი ხანძთის მონასტრის აგების ფაქტი და ტაბარი ხანძთელობის შინაარსის ფიზიკურ-სხეულებრივი დასაბუთება იყო. ახალი ხანძთის ახალ ადგილზე აგებით იგი გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით აგებული 12 მონასტრით შემორკალური ზეციური ჯვრის ცენტრში მოექცა. ახალი ხანძთის აშენება გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დიდი შინაარსის დაგვირგვინებად ამიტომაც იქცევა.

ძევლი ხანძთა კი ამის შემდეგ თავისი მნიშვნელობითაც დაიმტრო, რადგან ტაო-კლარჯეთის სასულიერო მეტროპოლიის სტატუსი ახალ ხანძთას „გადაულოცა“, ხოლო ძნელად მოსადგომობის მიზეზით თანდათან გაუკარიელდა კიდევაც. დრომ თავისი ქნა და დავიწყების ფარდა ააფარა ძნელი ხანძთის საეროვნო დგაწლს და მნიშვნელობას, სახე-ხელიც დაკარგა და შენობის სიპატარავემ შეცვალა – ნუკი, ანუ პატარა ეწოდა. თუმცა დარჩა ხანძთა ქვეყნის ერთიანობის



დიდ მეტაფორად, ხოლო ხანძთელობა ქვეყნის მსახურების დიდ შინაარსად და გზაგნილად ისტორიული ეპოქებისათვის.

ისტორიამ დღეს გრიგოლ ხანძთელის ეპოქის კიდევ ერთი ანალოგიის წინაშე დაგვაჭენა: საქართველო კვლავ ეპლესიურად არის მთლიანი და იქაც ხმიანობს, სადაც ქართული მიწების მიმტაცი დააბიჯებს. ხანძთა და ხანძთელობის შინაარსში იკითხება წართმეულის დაბრუნების პერსპექტივაც და უფლებაც.

მთაგარებაისპორი დიმიტრი (აბაშიძე)

სერგო გარდოსანიძე, პროფესორი

XIX საუკუნის საქართველოს ისტორია თავის თავში იტევს როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეპლესიური თავისუფლებისათვის მებრძოლ დიდ წინაპართა სახეებს, ასევე სამშობლოსაგან გაუცხოებულ თანამემამულებსაც, რომელიც ემსახურებოდნენ რა რუსეთის იმპერიას საერთოდ არ ფიქრებოდნენ იმ სამშობლოზე, სადაც დაიბადნენ, სადაც მათ წინაპართ სისხლი უნთხევიათ თითოეული გოჭი ქართული მიწის დასაცავად. მთავარეპისკოპოსი დიმიტრი დღეს რუსეთშია დაფასებული, თავისი სამშობლო მას ვერ პატიობს ქართველობის უარყოფას, სამშობლოს ინტერესების უგულებელყოფას.

მთავარეპისკოპოსი დიმიტრი, ერისკაცობაში დავით ილიას ძე აბაშიძე დაიბადა 1867 წლის 12 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის სიღნაფის მაზრის სოფელ ვეჯინში. მისი წინაპრები XVIII საუკუნეში იმერეთიდან გადმოსულან კახეთში. ოჯახში პირველ დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად გაეშურა ოდესაში, ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1891 წელს, 1892 წელს სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში, იმავე წელს აღიკვეცა ბერად დიმიტრი როსტოკის ხელობის დღეს (21 ოქტომბერს) და უწოდეს სახელად დიმიტრი. 1896 წელს კიევის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. მას სხვა ქართველი სასულიერო პირებისაგან განსხვავებით ენდობოდა რუსეთის საერთ და სასულიერო ხელისუფლება, როგორც იმპერიის იდეოლოგიის ერთგულ დამცველს და სამშობლოს მიმართ ინდიფე-



რენტულად განწყობილ კაცს. ამიტომ 1879 წელს იგი დანიშნეს ქუთაისის სემინარიის, 1898 წელს კი თბილისის სემინარიის ინსპექტორად. დაუზუსტებელი ინფორმაციით, იგი ერთხანს მფარველობდა სემინარიელ იოსებ ჯულაშვილს და ცდილობდა იგი რუსეთის თვითმკრთბელობის ერთგულების სულით აღეზარდა. სემინარიაში ებრძოდა ქართულ ენას და ეროვნული სულისავთების უმცირეს გამოვლინებასაც. 1900 წელს მიენიჭა არქიმანდრიტის ხარისხი და დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. იმ დროს, როდესაც სემინარიიდან აძვებდნენ ქართველ მასწავლებლებს, დევნიდნენ ქართველ სტუდენტებს, ქართული წარმომავლობის სასულიერო პირის რექტორად დანიშვნა მრავლისმეტყველი ფაქტი იყო. 1902 წლის 16 მარტს რუსეთის წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით და იმპერატორ ნიკოლოზ II-ის თანხმობით არქიმანდრიტი დიმიტრი გამორჩეულ იქნა ეპისკოპოსად. მისი ეპისკოპოსად კურთხევის წესი შეასრულა საქართველოს ეგზარქოსმა ალექსიმ (ოპოკი) 1902 წლის 23 აპრილს თბილისის ალექსანდრე ნეველის სახლობის ეკლესიაში. ეპისკოპოსმა დიმიტრიმ ვრცელი სიტყვით მიმართა შეკრებილ საზოგადოებას. „ის ფაქტი, რომ არა თუ ვეძიებდი ეპისკოპოსობის პატივს, არამედ განზრახვა მქონდა გავქცეოდი მას, - აღნიშნა მან, - გულთამნილმა ლმერთმა და ჩემმა ამომრჩეველმა ეკლესიის წარმომადგენელმაც იციან... უფალმა საშიში და საპასუხისმგებლო მსახურება დამაკირა, მე უნდა გავხდე სულიშმიდის ცოცხალი იარაღი ქრისტეს სეკულის შესაქმნელად, ყოველ წამს მზად უნდა ვიყო წარქსდგე მის წინაშე. მიუკერძოებელი უნდა ვიყო დვთის მიმართ, მარად უცვლელი ჭეშმარიტების მიმართ, პასუხი ვაგო ჩემზე მონაბეჭდილი ხალხის სულების გამო. მისივე ძალით უნდა შევიმოსო სიწმინდით და სისპექტაციონ,

თამამად ვუთხრა ჩემს ძმებს: ჩემი მსგავსი იყავით, რადგან ქრისტეში ყოვნა ყოველმხრივ მაგალითი უნდა იყოს მართლმადიდებელი ხალხისათვის, ქრისტეს სეკულისათვის. ზნეობრივი კანონიდან სულ მცირე გადახვევაც კი სამუდამო წარსაწყმედელში ჩამითრევს, რადგან საშიშია ცხოველი ღმერთის ხელში ჩავარდნა. მე უძლურმა და ცოდვილმა როგორ ვზიდო მსხელის სისხლით გაბრწყინებული წმიდა ჯვარი? ჩემს პირველივე გზაზე ხომ არ დავეცემი. მის წინაშე? იდუმალი ხმა, წმიდა პავლე მოციქულის ხმა, მიმშვიდებს გულს და მისი სიტყვები ჩამესმის – სარწმუნოა ღმერთი, იგი არ დაუშვებს თქვენს შეცოდებზე მეტად ცდუნდეთ. ჩემნაირ ცოდვილში ხომ ყოვლადძლიერი ღვთიური მადლი მოქმედებს, ახლაც მისით ვარ, თუ ვარ. ამ მადლმა დამისხნა ცოდვით უფსკრულისაგან, განწმინდა, გამაბრწყინა, მასწავლა რწმენისა და ღვთისმოსაობის ჭეშმარიტებანი, დამნიშნა დვთის ეკლესიის პრესვიტერად. ეს მადლი, ვსახოვბ მაცხოვარი ესოს, ჩემი მამების ღმერთს, არ დამტოვებს, რადგან ვსახოებ, მე აქ ჩემი ნებით არ მოვსულვარ, არამედ მოვედი მხოლოდ ყოვლის შემოქმედის ბრძანებით... საეპისკოპოსო კათედრაზე ასვლა ნიშნავს გოლგოთასთან მიახლოებას, მაგრამ ქრისტიანების გოლგოთა ვერ დააშინებს. ჩეკნ მისოვის ვართ დაბადებულნი, რადგან გოლგოთის გარეშე არ არსებობს აღდგომა, ვნების გარეშე სიხარული. ეს კანონია არამარტო ქრისტიანისათვის, არამედ რწმენაში გაუნათლებლისათვისაც“ (31, 119).

ეპისკოპოსი დიმიტრი ერთგულიდან იცავდა რუსეთის იმპერიულ ინტერესებს კავკასიაში. მას ქართული საქმის არაფერი არ სწამდა. ამიტომ თანამემამულეთა მხრიდან გაკიცხვასა და გმობას იმკიდა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ქართველი ერის



დენაციონალიზაციის პოლიტიკის გატარებას. 1902 წლის 4 ივლისს რუსეთის სინოდმა გამოიტანა დადგენილება, რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში ადგილობრივი ენა ისტავლებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მოსახლეობა მართლაც ლაპარაკობს ამ ენაზე, ხოლო რადგანაც სამეგრელოში სალაპარაკო ენად მეგრული იყო, ამიტომ საქართველოს საეგზარქოს საოლქო სასწავლო საბჭომ გამოიტანა დადგენილება სამეგრელოს სკოლებში აეკრძალათ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება. ამის შესახებ 1902 წლის 20 აგვისტოს დეკანოზმა ი. ვოსტორგოვმა აცნობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ოქროპირიძე), რომელმაც არ შეასრულა საეგზარქოს ეს უკანონო, ანტიქართული გადაწყვეტილება. განრისხებულმა ვოსტორგოვმა დასმენის წერილი ფარინა პეტერბურგში ეპისკოპოს ალექსანდრეს წინააღმდეგ, რომელმაც თითქოს ვერ გამოიჩინა უნარები სახელმწიფო იდეების გასატარებლად. იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ დვაწლმოსილი მღვდელმთავარი გადაყენა გურია-ოდიშის ეპარქიის წინამდოლობიდან და საყვედური გამოუცხადა მას. ეპისკოპოსი დიმიტრი (აბაშიძე) დაინიშნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად და ენერგიულად შეუდგა სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნას. ამას მოჰყვა სერიოზული დაპირისპირებანი. 1904 წლის 23 ივლისს ამ კუთხის 113 თავადაზნაურის ხელმოწერით რუსეთის სინოდში გაიგზავნა საპროტესტო წერილი ქართული ენისა და ლიტერატურის აკრძალვის გამო. 1904 წლის 28 ივლისს ეპისკოპოსმა დიმიტრიმ „პეტერბურგში სინოდის სასწავლო კომიტეტში გაგზავნა საპასუხო განცხადება, რომ არა თუ სამეგრელოში, არამედ მთელ საქართველოში საეკლესიო სკოლებში ქართული ენის სწავლება უნდა აღკვეცილ იქნას, რადგან ქართული ლიტერატურა სავსეა დათის-

მგმობელი და სეპარატისტული აზრებითო... იგი სთხოვდა სინოდის სასწავლო კომიტეტს ეს მისი განცხადება დაეცვა საიდუმლოდ, რადგან თუ მისი შინაარსი გამომჟღავნდება აქ აღარ დამედგომებაო.“ (48, 209).

ეპისკოპოს დიმიტრის წერილის შინაარსი მაინც გამედავნდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა მისადმი უარყოფით დამოკიდებულება. იგი 1905 წელს იძულებული გახდა ჩოხაში გადაცმული გასცლოდა მისგანვე უარყოფილ სამშობლოს. ეხებოდა რა ეპისკოპოს დიმიტრის ანტი ქართულ საქმიანობას გურია-სამეგრელოს ეპარქიაში, არქიმანდრიტი ამბორსი ხელია შენიშნავდა: „მე არასოდეს არ თანავუგრძნობდი იმ სამდვდელო პირთ, რომლებიც ხალხის გარუსებას ცდილობდნენ. ხალხი დარწმუნდა, რომ ის სამდვდელო პირი, რომელიც ებრძოდნენ მკვიდრთა სამშობლო ენას, ვერ გაუძღვებოდნენ ბავშვების აღზრდას. ხალხი აღსდგა მათ წინააღმდეგ. ეპისკოპოსი დიმიტრი აბაშიძე თავისი პოლიტიკის გამო შეიჯავრა გურია-სამეგრელოს მოსახლეობამ და თუ არა მისი გაქცევა სამწყსოდან, ყველაფერი ცუდად დამთავრდებოდა.“ (49, 158) საქართველოდ გადახვეწილი ეპისკოპოსი დიმიტრი რუსეთის სინოდმა ბალტიის ეპისკოპოსად განაწესა, სადაც მხოლოდ ერთი წელი დაჲყო, 1906 წლის იანვრიდან თურქმენეთისა და ტაშკენტის ეპისკოპოსია, სადაც ნაყოფიერ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა.

1905-1906 წლებში ქართველმა სამდვდელოებამ მტკიცედ მოითხოვა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებისაგან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი მეცნიერული პოლემიკას არ გასცილებოდა. 1906 წელს პეტერბურგში დაინიშნა რუსეთის სინოდის სხდომა,



სადაც განსახილველად გატანილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მიზანშეწონილების საკითხი. სხდომაზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე მსჯელობდნენ ეპისკოპოსები: კირიონი (საძაგლიშვილი), ლეონიდე (ოქროპირიძე), პროფესორები: ნიკოლარი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი. რუსეთის სინოდის წევრები არ იზიარებდნენ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აზრს. სხდომაზე სიტყვა ითხოვა თურქმენეთისა და ტაშკენტის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, რომელმაც დაგმო ქართველ ავტოკეფალისტთა მოთხოვნა და მათ ნაციონალისტები და სეპარატისტები უწოდა. დაიჭირეთ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია ადარავის არ გაახსენდება, - ასე დაასრულა თავისი გამოსვლა მან. ქართული არისტოკრატიული გვარის წარმომავლობის ეპისკოპოსისაგან ასეთი მოწოდება იყო დასანანი და სამწუხარო მოვლენა. ეპისკოპოსი დიმიტრი ვერც ტაშკენტში გრძნობდა თავს კარგად იქაც ორჯერ იყო მასზე თავდასხმა.

1912 წლის 25 ივნისიდან იგი იმპერატორის ბრძანებით დაინიშნა ტავრისა და სიმფეროპოლის ეპარქიის მმართველად, სადაც ჩვეული ენერგიით შეუდგა საქმიანობას, აქ მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სექტანტებთან ბრძოლაში. 1913 წლის 13 მაისს რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ ეპისკოპოსი დიმიტრი ძვირფას თვლებიანი პანალით დააჯილდოვა და აიყვანა მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

პირველი მსოფლიო ომის დროს თავისი სურვილით შავიზღვის ფლობის ერთ-ერთ ხომალდზე საშტატო მფლობელის მოვალეობას ასრულებდა. იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომამ, რუსეთში შექმნილმა როლიტიკურმა პროცესებმა

მძიმედ იმოქმედა მთავარეპისკოპოს დიმიტრიზე. იგი ერთგული იყო რუსეთის თვითმპურობელური იმპერიისა და სამხედრო ხელისუფლებისა. 1917 წლის აგვისტოში მოსკოვში კრემლის მიძინების ტაძარში გაიხსნა რუსეთის საეკლესიო კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საპატიოარქო მმართველობის აღდგენა. ეპისკოპოსი დიმიტრი აქტიურად მონაწილეობდა კრების მუშაობაში და მხარს უჭერდა რუსეთის ეკლესიაში პატრიარქობის აღდგენას. საეკლესიო კრებამ დაგმო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და მცხეთაში მიღებულ დამოკიდებულების აქტს უკანონო უწოდა. მთავარეპისკოპოსი დიმიტრი, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოწინააღმდეგე, დაინიშნა „კაგასიაში მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის შესახებ საეკლესიო კომისიის“ თავმჯდომარედ. 1919 წელს იგი მცირე ხნით განერიდა სამოქალაქო ომით გაწამებულ რუსეთს. უკან დაბრუნებული საბჭოთა ხელისუფლებამ არასაიმედო სასულიერო იერარქიად მიიჩნია, რამდენჯერმე დააპატიმრა კიდეც. იყო მისი დახვრების საშიროებაც, მაგრამ როგორც ფიქრობენ, იოსებ სტალინმა შეიწყალა თავისი ყოფილი სემინარიელი მასწავლებელი. 1923 წლიდან კიევ-პეტერბურის ლავრაში იყო, 1928 წელს შეიმოსა დიდი სქემა და ეწოდა ანტონი. მას დიდ პატივს სცემდნენ რუსეთში, რასაც სამწუხაროდ ვერვიტევით მის სამშობლოზე. საქართველოსთან მხოლოდ ნათესავები აკავშირებდა, რომელთაც თბილი წერილებით მოიკითხავდა. აღესრულა 1942 წლის 19 ოქტომბერს. დაკრძალეს კიევ-პეტერის ლავრაში. საფლავის ქვას ასეთი წარწერა ჰქონდა: „მამაო, ცად მიმართ და წინაშე შენისა, არღარა ლირს ვარ წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი.“



ქართული სახრო და სახელმისიო მნა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე

მანანა ტაბიძე, პროფესორი

თანამედროვე ადამიანი მრავალგზის გამოიცადა სულიერების, გონიერების, გულმოწყალებისა და მოყვასის სიყვარულის, მოთმინებისა და თავმდაბლობის კუთხით. ამჟამინდელი ეპოქა განსაკუთრებულად უშედაგათოა ამ გამოცდა/განსაცდელთა მიმართ ჩვენი რეაქციის შეფასებისას. ფაქტობრივ, ყოველწამიერ გვიწვევს გადაწყვეტილების მიღება, არჩევანის გაპეოება, და, ჩვენს ყველა მენტალურ მანიპულაციას დღეში ასჯერ მაინც გამოააშკარავებს წამოცდენილ სიტყვა...

რამდენადაც ენა არა მარტო ფორმალური ინფორმაციების, არამედ სულიერი და მენტალური გამოცდილების შემნახავი და შემფასებელია, ვფიქრობ, ენის სიღრმეში ხალხის, ერის უმთავრესი ფასეულობებისა და სასიცოცხლო შესაძლებლობების ამოკითხვისაკენ მიმართული მუშაობა უთუოდ პერსპექტიული საქმეა. ყოველ ენაში ფოლკლორი და მწერლობა ის ფიქსატორია, რომელიც გადმოსცემს კონკრეტული ხალხის უმთავრეს იდეალებს, და იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც სურს ამ ხალხს ცხოვრება და განვითარება (ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ამ იდეალის მიღწევა ხერხდება ყოველ ისტორიულ ეტაპზე, მაგრამ ეს იდეალი ნებისმიერი აზრისა და მოქმედების შესაფასებელ კრიტერიუმად მაინც რჩება). ვფიქრობ, ქართული ენა მშვინვარად გამოხატავს საერთო ეროვნული ცნობიერების ამ ასპექტს (გავიხსენოთ მაგალითები, რომელთა გარეშე საერთო ყოფა წარმოუდგენელია: გულმოწყალება, დვორისნიერი, დმერთის ბეჭედი აზის, მადლიანია, სამშობლოსთვის წამებულია, რწმენით აპეტებს, დვორის განათლება... სულის განათლება,

დვორის წყალობით, მადლობა დმერთს, დმერთმა გიშველოთ...)

რელიგიის არსი ადამიანისა და საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცნებებით გადმოიცემა, ცნებას კი, ცხადია, სიტყვიერი სამოსელი ესაჭიროება; და თუმცა აზრი სიტყვაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა, ჩვენ ვიცით, რომ საკრალიზებული ცოდნა მყარი შესიტყვებითაა გადმოცემული და მისი რდვევა რელიგიური კანონის ზემოქმედებითი ძალის შემცირებას იწვევს (იგივე ითქმის საერთო კანონებზეც, რომელთა დამტკიცების შემდეგ ტაქსტის ხელის ხლება კატეგორიულად აკრძალულია); და რაკი კანონი ვახსენეთ, ქრისტიანული კანონების უმთავრეს ციკლსაც უნდა შევხსოთ; ათი მცნება ის საკანონმდებლო ბაზაა, რომელსაც ეყრდნობა საზოგადოებრივი ყოფის მოწყობის თანამედროვე და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული კანონმდებლობა; რელიგიური კომუნიკაციის სფეროში ყალიბდება სპეციალური ენობრივი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ათი მცნების უმაღლეს ავტორიტეტს საზგადოებაში; როგორც უფლისაგან ბოძებული უმთავრესი, სრულყოფილი და მთლიანი ცოდნისას. რომლის სიტყვა არ უნდა იცვლებოდეს, რამდენადაც იგი უშუალოდ უფლისგან მომდინარეობს და თავისი უნივერსალურობით ადამიანის სულიერი განვითარების იმ გზას აჩვენებს, სადაც ცოდვა, მიუხედავად მისი ვარიანტულობისა, ცოდვაა; ხოლო ცოდვის ნებისმიერი გამოვლინებისათვის თავის არიდება სულიერი განვითარების გზაზე კიდევ ერთი გამარჯვებაა. შესაძლებელია ამით აიხსნებოდეს ქართულ საერთო ლიტერატურაში ისეთი უნივერსალური სიკეთისა და სამართლიანობის გამოხატულება, როგორიცაა: ვეფხისა და მოყმის ბალადა, ტარიელისა და ნესტანის ათწლიანი ტანჯვა მძიმე ცოდვის გამოსასყიდად, ავთან-

დილის თავდადება შექირვებული
მოყვასისათვის, გურამიშვილის მიერ
მარადიული სიკეთის ძიება, ილიას
ბრძოლა სიკედილით დასჯის წინააღ-
მდეგ, ბათუს მიერ ძიძიშვილის შენდო-
ბა, ალუდას, ზვიადაურისა და ჯოურ-
ლას ამაღლება მტრობაზე, მინდიას
მიერ სამყაროს ხმის გაგონება და სხვ.
ყველა ეს გრძნობა ქართულ მწერ-
ლობაში ენობრივი ფაქტურითად გად-
მოცემული და ამ ფაქტურაში მუდ-
მივად დგოთის არსებობა დასტურდება
„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა
ძლევად მტერთად, / ვინ არს ძალი
უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად, /
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის
უკვდავი ღმერთი ღმერთად, / იგი
გაპედის წამის-ყოფით ერთსა ასად,
ასსა ერთად.“ (რუსთაველი); „...ღმერთმ
ეს გვარუნა ბედათა, ჯვარს არ
აწყინოთ, ღმერთს ნუ სწევთ, ნუ
გადიქცევით ცეტადა...“ (ვაჟა); „...თუ
მთელი ჩემი არსება აღარ იქნება
საღადა, ან აქ რა პირით ვიცოცხლო,
თავს რით ვიმართლებ ღმერთანა.“
(ვაჟა); „არამედ მწყურს მე განმინათ-
ლდეს ციო ჩემი სული, /

შენგან ნამცხების სიყვარულით
აღმენთოს გული/რომ მტერთათვისაც,
რომელთ თუნდა გულს ლახვარი
მკრან/გთხოვდე: ”შეუნდე, - არ იციან,
დმერთო, რას იქმან!” (ილია) და სხვ.

დოროთა განმავლობაში მითოლო-
გიურ-ლიტერატურულ აზროვნებაში
მაინც ხდებოდა ამ მცნებათა ტექს-
ტობრივი მთლიანობის (და არა მაინცა
და მაინც შინაარსის) რღვევა და
სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირება,
ემპირიული მაგალითებით ამ
სრულყოფილი ფორმულების შევსება-
დაკონკრეტება, ანუ დესაკრალიზაცია.
შესაბამისად, გარდა დათისმეტყველთა
განმარტებებისა, ჩნდება საერო მითო-
ლოგიურ-ლიტერატურული ან სალეური
ინტერპრეტაციებიც, რაც საკმაოდ მრა-
ვალფეროვანია და სულ უფრო მიჯ-
ნავს ათი მცნების საკრალურ ცოდნას

სხვადასხვა საყოფაცხოვრებო (ადმი-
ნისტრაციულ-სამართლებრივი) ინსტი-
ტუტების (თავადაპირველად ამავე
ცოდნაზე დაფუძნებული) სულ უფრო
და უფრო ლიბერალიზებული კოდექსე-
ბისაგან. ზოგჯერ მიზანი ტექსტის
გამარტივებაა, ბავშვებისათვის უფრო
მისაწვდომად გადმოცემის მიზნით, ან
სკეციადური კომენტარების მეშვეობით.
ეკლესიის შიგნით მოქმედებს (ყოველ
შემთხვევაში უნდა მოქმედებდეს) საეკ-
ლესიო ცენტურა, რომელმაც უნდა
უზრუნველყოს სათანადო ტექსტები-
სათვის კანონიკურობის შენარჩუნება,
მიაღევნოს თვალი სოციუმში ამ ტექს-
ტების გადმოსვლასა და მოქმედებას,
ან მიანდოს ეს ტექსტები საერო
ცხოვრებას (ანუ თავადაც უნდა იყოს
სალიტერატურო მასალაში საღვთის-
მეტყველო ცნებათა შემფასებელი და
ანალიტიკოსი). ამ ბოლო დროს სასუ-
ლიერო ლიტერატურის თარგმნის პრო-
ცესმაც მიიღო ფართო ხასიათი, გამო-
დის დიდი რაოდენობით საყმაწვილო
მოთხოვნები ქრისტიანობაზე, თუმცა
ჩვენ ყოველთვის არ ვიცით, რამდენად
სწორადაა გადმოტანილი ამ თარგმა-
ნებში ქრისტიანული ლექსიკა და
კონტექსტი.

უმევლესი დროიდან სახარების
ტექსტი, საექლესიო ენა, სასულიერო
მწერლობა და პიმნოგრაფია ის წიაღი
იყო, რომელშიც იბადებოდა ქართული
საერო ლიტერატურის ნიმუშები; ქარ-
თული მწერლობის უდიდეს წარმომად-
გენლებს საკმაოდ საფუძვლიანი ქრის-
ტიანული განათლება ჰქონდათ მიღებუ-
ლი, რაც უზრუნველყოფდა საეკლესიო
ენის სტაბილური სისტემის კეთილის-
მყოფელ ზეგავლენას საერო აზროვ-
ნებასა და სამწერლობო ნიმუშებზე (და
პირიქითაც, ეკლესიის მოღვაწეთათვის
ქართული საერო მწერლობა ახლობე-
ლი და მნიშვნელოვანი საზრდო
გახდდათ). ეს კავშირი მოირყა შპპ
მეოცე საუკუნეში, როდესაც:



ტექნიკური პროგრესით გაამპარტავნებულმა ათეისტური სულისკვეთების საუკუნემ ადამიანისა და ყოფითი ინსტიტუტების გაკერპება წამოიწყო და სული და ხორცი ერთმანეთს დააცილა;

ათეიზმმა საბჭოთა კავშირში და ლიბერალიზმმა დასავლეთში რელიგიის (და განსაკუთრებით ქრისტიანობის) რევიზიას მიჰყო ხელი;

მწერლობამ მოისხენა კლასიკური ნორმები და ლიტერატურა და საზოგადოება „გათავისუფლა“ სარწმუნოების ზნეობრივი „ბორკილებისაგან“;

მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეტთე საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცეში (თუმცა მთლიანად მსოფლიოშიც) გაჩნდა უფლებული თაობათა შორის; ლიბერალიზაციამ განათლებაში, ტექნოლოგიზაციამ ყოფაში და მიგრაციული პროცესების ინტენსიურობით გამოწვეულმა ტრადიციათა კარგვამ ადამიანი უკვე განვლილი გზის უარყოფით კვლავ გზის დასაწყისში გადაისროლა, ოდონდ მას ადარა აქვს გზამკვლევი რელიგიური სწავლებების სახით, ყოველ შემთხვევაში, იგი ამ გზამკვლევს ნაკლებად იყენებს; თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ ტენდენციათა შორის ისიცაა, რომ რელიგიები თანდათანობით ცხადდება ჩამორჩენის, ფანატიკური ტერორის, ხალხთა თანასწორობის შემზღვედველ იდეოლოგიად, რაც ზღუდვას ხალხში რელიგიური განათლების სიკეთის დანერგვას, ეს კი წარსულთან კავშირის გაწყვეტის ერთ-ერთი გზაა; ამ კონტექსტში მართებულია საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლისა და დამოუკიდებლობის პირველ წელს პრეზიდენტ გამსახურდიას საპროგრამო მსჯელობა ეკლესიის სახელმწიფოებრივ როლთან დაკავშირებით: „საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქაეყანაში ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმ-

წიფოს შორის. ქართველთა ცხოველი მორწმუნება განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი, თავის მხრივ, ყოველნაირად უწყობდა ხელს ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას. საქართველოს სახელმწიფოებრივი ადორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნების გარეშე. ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც. სწორედ ამიტომ, ჰეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან. დღევანდელი მოძრაობა თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნული პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ ითვალისწინებს ზნეობრივ ადორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით. ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის ადსადგენად. სწორედ „ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნების“ ამ ცნობიერი კავშირის დამადასტურებელია ენა;

90-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული პუტჩისა და გახანგრძლივებული კრიზისის პერიოდში საგრძნობლად მოშალა ეროვნული და სამოქალაქო საზოგადოებების გამაერთიანებელი მთავარი ატრიბუტები (ენა, სახელმწიფოებრივი საზღვრებისა თუ სამკვიდრებლის სტაბილურობა, კულტურული იდენტობა, საერთო მეხსიერება, რელიგიით განმტკიცებული საერთო ზნეობრივი ფასეულობები). საინტერესო ისაა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების კრიზისის პარალელურად წარმატებული ევროპისა და ამერიკისთვისაც დადგა სულიერი კრიზისი, რაც სულიერ ფასაელობათა დევალვაციაში



გამოიხატა. საზოგადოება მინიმუმ ორ მკვეთრ ნაწილად გაიყო: ა) რომელიც სიახლეს უყურებს ტრადიციული ცოდნის გათვალისწინებით; და ბ) რომელიც მიიჩნევს, რომ წარსული აუცილებლად უფრო ცუდი და ჩამორჩენილია, ვიდრე აშშყო. ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთთან კატეგორიულადაა დაპირისპირებული და, როგორც ჩანს, ეს შეუთავსებლობა მხოლოდ გაღრმავდება; ენაში აშკარად დასტურდება ეს „განხეოქილება“, როდესაც „ახალთა“ ნახესხობებით, ნორმობრივი დარღვევებით, უცხოური პროცენტითა და კალკირებული ფრაზეოლოგით, ბუნდოვანი ნეოლოგიზმებითა და ინტერფერირებული ინგლისური მასალით გაჯერებულ საუბარს ვისმენთ, სასულიერო წრის წარმომადგენელთა და ტრადიციული ინტელიგენციის მეტყველების გერდით;

საქართველოში ჩვენი პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემების გამო მოდერნიზაციის პროცესი ცოტა შენელებულია, რაც (რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟდერდეს) საშუალებას იძლევა გარკვეული კორექტივები შევიტანოთ ენის მეტისმეტი ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესში, და ვისარგებლოთ საეკლესიო ენის სუფთად შენახული რეზერვებით, რომელთა მეშვეობით შეიძლება არასასურველი ხასიათის „სიახლეთა“ განეიტრალება. ამის იმედს იძლევა ის ლექსიკა, რომელსაც სწორედ ეკლესიისა და მრევლის მეტყველება „ამაგრებს“ საერთო ქართულში (რწმენა, იმედი, სასოება, მადლი, სულიერება, ცოდვა, წაწევდა, სიწმინდე, მიტევება, ჯვრისწრა, განწმენდა, მუხლმოყრა, ამპარტავნება, ფარისევლობა, ლიქნი, მლიქნებლობა, წყალობა, მოწყალება, ღვთის შვილი, სათხოება, ქება, ხოტბა და მრავალი სხვა).

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას ესოდენ კეთილისმყოფელი გავ-

ლენა აქვს საერო ენაზე, პირიქითა პროცესიც არსებობს:

ბოლო ხანებში უურადღებას იქცევს სასულიერო წრის შდარებით ახალგაზრდა ნაწილში ეკლესიისგარე მეტყველებაში მოჭარბებული არაწიგნური გამონათქვამები, და უარგონის ელემენტებიც კი; იქმნება შთაბეჭდილება, რომ სასულიერო პირი (რა თქმა უნდა, იშვიათ გამონაკლისებს ვგულისხმობ) ტაძარში ტოვებს თავის სამეტყველო კულტურას და ყოფაში საერო პირად გადაიქცევა; ვფიქრობთ, საეკლესიო ენა დარგობრივი არგო არ არის, რომელსაც სამსახურის ატრიბუტად აღვიქვამთ; სასულიერო პირთა მეტყველება ცხოვრების წესის, მრწამსისა და ლირებულებათა მუდმივი გამოვლინებაა და მას ტანისამოსივით არ/ვერ უნდა იცვლიდეს ადამიანი; ბოლო დროს საზოგადოებრივ ტელევიზიაში გამოჩენილმა დია თუ ფარულმა ჩანაწერებმაც ცხადყო ამგვარი ორმაგი მეტყველების არსებობის ფაქტი სასულიერო წრეში. რაც შესაძლოა, მომავალში ეკლესიის შიგნით საეკლესიო ენის ნორმობრივი რყევის მაუწყებელი ნიშანიც კი იყოს.

ამ საფრთხეს ისიც ამძაფრებს, რომ დღეს, როდესაც, ინტერნეტსივრცეში ერთმანეთის გვერდით განთავსდება საეკლესიო და ანტისაეკლესიო მასალა, სულიერ და ენობრივ ლირებულებათა მწყობრი სახით შენარჩუნება სულ უფრო ძნელდება.



საქართველოს უძრავი განვითარები

მანანა აბუთიძე, ასოც. პროფესორი


ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანების ძეგლებს, ისე, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის უდიდეს ნაწილს, ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუშები წარმოადგენს. ქართული საეკლესიო არქიტექტურის კვლევა თანაბრად მოითხოვს არქეოლოგიური, წყაროთმცოდნებითი, არქიტექტურული, გეოლოგიური, ფილოსოფიური, პალეოგრაფიული თუ ისტორიული კუთხით მიღმას და ეს არც ისე ადვილია, როდესაც საქმე ეხება ისეთ შორეულ წარსულს, როგორიც მაგალითად, მორიანისა და მისი მემკვიდრეებიდან დაწყებული და ვახტანგ გორგასლისა და მისი მემკვიდრეების ეპოქით დამთავრებული ქრონოლოგიური მონაკვეთი, IV-VI საუკუნეებია. საქმეს არა მარტო ადრეული ეკლესიების შემცირებლობასთან დაკავშირებულ წყაროთა ზოგჯერ ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი ხასიათი და სიმწირე, ან ნაგებობების დაცულობის კონდიცია ართულებს, არამედ ისიც, რომ საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების არსებული მასშტაბი ჯერ კიდევ ვერ გაწვდა ყველა იმ „საბუთის“ გამოვლენას, რაც ნათელს მოფენდა ბევრ საკითხს, რომლებიც, სხვათა შორის, ძველი თუ ახალი თაობის ქართველ მეცნიერთა დავის საგანია. მათ შორისადა საქართველოს ეკლესიათა არქიტექტურული კომპოზიციების გენეზისის თემა.

ცნობილია, რომ ქრისტიანული ტაძრისათვის შერჩეული ადგილი რეგლამენტირებულია. ის აუცილებლად უკავშირდება ლეგენდას, განსაკუთრებულ მოვლენას, აგების აუცილებლობის გარკვეულ პირობას და ა.შ. ამიტომ ადრეული ეკლესიები ყოველთვის გადაკეთების, რესტავრაციის, ახლად

აშენების ობიექტები არიან და უპირატესად ავთენტიკური ვარიანტი ნაგებობისა იმ შემთხვევაში უძლებს საუკუნეებს, როდესაც ის, მშენებლობის ხარისხის გამო, არ დაზიანებულა, მთლიანად ან ნაწილობრივ არ დანგრეულა თუ დაუნგრევიათ. ამგვარ თავიდან აშენების კამპანიებს, ბუნებრივია, ახლად ახალი ეპოქის სტილისათვის შესაფერი არქიტექტურული კომპოზიციით ძველის ჩანაცვლება. საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, ორივენაირი ბედის ეკლესიებია და ამ პირველი ნაგებობების კომპოზიციათა, ზომების თუ სხვა მახასიათებლების შესახებ გამოთქმული გარკვეული დებულებები ვერ დაეყრდნობოდა ძეგლზე ჩატარებული სპეციფიკური არქეოლოგიური კვლევის შედეგებს ამ უკანასკნელის არარსებობის გამო. ასეთ პირობებში საქართველოს ეკლესიათა არქიტექტურული კომპოზიციების გენეზისის რეკონსტრუქციის მცდელობის გზაზე მაშველ რგოლს – დანარჩენი ქრისტიანული მსოფლიოს გამოცდილებას და წერილობით წყაროებს – თოთქოს ნაკლებად პრიორიტეტულად მიიჩნევდნენ. ამას მოყვა უზუსტობები ეკლესიათა დათარიღებისას, მორწმუნეთა შეკრების ადგილად სხვა ფუნქციის მქონე სათავსისა თუ ნაგებობის წარმოჩენა (ობიექტი ნეპრესის კომპლექსში; ე.წ მცირე ჯვარი) [1], შეცდომები თვით ეკლესიების თუ მათი ლოკაციების იდენტიფიკაციაში და ა.შ. სამწუხაროდ ასეთ ცდომილებებს ყოვლად მკაფიო და არაორაზროვანი საქმიტორო წარწერებიც ვერ აღუდგა წინამ ფონზე ყურადსადგებია ის გზა, რომელიც ქართველთა წინაპრების მსგავსად გაიარეს მსოფლიოს ხალხებმა გაქრისტიანების კვალად და ის ფაქტიც, რომ კანონიკური მსოფლმხედველობის პოპულარიზაციისა და დამკვიდრებისთვის შემუშავებული დოგმები თანაბრად იქნებოდა საგალდებულო ყველა აღმსარებლისათვის. ამ



მხრივ უპირველესად გასათვალისწინებელია ის დასკვნები, რომლებიც რომის და ბიზანტიის აღრექრისტიანული ხუროთმოძღვრების ნიმუშების თუ უშუალოდ ეკლესიების არქიტექტურული თემების შერჩევის შესახებაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურიდან, ასევე, გამომდინარე დვოისმეტყველთა ტექსტებიდან, კულტის სპეციფიკიდან, საეკლესიო კრებებზე მიღებული დირექტივებიდან და ა.შ. მხედველობაში გვაქვს რომაული ბაზილიკების (ტაბ.1), მაგზოლეუმების, კალდარიუმების, არქიტექტურული კომპოზიციების გამოყენება ეკლესიების, ბაპტისტერიუმების და ქრისტიანული კულტისათვის საჭირო სხვა ფუნქციური ნაგებობებისთვის [2].




1. მაქსენციუსის-ჯონსტანტინეს ბაზილიკის გეგმა



2. აღთქმის კიდობანი


აღსანიშნავია ისიც, რომ ეკლესიების არქიტექტურული კომპოზიციების თუ მათი კონფიგურაციების „ცენტრალიზებულად“ გავრცელებაზე არა-ერთ ქართულ თუ უცხოურ მატიანეშია ლაპარაკი. ვგულისხმობთ ამბავს ეკლესიის ასაგებად მირიანის მიერ საბერძნეოდან კირითხუროების მოწვევის (“...და წარავლინნა მირიან მეფემან და ითხოვნა საბერძნეთით ქვისა მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცნა მეფემან და წარმოვიდეს ერუშეთს. და დადგეს საძირკუელი ეკლესიისა[ღ]... და წარმოვიდეს მანგლისს და დადგეს საძირკუელი ეკლესიისა ...და ესრეთ მოვიდეს მცხეთად...” [3]), ანდა, აღთქმის კიდობის (ტაბ.2) პარამეტრების (სიმაღლე და სიგანე - 67 ± 7 სმ; სიგრძე - 112 ± 12 სმ) პროპორციულობის კოეფიციენტის შენარჩუნების რეკომენდაციას საეკლესიო ნაგებობების ზომებში და ა.შ. აქვთ ვიტვით, რომ აღთქმის კიდობნის პარამეტრების პროპორციულობის კოეფიციენტის შენარჩუნების ტრადიცია საკულტო ნაგებობის ზომებში უკავშირდება სინაგოგების (ტაბ.3) სიგრძის, სიგანის და სიმაღლის შერჩევის წესს [4].




3. სინაგოგის გეგმა



და მართლაც, არა მხოლოდ უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა მონაპოვარმა ცალსახად ნათელყო ზოგადქრისტიანული ტენდენციების ლოგიკური არსებობა ისტორიული საქართველოს ხუროთმოძღვრებაში. ძველი ბაგრატის, ძველი სეგებიცხოვლის, ძველი სამთავროს, ბოლნისის სიონის (ტაბ.4), ნაგზაურის, ნოქალაქევის თუ პეტრას კომპლექსების არქეოლოგიური კვლევის შედეგებით დადასტურდა ზემოთქმული, ხოლო ჭაბუკაურის და დურუჯისპირის ბაზილიკების (ტაბ.5) შესწავლამ ცხადყო, რომ საქართველოში დიდი ზომის არქიტექტურული კომპოზიციები ხის გადახურვით მეოთხე საუკუნიდან იგბა [5] ზუსტად ისე, როგორც დასავლეთის თუ აღმოსავლეთის იმდროინდელ ქრისტიანულ ცენტრებში: ცნობილია, რომ ბაზილიკური და ზოგადად გრძივ დერძზე ორიენტირებული აფსიდური კომპოზიციები შუა საუკუნეების საკულტო ნაგებობების „სავიზიტო ბარათია“. დასავლეთ ევროპაში ის პრაქტიკულად უცვლელ პრიორიტეტადაა შენარჩუნებული, როგორც კიდობნის თუ განსაწმენდელის მოდელი და დამიწაზე.





4. ბოლნისის სიონის გეგმა



5. დურუჯისპირის ბაზილიკის რეკონსტრუქცია

კიდევ ერთი მაგალითია მანგლის ტაძრის ადრეული სამშენებლო ფენა [6]: ზემოთ მირიანის დროს მანგლისში ეკლესიის აშენებასთან დაკავშირებული მოქცევაი ქართლისადს ფრაგმენტი მოვიხმეთ. ამჯერად საქმე გვაქვს არა გრძივ დერძზე ორიენტირებულ, არამედ ცენტრულ აფსიდურ კომპოზიციასთან, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, აქტუალურია წმინდანებთან, რელიკვიებთან დაკავშირებული თუ რიტუალური ადრექტისტიანული ობიექტებისათვის [2]. რაც შეეხება მანგლისის სიონის დღევანდელ სახეს, ისიც, მსგავსადხსენებული ძეგლების უმრავლესობისა, მოგვიანებითაა ფორმირებული (ტაბ.6), თუმცა, მასში შენარჩუნებულია პირველი ხუროთმოძღვრული გეგმა.



6. მანგლისის სიონის გეგმა და ჭრილი



ასე, რომ საქართველოს ეკლესიების, ისე, როგორც მთედ მსოფლიოს ქრისტიანული ფუნქციური ნაგებობების არქიტექტურული ოქმები წინა ეპოქაშია ჩასახულიც, წარმოშობილიც, განვითარებულიც და შემდეგაა მორგებული ახალ როლზე, რაც, ბუნებრივია, არ გამორიცხავს ახალ ამპლუაში მათ შემდგომ ადაპტირებას კულტის თუ სხვა ცვლილებათა შესაბამისად.

ლიტერატურა:

1. ჩიჩევა თ., მცხეთის ჯვარი, თბილისი, 2000.
2. Якобсон А.Л., Закономерности в развитии средневековой архитектуры, „Наука“ Ленинград, 1985.
3. http://www.amsi.ge/istoria/qm/qarTlis_moq_ceva.pdf
4. <http://www.dslib.net/muzee-vedenie/arhitektura-sinagog-pozdneantichnogo-perioda-na-territori-severnoj-palestiny.html>
5. <https://www.academia.edu/19643435/>
6. ჭანიშვილი გ. ქართული საეკლესიო არქიტექტურის გენეზისისა და განვითარების საწყისი ეტაპის ისტორია (წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების მიხედვით), საღოქტორო დოსეურტაცია, თბილისი, 2016.

SUMMARY

THE EARLIEST GEORGIAN CHURCHES

Manana Abutidze

The archeological finds of last years – the old Bagrati, old Svetitskhoveli, BolnisiSioni, old Samtavro, Nagzauri, Nokalakevi or Petra complexes – unequivocally confirmed logical existence of general Christian tendencies in earliest Georgian churches, while the study of Chabukauri and Durujispiri basilicas testified that in Georgia, in the wake of Roman traditions, large-size architectural compositions with wood covering are constructed since the fourth century in the same manner as in western or eastern Christian centers of that time.

ბიორგი მთაწმინდელის ბრძოლა
ძართული ეპლესის
აგორაზალისათვის

ხათუნა თოდაძე, პროფესორი

საზღვარგარეთ არსებული ქართველთა სავანეები, არა მარტო რწმენის, ქართველთა პოლიტიკური გავლენის დადასტურებაც იყო. „ქართული ეროვნული თვითშემეცნების განმტკიცებისა და გამოკვერვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უცხოეთში მდებარე ქართველთა მონასტრებს, სინას მთსას და პალესტინისას, შავი მთისას და განსაკუთრებით ათონის ივერთა დიდებულს ლავრას“ – წერდა ბატონი ივანე ჯავახიშვილი. XI საუკუნეში ათონის მონასტერმა თავისის აყვავების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და გადაიქცა ლავრად, მსხვილი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრით – ათონის აკადემიით. „აქ თავმოყრილი იყო ქართველთა საუკუთესო ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთი თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა“ – ვკითხულობთ ბატონ კორნელი კეკელიძესთან.

მონასტერში მოღვაწე მამები თავიანთი დაუდალავი ლიტერატურული მოღვაწეობით იმავდროულად ეროვნული ღირსების სადარაჯოზე იდგნენ, რადგან მშობლიური კულტურისა და თვითმყოფადობის დასაცავად, ხმალთან ერთად სიბრძნით და განსწავლულობით ბრძოლაცაა საჭირო.

მათი ეროვნული გრძნობა უცხოეთში კიდევ უფრო უნდა გამტკიცებულიყო, რადგან კარგად ხედავდნენ რა დამოკიდებულება ჰქონდათ ერთორწმუნები ბიზანტიულებს ქართველების მიმართ. ბერძენი ბერძენი ქართველთა მონასტრების დაპატრონებას ყველანი გზითა და საშუალებით ცდილობდნენ. ბრძოლა უთანასწორო იყო. ერთი მხრივ მართლმადიდებლობის დამცველთა სახელი, საეკლესიო მწერლობის სიმდიდრე და მეორე მხრივ, ერთი მუჭა ქართველი ბერ-მონაზვნები.



ბერძნებმა ათონზე შეტევა ჯერ კიდევ 1019-29 წლებში დაიწყეს. მათ მონასტრის წინაძღვარს გიორგი ვარაზგახეს იმპერატორ რომანოზ არგვირას წინააღმდეგ განდგომილობა და დალატი დასწამეს. ქართველები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გიორგი უბრალო იყო, მაგრამ დაბეზდების შედეგად ქართველი ბერი მინოვატის კუნძულზე გადასახლეს, სადაც ადგესრულა კიდეც (1029). ბერძნები ამასაც არ დასჯერდნენ, ვინაოთგან ესევითარი ჟამი პოვეს, პელყვეს ყოვლითა ღონისძიებით, რათამცა ქართულნი ამის მონასტრისაგან აღმოჰყენერნეს, და ამის პირისათვეს მოსწრავებად აჩუნეს და მთაი ყოველი თანაშეიწიეს და საბერძნეთისა დიდებულნი და პალატის წარჩინებულნი მიღრიკნეს და მრავალი შრომად და ჭირი და რუდუნებად ჩუქნზედა მოაწიეს.

სამგზის გაიძარცვა მონასტერი და „რაც კი რამ იყო „ტურფად“ მამათა ჩუქნთა მოგებული ყოველივე იავარ იქმნა“. და ეს მოხდა მართლმადიდებელ ბიზანტიაში, მთელი ათონელი ბერძენი ბერძნების მოსწრავებით და შეწევნით. არც ამით დამცხრალან ბერძნები. ისევ, იპოვეს ჟამი და ცეცხლი აღაგზნეს ქართველთაზედა. შეუძლებელია ყოველივეს წარმოთქმა რამდენი გინება, შეურაცხყოფა, „ყუედრება“, ცემა, „გუმა“ და მწვალებლობად შერაცხვა აიგანეს ქართველმა ბერძნმა. მამა არსენი, მონასტრის წინამდვირი (1039-41 წ.), რომელიც თავის თანამომეუთა მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა და ბერძენთა მეფეთა წინაშე სამართალს ექცდა, ბერძენთაგან „იგუემაცა და მრავალი შრომად დაითმინა და საპყრობილედ შეწყუდევად და კიცხვად და ბასრობად“. ბერძნებს მონასტერში ქართველთა სახელის სრულიად მოსპობა სურდათ. მოკლედ რომ ვთქვათ, „რამეთუ არა თუმცა ოშფალი შეწყულ იყო ჩვენზედა დღეს არცამცა ერთი ქართული არა იპოვების ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი

ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუქნთადო ჩუქნ ქართულთათვის აღშენებულ იყო და აღმართულ – წერს გიორგი მთაწმინდელი.

ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლა ბერძნებმა შავ მთაზე გააგრძელეს. მწვალებლობის ბრალდებით ახლა სვიმეონ წმიდის მონასტრიდან განიზრახეს ქართველთა განდევნა. „გულარძნილობით რათა წმიდასა ამას და მართალსა სარწმუნოებასა ჩვენსა ბიწირამე დასწამონ და ესრეომცა სრულიად აღმოგუფხურნეს ამის ლავრისა პირველთაგან თვით წმიდისა სვიმეონის მიერ დამკვიდრებულნი“ – მოგვითხობს გიორგი მცირე. ბერძნებმა ახლადდანიშნულ პატრიარქ თეოდოსის მიმართეს თხოვნით: მოეშორებინა მათთვის „სამეოცი კაცი, რომელნი ქართველად სახელ იღებენ თავთათვესთა და არა უწყით რად არს სარწმუნოება მათი“. ქართველთა მწვალებლობის დასამტკიცებლად ბერძნებმა თავისებური საბუთიც კი წარუდგინეს პატრიარქს.

პატრიარქმა ქართველთა მართლმადიდებლობის გამოსაძიებლად ისეთი ქართველი მოითხოვა, რომელსაც ბერძნული ენა და დამწერლობა ეცოდინებოდა. ასეთად თვით ბერძნებმა გიორგი მთაწმინდელი დაასახელეს. „ჟე არს ერთი ვინძე მონაზონი დრამატიკოსი და ბერძნულთა წიგნთა ქართულად თარგმნის“.

გიორგი მთაწმინდელი გიორგი დაყუდებულის მოწაფე, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული კაცი, რომელმაც „სრულყო ნაკლუგანებად ენისა ჩუქნისა“. პატრიარქი თეოდოსი ცუდად იცნობდა ქართველებს, ამიტომ მან ჯერ ლმრთისსულიერთა წიგნთაგან დაუწერ გამოკითხვა გიორგის და დარწმუნდა რა, რომ მასში „მადლი ლმრთისად დამკვიდრებულიყო“, ასე მიმართა ქართველ ბერს. „შენ ნათესავით ქართველი ხარ, მაგრამ ყოვლითა სწავლულებითა, სრულიად ბერძენი



ხარ. რად არს განყოფილებად ქართულთა და ჩვენ შორის“.

თავისი ნიჭი და ცოდნა გიორგი მთაწმინდელმა ისეთი წიგნების გადმოთაღმნასაც მოანდომა, რომელიც საეკლესიო დვითისმსახურებას ეხებოდა. ამიტომ პასუხი არ გასჭირვებია. ფრიად განსწავლულმა ისეთი საფუძვლიანი ახსნა-განმარტება მისცა იქ დამსწრეთ, რომ განაკვირნა მსმენელნი და თვით პატრიარქიც დაარწმუნა ქართველთა მართალ სარწმუნეობაში.

ცილისმწამებელი ბერძნები პატრიარქმა თეოდოსიმ „ფრიად შერისხა და კანონსა ქვეშ საეკლესიოსა შევარნა“, გიორგის „ქებად და ნეტარებად“ შეასხა, ხოლო ქართველებს ნება დართო სვიმეონწმიდის მონასტერში ჟამის წირვისა. რის უფლებაც აღრე არ ჰქონდათ. „რომელსა იგი რეცა სავნებელად ჩუენდა ჰგონებდეს, ესე ჩუენდა სარგებელ იქმნა“ – წერს გიორგი მცირე.

ბერძნები არც ამან შეაჩერა. 1057 წელს ბრძოლამ შავი მთის ბიზანტიულ ბერებსა და ქართველებს შორის ახალი ძალით იყეთქა. ანტიოქიელმა სასულიერო პირებმა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმწყემსობის უფლება დააყენეს ეჭვებეშ და პატრიარქს მიმართეს: „ვითარ ესე მეუფეო რომელ ეკლესიანი და მღვდელთ-მოძღვარნი ქართლისანი არა რომელსა პატრიარქისა კელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველი საეკლესიო წესი მათ მიერ განეგებიან და თუთ დაისუმენ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა. არ მართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მოსრულ არს ქუეყანას მათსა“. თანაც უმეცარნი და სამწყსო მცირე არიან, ამიტომ „ჯერ არს რამთა ხელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელი პატრიარქისასა იმწყესებოდინ“.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს საკითხი პირველად გიორგი ათონელის დროს არ უნდა დასმულიყო. წყაროებში არ ჩანს ვინ და როდის ჩააგონა ეს აზრი ანტიოქიის საპატ-

რიარქოს. ისტორიული ცნობები უკვე გამწვავებულ ბრძოლას ასახავენ. ბრალდება გონივრულად იყო შედგენილი: ჯერ წამოყენებული იყო ქართული ეკლესის გაუმართლებელი მოქმედება, რომელიც საბრალდებოდ გამოიყენებოდა, შემდეგ დასაბუთებული იყო ამგვარი მოქმედების არაკანონიერება და ბოლოს, ლოგიკური დასკნა – მწვალებლურად მოქმედი ეკლესია უნდა დამორჩილებოდა პატრიარქიის ერთ-ერთ წევრს, უახლოეს საპატრიარქოს.

ანტიოქიის პატრიარქს, რასაკვირველია, ეს აზრი მოეწონა. ვინ იტყოდა უარს სამწყსოს გაზრდაზე, მაგრამ გადაწყვიტა ბრძოლა მშვიდობიანად – მოლაპარაკებით და რჩევით წარემართა. ამიტომ ისევ გიორგი მთაწმინდელი მიიწვია. სწავლულობით და მეცნიერებით განთქმული თვით ბერძენთა შორის და მიმართა: „შენ, ნეტარო მამაო, დადაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებით და მეცნიერებით ჩუენივე სწორი ხარ, ჯერ არს რომელ ეკლესიანი და მღვდელ-მოძღვარნი თქვენნი ქელსა ქუეშე სამოციქულოსა ამას საყდრისასა იმწყესებოდინ და პმართებსაცა ესრეთ მიზეზითა მახლობლობისაითა“.

პატრიარქი გამომიებასაც კი არ აპირებდა ნამდვილად ეპუთვნოდა თუ არა ქართულ ეკლესიას დამოუკიდებლობა. მან პირდაპირ განუცხადა გიორგი მთაწმინდელს თავისი განზრავა და ალბათ იცოდა რა გიორგის დიდი ავტორიტეტი ბაგრატ მეოთხის კარზე, უთხრა: „უწყი ვითარმედ გისმენს მეფე თქუენი, უკეთო მიუწერო და აუწყო უმჯობესი“. გონივრული იყო პატრიარქის განზრავა ჯერ გიორგი დაეთანხმებინა, ხოლო შემდეგ იგი გამოეყენებინა მეფისა და სამღვდელოების წინაშე, ხოლო თუ მისი „რჩევა“ არ გაჭრიდა, პატრიარქი დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადებას პირდებოდა ქართველებს. „მიუწეროთ ოთხთავე პატრიარქთა საყდრის მოდგმათა ჩუენთა და ვაუწყოთ თვითორზულებად და ქედფიცხლობად თქუენისა ნათესავისა



და ვითარდებოდა თუნიერ სამოციქულოსა კანონისა, თუთიმწევებიან და მოციქულთაგანი არავინ მოსრულარს ქვეყანასა მათსაო“.

ეს უბრალო მუქარა როდი იყო. პატრიარქს შეეძლო ადვილად შეესრულებინა თავისი ნათქვამი. „თვითორჩულობადა ქედფიცხლობად“ საეკლესიო კანონების მიხედვით, ერთ-ერთ უსაშინლეს ცოდვად და მწვალებლობად ითვალისწილებოდა. ჯერ კიდევ გაერთიანების პროცესში მყოფი საქართველოსთვის, რომელსაც შინაური და გარეული მტრები მოსვენებას არ აძლევდნენ, მწვალებლობის ბრალდება ნამდვილად ზედმეტი იყო. ეს იცოდა ალბათ პატრიარქმაც და ამიტომ მედიდურად აცხადებდა, თუ არ დამემორჩილეთ „ისრეთ მრავალსა ღუაწლსა შეგთხინე ვიდრე არა თუთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და პელმწიფობასა ჩუენსა დაგმორჩილოსო.

ამიტომ გიორგი მთაწმინდელის პასუხი სახელმწიფო მინშვნელობის იყო და ქართველმა ბერმა, რომელიც ალბათ აღმფოთებული იყო მშვიდად, მაგრამ გაბედულად მოახსენა პატრიარქს: „ჰეი წმიდაო მეუფეო, რახსოვის ესრეთ ადვილად გელჟყავ დიდისა ამისა და მაღლისა საქმის მოგონებად და აღსრულებად და ვინმე არიან უგუნურნი იგი განზრახვანი შენი. ანუ რად ესრეთ უგუნურად შეგირაცხავს ნათესავი ქართველთაო წრფელი და უმანქო. აპა ესერა ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა ჩემთაო, მე მოგეც მათ ყოველთა წილ პასუხი“ და მოითხოვა წიგნი „მიმოსვლაი ანდრია მოციქულისა“, რომელიც შეკრიბა „პირველწერილითა მოსახსენებელთაგან ნიკიბა დირსმან და ფილოსოფოსმან“, ესეიგი მე-9 საუკუნის პანეგირისტმა და რომელიც მქონიმე ათონელმა თარგმნა ქართულად. მაგრამ გიორგიმ მოითხოვა არა ქართული, არამედ ბერძნული ტექსტი. ჯერ ერთი, ბერძნებს ქართული არ ეცოდინებოდათ და მეორე, მათ თვალში ბერძნულ წყაროს უფრო მეტი ნდობა ექნებოდა. როცა წიგნი მოუტა-

ნეს, სანამ შესაფერის ადგილს წაიკითხავდა, პატრიარქს მიმართა: „შენ იტყვ ვითარდებოდ თავისა მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და მმისა თვისისა მწოდებელსა ანდრიას ნაწილი ვართ და სამწყსენი მის მიერ მოციქული და განათლებული და ერთი წმიდათა ათოორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვი კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფისი ეწოდების, ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულ ვართო“.

როცა ეს არგუმენტი წარადგინა, ხუმრობით იერიშიც კი მიიტანა და პატრიაქრეს მიმართა: რაკიდა სიტყვა მორჩილებაზე ჩამოაგდეთ, „შუენის ესრეთ რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრე ჯერ-არს რათა დაემორჩილოს მწოდებელს თუსსა და მმასა ანდრიას და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ“.

გიორგი მთაწმინდელმა კარგად იცოდა, რომ ანგიოქიის პატრიაქრი საქართველოს საეკლესიო იერარქს არ დაექვემდებარებოდა, მაგრამ ლოგიკური დასკვნით ქართველები არათუ ამოუყენა გვერდში ბერძნებს, არამედ მათზე მაღლაც კი დააყენა.

წაყენებული ბრალდების დანარჩენ პუნქტებზე: ა) მდვდელ-მოძრუარნი ქართლისა არავის ექვემდებარებიან, ბ) ყოველი საეკლესიო წესი მათ მიერ განეგებიან; გ) ოვით დაისმენ კათალიკოსთა და ეპოსეპობოსთა. გიორგი მთაწმინდელს პასუხი არ გაუცია, რადგან მათი უსაფუძლობა თავისთავად მტკიცდებოდა ანდრია მოციქულის მიერ ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის ქადაგებით.

შემდეგ პატრიარქს ისიც შეასევნა, რომ ქართველები არასოდეს ყოფილან „წვალების მიმართ მიდრეპილნი“, ხოლო იყო „ჟამი, რომე ყოველსა საბერძნებოსა შინა მართლმადიდებლობა არაიპოებოდა“ და მართლმადიდებლობის კერად მხოლოდ ქართლის საკათალიკოსო ითვლებოდა და რომ VIII საუკუნეში თვით იოანე გუთელი



ეპისკოპოსი მცხეთაა იქურთხა ეპისკოპოსად, „ვითარცა სწერია დიდსა სუნაქსარსა“.

უოველივე ამის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქს ისდა დარჩენოდა დიმილით ეთქვა პაექტობაზე მყოფ მღვდელთმოძღვრებისა და ერისკაცებისათვის: „ხედავთ ბერსა ამას, კთარ მარტო ესოდენსა სიმრავლესა გუერევის. ვაგრძალეთ, ნუუკუ, წინააღმდეგობა შეგუემთხვოს და არა ხოლო ოუსიტყვით, არამედ საქმით გუამხილოს ძლეულებად ჩუენი და დაგვმრწმენეს დაგვიმრწმლნეს“.

დღეს, ცნობილია, რომ ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ერთ-ერთი მოციქულის ქადაგება სრულებით არ არის საჭირო. ეკლესიათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური ან სხვა ისტორიული მიზეზებით არის განპირობებული, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მაშინაც და ახლაც ეკლესიის ავტოკეფალია ვიწრო-აღმსარებლობითი საკითხი არ არის. ის ერის თვითმყოფადი კულტურის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა გახდავთ.

ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II, თბ., 1983.
2. ივანე ჯავახიშვილი, „ანდრია მოციქულისა და წმიდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, პეტერბურგი, 1898.
3. ქვ. ქართველი ლიტერატურის ქრესტომათია. ტ. I, შედგენილი ხოლ. უქანაშიშვილის მიერ, თბ., 1946.
4. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
5. ვ. კოპალიანი. საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობა 970-1070 წწ., თბ., 1969.
6. ს. ყაუხხიშვილი, გეორგია. ტ. VI, თბ., 1966.
7. ქ. პეტელიძე, ქართველი ლიტერატურის ისტორია. ძველი დამწერლობა, ტ. I, თბ., 1941.
8. История Византии, т. 2, М., 1967.

ქართველი სასულიერო პირების მისიონერული მოღვაწეობა XVIII-XIX საუკუნეებში

მაია გურამიშვილი, ასოც. პროფ.

ქართველი მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეომპერობელები და სამღვდელოება ქართველ მეფეთა მხარდაჭერით ცდილობდნენ აღედგინათ და განემტკიცებინათ ქრისტიანობა კავკასიის მოსახლეობაში. ქართველი მქადაგებლები ძალასა და ენერგიას არ ზოგადნენ, რათა ქრისტიანობა ექადაგათ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაში. თავის მხრივ, ქართველი მეფეები, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური და, აქედან გამომდინარე, უმძიმესი ფინანსური მდგომარეობისა, მაინც პოულობრნენ საშუალებებს ეშენებინათ ეკლესია-მონასტრები ქვეყნის ამ მხარეებში გაეგზავნათ მღვდლები და მისიონერები. სწორედ ამ გარემოებამ მისცა ბიძგი სამისიონერო მოღვაწეობის გაშლას საქართველოში. სწორედ ამ გარემოებამ მისცა ბიძგი სამისიონერო მოღვაწეობის გაშლას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

მთიულეთის მისიის „ოსეთის საულიერო კომისიას“ სათავეში გარეჯში აღზრდილი იოანე მანგლელი (სააკადე) ჩაუდგა.

1745 წელს დაარსებული ოსეთის კომისიის წევრებად შერჩეულნი იყვნენ ნამენსკის მონასტრის ქართველი ბერები; სულ 7 პიროვნება. მათ მიუდიათ საგზაოდ „100 თუმანი და წლიური ჯამაგირი დაენიშნათ 1752 მანეთის ოდენობით“.

ოსეთში ჩასვლისთანავე ბერები მხედვ შეუდგნენ საქმეს და „ფრიადი სულნი მოაქცივნეს და ნათელ მცნეს წმიდა ემბაზითა“.

იმიერ კავკასიაში გადასვლისთანავე თვალსაჩინო სასულიერო პირებმა გამოაცოცხლეს ამ მხარეში მისიონერული მოღვაწეობის ტრადიცია. მანგ-



ლელმა ეპისკოპოსმა იოანე (სააკაძემ) თავის სამოღვაწეოდ დაღესტანი აირჩია და მის მიერ გამოცოცხლებულ ქართულ საქმეს ზურგი რუსეთის სამხედრო, სასულიერო უწყებათა ქმედითი დახმარებით გაუმართა.

ქართველი მეტროპოლიტი იოანე მანგლელი თერთმეტ სასულიერო მოღვაწესთან ერთად გადასახლდა ასტრახანიდან დერბენდში (1725), სადაც ააშენა ორი ეკლესია, მისივე თაოსნობით იქნა აშენებული დვოთისმშობლის სახელობის ეკლესია ყიზლარში და ჯვართამაღლების სახელობის მამათა მონასტერი. მონასტრის წინამდვრად დაინიშნა არქიმანდრიტი დანიელი [2].

1744 წელს იოანე მანგლელმა და იოსებ სამებელმა (ქობულაშვილმა) როგორც წმინდა სინოდის არქიეპიტან ჩანს გადაწყვიტეს დაერსებინათ მისია ქრისტიანობის შეტანა-გავრცელებისათვის კავკასიის მთიელთა შორის. მათ ეს პროდუქტი წარუდგინეს წმინდა სინოდს, რომელმაც მოიწონა იგი. 1745 წელს დაარსდა ცნობილი: „ოსეთში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება“. კომისიაში მხოლოდ ქართველები შევიდნენ. ამ კომისიისათვის იოანე მანგლელმა ყიზლარში ააშენა სახლი, გააშენა ბაღები და სხვა [9107].

როგორც ქართული და რუსულენოვანი მდიდარი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე ირკევვა, ქართველთა ინიციატივით შექმნილი „ოსეთის კომისია“ დაკომპლექტდა რუსეთში მცხოვრები ქართველი სასულიერო მოღვაწეობით. იოანე მანგლელის გარდაცვალების შემდეგ (1751) სინოდმა მისიას სათავეში ჩაუყენა ისევ ქართველი არქიმანდრიტი პახომი (წერეთველი) [4, 405, 411]. „ოსეთის კომისია“ მიწნად ჰქონდა, რომ ჩრდილოეთ ოსეთი რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელ რგოლად ექცია, რისთვისაც ოსთა შორის ქრისტიანობის გავრცელება დაიწყეს. როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, არც თუ ისე

უსაფრთხო ყოფილა ქრისტიანობის ქადაგება მთიელთა შორის, [4] მიუხედავად ყოველგვარი გაჭირვებისა, ქართველი ხალხი სამდვდელოება მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

„ოსეთის კომისიაში“ სცადა ოსეთში წერა-კიოთხვის და განათლების შეტანა. 1751 წელს ქართველმა მოღვაწეებმა რუსეთის მთავრობას წარუდგინეს ოსეთში სკოლების გახსნის პროექტი. ამ პროექტით 30 ბავშვისათვის გახსნილ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე უნდა ყოფილიყო [5, 791]. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მაშინ ოსურ ენაზე განათლების მიღება სათანადო სახელმძღვანელოთა უქონლობის გამო შეუძლებელი იყო. სინოდის დავალებით ქართველები უპვეთარებინენ თარგმნიდნენ თავის ენაზე სასულიერო წიგნებს. 1764 წელს ქართველმა მისიონერებმა პირველი სკოლა გახსნეს ქალაქ მოზოვკში [4, 408].

„ოსეთის კომისიის“ საქმიანობას დიდ დახმარებას უწევდნენ თეიმურაზ II, ერეკლე II და ანტონ კათალიკოსი. მათი ხელის შეწყობით საქართველოს საგანმანათლებლო კერქებში აღიზარდა რამდენიმე მთიელი ბავშვი, რომლებმაც შემდეგ დიდი როლი შეასრულეს თავიანთი ხალხების ცხოვრებაში. ერთერთი მათგანი იყო ერეკლეს მიერ გააშნაურებული თხი იოანე იაღლუზიძე. იოანე იაღლუზიძემ გარეჯის სამონასტრო სკოლასა და თბილისის სასულიერო სემინარიაში საფუძვლიანი განათლება მიიღო და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა თავის დამწერლობისა და გავრცელების საქმეში [5, 12].

ამიერკავკასიაში სამისიონერო მოღვაწეობის ფართოდ გასაშლელებლივ მოსკოვის ქართულ ახალშემში ხანგრძლივი და ხაყოფიერი მუშაობა ჩატარდა. სამისიონერო მოღვაწეობისათვის მოსკოვში მყოფ სასულიერო პირებს ახლა ოფიციალურად მიეცათ ნება თავიანთი მრავალწლიანი სამწერლო და საგამომცემლო მოღვაწეობის შედე-



გად მიეცათ ნება თავიანთი მრავალ-წლიანი სამწერლო და საგამომცემლო მოღვაწეობის შედეგად შექმნილი პრო-დუქცია მიეწოდებინათ როგორც კავკა-სის მკვიდრთათვის ისე თანამემამუ-ლეებისათვის საკუთრივ საქართველო-ში.

იოსებ სამებელი ამბობს თ. ქორ-დანია უმთავრესი პირია იმ განათ-ლებულ სამდვდელოებას შორის, რომე-ლიც გარს ერტყა სწავლის მოვარე გახტანგს რუსეთში. სწორედ იგი გვევ-ლინება ქართული სტამბის დაარსების ინიციატორად. მან გარდა თავგამოდე-ბული შრომისა, ამ საქმეს მოახმარა მთელი თავისი ქონება. თვით იოსებ სამებელი „დავითნის“ წინასიტყვაობაში ამბობს:

„...ბრძანებითა საქართველოს მეფის ბაქარისან, მე არქიეპისკოპოსმა და კახეთის მწიგნობართუხუცესის ქობულის ძის თამაზის ძემა ისებ-ვიღვაწე და მოვიყიდე საფასითა ჩემითა სტამბა ესე. ფრიადი შრომითა და თანაშემწეობითა გურამიშვილის ქრის-ტეფორესითა გავაძეო კეთილად დაც-ვისათვის“... [1].

ამგვარად, როგორც ირკვევა ხუცეს მონაზონ ქრისტეფორე გურამი-შვილმა (დავითის ძმა მ. გ.) ეს სტამბა გააკეთა იოსებ სამებელის ბრძანებით. ამისათვის ქრისტეფორე გურამიშვილი უწინარესს მიმართავს რუსეთის მეც-ნიერებათა აკადემიას სადაც, იმპერატ-რიცის ბრძანების შესაბამისად, სტამ-ბის ასოების ჩამომსხმელმა პალატამ მისთვის დაამზადა ქართული შრიფტი [11]. როგორც ჩანს, ქრისტეფორე ამ საქმეებში მშვენივრად ერკვეოდა. თვით ლიტერების ჩამოსხმისა და ასოთაწყო-ბის ოპერაციების ჩათვლით. იგი თავის თხოვნას ასაბუთებდა უწინარეს რუ-სულ-ქართული „ანბანის“ გამოცემის აუცილებლობით. მის სახელთანვეა დაკავშირებული თბილისში ქართული სტამბისა და გამომცემლობის ადგენ-ნაც. რუსეთის სინოდის არქივებში

გამოვლენილი მასალა მოწმობს, რომ იგი საქართველოში წამოსულა ოსეთი-დან კაოლიკოს ანტონის გამოწვევით წიგნის საბჭედი დაზგების გასამართა-ვად [1, 324]. ქრისტეფორე გურამი-შვილი ამ დროისათვის უკვე ცნობილი მესტამბე იყო.

1784 წელს „ოსეთის კომისიამ“ დააარსა მოზღვოკის ეპარქია, რომლის მთავარ ეპისკოპოსად დადგენილ იქნა ქართველი არქიმანდიტრი გაიოზი (ნაც-ვლიშვილი), რომელიც ქართული წიგ-ნების ბეჭდვის თრგანიზატორად გვევ-ლინება. 1793 წლის 2 ივნისს, ამ დროს უკვე მოზღვოკის ეპარქიის ეპის-კოპოსმა ბარათი წარუდგინა იმპერატო-რის კაბინეტის უფროსს ვ. პოპოვს, „რომ მოზღვოკის საჭიროა იყოს ქართუ-ლი სტამბა, რათა პირველ ხანებში ითარგმნოს და იბეჭდებოდეს წიგნები ქართულ ენაზე.“

გამოიყო თანხა, რათა თბილისის გიმნაზიის ხარჯზე განათლება მიეღოთ მოსწავლეებს ოსეთიდან, აფხაზეთიდან, ხევსურეთიდან, ლეკეთიდან, საინგილო-დან და სხვ. [6, 8]. კავკასიის მთიელი მოსახლეობის, განსაკუთრებით, სვანე-ბისა და აფხაზების გაქრისტიანების საქმეში უდიდესი როლი ითამაშა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა. იყვნენ ოჯახები, რომელთა ოჯახის წევრთა ნაწილი ქრისტიანები იყვნენ, ნაწილი კი მუსლიმანები. აი, ასეთ პირობებში მოუხდა მოღვაწეობა მას. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა მისმა აპოსტოლურმა შრომებმა.

გაიოზმა დიდ წარმატებას მიაღ-წია, იგი იყო ფრთხილი, უბრალოდ, ყველასათვის გასაგები ენით დამაჯე-რებლად ახდენდა მოვანილი ფაქტების არგუმენტირებას, მაგალითის მიმცემი იყო მისი პირადი ცხოვრებაც.

ასეთი ქცევის გამო აღიარა იგი სვანმა ხალხმა ანალოგიური ხერხები-თა და მეთოდებით ადადგინა გაბრიელ-მა საქრისტიანო სამწყსო და საფუძვე-ლი მოუმზადა საეპისკოპოსო კათედ-



რის დაარსებას სოხუმში, გამოაცოცხლა და აღადგინა ძველი ბიჭვინთა, სული შთაბერა მრავალ დანგრეულ და უპატრონო ეკლესიას. თითოეული წამი მისი ცხოვრებისა მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია, ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის, ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალ

სათხოებისა და სიყვარულისა, მარტლისა და ჰეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურიგებელი არიანო. იგი მაგალითია ამ გარიგებისა და მოთავსებისა. მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანი მდგდელმთავრისა რომ ავიდოთ, ძნელად იარვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის ან სარწმუნოება მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოების ამცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა ასე შეაფასა მისი ლვაწლი ილია ჭავჭავაძემ. როდესაც ვიხსენებთ განმანათლებელ გაბრიელს, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ დავით მაჭავარიანის სამისიონერო მოღვაწეობა დასავლეთ საქართველოში, სამურზაფანოსა და აფხაზეთში. 10-15 წელიწადში შერეული ქრისტეს რჯული სრულიად აღხდგა „მისი უშუალო ინიციატივით გაიხსნა სასულიერო მასწავლებელი. ამ საქმეში მას დიდი დახმარებას უწევდნენ ბერები ბესარიონ დგებუა და ათანასე ეორდანია [8].

ქართველი სამღვდელოების მისიონერულმა საქმიანობამ განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია XIX საუკუნის ბოლოსათვის. ამ პერიოდში სამისიონერო მოღვაწეობაში თავისი წვლილი შეიტანა „წმინდა სამშობლოს მმობამ“, რომელიც დაარსდა თბილისში სიონის ეკლესიასთან 1885 წლის 10 ნოემბერს. მათი საქმიანობის მიზანი იყო განემტკიცებინათ ქრისტიანული მოძღვრება ქვეყნის მივარდნილ ადგილებში და წინაღდგომოდნენ კათოლიკური, ლუთერანული და ბაბტისტური

რელიგიის პროპაგანდას ამიერკავკასიაში, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი რუსეთთან შეერთების შემდეგ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ქართველები ერთ-ერთი ერია მსოფლიოში, რომელსაც არასოდეს შეუვიწროებია და არ შეულაბავს სხვა სარწმუნოება. ასე იყო ოდითგანვე და ასეა დღესაც. მისიონერულ საქმიანობაში უდიდეს როლი შეასრულა ალექსანდრე ოქროპირიძემ. სამაგალითოა ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს პირადი ცხოვრება. თავის დროზე ხარჯავდა სულ მცირეს. მთელ თავის მონაგარს უმთავრესად სწირავდა იმ საქმეს, რომელსაც ემსახურებოდა, სახელდობრ: აახლებდა ძველი მწერლობის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, ხოტებად აღებინებდა და ასტამბინებდა ქართული საგალობლების საუკეთესო ნიმუშებს და სხვ. თავისი ქონების უდიდესი ნაწილი მოახმარა შიო მღვიმის მონასტრის განახლებას; აღადგინა და ძვირფასი მხატვრობით შეაძო წმ. შიო-მღვიმელის საფლავის ეკლესია. მანვე განახლა ზედაზნის, ჯვარისა და დავით გარეჯის მონასტრები. დასასრულს უნდა ითქვას, რომ ქართველ საკლესიო მოღვაწეთა მისიონერულმა საქმიანობამ უდიდესი როლი ითამაშა საქართველოში, განსაკუთრებით მთიელ მოსახლეობაში ქრისტიანული რელიგიის აღდგნისა და განმტკიცების საქმეში.

ლიტერატურა

- პ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, გ. VII;
- И. Савинский, Грузины и иноалавные христиане в Астраханской епархии, Астраханская епархия (1602-1902 гг) вп II, 1903;
- ვ. სიხარულიძე, მოსკოვის ქართული ახალშენების ისტორიიდან, 1991;
- შ. ხანთაძე ქართველი მოღვაწეები ჩრდილო კავკასიაში მე-18 საუკუნეში, 1957;
- Б. Алборов, Новое в истории изучении первой печатной книги, 1964;



6. И. Савинский, Духовный вестник грузинского экзархата, 1898, №18;
7. Акак, II;
8. ვ. ა. თორაძე, ნ. ვ. თორაძე, საქართველოს მართლმადიდებლური ეპარქია მე-19-20 საუკუნეებში, თბ., 1995.

Maya Guramishvili

Activity of Georgian ecclesiastics personnel educational in north Caucasus

Summary

After failure of Vakhtang the VI, great number of nobility and clergy has emigrated in Russia. Georgian settlements have been created in North Caucasus and headed to ecclesiastic mission.

According to archives of Holy Synod Ioane Mangleli and Ioseb Sambeli decided to establish a mission for entering-spreading of Christianity among Caucasus mountainous people. The well-known "Society of Reviving of Christianity in Ossetia" was founded by their attempt in 1745. The board included only Georgians. The first school where children of mountainous persons studied was built in 1764 in Mozdok. Georgian ecclesiastics carried out active editing work, including we should be mention Ioseb Samebeli, Kristepore Guramishvili and Gaioz's activity.

გულაშის ჯვარცმის ეპლაზის 0სტორიდან

ერიშერ გვენეტაძე, პროფესორი

ტოპონიმ „კულაშის“ შესახებ არ-სებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც თავად მიქელაძესთან სტუმრად მყოფ მეფეს მასაინძლის კულა მოსწონებია. ეს შეუმჩნევია მიქელაძეს და გვირგვინოსნისათვის სასმისი უჩუქებია, სამა-გიეროდ მეფეც არ დარჩენილა ვალში და მისთვის დაუსახლებელი აღგილი უბოძებია, სადაც შემდეგ დასახლებული აღგილი გაჩენილა, რომლისთვისაც კულაში დაურქემევიათ.

ჩვენი აზრით საფიქრებელია, რომ ტოპონიმ „კულაშის“ წარმოშობა და-კაგშირებული იყოს უძველეს დროში ამ ტრიტორიაზე მცხოვრებ „კოლას“ ტომთან და ძველი კოლხეთის სამეფო-სთან.

სოფელი კულაში შედიოდა ცნო-ბილ მიქელაძეთა სათავადოში. მიქელა-ძეების სათავადოს აღმოსავლეთით გუბისწყალი საზღვრავდა, დასავლე-თით - ცხენისწყალი, სამხრეთით ჩიჯა-ვაძეთა კუთვნილი სოფელი გომი, ხოლო ჩრდილოეთით - ქვიტირი.

მიქელაძეთა სათავადოს რეზიდენ-ცია კულაშში ყოფილა განთავსებული. სახელდობრ იმ აღგილზე, რომელსაც ჯვარცმის მინდორს ეძახიან და სადაც ამჟამად წმიდა ნაზარის (ლექავა) ტაძა-რია აღმართული. მიქელაძეების სასახ-ლე შეადგენდა ციხესიმაგრესა და ქრისტეს ჯვარცმის სახელზედ აგებუ-ლი ეკლესიას. გადმოცემის თანახმად ციხესიმაგრე სათოფურიანი კოშკებით ყოფილა გარშემოცული, რომელსაც ომიანობის დროს მიქელაძეები მტრი-საგან უნდა დაეცვა. ამავე ეკლესიის ეზოში ყოფილა მათი საგვარეულო საძვალეც.

წყაროთა ცნობით მიქელაძეთა თავადურ გვარს 13 სოფელი ეპულვ-ნოდა. ესენი იყვნენ, მოლიანად თუ



ნაწილობრივ - 1. ქულაში; 2. ჭყუშური (ჭყვიშური); 3. მიწა - ბოგირა; 4. კვირიკე; 5. ნინუაკუთხე; 6. ჭაბანი; 7. ჩენიში; 8. ნაბაკევი; 9. ხუნჯულაური; 10. ილორი; 11. სანავარდო (ნაწილობრივ - ვინაიდან სანავარდოში ყმა - მამულებს ქუთათელი ეპისკოპოსი და ჭილაძეებიც ფლობდნენ).

სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის ერთ-ერთი საუნჯეა „ჯვარცმის“ სახელზე აგებული ეკლესია. იგი მდგბარეობს სასაფლაოს ეზოში. მისი ზომებია: სიგრძე 6 მ 60 სმ, სიგანე 5 მ 60 სმ, სიმაღლე 3 მ 50 სმ, სამლოცველო ერთნავიანი, დარბაზული ტიპისაა, ნაგებია სუფთად გათლილი ქვის დიდი კვადრებით. ეკლესია ძველი და სამნავიანი ბაზილიკა უნდა ყოფილიყო, ამჟამინდელი სამლოცველო ბაზილიკის შედ ნავია. პირველი სახით ჩვენამდე მოაღწია აღმოსავლეთ მხარის მხოლოდ ქვედა ნაწილშა.

საყდარი, თავდაპირველად, ჯვარცმის სახელზე ყოფილი ნაკურთხი, რასაც ადასტურებს ნაპოვნი ბეჭედი და სხვა წერილობითი წყაროები. ბეჭედს პირდაპირ აწერია: „კულაშის ჯვარცმის სახელობის ეკლესია“. დღეს კი იგი ჯვართამაღლების სახელზედაა აღმართული.

უკრადლებას იმსახურებს კულაშის ეკლესიის კარიბჭე. მის ბოძებს შეადგენს სუფთად გათლილი, უზარმაზარი, მოყვითალო ფერის ქვები, შემცული ორნამენტებითა და ჩუქურთმებით.

ამ სოფლის უხუცესთა თქმით ეკლესია აშენებულია 805 წელს და ამას ასაბუთებენ იმით, რომ თითქოსდა ეს თარიღი ამოკვეთილი იყო ტაძრის მაღალ კუთხეში. ტაძარი აგებულია თლილი ქვისაგან. ეკლესიას აღმოსავლეთის მხარეზე აქვს მომცრო ზომის დია თრი ნიში სინათლისათვის, ხოლო დასავლეთის მხარეზე კედელში ჩაშენებულია ქვაში გამოკვეთილი ვერძის თავი. ეკლესიაში შემორჩენილია ფრესკები. ერთ-ერთი გადმოცემა კულაშის

ჯვარცმის ეკლესიას XII საუკუნის ქმნილებად მიიჩნევს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კულაშის ჯვარცმის ეკლესია აგებულია შეა საუკუნეებში, სახელდობრ, XVI საუკუნეში. ამ ტაძართან უნდა იყოს დაკავშირებული ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. კერძოდ, მას შემდეგ რაც იმერეთის ყოფილ დედოფალ თამარ აბაშიძესა და გიორგი ჩიქოვანლიპარტიანს გადაუწყვეტით დაქორწინება, მათ ჯვარი სავარაუდოდ კულაშის ჯვარცმის ეკლესიაში უნდა დაეწერათ. ამ ამბავს ასე გადმოგვცემს დიდი ვახუშტი ბატონიშვილი: „ხოლო ასულმან აბაშიძისამან ინება შერთუალიპარტიანისაცა.....და ამისათვის წარვიდა თამარ ოდიშს, ისტუმრა მიქელაძემ გიორგიმ, რამეთუ აბაშიძე იყო დისტული მიქელაძისა და გამოიკითხა სადა-მიმავლობა თამარისა. ხოლო სცნა რა, ეტეკოდა თამარს: „რად წარხვალ ოდიშს. ვინათვან ხარ ასული ჩვენი, მოყვანე ლიპარტიანი და მე გიქმნა ქორწილი ჯეროვანი“. ირწმუნა თამარ და მოუწოდა ლიპარტიანისა და იგი მოვიდა მციროთა კაცითა.....სცხო მირონი თამარს. შემდგომად უმასპინძლა, უძღუნა და განუტევა.“ ეს ის გიორგი მიქელაძე უნდა იყოს, რომელსაც თავის დროზე „ოთხი მოსახლე ბერაიები შეეწირა და კათალიკოზისათვის წირვა დაედო“.

კულაშის ჯვარცმის ტაძართან და მინდორთან მრავალი საინტერესო მოვლენა და ლეგენდაა დაკავშირებული.

სოფელ კულაშში - „ერთ დროს საუკეთესო თავადთა მიქელაძეთა საცხოვრებელში ახალ კვირეობა ყოფილა განთქმული“. ლეგენდის მიხედვით მიქაელ მიქელაძეს ჰყოლია შვილი აბესალომი. ის გარდაცვლილა ქრისტეს აღდგომის დღესაწაულის წინა დღეებში. მოხუცი დედა გულდათურქული დასტირდა თურმე ერთადერთ ვაჟს. მხცოვან მამას კი აღდგომის



დილას მოუკრებია ძალა მისულა მგლოვიარე თანამეცხედრებთან მოუხვევია ხელი მისვის და მაცრად უთქვამს: „ახლა არ არის წუხილის დრო.... და იყოს უფლის ნება! უკეთესი იქნება წავიდეთ და მაცხოვრის ადგღომისათვის ვილოცოთ“. მოხუცები გამგზავრებულან ტაძარში. სახლში დაბრუნებულ მიქაელს ხელში წითელი კვერცხი დაუჭერია მისულა შვილის კუბოსთან და სამჯერ წარმოუთქვამს: „ქრისტე, აღადგინე ჩემი შვილი“, „ქრისტე, აღადგინე ჩემი შვილი“, „ქრისტე, აღადგინე ჩემი შვილი“ მესამე წარმოოქმის შემდეგ, გარდაცვლილს გამოუწვდია ხელი, აუდია კვერცი და წარმომდგარა კუბოდან. აქედან მოყოლებული მიქელაქეები აღდგომას აღნიშნავდნენ არა ისე როგორც მთელი მართლმადიდებლური სამყარო, არამედ ამ სასწაულის მოხდენის დღეს - ქრისტეს აღდგომის მომდევნო კვირას, რომელსაც იმერეთში უწოდებენ ახალ კვირას. ამ დღეს ტარდებოდა თურმე ბურთაობა, რომელშიც 1500 ქვეითი და 500-მდე ცხენოსანი იღებდა მონაწილეობას. მაყურებელი კი გაზეთ „დროების“ ცნობით ათი იმდენი ყოფილა.

მე-19 საუკუნეში კულაშის საბალადოებინო მაზრა მდებარეობდა იმერეთის ეპარქიის დასავლეთის მხრით სამეგრელოს ეპარქიის საზღვარზე. ამ საბლადოებინოში იყო 28 სამდვდლო შტატი.

კულაშის საბლადოებინო აქტიურად იყო ჩართული და მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის აგზოგვალისათვის მებრძოლ სასულიერო და საერო მოღვაწეებს. ამას მოწმობს შემდგენ სახის დოკუმენტი: „1906 წლის 10 ივნისს მოხდა კულაშის საბლადოებინო ოლქის სამდვდელოების კრება. კრებამ დაადგინა: 1. გამოცხადოს კულაშის ოლქის სამდვდელოების მხრით უგულითადესი მადლობა ეპისკოპოსს დეონიდს მამაცურ და

მედგარი ბრძოლისათვის ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭების გამო. 2. გამოცხადოს ზიზღი იმ სამდვდელო პირთ, რომელიც გაგზავნილ „დანოსებით“ აფერხებენ საქართველოს ეკლესიის თავისუფლების საქმეს. გამოცხადოს გაფრთხილება იმერეთის სამდვდელოების რწმუნებულთ, რათა მათ იმოქმედონ ეპისკოპოს ლეონიდთან ერთად და არა პარტიულად, რადგან ყოველგვარ მათგან წამოყენებულ „პირად კინკლაობას“ შეძლიან არაა სასურველ წერტილადის მიიყვანოს სურვილი სამდვდელოებისა ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ..... 3. სამუდამოდ მოისპოს ხალხისაგან ძალმომრეობით ფულის გადახდევინება, როგორც „დრამა“ სამდვდელოების სასარგებლოდ. 4. დაარსებულ საბჭო ახლად არჩეული ბლადობინის თავმჯდომარეობით და ორ იმის თანაშემწისაგან.... 5. ეთხოვოს ეპისკოპოს ლეონიდს, მიიღოს ყოველი საშუალება, რათა საეპარქიო საქალებო სასწავლებელი მომავალ ენკანისთვიდან არ დაიხუროს; 6. მიეცეს მედავითნების შემოსავლიდან (ძლიერ მცირე შემოსავალია) მესამედი ნაწილი, მხოლოდ დაეკისროთ საბუთების წარმოება ქართულს ენაზე; 7. მიენდოს მომავალი წლიდანაც სახელმწიფო ჯამაგირის გამოტანა და დარიგება დეკანოზეს ერთალოზ კანდელაქს; 8. ეთხოვოს ეპ. ლეონიდს აღძრას შუამდგომლობა, რათა გარდაცვალებულ მღ. სერგი კალაძის ცოლშვილს, სიღარიბეში მყოფს, თხუთმეტი წლის სამსახურისათვის დაენიშნოს ნაწილი პენსიისა; 9. სამდვდელოებამ ვერ დააკმაყოფილა სასულიერო სასწავლებლის წინადაღება მოსამზადებელი კლასების შესანახად ფულით დახმარების შესახებ; 10. მოეთხოვოს სახაზინო კანტორას, დაუყოვნებლივ განაწილდეს ამ წელს სინოდის მიერ დანიშნული ჯამაგირი უჯამაგირო მდვდელთა შორის; გამოცხადოს პროტესტი კანტორას,



რადგან იგი აგვიანებს ჯამაგირების დროზე გაყოფას“.

1887 წლის 4 ივლისს კულაშს სწვევია დიდი მომღერალი, ქართული გალობის უდიდესი მოამაგე აწ შევ წმინდანად შერაცხული ფილიმონ ქორიძე. მის შეიდგაციან ქართული გალობის მომხრე გუნდს სასწავლებლის დარბაზში კონცერტი ჩაუტარებია. კონცერტი „განიყოფოდა“ თურმე ორ ნაწილად. პირველი შედგებოდა ექვსი რუსული სიმღერისაგან, საიდანაც ორი თავად ბ-ნ ფილიმონს უმღერია, ხოლო დანარჩენი თოხი მისსავე ხოროს მისსავე ლოტბარობით.

1914 წლის საარქივო მასალებიდან დგინდება, რომ მრევლს კულაშის ჯვარცმის ეკლესია შეუკეთებია 1812 წელს. არის ქვის და დახურულია ყავრით.

იშვიათობა არ იყო ტაძრების ძარცვაც ასე მაგალითად 1890 წელს ყაჩაღებს დამით გაუძარცვათ კულაშის ჯვარცმის ეკლესია, საიდანაც წაუდიათ შენაწირი ფული.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში კულაშის ჯვარცმის ეკლესია აღწერა ცნობილმა მკვლევარმა და მამული-შვილმა გიორგი ბოჭორიძემ. მეცნიერის მონაცემებით: კულაშის ეკლესია ერთნავიანი ბაზილიკა 7×5 არშინი, რომელსაც დასავლეთით პქნია საქალებო 3 1/4×3 არშინი თლილი ქვისა და კირისაგან, საქალებო რიყის ქვისა და კირისაგან. საქალებო შემდეგში ყოფილა მიშენებული და ორგანულად დაგავშირებული მთავარ შენობასთან. საქალებო ეკლესია თაღი არ პქნია, დახურული იყო ყავარით. კარგი პქნია დასავლეთით და სამხრეთით. ტრაპეზი კედელზე ყოფილა მიდგმული. ხოლო სამკვეთლო ჩრდილო კედელში ყოფილა გამართული. აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებს (საკურთხეველში) პქნია თახები.

ეკლესია და საქალებო მოხატული ყოფილას. ეკლესიის მხატვრობაში

განირჩეოდა ძველი და ახალი ხანა, ე.ი. ზედა და ქვედა ფენები. ეს განსაკუთრებით ეტყობოდა საკურთხევლის ჩრდილოეთის კედელს, სამკვეთლოს მარჯვენა კუთხესთან.

მე-19 საუკუნის 60 - იანი წლების ბოლომდე კულაშის ჯვარცმის ეკლესია შედიოდა სამეგრელოს ეპარქიის შემადგენლობაში და წყაროებში მოიხსინება როგორც „სამეგრელოს ეპარქიის სამიქლაოს კულაშის ჯვარცმის ეკლესია“.

კულაშის ჯვარცმის ეკლესიის მრევლნი იყვნენ:

გლეხები - კრავეიშვილები; შენგლიები; ერქვანიძეები; ფსხალაძეები; სახოკიები; თურქიები; ქუთათელაძეები; ბალანჩივაძეები; ქურდიები; ჯდამაძეები; ააპავები; კიკაჩეიშვილები; ხვედელიძეები; ნიკურაძეები; ნინუები; ხუჭუები; გეგეშიძეები; გაბეჩავები; ახობაძეები; ოტრაბახიძეები; სტურუები; გიგინეშვილები; კვანტალიანები; ფანცულაძეები; ტორონჯაძეები; ბალანჩივაძეები; გვერდის კაშიები.

თავადი: მიქელაძე.

საეკლესიო აზნაური: კანდელაკი.

აზნაური: მიქელაძე; კანდელაკი.

1922 წელს კულაშის ჯვარცმის ეკლესიის განძულობის აღწერა ჩაუტარებია კომუნისტურ ხელისუფლებას. კომისიის წევრები ყოფილან: ქუთაისის პოლიტიუროს წარმომადგენელი ალექსანდრე მაისუროვი; კულაშის აღმასრულებელი კომიტეტის თამჯდომარე დომენტი სტურუა; მდვდლები: საბა ჩაჩუა და მელიტონ კუხალევიშვილი.

კულაშის ჯვარცმის ეკლესიის განძულობის აღწერილობა:



Nº	ნივთების სახელწოდება	რ	ნიშნები
1	მდგდლის ვულზე შემაღლებული სატარებელი ჯვა-- რი, ვერცხლის წვრილი ჩამოსაკი- დებელი ძეწათ.	1	წარწერით „ნიკა“
2	ისეთივე ჯვარი ძეწათ	1	გული შავი რქი- სა
3	ჯვარი ვერცხლის ხეზე გადაკრული	1	ძველი
4	ხის პატარა ჯვა- რი ვერცხლით შემოსილი	1	ხეზე ანგელოზების გამოხატულება
5	ხატი პატარა ფორმატის ჩვეუ- ლებრივი	1	წარწერა „მიქელაძის შემოწირულება“
6	ხელში დასაკავებელი პროცესის ჯვარი ვერცხლის	1	ბოლოზე რკინის წვეტები, გული ფართო სურათებით
7	ბარძიმი ვერცხლის	4	სამი ძველებური, ერთი ახალი მოქრული
8	ვარსკვლავი ვერცხლის	3	ერთი მოქრული
9	ფეშეუმი ვერცხლის	3	ერთი მოქრული
10	ძოვზი ვერცხლის	3	ერთი მოქრული, მეორე მოქრული, ერთი ძველებური.
11	ლიტრები ვერცხლის, ძველებური უბრალო	2	დაზიანებული
12	საცეცხლური ვერცხლის ჯა- ჭვითურთ ძველებური	1	ძლიერ ნამარია

გაიარა წლებმა, უფლის ნებითა
და ადგილობრივთა ძალისხმევით კუ-
ლაშის ჯვარცმის ეკლესიას გასული
ათასწლეულის უკანასკნელ ათწლეუ-
ლში ჩაუტარდა რესტავრაცია. ტაძარი
მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ჯვართ-
ამაღლების სახელზედ აკურთხა ქუთა-
თელ-გაენათის მიტროპოლიტმა კალის-
ტრატემ. ამჟამად მასში წირვა-ლოცვა
აღვლინება.

ლიტერატურა

- ბატონიშვილი ვ. აღწერა სამეფოსა
საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“,
ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა
ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.
ყაუხესიშვილის მიერ. თბ., 1973.
- ბოჭორიძე გ. იმერეთის ისტორიული
ძეგლები. თბ., 1995.
- „ივერია“, 1887, №137.
- „ივერია“, 1890, №247.
- „ივერია“, 1895, № 114.
- ნიკოლეიშვილი მ. სამტრედიის ის-
ტორიიდან (1870-1921). ქუთაისი, 1957.
- სოსელია ო. ნარგებები ფეოდა-
ლური ხანის დასავლეთ საქართველოს
სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან
(სათავადოები). I, თბ., 1973.



თბილის შემოვრთებული სოფლები

მანანა ქუთათელაძე

თბილის სამხრეთით თრიალეთის ქადი ესაზღვრება, რომელზედაც უძველესი სოფლებია გაშენებული, დღეს ეს ტერიტორია თბილისის საზღვრებია მოქცეული.

ისტორიულად ამ სოფლების ნაწილი მეფეთა და დიდებულთა სააგარაკო ადგილს წარმოადგენდა და მას აგარანი – აგარაები ეწოდებოდა. „აგარა“ სულხან-საბას განმარტებით სადგური საზაფხულოს“ ნიშნავს. თბილისის გარშემო სოფლები, ზოგი წარმოშობისთანავე, ზოგი შემდეგ, დაქვემდებარებით ქალაქის აგარაკები იყო“ – წერს ისტორიკოსი ალექსანდრე ბოშიშვილი.

აქ გადიოდა თბილისიდან სომხით-საბარათიანოსაკენ მიმავალი ერთადერთი საქარავნო გზა, რომლის დასაცავად კოჯრის მაღალ კლდეზე ციხე ააშენეს. ფეოდალური საქართველოსათვის ამ ციხე-სიმაგრეს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა და ამიტომ მას ქართველი მეფეები დიდ ურადღებას აქცევდნენ.

კოჯრის ციხეს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ – აგარანის ციხე, კოურის ციხე, ქოროდლი, ვახუშტი ბატონიშვილი მას აზეულას ციხეს უწოდებს. მეცნიერები ციხის აშენების თარიღად IX საუკუნეს ასახელებენ.

საისტორიო წყაროებმა ბევრი ცნობა შემოგვინახა კოჯრის ციხის შესახებ. XI საუკუნის 60-იან წლებში მეფე ბაგრატ IV-მ ციხე განხის ამირა ფადლონს წართვა. „დიდი თურქობის“ დროს აგარანი მთლიანად მტრის ხელში იყო, მხოლოდ 1113 წელს დავით ალმაშენებელმა შეძლო ამ ტერიტორიის განთავისუფლება. 1123 წელს აზეულას ციხე მეფე დავითმა ივანე

ორბელს უწყალობა, თუმცა 1177-1178 წლებში აგარათა ციხე დამნა ბატონიშვილის და ივანე ორბელის მეფის წინააღმდეგ შეთქმულების გამო ჩამოართვეს.

აგარათა ციხე გიორგი III-სა და თამარ მეფის ხელში გადავიდა. ბასილი ეზოთმოძღვარის ცნობით „დასხეულებული“ თამარ მეფე თავისი სამეფო ამალით ნახევარი წლით კოჯრის ციხეში დასახლებულა „წამოიყვანეს აგარათა ციხესა“. აქვე „აგარათა“ იმყოფებოდა მეფის მრავალრიცხოვანი კარი. ციხეში ასევე სამეფო პალატები მდებარეობდა, რომელსაც ჰქონდა მეფის „სასუენებელი“, სადაც „შემოუწოდა თამარ მეფემ ყოველთა სამეფოსა თვისისათა წინაშე მისსა და სიკვდილის წინ მეფური სიტყვა უთხრა მათ“. 6. ბერძენიშვილის აზრით „აგარათა ციხე შენობანაგებობათა რთული კომპლექსი უნდა ყოფილიყო“.

1338 წლის წყალობის სიგელში აღნიშნულია, რომ კოჯორი გიორგი ბრწყინვალებ უბობა „თორელ ივანე ჯავახიშვილს“.

XV საუკუნიდან აზეულას ციხე სოლადაშვილების გვარის კუთვნილება გახდა. 1488 წელს კოჯრის ციხე ძლიერ დაუზიანებია იაყუბ-ყავნის მიერ გამოგზავნილ ლაშქარს. სოლადაშვილების მცირერიცხოვანი მეციხოვნები ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქმნენ ციხე მტრისთვის დაეთმოთ.

თამარის სიკვდილის შემდეგ კოჯორში მეფეთა დგომის ტრადიცია შეწყდა. მხოლოდ XVII საუკუნეში მეფე როსტომმა განაახლა მეფეთა საზაფხულო სადგომი. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „კოჯრის თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამხრეთით არს სასახლე მეფისა. კოჯორი აღაშენა პთ მეფემან როსტომ. უმეტესა უა მეფემან გიორგიმ და ქდ მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი“. ამ სასახლეშივე იყო მარნები, რომლებშიც



ქვემო ქართლის სოფლებიდან ეზიდებოდნენ დგინოებს. ქართველ მეფეთა მთავარი საჯინიბოებიც კოჯორში მდებარეობდა.

ისტორიული საბუთის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოსს ნიკოლოზ VI-ს 1687 წელს კოჯორში სასახლე და „კარის საყდარი“ აუგია.

ი. გიულდენშტედმა XVIII საუკუნეში მოგზაურობის დროს თავის დღიურში ჩაწერა: „მეფები წინათ, ზაფხულობით, იდგნენ მთაზე კოჯორთან, რადგან იქ სიცხეები ნაკლებია...“

სოფელი კოჯორი

აზეულას ციხის მისადგომებთან სოფელი კოჯორი იყო გაშენებული, რომელიც აგარანის უკელაზე მაღლა მდებარე სოფელია. მან ციხესთან ერთად მრავალჯერ შეიცვალა პატრონი, როგორც უცხოელი დამპყრობელი ასევე ქართველი მეფე-დიდებულები.

სოფელი ციხესთან ერთად მცირდება მრავალჯერ იქნა დარბეული. 1795 წელს, აღა-მაჟად-ხანის შემოსევის დროს, სოფელი თითქმის მთლიანად განადგურდა, ამის შემდეგ ისტორიულ წყაროებში კოჯორს მოიხსენიებენ როგორც „ხრიოკ ადგილს მცირე მოსახლეობით“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, 1840-იან წლებში მეფისნაცვალ ვორონცოვის დროს, კოჯორის მიდამოები ხაზინაშ შეიძინა და მიწის ნაკვეთები უფასოდ დაარიგა, იმ პირბით, რომ ორი წლის განმავლობაში მეპატრონებს უნდა ჩაედგა სახლი და მის გარშემო ბალი გაეშენებინა. მრავალმა შეძლებულმა თავადმა და ვაჭარმა კოჯორში აგარაკები აიშენა.

1850 წლიდან კოჯორი რუსეთის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის, მთავარმართებლის კანცელარიის, გენერალური შტაბის და სხვა სახაზინო დაწესებულებების საზაფხულო რეზი-

დენცია ხდება. 1898 წლის 5 მაისის გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ახალ ამბებში სათაურით „საზაფხულო კოლონია (ახალშენი) კოჯორში“ ვკითხულობთ: „კავკასიის მთავარმართებლის თაოსნობით კოჯორში გაიმართება საზაფხულო კოლონია სასწავლებელთა მოწაფეთათვის. კოლონიის მართვა-გამგება მიენდობა საგანგებო კომიტეტს მზრუნველის მეთაურობით“. ამის შემდეგ კეთილშობილ ქალთა გიმნაზია და უმეტესი სასწავლებლები ზაფხულის პერიოდში კოჯორში გადადის.

კოჯორში სახელმწიფო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მომრავლების გამო საჭირო გახდა მომსახურე პერსონალის გაზრდა, ამიტომ ხელისუფლებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დაიწყო ხალხის ჩამოყვანა. XIX საუკუნის II ნახევრიდან კოჯორში იწყება მოსახლეობის ინტენსიური ზრდა.

კოჯორი იმდენად მნიშვნელოვანი დასახლება ხდება, რომ ხელისუფლება იწყებს მის იერსახის შექმნაზე ზრუნვას, გზის და კომუნიკაციების პრობლემების მოგვარებას. 1896 წელს გაჩნდა თბილისი-კოჯორის რკინიგზის მშენებლობის იდეა - „ამიერკავკასიის რკინის გზის ინჟინერი ნ. პ. ისაევი ამ დღეებში პეტერბურგს მიდის და გზათა სამინისტროს ნებართვა უნდა სოხოვოს ტფილისსა და კოჯორს შეავიტონ ლიანდაგის რკინის გზის გამართვისა“ - წერს „ცნობის ფურცელი“.

ნებართვის მიღებას საქართველო დიდი დრო დაჭირვებით, 1902 წლის „პატაზ“-ი წერს, რომ: „ინჟინერ რობის რწმუნებულმა, ინჟინერმა რაგოლერმა კავკასიის უმაღლეს მთავრობას თხოვნა მიართვა ტფილისსა და კოჯორს შეატრამვას გასამართავად ნებართვის შესახებ. პირველი სადგური ბ-ნ რობის მიერ განზრახულ ტრამვაისა გაიმართება მამა დავითის გორაზედ, სადაც რესტორანი „განდეგილია“. აქედან მთის ფერდობს გაჰყვება,



წმ.ნინოს სახწავლებლის აგარაკთან წავისს გაუვლის და კოჯორს ზემო გზატკეცილზე ავა. სიგრძე ტრამვაის 10 ვერსი ექმნება. ვაგონები სამ ადგილას გაჩერდება: ოქროყანასა, წავისსა და წმ.ნინოს აგარაკთან“. თუმცა ამ პროექტის განხორციელება ვერ მოხერხდა.

1897 წელს იწყება ზრუნვა სატელეფონო ხაზის გაყვანაზე - „ზოგიერთი მეაგარაკეთა თხოვნის თანახმად, ბნი ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი შუამდგომლობს, ნება მიეცეს მას გაიყვანოს ტფილისიდამ კოჯრამდე ტელეფონის მავრთული და ცენტრალური სადგური გამჭაროს იქნა“. („ცნობის ფურცელი“).

არც საბჭოთა არმიის შემოსვლას ჩაუვლია უსისხლოდ აგარაკის ტერიტორიაზე. 1921 წელს რუსთის XI არმიასთან ბრძოლებში დაიღუპა ქართველი იუნკერთა დიდი ნაწილი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მდიდარი აგარაკები ბავშვთა დაწესებულებებად გადააქციეს, ნაწილი კი საცხოვრებელ სახლებად დაარიგეს.

სოფლის სიძველეზე მიუთითებს კოჯორში და მის შემოგარენში უძველესი ქართული მართლმადიდებლური ეპლესია-მონასტრები.

პოჯრის უძოს ტმინდა გიორგის ეპლესი



კოჯორის ჩრდილოეთით, უძოს ქედის მთის უმაღლეს მწვერვალზე, რომელიც ზღვის დონიდან 1418 მეტრზე მდებარეობს, წმინდა გიორგის უძველესი ეკლესია დგას.

მკვლევარები თვლიან, რომ წმინდა გიორგის ეკლესის ადგილას წინაქრისტიანული პერიოდის სალოცავი მდგარა. იგი ხატობისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, სადაც თაყვანს მუხას სცემდნენ.

ვახუშტი კოტეტიშვილი უძობას ადარებს ბერძნულ არტემი-აპოლოს კულტს, რადგან აპოლონის ტყეპის ცალი - ქალღმერთი არტემისი ანუ არტემიდა ფეხმძიმე ქალებისა და ახალშობილ ბავთა მფარველი იყო. უძო - უძეოს ნიშნავს და იგი ტრადიციულად დგეხსაც უშვილოთა სალოცავია. აქ მანდილოსნები ფეხშიშველები მოდიოდნენ და წმინდა გიორგის შვილს სთხოვდნენ. მომლოცველები სალოცავს პატარა აკვანს, არტახებს და სხვა ჩვილებთან დაკავშირებულ ნივთებს სწირავდნენ.

უძოზე სალოცავად მოდიოდნენ უშვილო მანდილოსნები, რომელიც ევედრებოდნენ წმინდა გიორგის შვილს და იქმე ერთ ხეზე ტოვებდნენ შესაწირავს. ეს ხე ბოლო დრომდე არსებობდა კუნელის ხე და მას „ნატვრის



ხეს“, ან „მოსალოც“ ხეს ეძახდნენ. აქეთ ამ კუნელის ხესთან არის ნიში სანთლებისათვის.

ამ ტაძართან დაკავშირებული თქმულება არსებობს: „ზემობლა თბილისი დიდი იყო მტერზე გამარჯვების სიხარული. გარე სოფლების მაღალი მთებიდან გადმოჰყურებდნენ თბილის და წუთი წუთზე ელოდნენ გამარჯვებული ქმრების, შვილებისა და ახლობლების სახლში დაბრუნებას, აქ იყო მზექალაც გამარჯვებულ ხალხს შექსაროდა. უბრწყინავდა თვალები, გულს კი უძეოდ ყოვნის სინაული ახლა უფრო ეგრძნო. სოფლის ცხოვრებას მისდევდა ტპბილი ცოლ-ქმარი, მზექალა ყოველდღე ევერებოდა უფალს რომ მისთვის ძე მიეცა. ყოველ დღე დადიოდა საყდარში ფეხშიშველი, მუხლაშოქილი. ამბობენ, ის დიდი ხე, მსხვილტოტა და ფართოდ გაშლილი რომელზეც მზექალას უყარდა მიყრნობა, მისი ცოდვით გახმაო. ამ დიდი მთას კი, ამაყად რომ გადმოსცერის თბილისს, უძეოს, ანუ უძოს მთა დაარჩევს“.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქამს თემურ კენკებაშვილი რომელიც წერს, რომ: „სახელწოდება კოჯორი, ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, გვესახება ორფუძიან კომპროზიტად. პირველი ფუძეა სიტყვა - კო, მეორე ფუძეა - ჯორი. კო სახელნაცვალი ფორმა უნდა იყოს სიტყვისა რკო, რაც ძველ ქართულში მუხას აღნიშნავდა. ჯორი სახელნაცვალი ფორმა უნდა იყოს სიტყვისა ჯვარი. ამ სახის ცვლილებაც ქართული ენის ნორმებით გამართლებულია. ამრიგად, სიტყვა კოჯორი, როგორც კომპროზიტი, მნიშვნელობით იგივეა, რაც მუხაჯვარი. კოჯორი ანუ მუხაჯვარი თავდაპირველად სალოცავი ობიექტისა და ადგილის სახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ კი სახელწოდება კოჯორი, უნდა შერქმეოდა დასახლებულ პუნქტს, დაბას. კოჯორის, როგორც სალოცავი ობიექტისა და

ადგილის ლოკალიზაციას ვახდენთ დღევანდელი უძოს ფარგლებში. ყოფის მონაცემებით აშკარა ხდება უძოს, როგორც სალოცავი ადგილის წინა-ქრისტიანული ხასიათი. უძოს მთაზე მუხნარი ყოფილა, რისი ნაშთები დღესაც შემორჩენილია. უძოზე არის წმინდა გიორგის სალოცავი. წმინდა გიორგის კავშირი მუხასთან საქართველოს სინამდვილეში დადგენილ ფაქტად ითვლება“.

საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ ის წმინდა გიორგის სალოცავია. გადმოცემით დღევანდელი ეკლესიის ადგილას თავდაპირველად ხელი პატარა სამლოცველო მდგარა. წმინდა გიორგის დღევანდელი ეკლესიის შენობის აშენების თარიღად მეცნიერები შუა საუკუნეებს თვლიან. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „უძო, ეკლესია წმინდა გიორგისა, მაღალსა გორასა ზედა, მჭვრტელი კოჯორისა და ტფილისისა“.

1876 წელს გამოცემულ „კაგასიის კალენდარში“ წმინდა გიორგის ეკლესია მოხსენიებულია როგორც „უძოს ეკლესიის ნანგრევები“. 1877 წელს კაგასიის მეფისნაცვლის დავალებით თავად სიდამონ-ერისთავს ეკლესიის აღდგენისათვის 300 მანეთი გადაეცა. როგორ გახეთი „დროება“ წერს XIX საუკუნის ბოლოს, ეკლესია განუახლებით და „სახელოვანი უძოს ეკლესია განაბრწყინვალა 1881 საქალებო ინსტიტუტის უფროსმა ქალმა, შიგნიდან ყველანაირი ხატებით და ნივთებით მოაწყო“.

თუმცა, როგორც 1882 წლის გაზეთი „დროება“ წერდა უძოს წმინდა გიორგის ეკლესიას მაინც პრობლემები ჰქონია: „ამ ეკლესიას დიდხანს მიჩენილი ჰყავდა წენეთის მღვდელი მღვდელი ი.მახათაძე, რომელსაც ეკლესის დღეობას სხვადასხვა კაცებისათვის დაუგალებია ფულის შეგროვება გზისა და ოთახების გაკეთებისათვის, მაგრამ გზა ისევ ის არის, როგორც ამ



ორმოცი წლის წინათ გინახავს და ოთახებიც ისეთი არიან, როგორც მგონი ასი და ორასი წლის წინათ ყოფილან. ამას წინათ რევიზიისათვის დადოლდა ეკლესიების გასასინჯავად მამა არქიმანდრიტი მაკარი, რომელიც 21 სექტემბერს უძოს მახლობლად სოფელ წავკისში იმყოფებოდა, მაგრამ ამ ეკლესიისათვის ზედაც არ შეუხედნიათ. ჭამეს სვეს და პრიუტისაკენ იმგზავრეს. საბრალო უძო კი ზემოდან დასცექრდა და ამაოდ ელოდა, რომ ესტუმრებოდნენ, მაგრამ ამოდ. წელიწადში სულ მცირე, რომ ვსოდვათ, ყველანაირი შემოსავალი იქნება სამოცი თუმანი. ნეტავი თუ იცის საეკლესიო მთავრობამ სად მიდის ეს ფული?"

საბჭოთა პერიოდში ეკლესია უმოქმედო იყო. 2000 წელს სრულიად საქართველოს, კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით და მამა დავით მინდორაშვილის ინიციატივით ტაძარს ჩაუტარდა რესტავრაცია და ტაძარი დღეს მოქმედია.

დღესასწაული უძოობა აღდგომის მომავალ სამშაბათს იმართება, რომელსაც ტრადიციულად უამრავი ხალხი ესწრება. უძოობაზე იმართებოდა ლხინი ცეკვები, ჭიდაობა, თამაშები.

უძოს წმინდა გიორგის ეკლესია პატარა უგუმბათო ნაგებობაა, რომელიც ნაგებია დიდი კვადრებით და ქართული აგურით. გადახურულია აგურის წყობით. ტაძარში შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი. აღმოსავლეთ კედელში ირთადერთი სარცმელია, რომლის თავზედ ჩუქურთმაა შემორჩენილი. ტაძარი შიგნიდან შეულესავია.

პოჯოს ზიჟვნარის მკლებია



კოჯორის მოსახლეობაში შემოწენილი იყო თქმულება სოფელის ერთეულთ ძველ უბანში წმინდა გიორგის ეკლესის არსებობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია აღარ არსებობდა მოსახლეობა წმინდა გიორგის დღესასწაულზე ტრადიციულად ერთი და იგივე ადგილზე იკრიბებოდა.

ადგილობრივმა მრევლმა დავით ბერუაშვილის ხელმძღვანელობით 2002 წელს დაიწყო ამ ადგილის გაწმენდა-დასუფთავება, რომლის დროსაც აღმოჩენილ იქნა ძველი ეკლესიის საძირკველი. სამწუხაროდ მათ მიერ გასაწმენდად გამოყენებულ იქნა მძიმე ტექნიკა, რამაც ძლიერ დააზიანა ეკლესიის ნაშთები.

უბანს სადაც აღმოჩენილ იქნა ეკლესიის ნაგრევები დღეს ფიჭვნარს უწოდებენ, თუმცა რესერტის იმპერიის მფლობელობის დროს ამ ადგილს „პოლიანკას“ ეძახდნენ. ჩვენი ვარაუდით ამ სამონასტრო კომპლექსს დიდი ტერიტორია ეკავა და ამიტომაც იგი დაუსახლებელი იყო.

ნოე აფხაზებას არქეოლოგიური კვლევის მიხედვით - აღმოჩენილი ეკლესია ერთნავიან (6×4) დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენდა, რომლსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული ფორმის აბსიდი და საკმაოდ დიდი დასავლეული მინაშენი ($6.2 \times 4.8\text{m}$) ჰქონდა. გათხების შედეგად გამოჩენდა, რომ ეკლე-



სია და მინაშენი, მშენებლობის სტილით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ეკლესია ნაშენი იყო აგურით და სხვადასხვა ზომის უფორმო ქვებით, ხოლო მინაშენი აგებული იყო მხოლოდ ქვით კირხსნარზე. იატაკზე დაგებული იყო ბრტყელი ქვის ფილები. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ეკლესია გადახურული იყო ყავრით ან ქვის ლორფინებით.

გათხრებმა გამოავლინა, რომ ნახევარწრიული ფორმის აფსიდიან საკურთხევლის შეუძლიანებელი ნაშენი კვადრატული ფორმის ტრაპეზი. ნოე აფხაზავას აზრით ეკლესიის აშენების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ გვიანი შუასაუკუნეები – XVI-XVIII სს. ამ მოსაზრებას ადასტურებს გათხრების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალაც.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გათხრების დროს ნაპოვნ რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის დროს, 1771 წელს მოჭრილი სპილენძის რუსული მონეტას ე.წ. „პიტაკს“. ამ აღმოჩენილი მონეტის მეშვეობით შესაძლებელი გახდა იმის თქმა რომ ამ პერიოდში, ანუ XVIII საუკუნეში ეკლესია მოქმედი იყო. შეიძლება ვივრაუდოდ, რომ ეკლესია შეეწირა აღამაშენებანის 1795 წლის შემოსევას.

ეკლესიის მთავარი ნავის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხის ეკლესიან აღმოჩენდა თონე. მის ძირში იყო ნაცრის დიდი ფენა და რამდენიმე აგური, რითაც შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს იყო აგურის გამოსაწვავი თონე.

მეტად საყურადღებოა გათხრების დროს აღმოჩენილი საფლავის ქვები, რომელთაც პირვანდელი პოზიცია დაკარგული ჰქონდათ. მათგან ყველაზე მოზრდილ საფლავის ქვაზე რელიეფით გამოსახულია გულხელდაკრეფილი დედა-შვილი. მსგავსი სტილის მეორე საფლავის ქვაზე მანდილოსანია გამოსახული, რომელსაც მარცხენა ზედა

მხარეს გამოსახულია მაკრატელი. ამ პერიოდში საფლავის ქვებზე მაკრატელით მონაზვნებს გამოხატავდნენ. საფლავის ქვაზე იკითხება მხედრული წარწერა „მომისხენე უფალო“. ერთეული საფლავის ქვაზე გამოსახულია მამაკაცი, რომლის მარჯვენა მხართან გამოსახულია მაღალუელიანი სამოსი, ხოლო მარცხენა მხართან კი სიმებიანი საკრავი. ამ ტიპის ორნამენტებიანი საფლავის ქვები გავრცელებული იყო შეუძლიანების ქართლში.

ეკლესის ნანგრევების დასავლეთით, 300 მეტრში, იქ სადაც იუნიკერთა მემორიალური საფლავის ქვებია, აღმოჩენდა კიდევ ერთი შენობის საძირკველი. სავარაუდო ეს მომცრო ეკლესიის ნაშენებია, რადგან მის სამხრეთ კედელზე თითქმის მიბჯენით საფლავის ქვაა შემორჩენილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ კოჯრის „ფიჭვნარში“ სამონასტრო კომპლექსი მდებარეობდა.

2000 წელს კოჯორის უძველესი ეკლესიის საძირკველზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ახალი ტაძრის აგება გადაწყდა. მამათა მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მშენებლობა 2005 წელს დამთავრდა და და მასში მიმდინარეობს ღვთისმსახურება.



პოზიტიურის დამინდა ნინოს მკლებია



კოჯორში, დღევანდელი საშუალო სკოლის ტერიტორიაზე იდგა ძველ დროს აშენებული წმინდა ნინოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. სამწუხაროდ მისი აშენების ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია.

თავდაპირველად პატარა ხის სამლოცველო მდგარა. მას შემდეგ, რას რუსეთის ხელისუფლებამ კოჯორში მიწები კერძო მფლობელებს დაურიგა, ნახევრად დანგრეული ხის სამლოცველო ყარავის მიწაზე მოექცა. არქოლოგიური საზოგადოების აქტების მიხედვით XIX საუკუნის 50-იან წლებში ეკლესია კაგასიის მეფისნაცვალმა მ. ვორონცოვმა თავისი ხარჯით ადაგინა. მოდევნო წლებში ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია სახელმწიფო ხაზინამ დაიბრუნა.

1862 წელს საქართველოში რუსეთის მეფისნაცვლად დიდი მთავარი მიხედვი რომანოვი დაინიშნა. მისმა მეუღლებმ ოლგა თეოდორეს ასულმა თბილისში დააარსა ქალთა გიმნაზია. თავადმა მ. ვორონცოვმა საქართველოდან გამგზავრების შემდეგ კოჯორში, წმინდა ნინოს ეკლესიასთან მდგარი თავისი სახლი ქალთა გიმნაზიას გადასცა საზაფხულო რეზიდენციის მოსაწყობად. 1864 წლის 11 აპრილიდან კავკასიის მეფისნაცვლის განკარგულებით

მ. ვორონცოვის აგარაკი ეკლესიით გადაეცა ქალთა ინსტიტუტს. მეფისნაცვალ მიხედვი რომანოვის მეუღლებმ, ოლდა თეოდორეს ასულმა წმინდა ნინოს ეკლესია შეაკეთა.

1873 წელს წმინდა ნინოს პატარა ხის ეკლესიის რეკონსტრუქციის პროექტის გაკეთება ცნობილ არქიტექტორს ა. ზალცმანს დაევალა. ამავე წელს ხაზინამ ახალი ქვის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. 1875 წლიდან წმინდა ნინოს ეკლესია ოფიციალურად ინსტიტუტის კარის ეკლესია ხდება. ზაფხულის პერიოდში წმინდა ნინოს ეკლესია ქალთა სასწავლებლის განმგებლობაში იყო, ხოლო ზამთარში იგი წავკისის მარინეს ეკლესიას ექვემდებარებოდა.

1904 წლის გაზეთ „ივერიაში“ ვკითხულობთ, რომ: „21 ოქტომბერს კოჯორში გაიხსნა სამრევლო დაწყებითი სკოლა კორნელი ელიზბარაშვილის მეთაურობით. სკოლაში მიღებულ იქნა 40 ბავშვი: ქართველები, სომხები, მაკ-მადიანები. მასწავლებლად მოწვეულ იქნა საეპარქიო დედათა სასწავლებლის კურსდამთავრებული ქალბატონი მარიამ ჭუხრუკიძის ასული. სკოლა თავდასაჩინო ადგილას, ეკლესიის გვერდში იყო. შიგნითვე იყო მასწავლებლის ოთახიც.“

ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით წმინდა ნინოს ეკლესია ულამაზესი ყოფილა, მისი გუმბათი ციხეფრად ყოფილა შეღებილი. ეკლესიის ფანჯრებში ფერადი ვიტრაჟები იყო ჩადგმული. კედლები მოხატული იყო ბიბლიური სიუკეტებით.

1930-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ეკლესიას გუმბათი მოხსნეს და შიგ ელექტროსადგური გამართეს. მოგვიანებით ისიც დაანგრიეს და წმინდა ნინოს ეკლესიის ადგილზე კულტურის სახლი ააშენეს.



პაბენის მამათა მონასტერი



კოჯორთან ახლოს ასურეთის-წყლის ხეობაში მდებარეობს კაბენის სამონასტრო კომპლექსი.

კალისტრატე ცინცაძე კაბენის მონასტრის შესახებ წერს, რომ იგი „IX საუკუნეში ააგეს, XII-XIII საუკუნეების მანძილზე კი რამდენჯერმე გადაკეთეს. ნაგებობა კონკრეტულად, აზულას მთის სამხრეთ დასავლეთით, კოჯორთან ასურეთის ტბისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. ადგილობრივი მოსახლეობა კაბენს დიდი ხნის მანძილზე უბრალოდ მონასტრის სახელით მოიხსენიებდა“.

„ტფილისიდგან თორმეტს ვერსებედ მოშორებით არის ხეობა, რომელსაც ჰყოფს ორ ნაწილად პატარა მდინარე ასურეთი, აქ ამ ხეობაში, მოგზაურმა რომ გაიაროს ნახავს ერთსა მონასტერსა. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში უწოდებს კაბენისა მონასტერსა. ძველი ქართველი, მეოთხეს საუკუნეში, განათლებული სახარებითა, დიდის სიყვარულით და სარწმუნოებით მიდიოდნენ წმინდა ალაგების როგორც სანახავად, ისე სალოცავად საბერძნეთში და პალესტინაში. აქ, რასაც ხედავდნენ დირს სახსოვარად, გადმოპქონდათ თავიანთ ქრისტიან სამშობლოში დიდის სარწმუნოებით, არა თუ აშენებდნენ იმ გვართა ეკალესიებსა რა

გვართაცა ხედავდნენ იქ, იმ წმინდა ეკალესიების სახელებსაც არქმევდნენ საქართველოში აღშენებულო ეკლესიებსა. ამ სახით აღშენდნენ საქართველოში ის ეკლესიები, რომელთაცა დღესაც ეწოდებათ სიონი, ანტიოქე, გევსიმანია ამ გვარად აღშენდა კაბენის მონასტერიცა ეს სახელწოდება არის სირიაში ერთსა მონასტერსა, სადაცა იშვა იოანე თქროპირი. თვითონ იმ მდინარესათვისაც რომელიცა ჩამოუდის ამ მონასტერსა, დაურქმევიათ ასურეთი, - ეს მდინარე ასურეთი იმ ასირიის მონასტერსაც ჩამოუდის გვერდზედ. ყველა ქართველი, ვინაც კი ყოფილა ამ მონასტერში, იმ მდინარეს უწოდებს ასურეთად და თვით ვახუშტიც ამ წოდებით მოიხსენიებს თავის გეოგრაფიაში.

ის მონასტერი აშენებულია თამარ დედოფლისაგან, მაგრამ ჩვენის აზრით, ეს მონასტერი იმაზედა წინ უნდა იყოს აღშენებული, თუმცა, ერთის ეკლესიის ზედაწარწერილობითგანა, რომელიცა მოშენებული აქვს იმ კაბენის მონასტერსა, სჩანს, რომ ეს მონასტერი თამარ მეფესაგან არის აღშენებული. მაგრამ მეორე მხრით ზედაწარწერილობა ამტკიცებს, რომ დიდი ეკლესია კი არ არის იმისგან აღშენებული, იმას მიუღიავს მხოლოდ პატარა ეკლესია ამ მონასტრისათვის. ეჭვი არ არის აქ, როდესაც მტერნი უქადოდნენ ამ მონასტერს დაქცევასა და აოხრებას, თამარ მეფის ბრძანებით მიადგეს სხვა პატარა ეკლესია, რომელსაცა უწოდეს სიონი, სადაცა მიემატნენ სამღვდელონი და სადაცა ყოველ დღე წირვა-ლოცვა სრულდებოდა, გარშემო გალავნის კედელიც ამ დროს გაუმაგრებიათ და დაუკერებიათ. ეს ბევრჯელ შევნიშნე, როდესაც ეკლესია რომელიმე ძველდებოდა და თამარ მეფობის დროს აახლებდნენ და აკერებდნენ, ზედ აწერდნენ, თამარ მეფემ ადაშენაო; მაგრამ იმის აშენებული არა ყოფილა, მხო-



ლოდ განახლება კი მიეწერება იმას“ – წერს პლატონ იოსელიანი.

ვახუშტი ბატონიშვილი კაბენის მონასტერის სოლოდაშვილის გვარს უკავშირებს – იგი აღნიშნავს, რომ კაბენი მათი საგვარეულო დედათა მონასტერი და საძვალე იყო.

მონასტრის ადრეული ისტორიის შესახებ ჩვენამდე ძალზე მწირმა ცნობებმა მოაღწა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ლექთა თარეშის დროს XVIII საუკუნეში კაბენის ყოვლადწმინდა და თისმშობლის მიძინების მონასტერმა ფუნქციონირება შეწყვიტა. „უბედურების დროს, როდესაც აოხრებდნენ მძვინვარე მტერნი, დაღისტნის ძენი, საქართველოსა, სადაცა რომ დაეცემოდნენ, რაც მოხვდებოდათ ანგრევდნენ. კაბენის მონასტრის ბერთა შემოზღუდეს ეს მონასტერი მკვიდრის ქვითკირის გალავნითა, ეს გალავანი დღესაც, მრთლადა დგას. რომ მეტად შეაწუხეს ამ მონასტრის ბერნი, ლექთა; რომ ლონე ადარ იყო, უნდა გაუქმებულიყო ეს მონასტერი, რადგან ლექთაგან შევიწროება უფრო მეტის მეტათ იყო მეთვრამეტეს საუკუნეში, ჩვენცა ვგონებთ, რომ ეს მონასტერიც იმ დროებაში დაკვირდი უნდა იყოს“ – წერს პლატონ იოსელიანი.

XIX საუკუნეში საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების და ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, მონასტერში ისევ აღუდგენიათ და თისმსახურება. ნიკოლოზ დურნოვი აღნიშნავს: „მონასტრიდან ქართველი ბერები განდევნეს და კაბენის მონასტერი „რუსულად მოაქციეს“.

რუსული ეკლესია, ისევე როგორც მთელ საქართველოში კაბენის მონასტრის რუსულ ყაიდაზე გადაკეთებას შეუდგა. 1902 წლის 14 ნოემბერის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერს: „მიხეილ მთავარ-ანგელოსის ეკლესიის მღვდელს მ. გრინიოვს მანგლისში უცნობებია სასულიერო მთავრობისათვის, რომ მანგლისის მხარეს გზებზე მომუშავე ხალხი ძველ მონასტერთა ნაშთებს აფუჭებენ, არღვევენ, ზოგგან ბინადაც

აქვთ გადაქცეულიო და სთხოვს, საგუბერნიო ადმინისტრაციის შემწეობით, ადეკრძალოთ მუშებს ძველ ნაშთოთა დანგრევა-გაოხრება. მ. გრინიოვი ნანგრევების განახლებასაც სთხოვს სასულიერო მთავრობას“.


მიუხედავად საყოველთაო პროტესტისა, როგორც 1904 წლის 28 აგვისტოს გაზეთი „ივერია“ წერს კაბენის განადგურება არ შეწყვეტილა: „კოჯრის ახლოს არის კაბენის მონასტერი. ამჟამად იქ ახალ ეკალესიას აშენებენ, მაგრამ სრულად ყურადღებას არ აქცევენ ძველს პატარა ეკლესიებს. ერთი ძველი ეკლესია კიდეც დაუქცევიათ და მისი თლილი ქვები გამოუყენებიათ ახლის აშენებისათვის. ასეთივე ბედი მოედის მეორე ძველს პატარა ეკლესიას, რომელიც ჯერ კიდევ ისევ მთელია. ბერ-მონაზონნი, რომელნიც აშენებენ ახალს ეკალესიას, ილებენ ძველს ქვებს, ხშირად წარწერიანებს, სთლიან-ახლად, წარწერას სპობენ და ისე ახმარებენ. ამ გარემოებას მთავრობამაც მიაქცია ყურადღება და მიამართა ჯეროვან ღონისძიებას, რომ აღკრძალილ იქმნას ასე უყურადღებოდ მოპყრობა ძველი საარქეოლოგო ნაშთებისა, მთავრობამ ეს ამბავი აუწყა მოსკოვის საარქოლოგო საზოგადოების ტფილისის განცოფილებასაც“.

ისტორიამ არ შემოგვინახა ინფორმაცია იქ მოღვაწე მღვდელ-მსახურების შესახებ, მხოლოდ ცნობილია რომ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ კაბენის მონასტრისათვის რუსეთიდან ბოლშევიკების მიერ დევნილ ბერებს თავი შეუფარებიათ. ხელისუფლებას შეუტყივია მათი ადგილსამყოფელი და უკლებლივ ყველა მათგანი აღგილზე დაუხმოციათ, ხოლო გადარჩენილებს ბეთანიისათვის შეუფარებიათ თავი.

დღეისათვის კაბენის მონასტრის ტერიტორიაზე შემორჩენილია ყოვლადწმინდა და თისმსახურების მიძინების დიდი გუმბათოვანი ტაძრის ნანგრევები, წმინდა სვიმეონ მესვეტისა და მიქაელ მთავარანგელოზის პატარა დარბაზული ეკლესიები.



პაბენის მონასტრის ყოვლადწმინდა და მონასტრის მიმინდების ფასარი



კაბენის მონასტრის ყოვლადწმინდა და მონასტრის მიმინდების დიდმა ტაძარმა ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. გრიგოლ გაგარინის ნახატისა და დიმიტრი ერმაკოვის ფოტოების მიხედვით კაბენის დიდი ტაძარი მცირე ცვლილებებით იმეორებდა ბეთანიის გუმბათოვანი ტაძრის გვეგმას, თუმცა ფასადების მორთულობის სისტემით მისგან არსებითად განსხვავდებოდა.

ვახტანგ ბერიძე წერს: „XII საუკუნის ბოლო ათეულ წლებსა და XIII საუკუნის I ნახევარში, ე. ი. თამარისა და შის უშეალო მექვიდრეთა მეფობის წლებში, შეიქმნა ქართლის გუმბათოვანი ტაძართა ერთი დიდი ჯგუფი XIII საუკუნის შედა წლებისა კაბენი“.

ყოვლადწმინდა და მონასტრის მიმინდების ეკლესია მონასტრის მთავარ ჩახაზული ტიპის გუმბათოვან ეკლესიას წარმოადგენდა. გვერდითი აფსიდები არ უერთდებოდა საკურთხეველს. აღმოსავლეთ ფასადზე საკურთხეველში აბსიდა გამოყოფილი იყო გვერდებისაგან დრმა თაღებით. ტაძრის შიგნით იდგა ორი ბოძი და ორიც პირდაპირ მიშენებული გვერდითა კედლებზე, რომლებიც თაღებით იყო ერთმანეთან დაკავშირებული. ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადი თაღებით და

ორნამენტული ჩუქურთმებით ლამაზად იყო მორთული.

პლატონ იოსელიანი წერს: „უპირველესი ეკლესია აღმენებულია და გთის მშობლის მიძინების სახელზე. კედლები განახლებული თამარის დროს, დღესაც შეურყევლიად დგანან. გუმბათი ნახევარი დაქცეულია თვრამეტის საუკუნის ნახევარში; სიგრძით ათი საჟნია, სიზეპით ოთხი საჟნია, ზედ წარწერილობა არსად არა სჩანსა. ამ ეკლესიის არსიტექტურა წარმოგვიდგენს იმ დროს დიდს ხელოვნებასა. ქუაზედ გამოქანდაკებულნი არიან დიდ ხელოვნურად ჯვრები, მრთლად და, დიდხელოვნებით არის გამოყვანილი ამ მონასტრის ქვის ჩუქურთმები, ყველაზე მეტი ხელოვნება ნახმარია ორი ქვის ფანჯრებზედ, საიდამაც საკმაოდ დასცემს ნათელი ეკლესიის შუაგულსა, შიგნითი კედლები მხატვრობით საგვეა, სადაც თითქმის ყველგან ზედწარწერა აქვსთ როგორც ქართულს, ისე ბერძნულს ენებზედ, მაცხოვარის, თორმეტის მოციქულის მხატვრობა დღესაც კაფიათათა სჩანან, სილვესტრო ეპისკოპოზი, რომლისაგან ნათალი იღო დიდმან კონსტანტინემ, გამოხატულია აგრეთვე კაფიეთად, რომლის ქვემოთ ზედწარწერაც არის. იქვე დახატულია იოანე ნათლის მცემელი, რომელსაც აგრეთვე აწერია, თავისაგანვე წარმოქმული სახარებითგან“.

დავით ბაქრაძე წერს, რომ: „მთავარი ტაძარი, შემოსილი ჩუქურთმებითა და მოხატული, 1896 წელში ჩვენ მიერ ნახული გრიგოლ დიონისიონის ხატი სამხრეთის ფასადის დასავლეთის სარკმლის ფერდობში იმდენად ცოცხლად იყო შემოხატული, რომ დღესაც თვალწინ გვიდგა“.

ს. ესაძის ცხობით „ეკლესია დაანგრიეს ლეკებმა 1752 წელს და ამბობენ რომ ამ დროს 300 ბერი ამოწყვიტეს. ეკლესიის მთავარი გუმბათი 1823 წელს ჩამოიქცა. მარჯვენა მხარეს, მეცეთა შესასვლელში (კარში) არის წმინდა ანტონის საფლავი. მხოლოდ ქვების გროვა და დამტვრებული (გატეხილი) ორნამენტების უწესრიგოდ დაყრილი,



გვაჩვენებს იმ ადგილს სადაც იმყოფება
განმანათლებლის ნეშთი“.

XX საუკუნის დასაწყისში რუს ბერებს კაბენის დიდი ტაძარი დანგრევის მიზნით აუფეოქებიათ. მარი ბროსე აღნიშნავს – „ძეგლი დააქციეს რუსის ბერებმა, რომელიც ალექსი ექსარხოსის (1901-1905) დროს დაბინავდნენ იქ. როდესაც ეს ამბავი გამომჟღავნდა, მთავარმართებლის თანაშემწერ, ლენერალმა ფრეზემ, განრისხებულმა ბერებს ბარბაროსული საქციელით დიდნანს უბრაგუნა ფეხები არქიმანდრიტს დავითს მებითურთ, მაგრამ უმეცრობამ თავისი საქმე ბრწყინვალედ შეასრულა: კაბენი გაქრა... აღნიშნილი ბერების კადნიერება იქნობამდე მივიდა, რომ ერთ დილით მოვიდნენ ქაშვეთში, გადაიხადეს (ეკლესიის წინამდღვრის დაუკითხავად) პარაკლისი „კაბენის ღვთისმშობლის“ წინაშე და დააპირეს ხატის ქაშვეთიდან „გალობით“ წასვენება. წასვენებდნენ კიდევაც, რომ ამ დროს არ მოესწრო დეკანზე მამა ესტატე ელიევს, რომელმაც გამოიჩინა იმდენი „ვაჟკაცობა“, რომ მისი საწინამდღვრო ეკლესიიდან თავხედი სტუმრები გაუშვა“.

შალვა ამირანაშვილი 1925 წლის გზამკლევში „თბილისი და მისი შემოგარენი“ ადასტურებს, „რომ ეკლესია დანგრიეს რუსმა ბერებმა 1904 წელს რუსი ეგზარხის ხელშეწყობით, მიუხედავად მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისა და ქართველი მეცნიერების ენერგიული წინააღმდეგობისა“.

1918 წლის 16 იანვარს კაბენის ღვთისმშობლის მიძინების მონასტერს თავს დაესხნენ უცნობი პირები. მონასტერი გაძარცვეს, მოკლეს მორჩილი ანტონი და ბერი გერასიმე. ამ დროიდან მონასტერმა შეწყვიტა ფუნქციონირება.

კაბენის მონასტერის დიდმა გუმბათიანმა ეკლესიამ ჩვენამდე მხოლოდ ნაგრევების სახით მოაღწია.

გაბენის მონასტრის შემოდა სპილეონ მესვეტის უპლასია



კაბენის სამონასტრო კომპლექსში შედიოდა წმინდა სვიმეონ მესვეტის ეკლესია. შესახებ პლატონ იოსელიანი წერს: „დასავლეთის მხრივ, აშენებულია კიდევ პატარა ეკლესია წმინდა სვიმეონის სახელობაზედ; ეს ეკლესია ადშენებულია თამარის მეფობის დროსა, ამ ეკლესიას აღმოსავლეთის მხრივ აქვს შემდგომი ზედწარწერა: ...ღვთისა... მონაწილე... მეფობისა თამარისასა აღვაშენეთ, გიორგის შვილთა კ... ნიკოლოზ, ...ბასილი. თორთომარი და ი... ღმერთმან შეგინდვნენ ვინც რაი მოიგირგა ამას ზედა ამინ. ერთ ქვაზედ, რომელიც ჩასმულია ეკლესიის კედელში, სამხრეთის მხრივ, სწერია მხედრული ასოებით: „ღმერთო შემიწყალე იობ წინამდგვარი“.

წმინდა სვიმეონ მესვეტის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია მონასტრის გალავნის გარეთ იმყოფება. ტაძრის დაზიანებულ კედლებზე ჩანს, რომ იგი ნატეხი ქვითაა ნაგები. მისი ფასადები მოკირკეთებულია კარგად გათლილი მოყვითალო ქვის კვადრებით.

საბჭოთა პერიოდში სვიმონ მესვეტის ეზოში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დიდი გუმბათოვანი ტაძრის ქვებით ბოსელი იყო აშენებული.

2001 წლიდან მამა კონსტანტინე კოდუაშვილის ძალისხმევით დაიწყო წმინდა სვიმეონ მესვეტის ტაძრის აღდგენა. ტერიტორია გაიწმინდა მიწისაგან,



ამოსული ხელისაგან. დაიგებდა არქიტექტორ ირაკლი გამყრელიძის და კონსტრუქტორ დიმიტრი დათუნაშვილის პროექტის მიხედვით ტაძრის აღდგენა.

როგორც 2007 წლის 19-25 ივნისის „საპატრიარქოს უწყებებში“ ვკითხულობთ: „კოჯრის წმინდა სვიმეონ მესვეტეს სახელობის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოებს ადგილობრივი მოსახლეობა აწარმოებდა. არაპროფესიონალური ჩარევის შედეგად განადგურდა წმინდა მეფე თამარის წარწერა, რომელმაც ცხრასწლეულს გაუქმდო. სარესტავრაციო სამუშაოები არ ყოფილა შეთანხმებული არც საპატრიარქოსთან და არც კულტურის სამინისტროსთან“.

გადმოცემით ტაძარში ინახებოდა თამარის ხელით გაკეთებული წარწერა „ტაძარი აგებულია დიდი მეფე ქალბატონის მფარველობით“, რომელიც დაკარგულია.

გაბენის მონასტრის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია



კაბენის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთით დგას წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, რომელიც ქვითაა ნაგები.

შესაძლოა ამ ტაძარის ფასადები მოპირკეთებული იყო. მან ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. ტაძარს არ გააჩნია სახურავი და კარი, რომელიც სამხრეთ კედელშია გაჭრილი.

კაბენის ამ პატარა ტაძრის გარშემო საფლავის ქვები იყო მიმობნეული, მაგრამ სამწუხაროს მასზე წარწერები არ იყო გაკეთებული. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ეს ტაძარი წარმოადგენდა სოლადაშვილების საძვალეს.

სამწუხაროდ უცნობია, თუ რა ხატებს და სიწმინდეებს ფლობდა კაბენის მონასტერი. კალისტრატე ცინცატე ქაშვეთის ეკლესიის „ავლა-დიდებაში“ აღწერს კაბენის ღვთისმშობლის ხატს „50*30 სანტ., ფიცარზე დახატული, ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის პერანგით, რომელიც ფარავს ხატს მთლიანად, გარდა ღვთისმშობლისა და ყრმა იქსოს სახეებისა (უკანასკნელი იმდენად დაზიანებულია, რომ ჩანს მხოლოდ სახის მოხაზულობა). თვით ხატი ჩაღრმავებულშია მოთავსებული, გარშემო კი აკრავს ხეთსანგრიმეტრიანი „ჩარჩო“, რომლის ზემო ნაწილი და გვერდები მომრგვალებულ ბოლოიანი ჯვრებით არის შემკული (ჯვრები კვადრატებში სხვ).



დან), ქვემოთაზე კი არის შემდეგი წარწერა (მხედრულით): „ჩვენ სახლთუხუცესმან ზურაბ ვინებეთ და მოვაჭედინეთ ხატი ყდ წმიდისა ესე ჩვენდა სადღეგრძელოთა და გასამარჯვებლად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად ლირს მყევა დღესა მას განკითხვისასა ქრისტინები (1665). სახლთუხუცესი ზურაბი გვარად უნდა ყოფილიყო სოლოდაშვილი, - ვფიქრობთ, ვინაიდან სოლოდაშვილის გვარის წარმომადგენელი ამ ხატს სთვლიან თავის „საქუთარ“ სალოცავად. ხატში (ფიცარში, ზურგით) მოთავსებულია წმინდა ნაწილები. ხატი ასვენია მარმარილოს ფარვეზში, რომელიც მიდგმული აქვს სამხრეთ-დასავლეთის პილონს, დასავლეთის მხრივ. ამბობენ, რომ ეს ხატი მოსვენებულია კაბენის მონასტრიდან, მაგრამ როდის და რა პირობებში, არა ჩანს“.

კაბენის ყოვლადწმინდა ღვთის-მშობლის მიძინების მონასტერი დღეისათვის არ ფუნქციონირებს.

სოფელი ღოშანი

თრიალეთის ქედის კალთაზე, აზეულას ციხის სამხრეთით გაშენებული იყო სოფელი ღოუბანი. ისევე როგორც მისი ახლომახლო სოფლების ნაწილი ღოუბნელებიც აყრილან და სამხრეთისაკენ დაბლობზე გადასახლებულან. დღევანდელი ღოუბანი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში შემავალი სოფელია.

„ღოუბანი ყოფილა გაშენებული, თანამედროვე სოფელთან შედარებით გაცილებით ჩრდილოეთით... მოსახლეობა ძველი ღოუბნის ნასოფლარს „ორმოცებს“ უწოდებს. ამ უკანასკნელში შენარჩუნებულია შუა საუკუნეების აგურით ნაგები გუმბათიანი კალესია...“ - წერს კობა ხარაძე.

ღოშანის წმიდა ორმოცოდამითა ეპლება



„ორმოცნი - ასე ეძახიან ეპლესიას სპეციალისტების წრეში მას ჩვეულებრივ „კოჯრის ორმოცთა“ სახელით („კოჯრის ორმოცნი“), რაკი ქოროდლის ციხის ძირში მდებარეობს. მაგრამ კოჯრის მხარეს კი არა, არამედ მთის გადაღმა. უფრო მართებული იქნება, თუ მას ღოუბნის სახელს მივაკუთვნებთ, რადგან უახლოესი სოფელი ღოუბანია. თვით ეპლესია სრულიად განმარტოებით დგას, კლდოვანი ხევის სიღრმეში. გარშემო ტყით დაფარული მთებია, ქოროდლის ციხე კი თავს ადგას მთელ იმ არემარეს, ძალიან მყუდრო ადგილია“ - წერს გახტანგ ბერიძე.



ტაძარი აგებულია XV-XVI სს. საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ის დროს. მან ეს მხარე სამეფო მოღარეს ბარათა ქაჩიბაისძეს უბოძა. XVIII საუკუნისათვის გადასია თითქმის დანგრეული და დაცარიელებულია. 1759 წელს ბარათაშვილების განაყოფი გვარის, ორბელიან-ყაფლანიშვილების ბრძანებით, მონასტერი აღუდგენიათ.

ვახტანგ ბერიძის აღწერით: „ორმეოცოას“ რვასარკმლიანი გუმბათი აქვს. იგი ეყრდნობა აფსიდის კედლებსა და გრძივი კედლებიდან პერპენდიკულარულად გამოსულ შვერილებს, რომლებიც, არსებითად, თვითონაც კედლის მონაკვეთებს წარმოადგენს. ამ ორ მონაკვეთს განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს სივრცის დანაწევრებისა და ორგანზაციისთვის. მათი წყლობით: ა) იქმნება უბეები გუმბათქეშა კვადრატის სამხრეთითა და ჩრდილოეთით, ე.ი. სივრცობრივი ჯვრის განივი მკლავები, რომლებიც მთავარი ღერძის პერპენდიკულარული კამარებითა გადასურული (დოჟბანში ყველა კამარა შეისრულია). ბ) გამოიყოფა ჯვრის დასავლეთი მკლავი, რომლის კამარაც აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძს ემთხვევა; გ) იქმნება უბეები დასავლეთი მკლავის სამხრეთითა და ჩრდილოეთით, რომლებიც, მსგავსად განივი მკლავებისა, კვლავ მთავარი ღერძის პერპენდიკულარული კამარებითა აღჭურვილი.

ჩვეულებრივი ტიპის გუმბათოვან ტაძრებში ამ უკანასკნელი უბეების ადგილი უჭირავს ჯვრის მკლავებს შორის მოქცეულ კუთხის სადგომებს. რომლებიც ასე თუ ისე დამოუკიდებელ სივრცობრივ ელემენტებს შეადგენს: დასავლეთის მკლავისგან მათ გამოჰყოფს შედარებით დაბალი თაღები, მათი კამარები ამ თაღებზე უფრო მაღლაა, მათი ღერძის პარალელურია მთავარი ღერძისა. აქ ამ კუთხის კომპარტიმენტებს სრულიად იგივე ადგილი უჭირავს, მაგრამ დამოუკიდებელი სივრცობრივი მნიშვნელობა დაკარგუ-

ლი აქვს – ეს სწორედ დასავლეთის მკლავის უბეებია და სხვა არაფერი. მათი კამარები მხოლოდ გაგრძელებაა და გაღრმავებაა იმ თაღებისა, რომლებიც დასავლეთის მკლავს ფარგლებს მარჯვნიდან და მარცხნიდან“.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს. ერთი დასავლეთ კედელშია გაჭრილი, ხოლო მეორე კი სამხრეთიაში, ეკლესიაზევე მიდგმული სამრეკლოს პირველი სართულიდან.

ღოუბნის ეკლესიაში საკურთხეველი უშეალოდ უცავშირდება სამკეთლოს, ხოლო ორივე პასტოფირია – მთავარ სივრცეს.

პირველი გაწმენდითი სამუშაოები 1983 წელს ჩატარდა. გაწმენდის შემდეგ ეკლესის გარშემო მიწის დონემ დაიწია და გამოჩნდა, რომ შენობა თლილი ქვის ცოკოლზე დგას. ცოკოლი სიმაღლეს იცვლის ყოველ ფასადზე. ამის გარდა, დასავლეთ ფასადზე, აგურის წყობაში, აქა-იქ ციკოლის ზემოთაც არის გარეული ქვის კვადრები. დეკორატიული დამუშავების მთელი ყურადღება გუმბათზეა გადატანილი. ტაძრის სარკმლების თავზე ჯვრებია გამოსაცული.

ვახტანგ ბერიძე წერს - „ორმოცნი“ მე პირველად 1950 წლის ზაფხულში ვნახე. მაშინ სამხრეთის შესასვლელს ჯვრ კიდევ პქონდა ხის კოჭზე ჩამოყრდნობილი ტიმბანი. ამ კოჭზე ამოკეთილი იყო ჯვარი, პატარა კვადრატები სამკაულად და ასომთავრული წარწერა, რომელიც სამწუხაროდ არავითარ საინტერესო ცნობას არ შეიცავდა. 1968 წელს აღარც ტიმბანი დამხვდა და აღარც წარწერიანი კოჭი“.

ნახევრად დანგრეული ტაძრის აღდგენა მამა კონსტანტინე კოლუშვილის ინიციატივით 1998 წლიდან დაიწყო. 1999 წლის 7 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს დოცვა-გურთხევით ტაძარი ორმოცნებითა სახელზე აკურთხა მანგლისისა და წალკის მთავარებისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე).



გუდელისი

სოფელი გუდელისი კოჯორის აღმოსავლეთით მდებარეობს. დღისათვის სოფლიდან მხოლოდ სასახლის გალვნის, ორი ეკლესის და სხვადასხვა ნაგებობების ნაშთებიდაა შემორჩენილი.

გუდელისი ისტორიულ საბუთებში პიველად 1581 წლის წელის გვალობის სიგელში გვხვდება. ქართლის მეფე სვიმონ I-მა ყაფარ სოლადაშვილის შვილებს იოანეს, მერაბს და დავითს „ქალაქის პირის და ვერის ხევის“ სხვა სოფლებთან ერთად „ორი კომლი და ორი ოხერი“ გუდელისშიც უბოძა. სოფელი გუდელისი ასევე მოხსენიებულია XVII საუკუნის საბუთებში.

ვახუშტი ბატონიშვილი 1745 წლის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოისა“ სოფელ გუდელისს აღგეთს ხეობაში მოისხენიებს. მისივე XVIII საუკუნის საქართველოს აზლასზე გუდელისი აღნიშნულია, როგორც „მთავრის სახლი“. ნ. ბერძენიშვილის მიხედვით გუდელისზე გადიოდა დღვინდელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა - „ტაბახმელას გაყრილი ის ვაშლოვნისკენ დაუხვევდა და ფარცხისისაკენ მიემართებოდა ასურეთ-ენაგეთზე“.

ისტორიკოს ალ. ბოშიშვილის აზრით, რომელსაც ჩატარებული აქვს საქმაოდ საფუძვლიანი გამოკვლევა სოფლის ისტორიის შესახებ ფიქრობს, რომ ეს გზა და სოფელი გუდელისი ლეკიანობას შეეწირა. რუსეთის იმპერიის მმართველობის პერიოდში გზა აღადგინეს, თუმცა 1899 წლიდან თეთრწყაროსთან დამაკავშირებელი ახალი გზა გაიხსნა - თბილისი-კოდა-თეთრი-წყარო და ძველმა გზამ თავისი ფუნქცია დაკარგა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ გზას დღემდე „ფოსტის გზას“ უწოდებს.

1728 წელს, ოსმალების მიერ ჩატარებულ აღწერაში სოფელ გუდე-

ლისში მხოლოდ ხუთი ოჯახია მოხსენიებული, თუმცა თუ დღემდე შემორჩენილი ნაშთებით ვივარაუდებთ სოფელი გუდელისი საქმაოდ დიდი და მრავალკომლიანი სოფელი უნდა ყოფილიყო. ამასვე ადასტურებს სასახლის, ორი ეკლესის და სხვა ნაგებობების ნაშთები.

მტრის შემოსევებისაგან მრავალჯერ აწიოქებული სოფლის მოსახლეობა აყრილა და ქმედით ტაბახმელაში გადასახლებულა, რადგან სოფელი ტაბახმელა მეფეთა რეზიდენციად ითვლებოდა და იგი ჯარით იქნებოდა დაცული.

როგორც უკვე ავღნიშნეთ სოფლის ნასახლარზე, ფიალო კლდის პირზე, შემორჩენილია თავადი სოლადაშვილების სასახლის ნაშთები. ასევე შემორჩენილია ნაგალავნარის საძირკლის და წრიული ორი ბურჯის ნაშთი. სასახლე საქმაოდ ძლიერი თავდაცვითი ნაგებობა იქნებოდა.

გუდელისის სასახლის პარის ეკლესია



სოლოდაშვილების სასახლის კომპლექსიდან შემორჩენილია კარის ეკლესის ნანგრევები, რომლის აშენების თარიღად XVII-XVIII საუკუნეები შეიძლება ვივარაუდოთ. სამწუხაროდ ვის სახელობაზედ იყო ეს ტაბარი ნაკურთხი ჩვენთვის უცნობია. ეკლესია დარბაზული ტიპის ერთნავიან ნაგე-



ბობას წარმოადგენს. ალ. ბოჭიშვილის აღწერით მისი ზომებია 9*5.8. ტაძრის კედლები ძლიერ დაზიანებულია, დასავლეთის კედელი სრულად ჩამოქცეულია, ჩრდილოეთის კედელის აღმოსავლეთი მხარე ორი ნიშით სიმაღლეში თითქმის მთლიანად არის გადარჩენილი. აღმოსავლეთის კედლის შუა ნაწილი ჩამონგრეულია და შემორჩენილია მხოლოდ აფსიდის ნაპირები. ეკლესიის სამხრეთი კედლის ნანგრევები ორ ნაწილად არის გაყოფილი, რაც გვაფიქრდინებს, რომ ეკლესიას შესასვლელი ამ მხრიდან ჰქონდა.

ეკლესიის შენობის შემორჩენილი ოთხ მეტრიანი ჩრდილოეთ კედლის აღმოსავლეთ მხარე ნაგებია ციკლოპური ქვებით, შუასაუკუნეების ქვემო ქართლში მშენებლობაში ლოდიქვების გამოყენების ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული.

ეკლესიის დასავლეთ კედელზე მიყედებულია ქვიშაქვისაგან დამზადებული ქვაჯვარი. როგორც ცნობილია ქვაჯვრების ძირითადი და უძველესი კერა საქართველოში ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხეა. ამ ქვაჯვარის სიმაღლე ერთი მეტრია და მასზე მხოლოდ ჯვარია გამოსახული, ხოლო მისი უკანა მხარე დაუმუშავებელია. დღეისათვის ძნელია იმის დაგენა სად მდებარეობდა ეს ქვაჯვარი თავდაპირველად, შესაძლოა იგი ეკლესიის კედელში იყო ჩაშენებული. ასეთი ფორმის ქვაჯვრები ქართლში შუა საუკუნეებში იყო გავრცელებული.

ეკლესიის ნანგრევებში ჩაღმული ხის წარწერიანი ჯვარი კი გვამცნობს, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ამ აღგილზე აიგება ლვის-მშობლის შობის მამათა მონასტერი.

გუდელისის ჭმილა გიორგის ეპლები



გუდელისის სასახლის კარის ეპლესიის სამხრეთ-დასავლეთით 200 მეტრში მდებარეობს ჭმინდა გიორგის ეპლებია, რომელიც გუდელისის მკვიდრი გვარის – უურაშვილების საგარეულოს საძვალეს წარმოადგენს.

ეკლესიამ, რომელიც გარედან ნახევრამდე ჩამოწლილი მიწით იყო დაფარული, ჩვენამდე ჩამოქცეული სახურავით და ძლიერ დაზიანებული კედლებით მოაღწია. ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობამ, ირაკლი კევლიშვილის თაოსნობით ეკლესია გადახურა და კედლები თანამედროვე ბლოკებით ამოაშენა. მას მოაცილეს ნაყარი მიწა, რის შედეგადაც გამოჩნდა რამოდენიმე სამშენებლო ფენა. ტაძრის კედლების ქვედა ნაწილი, რომელიც დიდი ქვებით და დუღაბით არის ნაშენი, ადრეული შუა საუკუნეებით შეიძლება დაგათარიღოთ.

სოფელი ხშირად ირბეოდა და მასთან ერთად ინგრეოდა ეკლესიაც. ამიტომ ეკლესიას მრავალი შეკეთება აღდგენის კვალი ეტყობა, რომლის დროსაც გამოყენებულია სხვადასხვა სამშენებლო მასალა - ქვის ნატეხები და ქართული აგური.

გუდელისის ჭმინდა გიორგის ეპლებია დარბაზული ტიპის ერთნავიან ნაგებობას წარმოადგენს. დღეს მას



შესასვლელი დასავლეთი მხრიდან აქვს, თუმცა დაზიანებულ სამხრეთ კედელში გარედან არსებული ქვების წყობა გვაფიქრებინებს, რომ კარი თავდაპირველად ამ კედელში იყო გაჭრილი. შემორჩენილია აღმოსავლეთი კედელი და მასში გაჭრილი საკურთხევლის სარკმელი. დასავლეთ კედელში შესასვლელის ორივე მხარეს და საკურთხევლელში გაჭრილია ნიშები.

ტაძარის შიდა ფართი დაახლოებით 40 კვადრატული მეტრია. იგი მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან შემორჩენილი ნანგრევების სიმაღლე 5 მეტრს აღმატება. კედლის სისქე კი 1 მეტრს აღწევს.

საკურთხევლელში იყო ამოსული საკმაოდ მაღალი იუნის ხე, რომელსაც ხელი არ ახლეს, რადგან მას წმინდა ხედ თვლიდნენ. ამიტომ საკურთხევლის თავზე გადახურვა არ არის. იუნის ხეს წინიდან მიუშენეს აგურის თაღვანი კანკელი და ახლადდაწერილი ხატები დააპრანებს. თუმცა ბოლო პერიოდში ხის მოჭრა მაინც გახდა საჭირო.

გუდელისის წმინდა გიორგის ეკლესია ძალიან ძლიერ სალოცავად ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სოფელმა თავი ვერ შეინარჩუნა და ტაბახმელაში გადასახლდა, მოსახლეობა ამ ეკლესის მაინც არ იგიწევდა და ყოველ გიორგობის დღესასწაულს გუდელისის წმინდა გიორგის ეკლესიაში აღნიშნავდა.

ტაბახმელა

აგარებში შედიოდა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელი ტაბახმელა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა. ისტორიულ წეროებში სოფელი პირველად თამარის ისტორიკოსთან მოიხსენიება, როგორც მისი სააგარაკე აღგილი.

სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ლეგენდაც

თამარ მეფეს უკავშირდება. გადმოცემით მას მონადირე ჰყოლია, რომელსაც სახელად ტაბახი რქმევია. თამარს ერთხელ ტაბახმელის მიდამოებში ნადირობისას მელა შეუნიშნავს და მონადირისათვის დაუძახია – ტაბახი მელაო! გადმოცემით ამის შემდეგ შერქმევია ამ სოფელს ტაბახმელა.

მეცნიერთა აზრით კი, სოფლის სახელი მშრალ ტბას ანუ „ხმელა ტაბახ“ უკავშირდება. სოფელის ტერიტორია თავდაპირველად ტყით ყოფილა დაფარული, რომელიც დროთა განმავლობაში გაიკაფა, რამაც ტბის დაშრობა გამოიწვია. დღემდევ შემორჩენილი ტოპონიმი „ნატბეური“. ვ. იაშალაშვილი წერს: „ამ ადგილზე ტბა მდებარეობდა, დედამიწის ცვალებადობით ტბა „დაშრა“, უფრო სწორედ, წყალმა იპოვა ნაპრალი და გაიპარა, ე.ი. ტბის ადგილი გახმა და „ტბა ხმელად“ იქცა. ამბობენ, რომ დღესაც ტაბახმელის ქვეშ მდინარე მიედინებაო“.

ადრე სოფელი ტაბახმელა უფრო ზევით მდებარეობდა, რაზედაც ტოპონიმი „ნასოფლარი“ მიუთითებს. ამ ტერიტორიაზე საბჭოთა პერიოდში ბიოკომბინატის მშენებლობის დროს აღმოჩენილ იქნა უძველესი ქვევრები. „ნასოფლარის“ აღმოსავლეთ ნაწილში „შეხვედებით ძველ, დახავსებულ წვეტიან ქვებს, ჩაფლულს დრმად მიწაში, რომლის შესახებ ხალხი ამბობს, რომ ეს ადგილი იყო „კერპების სასაფლაო“ – წერს ვ.იაშალაშვილი.

სოფლის ერთ-ერთ უბანში – ჩიხინებში, სახლების მშენებლობის დროს აღმოაჩინეს რამდენიმე ქვის სამარხი, რომლებსაც გვერდები და ხუფი ბრტყელი ქვით იყო გაკეთებული. ამ ადგილს დღემდე კერპების სასაფლაოს სახელი შემორჩა.

ისტორიული წყაროების მიხედვით ტაბახმელაში, მეფეთა საზაფხულო რეზიდენციაში შეეძნია თამარ მეფეს ლაშა-გიორგი. XVII საუკუნის ისტორიკოსი ფ. გორგიჯანიძე წერს: „აქა



თამარ მეფისაგან ლაშა გიორგის შობა ტაბახმელს, ქალაქის სიახლეს“. ივ. ჯავახიშვილის ცნობით თამარმა „ტაბახმელას „შვა ძე“, რომელსაც „უწოდა სახელი ახოვნისა მის მამისა თვისისა“ გიორგი“.

„ისტორიათა და აზმათა“ ნუსხებში თამარის გარდაცვალების ადგილად დასახელებულია „ხმელი“. კ. კუკელიძის აზრით თავდაპირველ დედანში იქნებოდა არა „ხმელსა დგომასა შინა“, არამედ „ტაბა-ხმელსა დგომასა შინა“. კ. კუკელიძის მოსაზრებას ადასტურებს ფ. გორგიჯანიძე, რომლის თხზულებაშიც გვხვდება ასეთი სათაური „სიკვდილი მეფის მეფისა და ხემწიფე[ე]ბში ნაქების თამარის ტაბახმელიქს“.

ოთანე ბაგრატიონი „ისტორია ქართლისა“-ში წერს, რომ თამარი გარდაიცვალა ზემო ტაბახმელას. მარიამ დედოფლისეულ ნუსხაში ვკითხულობთ „ისტრაფოდეს და მუნ წარიყვანეს კობოთავე და დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო. და კუალად წარმოიყვანეს აგარათა ციხესა“, იქვე წერია, რომ „მიიცვალა მეფე თამარ ხმელსა დგომასა შინა“.

ბ. ბერძენიშვილის აზრით თამარის სასახლე შავნაბადასკენ მიმავალ გზაზე - ნადარბაზეგზე მდებარეობდა. „აქ ტაბახმელასა და შეა ერთ დავაკებულ ადგილს დღესაც ნადარბაზეგი ეწოდება ნადარბაზეგი „სერების“ ზურგზე ტერიტორიულად ეს ნადარბაზეგი ტაბახმელაში შედის. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თამარის ტაბახმელა აქ ყოფილიყოს, უკეთ, თამარის სასახლე აქ ყოფილიყოს, მაგრამ მაშინ გიორგი მეფის (თამარის მამის) სასახლეც (საზაფხულო) აქ უნდა ვიგულისხმოთ. აქ სასახლე მეტისმეტად მოხერხებული ჩანს. ის, კაცმა რომ სოჭვას, თბილისშივეა და, გასაგებია, რომ მეფეს შეეძლო აქ დიდხანს ყოფილიყო“.

ტაბახმელა თამარის შემდგომი მეფეების ცხოვრების აღწერაშიც გვხვ-

დება - XIII საუკუნეში დავით ულუს, XIV საუკუნეში ვახტანგ III-ის ცხოვრების ამსახველ წყაროებში. ტაბახმელა XVI საუკუნეში ქართლის მეფე სიმონ I-ის ერთ-ერთი მთავარი სადგომი იყო.

იესე ბარათაშვილის ცნობით მეფე ერეკლესაც ჰქონია თავისი სასახლე ტაბახმელაში „ტაბონი ტაბახმელას ბრძანდებოდა, მეც იქ ვახლდიო“. დღემდეა შემორჩენილი ტოპონიმი ბატონიშვილის ხევი და წყარო - ეს ტერიტორია მეფე ერეკლეს ასულს თეკლას ეპუთვნოდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით ტაბახმელა XV საუკუნიდან თავად სოლადაშვილების საკუთრებას წარმოადგენადა. 1721 წლის აღწერის მიხედვით „სარდალი ქაიხოსრო მერმე უშვილო სოლადაშვილი ასლამაზის წილი მამული ან ტაბახმელას რაც არის ყველა ამისი წილი შენოვის წყალობა გვიქნია, შენ დააჭირე, სხვას ხელი არავის აქვს. დაიწერა იანგარს დ. ქ ქს უკვე“. ამის შემდეგ სოფელ ტაბახმელას ნაწილი ორბელიანების საგვარეულოს ხელში გადადის.

ალ. ბოშიშვილის ცნობით „მანუჩარ სოლადაშვილმა 1763 წელს შინდისი და ტაბახმელა რაც თავისი წილი იყო თავის საუფროსოთი, ბიძისგან ელიზბარ სოლადაშვილისგან მამამისის მიერ შეძენილი მამული და სახლიკაცის იორამის გვერდით იესე ოსეს ძე ბარათაშვილს მიჰყიდა“.

რუსეთის იმპერიის მიერ 1804 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით ტაბახმელის ძირითად მეპარონედ სარდალი ივანე ორბელიანი გვევლინება.



თაბახმელის ყოვლადღინდა
ლგონისმობლის მიმინდის პალმია



ტაბახმელის მაცხოვრებელთა გადმოცემით, ქვემო უბანში, სოფლის ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე თამარ მეფის დროინდელი ეკლესია მდგარა, რომელიც 1936 წელს, საბჭოთა პერიოდში დაუნგრევიათ. დანგრეული ეკლესის ქვებით კოლმეურნეობის კანტორა და საწყობი ააშენეს. ტაბახმელის ლგონისმშობლის ეკლესია, წავკისის წმინდა მარინეს ეკლესიაში დაცული 1912 წლის მრევლის ჩანაწერთა წიგნის მიხედვით მიწერილი ყოფილა ამ ეკლესიაზე.

1989 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოში შეიქმნა ტაბახმელის ეკლესიის ამშენებელი კომისია. 1991 წელს მშენებლობის დაწყების დროს აღმოჩენილ იქნა ძველი ეკლესიის საძირკველი, რომლის ნაშთზეც არქიტექტორ გიორგი ცხადაძის და მოძღვარ მამა ბესარიონის პროექტით აიგო ახალი ეკლესია. ტაბარი აშენდა ტაბახმელის მოსახლეობის მაღისტებულების სათავეში ედგა სოფლის მკვიდრი ამბერკი ჭალელი შვილი.

1993 წელის 28 აგვისტოს ახლად აგებულ ტაბარში საზეიმო წირვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და მან ტაბარს ზესწირა.

ტაბახმელის ეკლესია დარბაზული ტიპისაა, სამხრეთით მიღებული თაღოვანი კარიბჭით. სარკმელები გაჭრილია დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში. მოხატულია მხოლოდ საკურთხევლის კედელი, მასზე გამოსახულია ლგონისმშობელი იესოთი.

თავდაპირველი დროებითი ხის კანკელი მოგვიანებით შეიცვალა და დღეისათვის აშენებული და გალესილი კანკელია. ტაბარში დაბრძანებულია ახლად დაწერილი ხატები.

ეკლესიას გალავანი აქვს შემორტყმული. ტაბრის მიმდებარედ, მის დასავლეთ მხარეს დგას 2009 წელს ილია პაპაშვილის მიერ აგურით აგებული სამრეკლო.

ტაბრის გარშემო სასაფლაო მდებარეობს, სადაც XIX საუბუნის საფლავის ქვებია შემორჩენილი.

თაბახმელის ყოვლადღინდა
ლგონისმობლის პალმია



ტაბახმელის ყოვლადწმინდა ლგონისმშობლის ეკლესია მდებარეობს სოფელის დასავლეთით, ძველ სასაფლაოზე.

ეკლესიის შენობას კუბის ფორმა აქვს. კედლებს ეტყობა შეკეთება-გადაკეთების კვალი და ამიტომ შენობის კედლები საკმაოდ უსწორ-მასწორ ფორმისაა.

პატრიარქი ეკლესიას გარედან მამკობი ელემენტები არ გააჩნია. დასავლეთ კედლებში გაჭრილია კარები და ორი დიდი ზომის ფანჯარა, რომლები-



საც ზევიდან თაღები აქვს. აღმოსავლეთ კედელში, კი, გაჭრილია დაბალი სარკმელი.

ეკლესია დარბაზული ტიპისაა, გარედან გალესილი და შეთეთრებული. სახურავი ახლად აღდგენილია. ეკლესიის ინტერიერი გალესილი და შეთეთრებულია. ტაძარში დაბრძანებულია ახლადაწერილი სატები. პატარა ტაძარს არ გააჩნია კანკელი, მსახურებისათვის გამოყენებულია აღმოსავლეთ კედელში გაჭრილი სარკმლის რაფა.

ტაძრის გარშემო ძველი საფლავის ქვებია, რომლებზედაც საკმაოდ ორიგინალური ჩუქურთმებია ამოჭრილი.

ტაბახმელის ყოვლადწმიდა დამოისმშობლის ნიში



სოფელი ტაბახმელის უძველეს უბანში, კერძო მოსახლის ეზოში მდებარეობს ამაღლების ნიში. ადგილობრივ მოსახლეთა გადმოცემით იგი უძველესი სალოცავია ტაბახმელაში.

ნიშის აშენება სოფელ ტაბახმელაში კოდელაშვილების გვარის დამკვიდრებას უკავშრდება. ეს გვარი ტაბახმელაში თელეთიდან გადმოსახლებულა, საიდანაც მათ წინაპრებს თელეთის ამაღლების ტაძრიდან ქვები წამოუდიათ და ტაბახმელაში პატარა საგვარეულო სამლოცველო აუგიათ.

დღეისათვის ამ სამლოცველოს მხოლოდ საძირკვლის ნაშთი, მასში ჩასავლები სამი კიბე და გარშემო მიმობნეული ქვებიღაა შემორჩენილი.

ძნელი სათქმელია სამლოცველო თავდაპირველად რა სახით იყო აშენებული, თუმცა შემორჩენილი საძირკვლის ზომის მიხედვით თუ ვივარაუდებთ იგი მომცრო ზომის ნაგებობას წარმოადგენდა.

2002 წელს კოდელაშვილების გვარმა ნიში აღადგინა გუმბათიანი ტაძრის მოდელით. სამლოცველო სამი მასიური ქვისაგან შედგება. ქვედა პირველ ქვაში ნიშია გამოჭრილი, რომელშიც სატებია დაბრძანებული. მეორე ქვაში ლვოისმშობლის ჭედური სატია ჩადგმული, მესამე ქვა გუმბათის სახითაა გამოჭრილი.

ნიშის მშენებლობის დროს შეაქვთ სასწაულებრივად გამოსახულა ლვოისმშობლის სატი ერმა იქსოთი. მიუხედავად იმისა, რომ ნიში ამაღლების სახელზეა ნაკურთხი გადაწყვდა მის ცენტრალურ ნაწილზე ლვოისმშობლის სატი დაებრძანებინათ ქვაზე გამოსახულის მსგავსად.

ნიში ჩადგმულია ძველი სამლოცველოს საძირკველში.

ტაბახმელის ფანდა გიორგის ნიში



წმინდა გიორგის ნიში მდებარეობს სოფელ ტაბახმელის ძველ უბანში, ხევის პირას. იგი გადაჰყურებს მთელ ხეობას და თბილისს. ნიშის გარშემო შემორჩენილია ძველი საფლავის ქვები. შესაძლებელია აქ ადრეც მდგარიყო სალოცავი, თუმცა სამწუხაროდ მის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ შევძლით.



ბოლო პერიოდში ადგილობრივი მოსახლეობის ძალისხმევით აშენდა პატარა სამლოცველო, რომელიც წმინდა გიორგის სახელობაზედ ექურთხა. სამლოცველო პატარა ერთნავიან ნაგებობას წარმოადგენს, მას ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი აქვს პატარა სარკმელი. სამლოცველოში დაბრძანებულია ახლადდაწერილი ხატები.

ტაბახმელის მაცხოვრის ნიში



ტაბახმელის ერთ-ერთ უბანში შემორჩენილი გაღმოცემის მიხედვით მდებარეობდა სოფლის უძველესი ეკლესია.

ადგილობრივი მოსახლეობის, შიომვილების გვარის მიერ ძველი ეკლესიის ადგილზე, ხევის პირზე აიგო მაცხოვრის ნიში. მშენებლის დროს ნიშის აღმოსავლეთ კედელთან აღმოჩნდა დიდი ქვევრები.

ძიების შედეგად ეკლესიის ქვევით ხევში მაცხოვრებლებმა აღმოაჩინეს ძველი ეკლესიიდან შემორჩენილი ორნამენტებიანი ქვები, რომლებიც ახლა ეკლესიის გვერდითაა დალაგებული.

ნაგებობა ერთნავიან მცირე ზომის სამლოცველოს წარმოადგენს, მის სამსახურით კედელში პატარა სარკმელია გაჭრილი. ინტერიერში აღმოსავლეთ კედელზე ლამაზი ნიშია გაპარებული სადაც დაბრძანებულია ახლადნაკეთი ჯვრები და ახლადდაწერილი ხატები.

ტაბახმელის სასავლაოს წმინდა ბიორბის მაცხოვრის ნიში



ტაბახმელის თავდაპირველად დღე-განდელი სოფლის სამსახურ-დასავლეთით მდებარეობდა - ამ ადგილს დღე-მდე შემორჩინებული „ნასოფლარი“. აქ მდებარეობს სოფლის სასაფლაო, რომლის შუაგულში დგას კვირაცხოვლის წმინდა გიორგის ეკლესია. ტაბარი გარშემორტყმულია უძველესი ტყით, რომელსაც დღემდე ხატის ტყის სახელი ეწოდება. „წმინდა გიორგის ეკლესიის წყალობით ნასოფლარის ტყები დღეგანდლამდე თავისი პირვენდელი სახით მოაღწია. ეს ტყე „ხატის ტყე“ ითვლებოდა და ამიტომ ის არ იჩენებოდა. ტრადიცია თაობიდან თაობებზე გადადის, ტყის ზრდა-განვითარებაში ადამიანის ხელი არ ურევია, ამიტომ იგი დღესაც გვხიბლავს თავისი სილამაზით და ბუნებრიობით“ - წერს ალ. ბოშიშვილი.

ადგილობრივი მოსახლეობის გაღმოცემით ტაბარი თავდაპირველად მხოლოდ კვირაცხოვლის სახელზედ ყოფილა ნაგურთხი და სოფელი აღდგომის სწორზე კვირაცხოვლობის დღესასწაულს ზეიმობდა.

მეცნიერთა აზრით წმინდა გიორგის ეკლესიის დღეგანდელი შენობა გვიან შუასაუკუნეებშია აგებული. იგი მომცრო ზომის ქვით ნაგები დარბაზული ტიპის ეკლესია. აღმოსავლეთ კედელში გაჭრილია ერთადერთი სარკმელი. შესასვლელი დასავლეთი მხრი-



დან აქვს. ტაძარს კანკელი არა აქვს. საკურთხეველში ვერტიკალურად დგეს საფლავის ქვა რომელზედაც ამოკვეთილია თარიღი 1877 წელი.

ტაძარი ხევის პირას მდებარეობს. შემორჩენილი იყო მხოლოდ მისი აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ კედელი. შესაძლებელია ნიაღვრებმა გამოაცალა ძირი ეკლესიას და ამის გამო ჩამოიქცა კედლები.

ტაძრის გარშემო უძველესი სასაფლაო მდებარეობს და ძირითადათ იაშადაშვილების გვარის საფლავებია. ერთ-ერთი იაშადაშვილი საფლავის მიხედვით, რომელზედაც წარწერა „დავიძარხე მამაპაპის ეკლესიაში“ შესაძლებელია ვთქვათ, რომ ძველი კვირაცხოვლობის ეკლესია მათი გვარის მიერ იყოს აშენებული და მათ საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა.

ჩამოქცეული ეკლესიის აღდგენაც იაშადაშვილების გვარის წარმომადგენელს უთავებია, ამის შესახებ გვამცნობს ეკლესიის შესასვლელის ოავზე მოთავსებული წარწერა „წმინდა გიორგის აღდგენისათვის სახსოვრად რუბენა სერგოს ძე იაშადაშვილისაგან. 1968 წ. XI“.

ტაძრის აღდგენილ დასავლეთ კედლში ჩადგმულია, სავარაუდოდ ძველი ეკლესიიდან შემორჩენილი ხუთი რელიეფური ქვა, რომელზედაც ჯვრებია გამოსახული, ხოლო ერთზე წარწერაა. ტაძარში ახლადდაწერილი ხატებია დაბრძანებული.

შიგნიდან ტაძარი გალესილი და შეთეთრებულია. იგი თუნუქითა გადახურული.

ეკლესიის გვერდით მოწყობილია შესაწირისათვის განკუთვნილი ქაუჭები. ეტყობა აქ გიორგობას ცხვარს წირავენ. ჩრდილოეთ კედლთან დგას „ნატვრის ხე“.

თაბახმელის ღვთისმშობლის მიმდებაის ახალი ტაძარი



შიდისი

აგარაებში შემავალი სოფლებიდან თბილისთან უახლოესი შინდისია. იგი პირველად ისტორიულ წყაროებში XIV საუკუნიდან მოისხენიება. 1925 წლის გზამკლევებში, არქეოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით აღ. თვალჭრელი წერს, რომ სოფელი შინდისის დასახლება მიეკუთვნება ნეოლითის ხანის დასასრულს და ბრინჯაოს ხანის დასაწყისს, აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სოფელი თავისი არსებობის 3000 წელს ითვლის.

შინდისის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ნაპოვნი იქნა X საუკუნის არაბული, XIII საუკუნის რუსუდან დედოფლისეული, XVII საუკუნის პოლონეთის მეფის სიგიზმუნდ I-ის, XVIII საუკუნის ერეკლე II-ის დროინდელი ოქროსა და ვერცხლის მონეტები.

აღგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით თავდაპირველად სოფელი



შინდისი დღევანდელი კრწანისის რაიონის მიდამოებში ყოფილა გაშენებული. იმ აღგილას კი, სადაც დღესაა გაშენებული სოფელი გაუვალი ტყე ყოფილა, რომელშიც ძირითადად შინდის ხეები ყოფილა. და ამიტომ დაურქმევიათ სოფელისათვის – შინდისი.

შინდისზე ორი მნიშვნელოვანი „საცხვრო“ და „საქარავნო“ გზები გადიოდა. ღლევითახევში დღემდევა შემორჩენილი XVII საუკუნის ერთმალიანი ხიდი, რომლითაც სოფელი თაბორს და სოლოლაკს უკავშირდებოდა. სოფელ შინდისს თავის თხზულებაში გასუშტი ბატონიშვილიც მოიხსენიებს.

სოფელი თავდაპირველად საორბელიანო ყოფილა. ერეკლე II-ის შვილთაშვილს, გრიგოლ ორბელიანის დასევჭმიას სოფელი მზითებში რგებია, სოლო როდესაც იგი მელიტონ ბარათაშვილს გაჰყვა ცოლად, ამის შემდეგ სოფელი უკვე საბარათიანო ხდება.

შინდისში მელიტონ ბარათაშვილს ოჯახისათვის საზაფხულო რეზიდენცია აუშენებია. მას სასახლის გარშემო დიდი და ულამაზესი ბაღი გაუშენებია, რომელშიც ბევრი ლექსი დაუწერია მის ვაჟს - ნიკოლოზ (ტატო) ბარათაშვილს. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით სახლთან ახლოს ყოფილა ძროხების ფერმა. ფერმიდან ახლადმოწელილი რექ თიხის მიღების მეშვეობით ბარათაშვილების ეზოს აუზში ჩადინებოდა. მათი სასახლის ახლოს დღემდევა შემორჩენილი ბოლნისის ტუფის თლილი ქვით აშენებული აუზის ნაშთები. დღეისათვის მათ სასახლეში ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი ფუნქციონირებს.

ცხოვრების ასეთმა სტილმა ოჯახი გაკოტრების პირამდე მიიყვანა. ცხნილური არქივის ფონდის თბილისის სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის, განხინების ექსპედიციის საქმეებში დაცულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელით შედგენილი საბუთი, რომელიც ამ პერიოდ-

ში უბრალო ჩინოვნიკად მსახურობდა, მამამისის, მელიტონ ბარათაშვილის თხოვნა რუსეთის მეფე ნიკოლოზ I-ის სახელზე, რომ ნება დართონ გაყიდოს თბილისის გუბერნიის სოფელ შინდისში არსებული თავისი მამული, სადაც სახლობს მათი ოთხი ყმა-გლეხი თავიანთი ოჯახებით. მელიტონ ბარათაშვილი იძულებული შეიქმნა რუსი მოხელის ისარლიშვილის 680 მანეთის ვალის გამო შინდისის მამულები გაეყიდა. 1844 წელის ნასყიდობის დოკუმენტის მიხედვით მელიტონ ბარათაშვილმა თავისი კუთვნილი მამულები მიყიდა ნიკოლოზის დრაგუნთა პოლკის პორუჩის აბელ გურგინბეკოვს.

სოფელში ორი ძველი ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაწმინდა გიორგის. ასევე ერთი ახლადაგებული ღვთისმშობლის ეკლესია დამშენებარე წმინდა თამარ მეფის დედათა მონასტერი.

შინდისის გოვლადობიდა ღვთისმშობლის მიმინდების ეკლესია



სოფელ შინდისში ორი ქართული მართლმადიდებლური ტაძარი მოქმედებს, მათ შორის უძველესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიმინდების ტაძარი. ისტორიულმა წყაროებმა ძველი



ეკლესიის შესახებ ცნობები არ შემოგვინახა.

როგორც უკვე აღვინიშნეთ სოფლის მებატონები მელიტონ ბარათაშვილმა 1863 წელს გაყიდა თავისი კუთვნილი მამულები შინდისში. ახალმა მფლობელმა ეროვნებით სომებმა პლატონ გურგინბეგოვმა ქართული ტაძარი სომხურ ეკლესიად გადაკეთებინა. აამაღლებინა საკურთხეველი, დაადგა გუმბათი და გალავანი შემოარტყა. ეკლესიასთან გახსნა სომხური დაწყებითი სკოლა. ტაძრის გარშემო მლოცველებისათვის დამის გასათვევი ოთახები შეაკეთებინა. ამის შემდეგ ეკლესიაში მსახურებას სომები მდგდელი-ტერტერა იწყებს. საბჭოთა პერიოდამდე ეკლესიაში დვთისმსახურება სომხური ლიტურგიული წესით მიმდინარეობდა.

იმის გამო, რომ სომხური ეკლესია გლეხებს გადასახადებიდან ანთავისუფლებდა სოფლის გადატაკებული მოსახლეობის დიდი ნაწილი „გასომხედა“. სოფელში ძირძელი გვარების ნაცვლად სომხური გვარები გაჩნდა. მაგალითად: ტერტეროვებად იწოდებოდნენ - ასტამაძეები, შინდელიშვილები, გიორგაძეები, არველაძეები. ოსიპოვებად - არაგვიშვილები, კარახანოვად - მღებრიშვილები, ბაინდუროვებად - ბაინდურაშვილები, მაჩკალოვად - პაპიაშვილები, მეგუთნიშვილები, ლეგანიშვილები და ნადირაძეები. დღეისათვის მოსახლეობამ დაიბრუნა თავისი ძირძელი გვარები.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გურგენბეგოვმა დატოვა სოფელი და მისი კუთვნილი ქონება სახელმწიფოს ხელში გადავიდა. ტაძარში შეწყდა დვთისმსახურება. ეკლესიის შენობას კოლმეურნეობის მარცვლეულის შესანახად იყენებდნენ. ტაძრიდან გამოაპრანეს ხატები და ხევში გადაყარეს. ჩამოაგდეს ეკლესიის უზარმაზარი ზარი.

1996 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის,

უწმინდესისა და უნებარესის ილია II-ს ლოცვა კურთხევით ყოვლადწმინდა დვთისმშობლის მიძინების ტაძარში ისევ ადდგა ქართული მართლმადიდებლური დვთისმსახურება.

ამავე პერიოდიდან დაიწყო ტაძრის აღდგენითი სამუშაოები. გამაგრდა კედლები, შენობას გაუკეთდა ახალი სახურავი. რესტავრაცია გაუკეთდა XIX საუკუნის ფრესკებს, რომლებიც ნაწილობრივ შემორჩენილია ეკლესიაში. ყოვლადწმინდა დვთისმშობლის მიძინების ადდგენილი ტაძარი 1998 წელს ბოლნისის და დმანისის მთავარეპისკოპოსმა თადეოზმა (იორამაშვილი) აკურთხა.

დღევანდელი შენობა დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. ტაძარს შესასვლელი სამი მხრიდან აქვს - სამხრეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთიდან. ჩვენამდე მოაღწია ეკლესის შენობის რამდენიმე ძველმა ფოტომ. ერთ-ერთ ფოტოზე ჩანს, რომ დასავლეთ შესასვლელის ტიმპანზე აღრეარქიტექტურული დებულა. მის აღგილზე დღეს დვთისმშობლის ხატია გამოსახული. დასავლეთ შესასვლელს სამივე მხრიდან ჩატანებული აქვს ჩუქურთმიანი ქვები. შესასვლელის თავზე გაჭრილია პატარა სარკმელი.

სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში გაჭრილია დიდი ზომის ფანჯრები, რომლებსაც აგურის თაღოვანი წყობაა აქვს. სამი სარკმელია გაჭრილი აღმოსავლეთ კედლებში. ეკლესია ნაგებია აგურით და შეულესავია. გარედან შენობას აქვს აგურით გამოყვანილი თაღები და ნიშები.

ტაძარში შემორჩენილია XIX საუკუნის კედლის მოხატულობა. აღმოსავლეთ კედლებზე გამოსახულია ბიბლიური სცენები. გვერდითა კედლებზე შემორჩენილია ფრესკების ფრაგმენტები. დაიდგა ახალი ხის კანკელი. აქვეა დაბრანებული მირონმდინარე ყოვლადწმინდა დვთისმშობლის ხატი.



ტაძარში რამოდენიმე საფლავის ქვაა, აქ მირითადად დასაფლავებული არიან სომები მდგდლები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საფლავის ქვას ქართული წარწერა აქვს.

ელევის შენობა ხევის პირზე დგას და იგი ზემოდან გადმოყურებს თბილისს. ტაძრის გარშემო ძველი სასაფლაოა, რომელზედაც მრავლადაა შემორჩენილი XIX საუკუნის საფლავის ქვები. მიმდინარეობს ეკლესიის მიმედბარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

რომ სოფელში შემორჩენილია ძველი დღესასწაული „შინდისობა“, რომელიც პეტრე-პავლობის მარხვის დაწყების წინ, კვირა დღეს იმართება. ტრადიციულად ეს დღესასწაული ყოვლადწმინდა დგომისმშობლის ეკლესიის ეზოში იმართებოდა სადაც მთელი მოსახლეობა და უამრავი სტუმარი, და ვაჭარი იყრიდა თავს. იმართებოდა სახალხო ზეიმი ცეკვებით და ჭიდაობით. აქვე ხდებოდა სარძლოს თუ სასიღოს არჩევა.

შინდისის მინდა ბიორგის ეპლუსია



ყოვლადწმინდა დგომისმშობლის მიძინების ეკლესიის სიახლოეს მდებარეობდა წმინდა გიორგის უძველესი ტაძარი, რომელიც გადმოცემის თანახმად ბარათაშვილების კარის ეკლესია ყოფილა. სამწუხაროდ მისი აშენების ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, რადგან ნახევრად დანგ-

რეული ეკლესიის ადგილზე შინდისის მკვიდრებმა არჩილ შინდელაშვილმა და შალვა მდებრიშვილმა ახალი უფრო მომცრო ზომის ეკლესია ააშენეს.

მოსახლეობის გადმოცემით დღევანდელი ეკლესიის ადგილას დარბაზული ტიპის ერთნავიანი ეკლესია ყოფილა აგებული. ეკლესიის ეზოში მდგდლის პატარა სახლიც მდგარა. ჩვენამდე ამ ოთახის მხოლოდ ერთმა კედელმა მოაღწია, რომელშიც ბუხარი და პატარა სათავსებია.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ეკლესია უმოქმედო იყო და მთლიანად დაიქცა. უფრო მომცრო ზომის დარბაზული ტიპის ახალი ეკლესია ნაშენია აგურით და გარედან შეუდესავია. ტაძარს შესასვლელი ჩრდილოეთიდან აქვს. აღმოსავლეთ კედელში გაჭილია პატარა სარტყელი.

ადგილობრივი მაცხოვრებლების გადმოცემით ძველი ეკლესია მოხატული ყოფილა, ერთ-ერთი მაცხოვრებლის აღწერით ეკლესიის სამხრეთ კედელზე საუდუმლო სერობის საკმაოდ დიდი ფრესკა ყოფილა.

ტაძარში შემორჩენილია საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის მიერ გადამალული XIX საუკუნის ხატები, მათ შორის აღსანიშნავია წმინდა გიორგის და ოჯახის მფარველების - წმინდა გურის, წმინდა სამონის და წმინდა აბიბოს ხატი.

ახლადაგებულ ეკლესიას საქაოდიშვილითი ფორმის ძველი ეკლესიის ჯვარი დაადგეს.



შინდისის გოგლადღინდა ღვთისმამადის ეპლუსია




შინდისის სოფლის განაპირას, მაღალ მთაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით 1995 წელს დაიწყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრის მშენებლობა. ტაძრის აიგო გელა და ზვიად თოთოლაშვილების ოჯახის ინიციატივით და სოფლის შემწეობით.

ტაძარი აიგო სვანეთის იფარის მთავარანგელოზის ტაძრის ანალოგი. ეკლესიის შენობა წარმოადგენს მცირე ზომის ნაგებობას. შესასვლელი სამხრეთ კედელშია გაჭრილი.

1996 წელს ახლადაგებული ტაძარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აკურთხა დეკანოზმა მამა ტარიელმა (სიკიძილაშვილი).

ტაძარი მომცრო ტიპის ერთნავიან ნაგებობას წარმოადგენს, რომელსაც შესასვლელი სამხრეთ კედელში აქვს დატანებული. ტაძარი მოხატულია, საკურთხეველში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით და ანგელოზები. კედლებზე ბიბლიური სცენებია გამოსახული. აღმოსავლეთ კედელში მცირე ზომის სარკმელია გაჭრილი. შენობას გარედან მამკობი ელემენტები არ აქვს.

შინდისის ღმინდა თამარ მეფის დედათა მონასტერი - თამარწმინდა



შინდისში არქიმანდრიტი ადამის (ახალაძე) ინიციატივით დაფუძნდა წმინდა თამარ მეფის დედათა მონასტერი - თამარწმინდა.

სამლოცველო წმინდა თამარის სახელობისაა, ხოლო მშენებარე ტაძარი მირქმა-მიგებების სახელზეა აგებული. მონასტრის ტერიტორიაზე დედათა საცხოვრებელი სენაკებია განთავსებული.

მონასტრის კეთილმოსაწყობად და ასაღორძინებლად კიდევ ბევრი რამაა გათვალისწინებული. მონასტერთან დაარსდება სოციალური ცენტრი, სადაც იმსახურებენ მოწყალების დები. აიგება მოხუცთა სახლი და კულტურული ცენტრი.



ვაგისი

სოფელი წავკისი თავდაპირველად თბილისთან ახლოს, დღევანდელი სოფელი ოქროყანის სამხრეთით თბილისის თანადროულად გაშენებულა, სადაც დღემდე შემორჩენილი ნაგებობათა ნაშთები. ამ ადგილს „ნამოსახლარს“ უწოდებენ. ძველი წავკისი გაშენებული იყო დაგაქებულ აღგილას, ზოგიერთი მეცნიერის აზრით სოფელს „წავაკებული“ ადგილის გამო ეწოდა - „წავაკისი“ ანუ „წავკისი“.

მტრების შემოსევებისაგან შეწუხებული სოფლის მოსახლეობა აყრილა და უფრო ზევით მდინარე წავკისის წყალის ხევის მარჯვენა მხარეს ახალი სოფელი გაუშენებია.

წავკისი პირველად XIV საუკუნის ისტორიულ საბუთებში გვხვდება: ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო გუჯარში, რომელიც 1392 წლის 1 დეკემბრითაა დათარიღებული: „ტფილის ქალაქს ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარნი და ბაზნ თესითა შესავლითა; მტკვრის პირას სოფელი და კონი და ახალუბანი. ქალაქს ვაჭრებითა კრწანისი, სოფელი შინდისი, სოფელი წავკისი, მათითა სამზღაურითა და მეორე წავკისი მახრალაჯითა, ხეკორძითა და მეტებს რაც მეტოქია“. წავკისი ასევე 1398 წლის სვეტიცხოვლის შეწირულობის წიგნში მოიხსენიება.

როგორც ისტორიკოსი ალ. ბოშიშვილი წერს: „1578 წელს ქართლში ოსმალების ბატონობის გამო სვეტიცხოველმა წავკისის მფლობელობა დაკარგა. მოგვიანებით 1595 წელს სვიმონ მეფემ წავკისი მეტების ტაბარს შეწირა. თუმცა 1677 წლის 7 მაისს ლევან და გიორგი ბატონიშვილებმა იგი სვეტიცხოველს განუახლეს და ხელახლა შესწირეს“.

XVI საუკუნეში, ლუარსაბ I-ის მეორე ვაჟმა ულალატა თავის ძმას, ქართლის მეფეს სიმონ I-ს და ქართლის თავადებთან ერთად 1561 წელს

ირანს გაემგზავრა და მან ცოლად „წავკისადამე ქალი ერთი ქალმა დავითის მიერ, შვა ძე და უწოდა სახელად ხოსრო მირზა“. როდესაც გამაპმადიანებული დაუდ ხანი შაპ თამაზ I-მა ქართლის ხანად დანიშნა და ყიზილბაშთა ჯარით საქართველოში გამოგზავნა მას წავკისელი გლეხის ქალი და თავისი მცირეწლოვანი ვაჟი, შემდგომში მეფე როსტომი თან წამოუყვანია, მაგრამ „წავკისელი ქალი“ უკანა გზაზე გარდაცვლილა.

შეიძლება გამოვთქმათ ვარაუდი, რომ წავკისში ქართლის მეფის - ლუარსაბ II-ის საზაფხულო სასახლე მდებარეობდა. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ 1612 წელს ფარსადან ციციშვილის და შადიმან ბარათაშვილის ხელმძღვანელობით გიორგი სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. მათ შეადგინეს სამოქმედო გეგმა იგი მეფეს სანადიროდ დააპატიუებინეს წავკისში, სადაც თავს უნდა დასხმოდნენ და მოეკლათ.

სასახლის არსებობაზე ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს შუა სოფელში, ხევის პირას მდგარი სათვალთვალო კოშკის ნაშთები. შესაძლებელია ეს ყოფილიყო სასახლეს გარშემორტყმულ გალავანში ჩადგმული კოშკი. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით კოშკი სამ სართულიანი ყოფილა. ზევით სართულებზე ასვლა კოშკში არსებული ვიწრო ხის კიბებით ყოფილა შესაძლებელი. კედლებში მას სათოფურები ჰქონდა გამოჭრილი. პირველი სართულის კედლებში ბუხარი ყოფილა ჩადგმული. კოშკს მასიური რკინის კარები ჰქონია. საბჭოთა პერიოდში კოშკი კერძო მფლობელის ეზოში მოექცა და მას ბოსლად იყენებდნენ. 1990-იან წლებში კოშკი საბოლოოდ განადგურდა, ადგილობრივმა მოსახლეობამ იგი დაშალა და სამშენებლო მასალად გამოიყენა. ამ კოშკთანაა დაკავშირებული თქმულება თინა წავკისელის შესახებ.



ასევე არსებობს თქმულება, რომ გიორგი სააკაძემ ნუგზარ არაგვის ერისთავის ქალიშვილზე – რუსუდანზე ჯვარი წავისის წმინდა მარინეს ეკლესიაში დაიწერა.

1721 წლის ქართლის სამეფოს სოფლების მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემებით სოფელ წავისში 7 დამოკიდებული უყმო აზნაური ყოფილა: გოდერძა მოლაშქრე, სოლთათოშვილი მოლაშქრე, გოლბაბაშვილი მოლაშქრე, გოგია მოლაშქრე, მანუჩარ მოლაშქრე და კიდევ ორი მოლაშქრე. მათი მებატონეები ყოფილან მეუე და ციციშვილები. ამრიგად, მეფის ჩათვლით, წავისში 1721 წლის აღწერით 4 მებატონე ყოფილა და შვიდი უყმო აზნაური. მეფის გარდა სოფელს ჰყავდა სამი მემამულე - აზნაური ფრიდონაშვილი შავერდა, აზნაური ფრიდონაშვილი ფრიდონა და აზნაური ფრიდონაშვილი თამაზა. სოფელ წავისში სულ 39 კომლი ყოფილა.

1804 წლის რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით წავისის ფართობი „302 დესიატინა“ ანუ 330 ჰექტარს შეადგენდა, გლეხების მხოლოდ ცხრა კომლია დასახელებული. ხოლო მებატონეებად უკვე ფარსადან, ზაზა და უთრუთ ციციშვილები არიან დასახელებულები.

სოფელი წავისი XVIII ს-ის დასაწყისისათვის საქმაოდ მოზრდილ სოფელს წარმოადგენდა. 1747 წელს საქართველომ თავი დაადწია ყიზილბაშობას. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მაშინ გამოვიდა ტყილისიდან მაპმადბეგ სპითა ოსმალთა, ამათ ეკუთნენ ყიზილბაშ, ქართველნი აოტნეს ოსმალნი და მოწყვიტეს და სხვანი შევიდნენ თვილისს შემდგომად დადგნენ კოურზე ყიზილბაშ-ქართველნი და ტალანი ამათნი წავისს“. ყიზილბაშების ერთ-ერთი ბოლო სამკვდრო-სასიცოცხლე ბრძოლა წავისის სანახებთან გაიმართა მეუე ერეკლე II და ალი-ული-ხანის ძის ჯარებს შორის, რომე-

ლიც ქართველთა გამარჯვებით დასრულდა.

მთელი ქართლი და მათ შორის წავისიც ლეკთა თარეშს ვერ გადაურჩა. არსებობს გადმოცემა, რომ ლეკებთან ბრძოლაში თავი უახელებია გმირ ქართველ ქალს თინა წავიკისელს.

თინა წავისელი, გვარად ფეიქრი-შვილი XVIII საუკუნეში ცხოვრობდა. იგი გაბაშვილის ყმა ყოფილა, რომელმაც ნამუსი ახადა. ერთი ვერსიით შეურაცყოფილმა თინამ შური იძია, ბატონი იმავე დამეს მოკლა და სასახლიდან გაიცა. სხვა გადმოცემით კი, თინას შეოქმულება მოუწყიდა და მტრისათვის ხანჯლები წაურთმევიათ, ყველანი დაუხოციათ, ცხენზე შემსხდარან და თბილისში ჩამოსულან.

ქალის გმირობით გაკვირვებულ ერეკლე მეფეს თინა სასახლეში დაუტოვებია. მალე ის დაუქორწინებია ახალგაზრდა ქართველ ვაჟაცზე. მათ ორი შვილი გასჩენიათ. ერთხელ, ერეკლე მეფეს სოფელ წავისის ყველა ბლეხი მდევრად გაუყვანია. ამ დოს სოფელში ხმა დარხეულა, წავისის თათრები დარბევას უპირებენო. თინას გაუგია თუ არა ეს ამბავი, მაშინვე სოფლის კოშკში შეუხიზნია სოფლის ქალები, მოხუცები და ბავშვები. კოშკის კიბის საფეხურებზე დაუწყვია ფუტკრის სკები და თვითონ ერეკლე მეფესთან წავიდა მტრის თავდასხმა რომ ეცნობებინა და ჯარი ამოეცვანა სოფელში. დამე კოშკს ჯარი მიადგა, შეხიზულმა ქალებმა სკები გახსნეს. ფუტკარს დაუწყია საშინელი ბზუილი და კბნა. ამასობაშიც თინა ჯარით ამოსულა თბილისიდან და გაუწყვეტია მტერი.

თინა წავისელი მალე დაქვრივებულა. დარჩენია ორი ვაჟი. 1795 წელს თბილისში, აღა-მაპმად-ხანის შემოსევის დროს თინა თავგამოდებით იბრძოდა, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში მამაცი ქალი ტყვედ ჩავარდა და ტყვედ წაუყვანიათ. ერეკლე მეფეს თინა



წავკისელი ტყვეობიდან გამოუხსნია, მაგრამ სპარსელებს იგი კვლავ ხელში ჩაუგდიათ და ბოლნისის მხარეში წამებით მოუკლავთ. ერეკლე II-ის ბრძანებით, თინა წავკისელი ქმრის გვერდით, ბოლნისის სიონის ახლოს დაუკრძალავთ. მათი ობლები კი მეფის სასახლეში ჩაუყვანიათ აღსაზრდელად.

ლეკიანობა წავკისში XIX საუკუნეშიც გაგრძელდა. ალ. ბოშიშვილი წერს, რომ – „1808 წლის 21 ივნისს საქართველოს მმართველი გენერალი თევდორე ახვერდოვი კავკასიის მთავარმართებელს ივანე გუდოვის მოხსენებას უგზავნის, სადაც აღნიშნულია, რომ 15 ივნისს ახალციხის საფაშოდან 200 თათარი გადმოსულა, წავკის თავს დასხმია და 1200 ცხვარი, 103 მსხვილფეხა პირუტყვი, 5 ვირი და 1 ცხენი გაუტაციათ. სამაზრო მარშალი თავადი ბარათაშვილი ქართველების შეიარაღებული რაზმით გამოსდევნებია, მაგრამ ვეღარ დასწევია“.

1801 წლიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, სოფელი წავკისი ჯერ ადმინისტრაციულად ჯერ ლორის მაზრაში, ხოლო მოგვიანებით კი თბილისის მაზრაში შედიოდა. სოფელი წავკისი გივი ციციშვილს ჩამოერთვა გადეცა სახლმწიფო სახაზინოს.

XIX საუკუნის მიწურულიდან წავკისში ციციშვილების მამულების დიდ ნაწილს თბილისის მელიქ-მამასახლისები ბეჭუთაშვილები ფლობენ.

წავკისის მცხოვრებთა ერთ-ერთ საშემოსავლო დარგთაგან ყოფილა მენახშირება. მოსახლეობა სანახშირედ დასამუშავებელ ტყეს მემამულებისგან იღებდნენ იჯარით. წავკისის მცხოვრობლებს ამ პერიოდშივე დაუწყიათ თოვლის და ყინულის შენახვაც. თოვლის დამზადებისათვის აშენებნენ „საყინულებს“ და „მაცივრებს“.

XX საუკუნის დასაწყისში, წავკისის წმინდა მარინეს კვლების მიმდებარედ გერმანელი „ვეცილი“ დასახლებულა, დიდი სახლი აუშენებია და

ეოლოს პლანტაციები გაუშენებია. დღეს ეს ადგილი დასახლებულია.

1903 წლის 5 ივნისის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ წავკისის შესახებ ვკითხულობთ: „ტფილისიდან წავკისი სულ 5-6 ვერსის მანძილზე მდებარეობს. მდებარეობით, ჰავითა და ბუნების სიმდიდრით არამც თუ არ ჩამოუგარდება კოჯორს, არამედ სჯობიან კიდეც. გრილი ჰავა, ცივი და კაშკაშა წყაროები და სიახლოვე ტფილისთან საუკეთესო სააგარაკო ადგილად ჰქმნიან წავკისს. სოფელში კარგა ხანია ყარაშვილებმა მოაწყეს საგარაკოდ სადგომები. სააგარაკოდ სახლები გამართეს აგრეთვე სხვა მცხოვრებთაც. სახლები იაფად არის. მსურველი 30-50 მან. იშოვნის საზაფხულოდ სააგარაკო სადგომს. აქამდე უგზოობა ძალიან უშლიდა ხელს მეაგარაკეთ, მაგრამ ამას წინათ ადგილობრივ მცხოვრებთ მშვენიერი გზა-ტკეცილი გააკეთეს წავკისიდან ტფილისამდე. წავკისიდან მომავალი გზა კოჯორის გზატკეცილს უერთდება სოფ. ოქროყანაში. სოფლის მცხოვრებთ ამას წინად მოლაპარაკებაც ჰქონდათ იმაზე, თუ როგორ გააუმჯობესონ მიმოსვლა ტფილისსა და წავკისს შუა. სოფლის საზოგადოებამ (ასე 40 კაცმა) გამოიღო 400 მანეთამდე და ამ ფულით შეიძინეს მშვენიერი ომნიბუსი. ომნიბუსი ტფილისიდამ წავკისამდე ეღირება სამი აბაზი, ხოლო წავკისიდან ტფილისამდე 50 კაპ. ომნიბუსით მიმოსვლა დაიწყება 10 ივნისიდან. საქმე ისე მოაწყევეს, რომ მოხეტიალეთაც შეუძლიანო ისარგებლონ სამსახურის ხალხს პირდაპირ აგარაკიდან შეუძლია სიარული. სამაზრო ადმინისტრაციამ განკარგულება მოახდინა, რომ წავკისში სანოვაგეს მედუქნებმა სუფთა, ახალი და უხვი სანოვაგე იქონიონ“.

სოფელში ჩამოედინება მდინარე წავკისისწყალი, რომელიც მტკვარს უერთდება. მდინარე წავკისისწყალის ხევში რომელიც სოფელს ორ ნაწილად



ყოფს მოედინება მთებიდან გამოყვანილი წყალი. შემორჩენილი ოქმულების მიხედვით წყარო თამარ მეფეს გამოუყვანია და მას დღემდე მოსახლეობა თამარის ან დედოფლის წყაროს ეძახის.

წაგისის წმინდა მოციქული თომას, პირაცხოველის ეპლუსია



წავისში ოთხი მოქმედი ეპლუსია. მათ შორის უძველესია წაგისის სასაფლაოს წმინდა მოციქული თომას, კვირაცხოვლობის ეპლესია, რომელიც XIV-XV საუკუნეებშია აგებული.

ბაზილიკური ტიპის ქართული პატარა ეკლესია წაგისის უძველესი სასაფლაოს ტერიტორიაზე, პატარა ბორცვზე დგას. ტაძარი გათვალისწინებული იყო მიცვალებულთათვის წესის ასაგებად.

შენობა აგებულია ფლეთილი ქვით. სარკმელების და კარების ჭრილში გამოყენებულია აგური. ეკლესიის შიდა სივრცე კარგადაა განათებული არა მარტო საკურთხევლის მხრიდან, არამედ სამხრეთ და დასავლეთ კედელში გაჭრილი სარკმლებიდან. შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით ჩრდილოეთ კედელშიაც გაჭრილია სარკმელი.

„ეკლესიას შესასვლელი დასავლეთი მხრიდან აქვს. კარები ძალიან ფართეა. მას და სარკმელებს შეისრული თაღი აქვს. ეკლესიის კედლების ჭრილი გამოირჩევა ქვების განსაკუთრებული წყობით... აღმოსავლეთ ფასადზე აგურისაგან გამოსახული იყო

განსაკუთრებული ზომის დიდი ჯვარი. ლია ფირუზისფერი ჩუქურთმა აღნიშნავდა ფანჯრის თაღის ცენტრს“. — წერს ლ. მელიქეთ-ბეგი.

XIX საუკუნის დასასრულიდან და XX საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის იმპერიიდან იწყება სომხების შემოსვლა საქართველოში, რომლებიც თბილისში და თბილისის ახლო-მახლო სოფლებში სახლდებიან. ამავე პერიოდში შემოდის სომხური მოსახლეობის პირველი ნაკადი სოფელ წავკისში. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად დანგრეული სასაფლაოს კვირაცხოველის ეკლესიის აღდგენას იწყებს სომხური მოსახლეობა. ამაზე მიუთითებს აგურით აღდგენილი კედლების ნაწილიც.

სომხები ისტორიკოსის ლეონ მელიქესედ-ბეგი 1922 წელს გამოცემულ „სომხური სიძველები ტფილისის ახლო მიდამოებში“ წავისის სასაფლაოს კვირაცხოველის ქართული ეკლესიის შესახებ წერს: „საინტერესოა სასაფლაოს ძველი ეკლესია, ტფილისიდან მიმავალ ურმის გზის მარცხნივ ეკლესია პატარა ჩვეულებრივი ბაზილიკის რიგისაა მაღალ საკურთხევლითურთ, აქვს კარები დასავლეთიდან, რომლის ორივე მხარეს კედელში დატანებულია თითო-თითო „ხაჩკარი“, რომელთაგანაც ერთი დიდი, ნაცრისფერი, მარცხნივ, ხოლო მეორე პატარა მიხაკისფერი, მარჯვნივ. სამხრეთის კედელში დატანებულია პატარა ქვა, ნაცრისფერისა, შემდეგის წარწერით „წელსა 942 [+551=1493] მე ავეტიკ მღვდელმა, აღვაშენე წმინდა ესე ეკლესია. უფალო იქსო, მიიღე ხელთაგან ჩემთა“.

ცნობილი ფაქტია, რომ როდესაც მეტის შემოსევებისაგან თავისი სამშობლოდან აყრილი სომხური მოსახლეობა საქართველოში შემოდიოდა მათ თან მოპქონდათ ადგილობრივი ეკლესიისდან ჩამოღებული ხაჩკარი ან წარწერიანი ქვა. ისინი ქართულ აღდგენილ ან ახლად აშენებულ ეკლესიაში ჩააშენებდნენ ხოლმე ამ ქვას. რაც საკმაოდ ხშირი იყო. თვით სომქე



ისტორიკოსს მელიქსედ-ბეგს შეაქვს ეჭვი წავკისის სასაფლაოს კვირაცხოვლიბის ეკლესიის აედელში ჩატანებულ ხაჩარის „აღგილობრივობაში“ – „ჩემის აზრით, ეგების მერმინდელ დროში იყოს გადმოგანილი საქართველოში სომებს ლტოლვილთა მიერ“.

ამასვე მოწმობს 1899 წლის 24 აგვისტოს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი სტატია: „ეს სოფელი ქალ ტფილისის ახლოს მდებარეობს. ამ სოფელში სამოც-და-ათ კომლამდის ქართველი გლეხი სცხოვრობს“, ანუ ამ პერიოდის აღწერით სოფელში არცერთი სომები კომლი არ არის, მითუმეტეს XIV საუკუნეში სოფელში სომხური მოსახლეობა არ შეიძლება ყოფილიყო.

საბჭოთა პერიოდში, წავკისის სასაფლაოს კვირაცხოველის პატარა ეპლებია დვითისმსახურებისათვის დაპეტილი იყო. დროთა განმავლობაში იგი მთლიანად განადგურდა. ჩამოიქცა სახურავი და მის კედლებზე ბალახი იყო ამოხული. ეკლესიის შენობა ფაქტიურად შეაზე იყო გახლებილი, სამხრეთ კედელი ნახევრად მიწით იყო დაფარული.

2001 წლის ივნისში წავკისის მოძღვრის მამა დავით მინდორაშვილის ძალისხმეულით და რევაზ ჯანაშიას პროექტით დაიწყო ამ უძველესი ტაძრის აღდგენა. ეკლესია გარედან ახალი ქვის პერანგით შეიმოსა. ეკლესიაში დაიდგა ახალი კანქელი. გაპერდა სამკეთლო. აღდგენილ ეკლესიას დაადგის წავკისის წმინდა მარინეს ეკლესიაში დაცული უძველესი ჯვარი. იმავე წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ტაძარი აკურთხა მამა დავით მინდორაშვილმა.

ეკლესიის გარშემო, წავკისის სასაფლაოზე კარგად არის შემონახული უძველესი საფლავის ქვები, რომლებზედაც მამაკაცები და ქალები ნაციონალურ ტანსაცმელში არიან ჩატანები.

წავდისის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია ანუ როგორც მას სოფელ წავკისში ეძახიან – მარიამის ეკლესია დგას სოფლის შუაგულში. იგი დაბრახული ტიპისაა და თავისი გეგმით ახლოს არის სასაფლაოს კვირაცხოვლის ეკლესიასთან. აკლების მშენებლობაში გამოყენებულია ვლეთილი ქვა და აგური. მეცნიერთა აზრით, ისევე როგორც სასაფლაოს წმინდა თომას, კვირაცხოველის ეკლესია, ეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძარიც აგებულია XIV-XV საუკუნეებში.

რ. შმერლინგი ასე აღწერს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიას: ეკლესიის შიგნით, „кроме кладки окон и входа, кирпич использован в своде, где применен своеобразный прием его укладки. ...Исходя из архитектурного характера церкви, можно предположить, что время ее возведения относится к XVI в. особо примечательна в этой маленькой пристройке алтарная преграда в виде невисокой стенки с арочными проходами в алтарь. Литая из гипса, эта прекрасно орнаментированная, тонкого мастерства преграда принадлежит к числу лучших рельефной полуциркульной арочки, обрисованной двумя округлыми жгутами,ложенными на гладкий выступ. Окно в южной стене рисуется на фасаде в виде узкого проема в кладке стены, зато алтарное окно обрамлено широким наличником, состоящим из трех выпуклых валиков ширины, нижняя часть этого обрамления находится на своем месте“.

საბჭოთა პერიოდში ეს პატარა ეკლესია სხვადასხვა დანიშნულებით





გამოიყენებოდა. მას დაკარგული პქონდა თავდაპირველი სახე. ტაბარში შემორჩენილია XVIII საუკუნეში თაბაშირისაგან ჩამოსხმული ლამაზი ორნამენტულიანი კანკელი.

მამა დავით მინდორაშვილის თხოვნის საფუძველზე საქართველოს საპატიო საეკლესიო ხელოვნების საბჭომ 1999 წელს აღწერა ტაბარი: „ეკლესიის ინტერიერში, საკურთხევლის აფსიდის სიღრმეში XVII-XVIII საუკუნეების ტიპიური ქართული ხელობის სამთაღიანი აგურის კანკელი დგას. იგი გაჯითაა შელესილი და გვიანი შუა საუკუნეებისათვის მახასიათებელი სპარსული ყაიდის ვარდულების უწყვეტი ორნამენტითაა შემკული. ამ კანკელს მართლმადიდებელი ლიტურგიისათვის ერთი უწვეულო რამ გააჩნია, კერძოდ, მის აღსავლის კარში იატაკიდან შუა ნაწილამდე ჩადგმულია ბაზალტის ფილა, რომელზეც მოზრდილი ჯვარია გამოკვეთილი. ფილის ზედა ნაწილი მაგიდისებურადაა მოწყობილი. აღსავლის კარის სვეტებს უკანა მხრიდან (აღმოსაგლეთიდან) აგურითავე ამოყვანილი მაღალი მოცულობა აქვს მიდგმული. ამგვარად, აღსავლის კარის ზედა ნაწილში-ერთგვარი ნიშია მოწყობილი“.

წავისის ყოვლადწმინდა დვთის-მშობლის ტაბარი დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. ბოლო პერიოდში ეკლესია გარედან ქართული აგურით შეიმოსა. მის ოთხივე კედელზე სარქმელია გაჭრილი. ეკლესიას შესასვლელი დასავლეთ კედელში აქვს გაჭრილი. კარის თავზე ჩადგმულია ქაბა, რომელზედაც დვთისმშობლი ყრმა იქსოთია გამოსახული. აღმოსავლეთ კედელზე, გარედან ჩადგმულია ქაბის დიდი ჯვარი. მიმდინარეობს ეკლესიის მიმდებარება ტერიტორიის კეთილმოწყობა.

1990 წლიდან წავისის ყოვლადწმინდა დვთისმშობლის პატარა ეკლესიაში სრულიად საქართველოს, კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით აღდგა დვთისმსახურება.

წავისის წმინდა მარინეს ეკლესია



წავისის ყოვლადწმინდა დვთის-მშობლის ეკლესიის მახლობლად, სოფლის შუაგულში, მდებარეობს წმინდა მარინეს ეკლესია. იგი აგებულია ერეკლე II-ის მეფობაში, XVIII საუკუნეში.

ეს ეკლესია აგარების რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. წავისის და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავლად იყო ძველი ტაძრები, მაგრამ ამ ეკლესიის საეკლესიო წიგნში წავისის მოსახლეობასთან ერთად, ასევე ტაბახელის, კოჯრის, დიდების, კიკეთის მრევლია ჩამოთვლილი, ანუ ამ სოფლების მრევლი წმინდა მარინეს ეკლესიაზე ყოფილა მიწერილი.

საბჭოთა პერიოდში, როდესაც ტაბარების უმეტესობა გაუქმდა წმინდა მარინეს ეკლესიაშიც აიკრძალა დვთის-მსახურება. ეკლესიის ზარები II მსოფლიო ომის დროს ჩამოსხმეს და ტყვია-წამლისათვის გადაადგენერირებული მიუხედავად საბჭოთა რეჟიმისა ეკლესია უყურადშობოდ არ დარჩენილა. 1956 წელს წმინდა მარინეს ეკლესია წავისის მკვიდრმა ეკატერინე გვარაძემ შეაკეთა. წლების მანილზე ტაბარის უკლიდა სოფლის მკვიდრი ბაბუცა ბეჟიაშვილი. 1971 წელს მარგო გლოველის თაოსნობით ტაბარის შენობა ხელახლა შეაკეთეს, ამის შესახებ გვამცნობს დასავლეთ კედელში ჩადგმული ფილა. მისივე მზრუნველობით განადგურებას გადაურჩა ტაბარში შემორჩენილი



ძველი საღვთისმსახურო წიგნები და საეკლესიო ნივთები.

წმინდა მარინეს ეკლესიაში დაცული 1912 წლის „ეკლესიის უწყისში“ გვითხულობთ: „„უცნობია თუ ორდის და ვის მიერ არის აშენებული. ეკლესია ქვით ნაშენია და მყარია. სამრეკლო მოწყობილია ეკლესიის დასავლეთ კედელში. ეკლესიაში მსახურობს ერთი მღვდელი და ერთი მფესალმუნე“.

აქვე ნათქამი, რომ ეკლესიას გააჩნია ორი ათეული სახნავი მიწა. უწყისში აღნიშნულია, რომ მრევლის შემოწირულობებით 1880 წელს აშენებულია სახლი მღვდელმსახურთათვის. ამავე უწყისის საშუალებით ვგებულობთ, რომ წავკისის წმინდა მარინეს ეკლესიაზე მიწერილი ყოფილა ტაბახმელის ღვთისმშობლის და კიკეთის წმინდა გიორგის ეკლესიები. აღნიშნულია, რომ ეკლესიაში 1818 წლიდან „მეტრიკები“ ინახება. ეკლესიასთან არსებობდა სამრევლო სკოლა, რომელიც გაიხსნა 1899 წელს და სკოლის მასწავლებლად განმწერებულია ვერა ბარნაბოვა (ბარნაბიშვილი). სკოლას თავისი შენობა გააჩნდა და მასში სწავლობდა 38 მოსწავლე, აქედან 15 ვაჟი და 23 გოგონა. უწყისს ხელს აწერს მღვდელი სიმეონ მჭედლიშვილი.

1997 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესია და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვაკურთხევით წავკისის წმინდა მარინეს ეკლესიაში აღდგა ღვთისმსახურება. ტაძარი აგურთხა ცაგერისა და სვანეთის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (ფაჩუაშვილი).

მღვდელ დავით მინდორაშვილის ძალისხმევით ტაძარს ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, გაკეთდა გალავანი, კეთილმოეწყო ეზო. 2000 წლის 17 ივნისს, დიდმოწამე მარინეს ხენების დღეს, ტაძარში პარაკლისი გადაიხდა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია

II-მ. ამ დღიდან დაწესდა სოფლის დღესასწაული – წავკისობა.

ტაძარი ერთნავიანი დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს, ორფერდა გადახურვით. შენობა გარედან გაღესილია. სამხრეთ კედელში ორი სარკმელია გაჭრილი, ხოლო ჩრდილოეთისაში სამი.

ეკლესიაში ახლადაწერილ ხატებთან ერთად დაბრძანებულია XIX საუკუნის ხატებიც. ტაძარი შიგნიდან მოიხატა. დაიდგა ახალი ხის კანკელი. დასავლეთ შესავლელში, ორმელიც გაჭრილია ტაძრის დასავლეთ კედელში, დაიკიდა ვაზის ჩუქურთმიანი ლამაზი კარი და მის თავზე ჩაიდგა წმინდა მარინეს ხატი. ტაძარს შემოერტყა გალავანი. მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა.

ტაძრის ეზოში შემორჩენილია სამღვდელო პირთა ძველი საფლავის ქვები.

ჭავბისის ჭავიდა ნინოს ეკლესია



XX საუკუნის დასაწყისში, ოსმალების იმპერიიდან გადმოსახლებული სომხობა წავკისის ზემო უბანში სახლდება, სადაც იწყებენ სომხური ეკლესიის მშენებლობას. ტაძრის აშენება დააფინანსა ცნობილმა ობილისელმა მეცენატმა ალექსანდრე მანთაშვილმა.

რ. შმერლინგი წერს, რომ გუმბათოვან ტაძარს სამხრეთ კედელზე ქონდა ქმიტორული წარწერა, რომელიც



საბჭოთა პერიოდში განადგურებულა. „Храм возведен из кирпича, в традициях наследия, существовавшего в Тбилиси в 60-х годах XIX в. ложно-готического стиля... выстроена старательно, с применением лекального кирпича в сложной декорации фасадов. Тем не менее, печать упадочного времени, лежит на архитектуре этого здания – его вычурном плане, не обычном решении внутреннего пространства и эклектическом украшении фасадов“.

სომხეთში მოსახლეობაშ ფეხი ვერ მოიკიდა სოფელში და მათმა უდიდესმა ნაწილმა სხვაგან გადასახლება ამჯობინა. ამის საფუძვლით თრი ძირითადი მიზეზი შეიძლება ყოვილიყო. ერთი მათგანი მიწის უკმარისობა, რომლის შესახებ 1903 წლის 17 სექტემბერის გაზეთ „ცნობის ფურცელში“ კითხულობთ: „ოსმალეთიდან გადმოსული სომხები, ბევრნი, სოფლად დასახლდნენ, ერევნისა, განჯისა და ტფილისის გუბერნიაში. მაშინ იმედი ჰქონდათ, რომ ამ ახლად დასახლებულო ხაზინა ადგილებს მისცემდა, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა...“.

სოფლიდან სომხეთი მოსახლეობის აყრის მეორე მიზეზი არანაკლებ მნიშვნელოვანია - ეს იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სიძლიერე და სოფლის მოძღვრის მამა კორნელი ელიზბარაშვილის ზრუნვა თავის მრევლზე. 1899 წლის 24 აგვისტოს გაზეთ „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი სტატიიდან ვგებულობთ, რომ წავკისში „აქმამდე არა ჰქონდათ სკოლა. დღეს-კი დიდად პატივცემულის მოძღვრის მამა კორნელი ელიზბარაშვილის მეცადინეობით უკვე შედგენილ იქნა განაჩენი წერა-კითხვის სკოლის დარსების შესახებ. ეს განაჩენი უკვე წარდგენილია ტფილისის ღუბერნატორთან დასამტკიცებლად. ესრედ მაღე სოფელს წავკისს, წილად არგუნა ტფილისთან ერთად ცხოვრების მძიმე უდელის წევა, ედირსება თავისი სკოლა, რომელშიაც ამ სოფლის

ქართველთა ახალთაობა შეისწავლის წერა-კითხვას და ცოტათი მაინც გაინათლებს ჭაუა-გონებას. ამ სკოლის გამგედ დანიშნულ იქნება მამა ელიზბარაშვილი“.

1904 წლის 21 ოქტომბრის გაზეთ „ივერიაში“ კითხულობთ, რომ “მამა კორნელი ელიზბარაშვილის მეცადინეობით სოფელ წავკისის სამრევლოში, აქვთ წლის განმავლობაში, ორი სკოლა იქნა დაარსებული“.

უმიწოდ და ასეთ ძლიერ ქართულ მართლმადიდებელ სოფელში ცხადია გაუჭირდებოდა სომხეთის ფეხის მოკიდება. მათი დიდი ნაწილი აიყარა და რაც დარჩა „გაქართველდებოდა“.

საბჭოთა პერიოდში აგურით აშენებული გუმბათიანი სომხერი სურბ სარქისის ეკლესია ძლიერ დაზიანდა. 1980 წელს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მოხდა ძეგლის აღწერა: „ეკლესია ჯვარგუმბათიანი ტიპის ნაგებობა (16*13.6მ.). შიდა სივრცე აღმოსავლეთით კოლოფა აბსიდითად შემოფარგლული. აბსიდის ორივე მხარეს თითო პასტოფორია განლაგებული. საკურთხევლის იაგავის წინ მოაჯირი აქვს მოწყობილი. აბსიდს ორივე მხარეს სამ საფეხურიანი ასასვლელი გააჩნია. აბსიდის მხრებზე, ასავლელის მესამე საფეხურის ზემოთ თითო სწორკუთხა ნიშია განლაგებული. აბსიდი თაღოვანი სარკმელითაა განათებული. დარბაზის ცენტრალურ ნაწილში აღმართულ ოთხ მრგვალ სვეტზე, გრძივი და განივი მიმართულებით გადაყვანილი თაღებით გუმბათი იყო გამაგრებული. გუმბათის წრეზე გადასვლა ბრტყელი აფრების საშუალებითაა შესრულებული. დასავლეთ კედლის ზედა მონაკვეთში ხის პატრონიკება გაყოლებული. პატრონიკედან სამრევლოში აყვანილია კიბე. ნაგებობას გააჩნია სამი თაღოვანი შესასვლელი: სამხრეთიდან, ჩრდილოეთიდან



დადასავლეთიდან. იატაკი მოგებული იყო ქართული აგურით.

ფასადზე განლაგებულია ნიშები, ცრუ პილასტრები, დეკორატიული ჯვრები. ჩრდილოეთისა და სამხრეთის შესავლელი ხაზგასმელია აგურის თავსართავებით. დასავლეთ კედელზე მიშენებულია აგურის ორსართულიანი სამრეკლო. სამრეკლოს პირველი სართული წარმოადგენს აღმოსავლეთ ნაწილში თრი თოხეუთხა პილასტრითა და დასავლეთ ნაწილში ნახევარპილასტრებით გამაგრებულ კვადრატულ კვარცხლბეჭებს. პილასტრების კაპიტელებზე აგურის სამი ნახევარწრიული თავსართავია გადაყვანილი. კვარცხლბეჭებს ექვსმალიანი აგურის სამრეკლოა აღმართული. ეკლესია ნაგებია ქართული აგურით.

ძეგლის ტექნიკურ მდგომარეობის აღწერის დროს ნათქვამია, რომ ძეგლი ავარიულია. გუმბათი ჩამონგრეულია. კედლები დამსკდარია. კონქი ქვემოთაა ჩამოზნექილი. თაღთა უმეტესობა დამსკდარია და ერთმანეთისაგან დაცილებული. იატაკზე ჩამოყრილია ქვები და აგურები. სამრეკლო აღმოსავლეთითა დაქანებული და ჩამოვარდნამდეა მისული. სახურავზე მცენარეულობაა ამოსული.

2002 წელს მომხდარმა მიწისძვრამ კიდევ უფრო დაამძიმა ეკლესის მდგომარეობა. მნიშვნელოვნად დაზიანდა შენობის ყველა კონსტრუქციული ელემენტი, შენობის ნაწილებს შორის დაირღვა კავშირი და მისი კედლების ჩამონგრევა საფრთხეს უქმნიდა გარშემო არსებულ ნაგებობებსა და ადამიანებს. ამიტომ კომისიის მიერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მალესის შენობის დაშლის შესახებ.

მოხდა შენობის დემონტაჟი და მის ადგილას აშენდა სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ახალი შენობა. ეკლესიას გაუქეთდა გალავანი, რომელშიც დასავლეთ მხრიდან ჩადგმულია ორსართულიანი სამრეკლო, რომლის პირველ

სართულში ტაძარში მთავარი შესასვლელია მოწყობილი. კეთილმოეწყო ეზო. აიგო მესანთლის ოთახი.

2006 წლის 9 ნოემბერს, ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ახალციხის და მთავარეპისკოპოსმა თეოდორემ (ჭუაძე) წავკისში აკურთხა წმინდა ნინოს ტაძარი. იმავე დღეს ახლადნაკურთხი ტაძარი უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მოინახულა და სავედრებელი პარაკლისი აღავლინა.

ღამპისის მმიწადა გიორგის ნიში



წავკისში, უძოსკენ მიმავალ ძველ გზაზე მდებარეობდა წმინდა გიორგის ნიში. დღეს ძველი ნიშის ნანგრევებზე აგებულია ახალი ნაგებობა, რომელშიც ძველი წარწერიანი ქვაა ჩადგმული - “უძოს წმინდა გიორგის შავწირე მე დავით ნურალოვმა. ჩყნბ”, ანუ 1852 წელს.



ობროგანა

სოფელი ოქროყანა თბილისთან მდებარე უახლოესი დასახლებაა. ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე დღე-ვადელი ოქროყანის ტერიტორიაზე სოფელი პაწისია აღნიშნული. „კრწანისა და წყნეთს შორის პაწისია აღნიშნული. პაწისი ახლა შენარჩუნებული არ არის, მაგრამ ეს ადგილი ახლანდელ ოქროყანას ეფარდება. ოქროყანა კი ძველ წყაროებში დადასტურებული არ არის“ - წერს კხარაძე.

ოქროყანის მაცხოვრებლებში შემორჩენილია სოფელის სახელწოდებასთან დაკავშირებული ასეთი ოქმულება - XII საუკუნეში სოფლის გარშემო ყოფილა უამრავი სახნავ-სათევი ადგილი, სადაც თავთავები თქროსფრად ღელავდა. ერთ დღეს აქ თამარ მეფეს ჩამოუვლია, ულამაზესი ადგილების დათვალიერებისას თითოდან ბეჭედი წაძრობია და როდესაც ერთ-ერთ მხლებელს მეფისთვის პურის თავთავზე წამოცმული ბეჭედი მიუწოდებია, მეფეს აღფრთოვანებულს უთქვამს: აქაურობა ნამდვილი ოქროს ყანააო, აი, ასე წარმოსდგაო ამ დასახლების სახელწოდება.

ოქროყანის ტერიტორიის დიდი ნაწილი თავადი გაბაშვილების მამული ყოფილა. მათ ოროყანაში, ქვედა აგარაქებზე თავისი სასახლე ჰქონიათ. დღეს ამ ადგილზე საჯარო სკოლაა აშენებული. 1893 წელს კონსტანტინე გაბაშვილის შვილი შვილი ნინო პოლტარაცკი ცოლად მოუყვანია ექვთიმე თავაიშვილს. ნინოს დიდი მზითევი მოჟყოლია ოქროყანაში მამულის სახით, თვით მთაწმინდის პარკიც კი პოლტარაცკების საკუთრება ყოფილა.

თავდაპირველად სოფლის მოსახლეობა აქ მცირერიცხოვანი ყოფილა, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი სულ სულ 90-მდე ოჯახს ითვლიდა. მათ ძირითად საქმიანობას მესა-

ქონლეობა, მეყვავილეობა და მიწათმოქმედება წარმოადგენდა.

საბჭოთა პერიოდის ხელისუფლებაც არ დარჩენილა ამ ულამაზესი ადგილის მიმართ გულგრილი. ოქროყანა ლავრებზე ბერიასა და სტალინის საუგარელი ადგილი ყოფილა. ბერიას ხელმძღვანელობით გაუმწვანებიათ მთაწმინდის პარკი.

როგორც უკვე ადგიშეთ ტერიტორია თბილისის სამხრეთით უახლოესი სოფელია და ცხადია იგი თბილისთან ერთად ვერ გადაურჩებოდა მტრის შემოსევებს. ამიტომ ამ სოფელში შემორჩენილი არაა ძველი ტაძრები.

ოქროყანა დიდი ხანია თბილისს შეერწყა და 2007 წლიდან იგი ოფიციალურად თბილისის საზღვრებში შემოვიდა თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე მდებარე სოფლებთან ერთად.

ობროგანის სასაფლაოს მკლება



ოქროყანის მოსახლეობაში შემორჩენილია თქმულება, რომ სოფლის ცენტრში, ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე უძველესი ეკლესია მდგარა,



რომელიც ტრაგიულ შემთხვევას ემსხვერპლა.

სოფელში ერთ გაჭირვებულ ოჯახს უცხოვრია, რომელსაც უსახსრობის გამო ქალიშვილი გაუშვილებია და მხოლოდ ერთი ვაჟი დაუტოვებია. ბეგრი წლების შემდეგ გაშვილებულ ქალიშვილს და ოჯახში დარჩენილ ვაჟს ერთმანეთი შეევარებიათ და ჯვრის დაწერა გადაუწყვეტიათ. ჯვრის-წერა ოქროყანის ეკლესიაში დანიშნულა. პროცესის მიმდინარეობის დროს მიწა გახსნილა და ნეფე-პატარძალი მექორწილებით მიწას შთაუნთქავს.

ოქროყანაში ასევე აგებულია:


აწერეთლის ქუჩაზე წმინდა გიორგის ნიში




სოფლის შემოსასვლელში უფლის ნიში



თბილისის ქუჩაზე
წმინდა მარიამის ნიში



წმინდა გიორგის პატარა ეკლესია





ქართული, გართლმადიდებლური,
ცენტრალურ-ჯგარგუმბათოვანი
ფამრის პოლიტიკური სტრუქტურის
უროშირების მეთოდი

ზურაბ ტიტვინიძე, პროფესორი

შესავალი

ქრისტიანული სარწმუნოების ამ ჭეშმარიტად მსოფლიო რელიგიის (სქემა 1) საწყისებიდან (I საუკუნე, პალესტინა) დაწყებული, მისი მრავამსისა და ფილოსოფიის შესატყვისი, ქრისტიანული ტაძრის როგორც ახალი სახეობის საკრალური ნაგებობის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების დინამიკის, ისტორიული სტადიაბის გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე, ადრექრისტიანული ბიზანტიის, საქართველოსა და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებლური ქვეყნების ცენტრალურ-ჯგარგუმბათოვანი ტაძრების, არქიტექტურის გრაფიკული, წერილობითი და ვიზუალური მასალის ანალიზის საფუძველზე, გვიდოდა გამოგვევლინა, დაგვეგინა და შემოგვეთავაზებინა

მართლმადიდებლური დოგმატიკის ფარგლებში, ცენტრალურ-ჯგარგუმბათოვანი ტაძრის არქიტექტონიკა, ანუ მთლიანის ერთიანი პროპორციის და მის წიაღში ცალკეული შემადგენელი ნაწილების პროპორციული ურთიერთდამოკიდებულებისა და სისტემური თანაარსებობის პროპორციონირების პრინციპების აღგორითმი, დაფუძნებული არა ინდივიდის სუბიექტურ მოსაზრებებზე, არამედ აბსოლუტურად ობიექტურ, მათემატიკური და გეომეტრიული შინაარსის ფორმულირებებზე.

დანართებით გამსჭვალური არქიტექტურის ნათელი მაგალითი, ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძრი, სამყაროს სიმბოლურ სახოვნებას წარმოადგენს. მისი ყოველი ელემენტი სიმბოლიზმითაა გამსჭვალური, დაწყებული ტაძრის ფუნქციონალურ-გეგმარებითი ზონირებიდან, მოცულობით-სივრცითი გადაწყვეტიდან, ექსტერიერის დეკორის არქიტექტურულ-მხატვრული სახის ფორმებიდან და დამთავრებული ინტერიერის ფერწერული ელემენტებით და საეკლესიო-საკულტო აღჭურვილობის იერარქიული განლაგებით ტაძრის წიაღში.



სქემა 1. ქრისტიანთა გავრცელების პროცენტული მაჩვენებელი მსოფლიოში.
(ეველასტატისტიკური მონაცემები დაფუძნებულია აღწერის მონაცემებზე)



ქრისტიანული ტაძარი თავისი ელემენტების სამბოლიზმის საშუალებით, ატარებს ინფორმაციას მიკრო და მაკრო (კოსმოსის) სამყაროთა სტრუქტურისა და მათი ურთიერთქმედების თაობაზე, იგი წარმოადგენს სამყაროს როგორც მატერიალურ, ასევე ენერგეტიკულ მოდელსაც და გააჩნია განსაკუთრებული, სულიერი თუ ფიზიკური გავლენა ადამიანის ფიქირაზე, გრძნობაზე, მის ცნობიერებასა და ქვეცნობიერზე. ყოველივე ამ ზემოგლენათა მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს სიმბოლიზმი, რადგანაც არამატერიალურის და სულიერის სამგანზომილებიან სივრცეში გადმოცემის, გამოსახვის სხვა საშუალება ვიდრე არის სიმბოლიზმი, არ არსებობს. ნათქვამია „ყოველი უხილავი ხილულშიაო“.

* * *

ადრექტისტიანული არქიტექტურის მოკლე ისტორია

ადრექტისტიანული არქიტექტურის ჩამოყალიბებისა და ფორმირების ისტორია, პირობითად ორ ეტაპადშეიძლება დაიყოს: კონსტანტინემდელი და კონსტანტინებინებ შემდგომი პერიოდი. კონსტანტინემდელი პერიოდი ეს არის ხანა, ქრისტიანობის წარმოშობიდან და ვიდრე კონსტანტინეს მიერ ოფიციალური სტატუსის მინიჭებამდე (30-325 წწ.). კონსტანტინეს შემდგომი პერიოდიკი – კონსტანტინე დიდიდან დაწყებული და ვიდრე რომის იმპერიის დასავლეთ ნაწილის დაცემამდე (476 წ.), კონსტანტინემდელ პერიოდში, მორწმუნე ქრისტიანთა შეკრებები ეწყობოდათ ემის შეძლებულ წევრთა საცხოვრებელ სახლებში, ეგრეთ წოდებულ „ქრისტიანთა სამლოცველო სახლებში“. ბუნებრივია რომ ეს ნაგებობანი, საკრალურივერ იქნებოდნენ, ისინი მხოლოდ მორწმუნეთა შეკრები ს ადგილს წარმოადგენდნენ. ეკლესია ხომ


ბერძნულად სწორედ, რომ შეკრებას ნიშნავს (ბერძ. ΕΚΚΑΛΕΩ—ζοῦγεω, ვკრებ). მოგვიანებით ხორციელდება მცდელობა ამ სახლების ინტერიერის ადაპტაცია დამოუკიდებელ ეკლესიე ბად. პირველი ასეთი „შეკრებათა სახლი“ ქრისტიანული ეკლესია, დათარიღებული 231/235 წწ.) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ანტიკური ხანის, ისტორიულ ქალაქ დურა-ევროპუსში (ბერძ. Δουρα Εύρω- πόλις), დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე.



„შეკრებათა სახლი“, ანტიკური ქალაქი დურა ევროპუსში, 231 წ.



„შეკრებათა სახლის“ ინტერიერი



სურ. 1. ქრისტიანული თემის «შეკრებათა სახლი» ანტიკური ხანის ქალაქ დურა-ევროპუსში (Dura-Europos), 231 წ. საერთო ხედი, ინტერიერი და აქსიონომეტრული ჭრილი




რომის წარმართულ ხელისუფათა მხრიდან დევნის პერიოდის დადგომამ, განაპირობა ქრისტიანთა არალეგალური მდგომარეობა. განიცდიდნენ რა დევნას, შევიწროებას, ქრისტიანთა ოქმი სიკვდილით დასჯის შიშით, იძულებული იყო მალულად შეკრებილიყო და ტაძრის როლში კატაკომბები (ნეკროპოლიები) გამოყენებინა. მიწისქვეშა გალერეების ეს ერთობ რთული სისტემა გარდა რომისაიყო ეფუძნილი ალექსანდრიაში, სირაკუზებში და იმპერიის სხვა ქალაქებში. მათ შორის უძველესი და ალბათ ყველაზე ცნობილი წმ. კალისტოს კატაკომბებია რომში (II-III ს.ე.).

ახალი გამოწვევების გამოკატაკომბები, განიცდიდნენ ადაპტაციას და მათ შემადგენლობაში თანდაონან ჩნდებიან რელიგიური დანიშნულების სხვა და სხვა სათავსოები: ჰიპოგეუმი (ლათ. hypogaeum) მიწისქვეშა ტაძარი, სატრაპეზო, დარბაზი შეკრებებისთვის. კატაკომბებს პქონდათ რამდენიმე ვერტიკალური შახტა განათებისა (ლათ. luminare) და აერაციისათვის.

რომის იმპერატორთა რეპრესიული სისტემის შედეგად დადუალულ ქრისტიანთა და მათ შორის წამებულთა კატაკომბებში დაკრძალვის წესი ქრისტიანებმა II საუკუნეში შემოიღეს. მათ საფლავებზე, ღვთისმსახურების წარმართვის რიტუალური წესი დამკვიდრდა. სწორედ აქედან იწყებს სათავეს წმინდანთა წმინდა ნაწილებზე ლიტურგის ჩატარების დღესაც ცოცხალი ტრადიცია. დაწყებული IV საუკუნიდან, კატაკომბები თავის ფუნქციას თანდათან კარგავენ და V საუკუნეში აქ დაკრძალვები საერთოდ შეწყდა.



ფ. კალისტოს კატაკომბები ქ. რომში



ფ. კალისტოს კატაკომბები ქ. რომში



პაპთა კუბიკულის რეკონსტრუქცია

სურ. 2-3. წმ. კალისტოს კატაკომბები რომში (იტალ. Catacombe di San Callisto) II-III ს.ს.

21 ქმ. სიგრძის გალერიების ოთხ დონიანი სისტემა 15 ჰა-ს მოიცავს. ამ ქრისტიანულ მიწისქვეშებში 0.5 მილიონზე მეტი სარკოფაგია. რომაელთა შორის მრავლად არიან წმინდანები და წამებულნი

სურ. 4. წმ. კალისტოს კატაკომბებში პაპთა კუბიკულის გრაფიკული რეკონსტრუქცია



სურ.5. კონსტანტინე დიდი

ადრექტისტიანული არქიტექტურის მეორე ევაზი მოიცავს პერიოდს, კონსტანტინე დიდის ეპოქიდან დაწყებული ბიზანტიის დაცემამდე 1453 წლამდე.

IV საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინე დიდის მიერ ქრისტიანობის აღიარებიდან და იმავე საუკუნის დასასრულს თეოდოსის I-ის მმართველობისას (379-395) ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან, დაიწყო ქრისტიანული ტაძარების ინტენსიური მშენებლობა.

მართალია ვიზანტიის იმპერია წარმოადგენდა რომის იმპერიის მემკვიდრეს და სახელმწიფო ტრადიციების გამგრძელებელს, ის მაინც განსხვავდებოდა ანტიკური რომისგან, რამეთუ ვიზანტია ბერძნული კულტურის მატარებელი იყო და არა ლათინურის, სახელმწიფო რელიგიას, მართლმადიდებლური ქრისტიანობა წარმოადგენდა და არა რომაული პოლიტიკური, რომელიც ვიზანტიის იმპერიაში აიკრძალა. ბიზანტიური კულტურა და ზოგადად არქიტექტურა, წარმართული ელინიზმისა და ახალი ქრისტიანული კულტურის კრიზარი შერწყმის შედეგია, მისი ცენტრი კი ორად გაყოფილი რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილის დედაქალაქი, კონსტანტინეპოლი (Nova Roma) გახდა.

ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურული სახე, როგორც არქიტექტურული ტიპი, ფორმირდებოდა ქრისტიანულ დოგმატიკასთან ერთად ბიზანტიასა და IV-VIII საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებში და კონკრეტულად საქართველოში. ამავე დროით თარიღდება აქტიური ქრისტიანული ტაძართმშენებლობა წმინდა მიწაზე.


ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატთა სისტემის ფორმირების პარალელურად ჩამოყალიბდა სატაძრო ნაგებობათა მიმართ ძირითადი სამი პრინციპის მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდებოდა, მაგრამ თუ დასავლეთის კათოლიკური ეკლესია შემოიფარგლა ბაზილიკის მხოლოდ შიდა სივრცის უმნიშვნელო ცვლილებებით – მის აღმოსავლეთ ნაწილში მართობულად განთავსებული გალერეის, ტრანსეპტის დამატებით, აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ქრისტიანობა პრინციპიალურად განსხვავებული, ახალი ტიპის ნაგებობის შექმნის გზით წავიდა. კერძოდ: ტაძარის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ

1. ტევადობა – ერთობის, ქრისტიანობის მასებისადმი მიპყრობის და უკელა ცოდვილის გადარჩენის იდეას ასახავდა;
2. ცენტრულობა – თანადაქვემდებარება შიდა სივრცისა ცენტრისადმი, რაც მოისაზრებოდა, როგორც დმერთი, ქრისტე ყოვლისმცირობელი (პანტოკრატორი);
3. ერთიანი, განუყოფელი სივრცე – სიმბოლიზირებდა ადამიანთა შორის სულიერ კავშირსა და თანასწორობას ღმერთის წინაშე.

აღმოსავლეთის და დასავლეთის ქრისტიანობის სათავე ერთიანი ტრადიციიდან არის აღმოცენებული, როგორც დვოისმეტველების ასევე საკულტო ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით. თავდაპირველად, ქრისტიანული ტაძრის სახეობის ძიებისას, გვიანი რომის იმპერიის ეპოქაში, საფუძვლად დაედოსამოქალაქო ტიპის ნაგებობების სავაჭრო ბირჟისა და სასამართლოს შენობების არქიტექტურული ტიპი ბაზილიკა, რაც განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ნაგებობათა ეს სახეობა იმ დროის კულტურული მოცულობითი და დიდი ტევადობის გადახურულ ნაგებობის სახეობას წარმოადგენდა. ამდენად ბაზილიკალური ტიპის ნაგებობა საშუალებას იძლეოდა დვოისმეტველების პროცესის ჩატარებას დიდი რაოდენობის მრევლთან. სამდვერლება თავიდანვე ცდილობდა ბაზილიკის ტიპის ნაგებობის არქიტექტურული ფორმის მორგებას ქრისტიანული საკულტო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ისე, რომ ტაძრის კონსტრუქცია, მისი მოცულობა, დეკორი, მორგებოდა ქრისტიანული სარწმუნოების ფუნდამენტალურ იდეებს. ბაზილიკის ტრანსფორმაცია სატაძრო ნაგებობათა მიმართ ძირითადი სამი პრინციპის მოთხოვნების შესაბამისად ხორციელდებოდა, მაგრამ თუ დასავლეთის კათოლიკური ეკლესია შემოიფარგლა ბაზილიკის მხოლოდ შიდა სივრცის უმნიშვნელო ცვლილებებით – მის აღმოსავლეთ ნაწილში მართობულად განთავსებული გალერეის, ტრანსეპტის დამატებით, აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ქრისტიანობა პრინციპიალურად განსხვავებული, ახალი ტიპის ნაგებობის შექმნის გზით წავიდა. კერძოდ: ტაძარის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ



მიმართული გრძივი ნეფი და მისი მართობული ტრანსეპტი, სივრცეში წარმოქმნიდა ჯვარს.



სურ. 6.1. ქრისტიანული ბაზილიკა (გეგმის და ინტერიერის სქემა)

სურ. 6.2. ვიფლიემი (პალესტინა) შობის ბაზილიკა, IV საუძუნის დასაწყისი, აქსონმეტრიული ჭრილი

სურ. 6.3. ოომი. წმ. პეტრეს ბაზილიკა 324-349 წწ. გეგმა, საერთო ხედის რეკონსტრუქცია.


სურ. 6.4. ბაზილიკა ტრიორში (ომის კოლონია)

მათ გადაკვეთაზე ცალკემდგომ კოლონებზე ტრომპების ან აფრების საშუალებით გუმბათის ცილინდრული ფორმის ყელი განთავსდა, რომელიც გუმბათით დამშვენდდა. ახალი ტიპის ქრისტიანული ტაძრის ამგვარმა კონსტრუქციულმა გადაწყვეტამ განაპირობა მისი სახელწოდება „ჯვარგუმბათოვანი“ ტაძარი. ამრიგად ადრექრისტიანულ ხანაში ჩამოყალიბდა ქრისტიანული ტაძრის რამდენიმე სახეობა და მათ შორის უგუმბათო (ერთი ან სამნავიანი) და გუმბათიანი ბაზილიკური ტიპი, ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი, ჯვარგუმბათოვანი ტიპი და სხვა.






წმინდანების სერგიასა და ვაკხის სახ.ტაძარი. (527-529 წწ.)




გეგმა




ჭრილი



წმინდა ვიტალეს ტაძარი რავენაში. (526-547 წწ.).
იტალია



გეგმა



ჭრილი

სურ. 7. წმ. სერგი და ბაქოსის (ლათ. Sergius et Bacchus) სახ. ტაძარი, კონსტანტინოპოლი. 527-529/536). წყ.

1054 წელს ქრისტიანული ეკლესიის გაყოფამ დასავლეთის (გათოლიკურ) და აღმოსავლეთის (მართლმადიდებლურ) ეკლესიებად, დათისმსახურების წესებში განსხვავებათა გაღრმავებამ, განაპირობა დასავლეთ ევროპაში ბაზილიკისა და გუმბათოვანი ბაზილიკის ტიპის ტაძართა გავრცელება, ხოლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში და მათ შორის საქართველოში გავრცელდა ტაძრების ჯვარგუმბათოვანი ტიპი, როგორც ქრისტიანული მართლმადიდებლური ტაძრის ძირითადი სახეობა.


წმინდანების სერგისა და ბაქოსის (ლათ. Sergius et Bacchus) სახ. კონსტანტინოპოლის ერთ-ერთი უძველესი ბაზილიკური ტაძარი, აშენებული 527-536 წლებში, ისევე როგორც ქ. რავენას (იტალია)

სურ. 8. წმ. ვიტალეს ტაძარი რავენაში (იტალია) 526-547 წ. (იტალ. Basilica di San Vitale)


წმინდა ვიტალე მილანელის (იტალ. Basilica di San Vitale, 526-547), სახ. ბაზილიკა, ვიზანტიური ხელოვნების მნიშვნელოვანი ძეგლი, დასავლეთ ევროპაში, ითვლება პროტოტიპად ტაძრისა, რომელიც ვიზანტიის „ოქროს ხანის“ ეპოქის სიმბოლო და თავისი მასშტაბურობით ნამდვილი მეგასტრუქტურაა და მართლაც ჰქონდა მეტევრი მსოფლიო არქიტექტურის, დიდი იუსტიანე ი-ის ბრძანებით 532-537 წლებში აშენებული, კონსტანტინოპოლის აია სოფიას (ბერძ. ოსმალ. ایاصوفیه) ქრისტიანული საპატიოარქო ტაძარი (გუმბათოვანი ბაზილიკა) ათას წელზე მეტ ხანს ყველაზე დიდი ტაძარი იყო ქრისტიანულ სამყაროში ($h=55.6$ მ. $d=31$ მ.), ვიდრე რომში წმ. პეტრეს ტაძარი აშენდებოდა.




კონსტანტინოპოლის აია სოფიას ტაძარი
(დღევანდელი სტამბული)



სურ. 9. ბიზანტიის ოქროს ხანის სიმბოლო კონსტანტინეპოლის აია სოფიას (ბერძ. აγία სოφია) ტაძარი. მიეკუთვნება გუმბათოვანი ბაზილიკის სახეობას. (დღევანდელი სტამბული).



კიევის წმ.სოფიის ტაძრის მოდელი პირველანდელი სახით, რეკონსტრუქციამდე (XI ს - ის 20-30 წელი).
უკრაინა



სურ. 10. კიევის წმინდა სოფიის ტაძარის მოდელი პირველანდელი სახით, რეკონსტრუქციამდე, (XI ს-ის 20-30 წლები) უკრაინა.

საქართველო გეომეტრიის ნიშნები
ქართულ სატაძრო
ხუროთმოძღვრებაში


დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი (1876-1940 წლები) მისი გარდაცვალებიდან ექვსი წლის შემდგომ 1946 წელს გამოცემულ ნაშრომში „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, გამოთქვამს მოსაზრებას: ოუ შესწავლილი არ გვექნება ქართული



ხუროთმოძღვრების ნაგებობათა ზოგადი და ცალკეული ნაწილების პროპორციების, სიმეტრიისა და შეფარდებების მათემატიკური ფორმულები, თუ შესწავლილი არ გვექნება ძველი, შეუძლებელი განვითარებისთვისაც მტკიცე საფუძვლის შექმნა უამისოდ ამაო გარჯა იქნება“. 70 წლის წინ, მის მიერ დაფიქსირებულ ამ მოსაზრებას, არამც თუ არ დაუკარგავს მნიშვნელობა, არამედ „ეს მოწოდება კიდევ უფრო აქტუალურად ქდერს დღეს, როცა ქართული



მცხეთს ჯვარი 586/87-604 წწ.




სურ. 11.მცხეთის ჯვარი 586/87- 604წწ.

საეკლესიო ხუროთმოძღვრება ახალი აღმავლობის გზაზეა“, ციტატა პროფესორ ჰ. მოსულიშვილის წიგნიდან „ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სტრუქტურა“.

ივანე ჯავახიშვილი, ზემოთ ხსენებულ მის ნაშრომში წერს: „ეკლესიას თავისი გეგმა მოქოვებოდა, სამლოცველოს – თავისი. სხვა ნაგებობასაც დანიშნულებისდა მიხედვით სხვანაირი გეგმა უნდა ჰქონოდა. შენობის აგება იწყებოდა მას შემდეგ, როდესაც გეგმა არსებობდა. ამის შესახებ ჩვენ სრულიად გარდებული ცნობები გვაქვს. ბასილ ზარზმელს აქეს აღნიშნული და გიორგი მერჩულის თხზულებითგანაც ჩანს, რომ არამც თუ გეგმა ჰქონდათ ზოგადად წარმოდგენილი, არამედ მოდელებსაც – კი აკეთებდნენ წინასწარ“.

ჩვენთვის უადრესად საინტერესოა ცოდნას ფლობდნენ ქრისტიანული ტაძრის მშენებელი ჩვენი წინაპარნი. კიდევ უფრო საინტერესოა ამ ცოდნის წარმომავლობა. ქართველი ისტორიკოსის, „ამბავთა მწერლის“ (პ. ინგოროვას თანახმად VIII საუკუნის მოღვაწე), ლეონტი მროველი ის მიხედვით, IV საუკუნის 30-იან წლებში მეფე მირიანმა ქართლში გამოაცხადა რა სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა, მან ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე დიდს, ქვითხუროთა გამოგზავნა სოხოვა. როგორც სჩანს იმპერატორმა მეფის თხოვნა შეასრულა და საქართველოში ვიზანტიიდან ჩამოსულმა მშენებლებმა რამდენიმე რეგიონში (წუნდა, მანგლისი, ერუშეთი) მართლაც ააშენეს ქრისტიანული ტაძრები, თუმცა ისინი უამთა სვლას ვერ გადაურჩნენ. სავარაუდოდ გარკვეული ცოდნა, ტაძრის მშენებლების გაზიარებული იქნა და სწორედ ამ პერიოდიდან, IV საუკუნიდან იღებს სათავეს თვითმუოფადი ქართული ქრისტიანული საეკლესიო ხუროთმოძღვრება და აღგება განვითარების საკუთარ გზას.



სურ. 12.1 გელათის სამონასტრო კომპლექსი XII ს.;

სურ. 12.2 კუმურდო X ს.;

სურ. 12.3 ერთაწმინდა XIII ს.;

სურ. 12.4 / 13.5 ერთაწმინდა (ფრაგმენტი)

სტატიკური და დინამიური კვადრატები;

12.6 სამთავისი XI ს. „ტყუპი“ დინამიური

კვადრატები;

სურ. 12.7 დინამიური კვადრატები

ჩახაზული გესიკა პისკისში.



სურ. 14. მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი, XI ს. – ფრესკის ფრაგმენტი.

გელათი (ფრესკის ფრაგმენტი)




„საკრალური გეომეტრია“ (SACRED GEOMETRY) კაცობრიობის ისტორიის მსვლელობისას, გამოიყენებოდა ყველა დროში და ყველა მსოფლიო რელიგიურში, ფილოსოფიაში, არქიტექტურაში, ხელოვნებაში, მუსიკაში, ფერწერასა და იკონოგრაფიაში, როგორც კოსმოსის ღვთაებრივი პროპორციონირების გეომეტრიული ინტერპრეტაცია, როგორც სამყაროს მოწესრიგებულობის გამოსახვის ფორმა. მისი როლი ათასწლეულების მანძილზე, იყო და დღესაც არის უაღრესად მნიშვნელოვანი სხვადასხვა კულტურათა ცხოვრებაში. ვფიქრობ, ამ მხრივ, არც ქართული ხუროთმოძღვრული თუ იკონოგრაფიული კულტურაა გამონაკლისი.

ქართული მართლმადიდებლური ტაძრების ფასადებზე, ქვაში გამოკვეთილ დეკორატიულ ჩუქურთმათა ნახატებში, ადგილად იკითხება საკრალური გეომეტრიის ღვთაებრივი სიმბოლოები (გელათი, კუმურდო, ერთაწმინდა, წუდლუდაშენი და სხვა. სურ. 13).

საკრალური გეომეტრიის ღვთაებრივ სიმბოლოებს, ტაძართა ინტერიორშიც ვხედავთ ფრესკებზე გამოსახულს (სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, გელათი. სურ. 14).

ქრისტიანული ტაძრის არქიტექტურა, თავისი საკრალური შინაარსით, ღვთის ხილული წყალობაა, რომელმაც თავის არსში შეკრიბა ყოველივე ის საუკეთესო, რაც არის საკრალურ გეომეტრიაში, მეტაფიზიკაში, კოსმოლოგიასა და განსწავლულ უდიდეს განმანათებელთა სწავლებაში. ისტორიული ტაძარი, როგორც ღვთაებრივი არქიტექტურის ნაწარმოები, განიხილება არა მარტო როგორც ხუროთმოძღვრული ძეგლი, არამედ როგორც საგანძურო ერთგვარი გაშიფრული ცოდნისა, რომელიც ადამიანს უხსნის მის დანიშნულებას და აწვდის საიდუმლო ინფორმაციას სამყაროს მოწყობის თაობაზე.



სურ. 12. სამთავისი. საქართველოში 1030 წელს აშენებული სამთავისის ჯგარგუმბათოვანი ტაძრის შემდეგ რგაასი (800) წლის განმავლობაში ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძრის სხვა ტიპი საქართველოში არ შექმნილა. (იხ. პარმენ ზაქარაია 5 [გვ.27-28]).

XI საუკუნის ჯგარგუმბათოვანი - სამთავისის ტაძარი, გამორჩეულია, ერთის მხრივ ტაძრის გეგმის ნოვატორული გადაწყვეტით, რამაც ფაქტიურად ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ახალ ტიპს ჩაუყარა საფუძველი და მეორეს მხრივ - მის უნიკალობას განაპირობებს ნაგებობის, როგორც ერთიანი სტრუქტურის, პროპორციათა ზედმიწევნითი სრულყოფილება. მისი პირვანდელი სახით გადარჩენილი და ჩვენამდე




მოღწეული აღმოსავლეთ ფასადის დეკორი, ყოველთვის განსაკუთრებული აღფრთოვანებისა და ყურადღების საგანს წარმოადგენდა და დღემდე ეს ასეა. საკურთხევლის კედლის ფასადის გარე დეკორის დირსება, ძირითადად მისი მაღალ-მხატვრული და კომპოზიციური დირებულებით განისაზ- დვრებოდა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ დეკორის, მთავარი დირსება, მისი შინაარსი და მნიშვნელობა, თითქმის ათი საუკუნის მანძილზე ჩვენი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

და მაინც რა დარჩა ჩვენი ყურადღების მიღმა?

სამთავისის აღმოსავლეთის კედლის დეკორი, ცისკენ მიპყრობილი ანთებული სანთლის ალის მსგავსად, ზეცისკენ არის მიმართული ვერტიკალურად ვითარდება ქვემოდან ზევით, მიწისპირა ცოკოლიდან ფრონტონის წვერისაკენ. კომპოზიციის შემადგენელი თვითონეული კომპონენტი ვფიქრობთ, რომ კონკრეტული ინფორმაციის მატარებელი უნდა იყოს. კომპოზიციის საწყისი, მიწასთან უკლაზე ახლოს განთავსებული ფიგურა ორი ერთმანეთს შერწყმული და დინამიურ მდგომარეობაში გამოსახული „ტყუპი“ კვადრატების ჩუქურთმაა, ამ ფიგურის ზევით სარკმელია, რომელიც მართკუთხა ფორმის არშიით არის გარშემოვლებული. ამას მოყვება შედარებით მცირეზომის, მოცულობითი სფერული ფიგურა, კ.წ. ვარდული, რომლის ზევით ჯვარია გამოსახული. ვერტიკალური კომპოზიციის ოთხივე კომპონენტი ნახევარწრიული, თაღისებრი კარნიზით არის დაგვირგვინებული.

რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს. კომპოზიციის საწყისი, შედგენილი ფიგურა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი ერთმანეთს შერწყმული და დინამიურ მდგომარეობაში გამოსახული „ტყუპი“ კვადრატებია. თუ თითონეულ მათგანს წრეწირებს შემოვავლებთ, რომელთა ცენტრები კვადრატების ცენტ-

რებს დაემთხვევა, მივიღებთ საცრალური გეომეტრიის უმნიშვნელოვანებს პოსტულატს ვესიკა პისკისი-ს (Vesica Piscis) კ.წ. „თევზის ბუშტის“ გამოსახულებას. ეს ფიგურა დვოაებრივი გეომეტრიის ხუთივე თანაფარდობას შეიცავს და სიმბოლურად სამყაროს შექმნის მეორე დღეს აღწერს. ის რომ ეს ფიგურა საწყის, ერთგარ ფუნდამენტალურ პოზიციაზე გამოსახული, ვფიქრობთ მრავლისმეტყველი ინფორმაციის შემცველი ფაქტია ჯვარგუმბათოვანი ტაძრის პროპორციათა თანაფარდობის სისტემის ასპექტში.



სურ. 15. სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის დეკორი

მეორე ფიგურა, საკურთხევლის ცენტრალური სარკმელის სწორხაზოვანი ჩუქურთმით შემომსაზღვრებლი მართკუთხედია, თუმცა ლოგიკით მომრგვალებული საკმელი ასევე მომრგვალებული არშიით უფრო უნდა ყოფილიყო შემოფარგლური, მაგრამ ოსტატმა ის სწორკუთხა გააკეთა, რატომ? თუ ამ მართკუთხედის გვერდების პროპორციას გავეცნობით და გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ მართკუთხედის დიდი გვერდი (სიმაღლე) ორჯერ მეტია მის მცირე გვერდზე, ანუ ეს სწორკუთხედი ორი კვადრატისაგან შედგება. ამგვარი მართკუთხედის დიაგონალი კი




✓5-ის ტოლია. ეს პირდაპირი მითითებაა თუ რა პრინციპებია ჩადებული ტაძრის პროპორციებში. პირველ რიგში შესაძლებელი ხდება სამთავისის პირვანდელი (XV საუკუნეებში გუმბათის ჩამონგრევამდე) სიმაღლის დადგენა.

რას უნდა ნიშნავდეს, მხატვრული დირექტულების თვალსაზრისით, ტაძრის გუმბათქვედა ნაწილის თითქმის ცენტ-რში, სარკმელსა და ჯვარს შორის განთავსებული, თითქოს კედლიდან ამოსულია, ნახევარი სფეროს ფორმის წერტილოვანი ფიგურა, ძნელი სათქმელია. იმას ხომ არა, რომ წერტილიდან დაიწყო ყველაფერი (დიდი აფეთქება). თუმცა ერთი რამ ნათელია რომ ამ სფერული, „წერტილის“ მასშტაბის ფიგურეს აქ არსებობა შემთხვევითობა არ არის და ვფიქრობთ, რომ მას დიდი ალბათობით გარკვეული საკრალური დატვირთვა უნდა ჰქონდეს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ რომ სამთავისის ხუროთმოძღვარი, არამარტო იცნობდა დვოთაებრივი გეომეტრიის პოსტულატებს, არამედ გამოიყენა ისინი სამთავისის ტაძრის აგებისას და ეს ჩუქურთმა ერთგვარი შიფრული გზავნილია, საიდუმლო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ტაძრის პროპორციები საკრალური გეომეტრიის სწავლების შედეგს წარმოადგენს. საიდან ჰქონდა ქართველ ოსტატს, ქვათხუროს ეს ცოდნა. აქ ხომ ისეთ მათემატიკურ ირაციონალურ რიცხვებთან გვაქვს საქმე, როგორიცაა $\sqrt{2}$, $\sqrt{3}$ vesica piscis, $\sqrt{5}$, ϕ და π . ამ რიცხვებით მანიპულირება მათემატიკის ორდინალური ცოდნით, ვფიქრობთ ძნელად თუ მოხერხდებოდა. ამ კითხვაზე პასუხი, შემდგომი კვლევის საგანი და მომავლის საქმეა, ხოლო რაც შეეხება სამთავისის ტაძრის პროექტირებისას, საკრალური გეომეტრიისგამოყენებას, ამ თემაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჯვარბუმბათოვანი ტაძრის არომატირების ალბორიტი

პროპორციონირების
შემოთავაზებული მეთოდი



ქართული ეროვნული თვითყოფა-ადობისა და თვითშეგნების ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში საქართველოს ეკლესიას უდიდესი დვაწლი მიუძღვის ქვეყნისა და ქართველი ერის წინაშე. მისი როლი ერის სულიერების ამაღლებაში დღესაც აქტუალურია. დვითისმსახურება საკრალური აქტია, რომელიც ტაძარში წარმოებს, ამიტომ თანამედროვე მართლმადიდებლური ტაძრის არქეტენტურა უნდა იქმნებოდეს უპირველესად ქრისტიანული დოგმატიკის ფარგლებში და იმ გავლენათა გათვალისწინებით, რომლებსაც სალოცავი ისტორიულად ახდენდა და დღესაც ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის ბედზე და ფსიქიკურ თუ სულიერ მდგომარეობაზე. ტაძარი საკრალური არქიტექტურული ნაწარმოებია, ის ინსტრუმენტია, რომლის საშუალებითაც ისხნება უხილავი ნიშნები დვთიური არსებობისა და სწორედ მასში და მის გარშემო გენერირდება ადამიანის თვითორგალიზაციისათვის განსაკუთრებული ენერგია, რომელიცემარება ადამიანის გონის ზეცნობიერის წვდომაში.

ჩვენი მცდელობა, წინამდებარენაშრომის სახით, მდგომარეობს იმაში, რომ გამოგვევლინა ქართული, მართლმადიდებლური, ჯვარგუმბათოვანი ტაძრის არქიტექტონიკა (ძვ. ბერძ. აღχιτეკისტი) ანუ ამ საკრალური

ნაგებობის აგების ხელოვნება, ჩამოგვე-
ყალიბებინა ჯვარგუმბათოვანი ტაძრის
პროექტირებისათვის სტრუქტურული
და სისტემური ალგორითმი, მისი მთა-
ვარი და ძირითადი პრინციპი, რომე-
ლიც განაპირობებდა მისი ცალკეუ-
ლი ნაწილების ერთ მთლიან კომპო-
ზიციურ, მონუმენტალურ და მხატვ-
რულ სტრუქტურად ჩამოყალიბების
საერთო სისტემას, და უზრუნველყო-
ფდა ტაძრის განსაკუთრებულ, ენერ-
გეტიკულ-ფიბრაციულ პოტენციალს,
რაც საშუალებას მოგვცემდა შეგვექმნა
იმ სახის ჯვარგუმბათოვანი ტაძრი,
რომლის არქიტექტურულ ფორმათა
მზერა, მსგავსი იქნებოდა ესთეტიკური
იდუმალი თანაზიარებისა, რომელსაც
მივჟავართ შეგნების ერთგვარი გარდა-
სახვისკენ და სულიერებისაკენ.

პროპორციათა ჰარმონია, სინათლე
და ფერი, გარემოსთან კავშირი, ენერ-
გეტიკული ეფექტურობა და გეოგეტ-
რიულ ფორმათა თანაზომიერება –
ყოველივე ეს სასიკეთო ზეგავლენას
ახდენს ადამიანის სულთნა.


სიმბოლიზმი

ქრისტიანული ტაძრების მშენებელმა ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ, რომ გარკვეული ფორმის, ზომისა და პროპორციის მქონე ქრისტიანული ტაძრების არქიტექტურა, წარმოადგენს დვთაებრივი, კოსმიური ენერგიის ერთგარ გამტარს ჩვენს მიწიერ სამყაროში და რომ ტაძრების არქიტექტურა შესაძლებელს ხდის ადამიანის სულიერ კავშირს დვთაებრივ ენერგიისთან. შეიძლება ითქვას, რომ ქრისტიანული ტაძარი, თავისი საკრალური არქიტექტურით, შესაკველის ზესკველთან კავშირს განაპირობებს. ვფიქრობთ, რომ ქართული მართმადიდებლური ტაძრების კომპოზიციური სტრუქტურის ისტორიულად ჩამოყალიბებული სახის შენარჩუნება, ახალი ტაძრების მშენებლობისას, განაპიროვნებულია მათი ამ საკრალური ოვალის შესანარჩუნებელი მატერიალისას.


ლად, რომელთა გარეშე ტაბარი
დაკარგბავდა ლვთაებრივ თვისებებს და
გადაიქცეოდა ჩვეულებრივ ნაგებობად.

როგორც გრამატიკა იცავს და
ინახავს ზოგადად ენას, ასევე ქრის-
ტიანული დოგმატი უფრთხილდება და
ინარჩუნებს მართმადიდებლური ტაძ-
რის საკრალურ არსეს, მის მისიას იყოს
გამტარი ფიზიკურსა და სულიერ
სამყაროს შორის.

ქრისტიანული ტაძრის ერთიანი
კომპოზიციური სტრუქტურა რამდენიმე
ძირითად შემადგენელს მოიცავს. თი-
თოვეულ მათგანს საკუთარი ფორმა და
სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. ტაძ-
რის გუმბათქვედა კუბური მოცულობა
დედამიწასთან ასოცირდება, კუბის-
ებრ მოცულობაზე, ცენტრში განთავსე-
ბული ცილინდრული ფორმის მოცუ-
ლობა დაგირგვინებული გუმბათით –
ზეცის სიმბოლოს წარმოადგენს



15.1 15.2



სურ. 15.1. ვესიკა პისკისი (Vesica piscis);
 სურ. 15.2. ვესიკა პისკისი – ინვერსია;
 სურ. 15.3. ვესიკა პისკისი და საქრალური
 გეომეტრიის პოსტულატები.



ეს ქომპოზიცია განასახიერებს ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად მრწამსეს, ზეციურის ანუ სულიერის და მიწიერის ანუ მატერიალურის ერთიანობას და იგი კანონიკური გახდა ზოგადად მართმადიდებლური ეკლესიისათვის და ქართული მართმადიდებლური ეკლესიისათვის გალესიისათვის განსაკუთრებით.

ადამიანი, რომელსაც არა აქვს წარმოდგენილი ძალები რომლებიც ძვეს გეომეტრიულ ფორმებში, ვერ წარმოუდგენია, რომ მათი საშუალებით ის კონტაქტირებს ფანტასტიკურად მდიდარ ინფორმაციულ-ენერგეტიკულ სამყაროსთან, მოკლებულია მიწიერი და კოსმოსური ენერგიების შეთვისების საშუალებას.

საკრალური (ღვთაებრივი) გეომეტრია (ლათ. *Sacralis* - წმინდა, სიწმინდით გამსჭვალური, ღვთაებრივად ალიარებული) განიმარტება, როგორც ძველი მითოლოგიისა და რელიგიის გეომეტრიული წარმოდგენების სინთეზი - სამყაროს სივრცითი მოწყობისა და მისი ფორმების შესახებ, სიცოცხლის საფუძველში მყოფი ამ ფორმებისმთელსა და მათ ნაწილებს შორის პროპორციული თანაფარდობის შესახებ. საკრალური (ღვთაებრივი) გეომეტრია უძველესი, წარდგნამდელი ცოდნაა მსოფლიო წესრიგისა კოსმოსში და იდეა პარმონიული ურთიერთობისა სოციალურ ყოფაში.

საკრალური გეომეტრია - სამყაროს და ადამიანის შემეცნების გზაა. მისი ფილოსოფია, სულიერების ზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა და მისი უბრალო ჭეშმარიტების გაგებასაც კი მივყავართ ჩვენი შემეცნების ერთგვარ გახსნასთან, რეალობის აღქმის არა ზედაპირულ, არამედ ფუნდამენტალურ ხედვასთან, რაც ადამიანის შემეცნების განვითარების შემდგომ, ხარისხობრივად აღმატებულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ინვერსია

ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების საკრალური, ღვთაებრივი არსი ასახულია ქრისტიანული ტაძრის მოცულობით-სივრცით გადაწყვეტაში. მის ძირითად სიმბოლურ საფუძველს წარმოადგენს სამკუთხედი - ფიგურა, რომელიც სიმბოლიზირებს ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად მრწამს, ინვერსიას (ლათ. *inversio* - გადაადგილება, გარდაქმნა), გადასვლას ამქვეყნიურიდან იმქვეყნიურში, ცხოვრების გზას მატერიალური სამყაროდან სულიერების სამყაროში (სურ.14.2.).

3.1. ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გუმბათქვედა კუბისებრი მოცულობის ფასადთა ფრონტალური სიბრტყეების განივი, მაღლივიდა გრძივი გაბარიტები

3.1.1. გუმბათქვედა მოცულობის განივი (α = CONSTANTA) გაბარიტი

წინამდებარე ნაშრომში, შემოთავაზებული მეთოდის თანახმად, ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი ტაძრის მოცულობით-სივრცითი პროპორციები პირდაპირ დამოკიდებულებაშია მის განივ ზომასთან, უშუალოდ მასზეა დაქვემდებარებული და მისგან გამომდინარეობს ტაძრის ნებისმიერი სხვა ვერტიკალური თუ პორიზონტალური სიდიდე. ტაძრის განივი ზომა, პროექტირების ეტაპზე მისი გეგმარებითი და მოცულობით-სივრცითი სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველი ხდება, ამიტომ ის განიხილება როგორც კონსტანტა (ლათ. *constanta* - მუდმივი, უცვლელი), პროექტირების ნებისმიერ ეტაპზე.

კონსტანტის თუნდაც უმნიშვნელო ცვლიება (პლიუსის ან მინუსისკენ) გამოიწვევს მთლიანად ტაძრის და მისი შემადგენელი ყველა დანარჩენი ნაწილების ზომების შეცვლას, თუმცა



თანაფარდობა ნაწილებს შორის დაამ-ნაწილებისა ერთიან ტაძართან მიმარ-თებაში არ შეიცვლება და ტაძრის კომპოზიციური სტრუქტურის ფორმატი ნებისმიერ შემთხვევაში დარჩება უცვ-ლელი. აღნიშნული, წინამდებარე მეთო-დის უმთავრეს და მნიშვნელოვან თვისებად მიგვაჩნია.

პროპორციონირების წარმოდგე-ნილი მეთოდის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომავალი ტაძრის ნებისმიერიგაბარიტებიდან, განივიგერდის ზომა შერჩევითია და განისაზ-ლვება პროექტირების საწყის ეტაზე. მაგრამ როგორც ის უკვე განსაზღვ-რულია და ცნობილი, მისი ციფრული მნიშვნელობა (მეტრულ სისტემაში), წარმოდგენილი მეთოდის კონცეფციის თანახმად, მიიჩნევა როგორც კონსტანტია და ამის შემდგომ ტაძრის უკელა სხვა ზომა მასზეა დამოკიდებული, მისგან გამომდინარეობს და მისგანვე იწარმოება.

დასაპროექტებული ტაძრის სიგანე პირობითად აღვნიშნოთ ა ასონიშნით და პორიზონტალურ წრფეზე (სქემა1). მოვნიშნოთ $B = a = \text{constant}$ -ს ტოლი მონაკვეთი და მივანიჭოთ მას შერჩევითი ფიზიკური სიდიდე მეტრებში, მაგალითად $a=11.40\text{m}$.

3.1.2. ტაძრის გუმბათქვედა მოცულობის სიმაღლე (h_1)

განვსაზღვროთ ტაძრის კომპო-ზიციის ისეთი მნიშვნელოვანი სიდიდე, როგორიცაა გუმბათქვედა ე.წ. „გუმ-სებრი“ მოცულობის სიმაღლე და აღვნიშნოთ ის h_1 ასონიშნით პორი-ზონტალურ წრფეზე (სქემა 1) უკვე მონიშნულ ტაძრის განივი გაბარიტის $AB=a$ -ს ტოლი მონაკვეთის შუა $Q\sqrt{r}$ -ილში ავლითოთ მართობული QQ' წრფე და დავარქვათ მას Y დერძი. ავაგოთ $ACDB$ კვადრატი a -ს ტოლი

გვერდებით. მიღებული კვადრატის AD და BC დიაგონალების გადაკეთის Z წერტილზე გავავლოთ პორიზონტალუ-რი ab წრფე. $ACDB$ კვადრატი გაიყო ოთხ ერთმანეთის ტოლ კვადრატებად, რომელთა გვერდები $\frac{1}{2}a$ -ს ტოლია. Y დერძი $ACDB$ კვადრატს ორ ტოლ $ACZ'Q$ და $QZ''DB$ მართკუთხედებად ჰყოფს. ამ მართკუთხედების გვერდები $\frac{1}{2}a$ -ს და a -ს ტოლია. თითოეული მართ-კუთხედი ორ-ორი ტოლი კვადრატე-ბისგან შედგება და წარმოადგენენ ე.წ. „ორკვადრატიან“ მართკუთხედებს. ცნო-ბილია, რომ „ორკვადრატიანი“ მართ-კუთხედის დიაგონალი ისე შეეფარ-დება მცირე გვერდს, როგორც $\sqrt{5}$ შეეფარდება 1-ს, ანუ $QC : AQ = \sqrt{5}:1$, აქედან $QC = AQ \times \sqrt{5} = \frac{1}{2}a\sqrt{5}$.

თუ მსგავსი მართკუთხედის მცი-რე გვერდს აღვნიშნავთ 1-ით, მაშინ დიდი გვერდი 2-ის ტოლი იქნება. პირა-გორეს თეორემის თანახმად პიპოტენუ-ზა ტოლია $1^2+2^2 = \sqrt{1+4} = \sqrt{5} = 2.2360679\dots$, და წარმოადგენს ირაციონალურ, ალ-გებრულ რიცხვს. საინტერესოა, რომ ამ ორი სიდიდის ($\sqrt{5}$ და 1) საშუალო არითმეტიკული ოქროს კვეთის ფის ტოლია. $(\sqrt{5}+1) : 2 = (2.236+1):2 = 3.236 : 2 = 1.618 = \varphi$. ტრიგონომეტრიული ფუნ-ქციით ფიზიკური განვითარებისთვის.


$$\varphi = 2 \cos \frac{\pi}{5} = 2 \cos 36^\circ.$$

ოქროს პროპორცია – გეომეტრიუ-ლი წონასწორობის წერტილია, რო-გორც მთელსა და მის ნაწილებს შორის, ასევე მთელის ნაწილებს შო-რისაც. ამდენად ის ერთგვარი იდეა-ლური კონსტანტა, ობიექტის, სისტე-მის ან პროცესების განვითარებისთვის.

$\sqrt{5}$ და φ – საკრალური გეომეტრიის ხუთ მისტიკური თანაფარდობათა შორისაა, რომელნიც დავთავივი გეომეტრიის აგებათა საფუძველს წარმოადგენენ. პარმონის



მათემატიკური გამო სახულებაა, ხოლო $\sqrt{5}$ სტიმულირებს ვიბრაციულ ტალღებთან მუშაობას.



სქემა 1. ჯვარგუმბათოვანი ტარის ფასადების ფრონტალურ სიბრტყეთა გაძარიტების სამიებო (α , L , H) სქემა

იმისათვის, რომ განვსაზღროთ ტარის გუმბათქვედა მოცულობის სიმაღლე h_1 - QC დიაგონალს მივანიჭოთ რადიუსის ($QC = r$) ფუნქცია და Q წერტილიდან $r = \frac{1}{2}\alpha\sqrt{5}$ სიდიდის რადიუსით შემოვხაზოთ CD რკალი, რომელიც Y დერძს გადაკვეთს O წერტილში. ამგვარად, Y დერძზე მივიღეთ QO ვერტიკალური სიდიდე და პროპორციონულების შემოთავაზებული მეთოდის თანახმად, ამ სიდიდით განისაზღვრება ტარის გუმბათქვედა „კუსისებრი“ მოცულობის სიმაღლე, და ბუნებრივია გულისხმობს ასევე ტარის

გუმბათქვედა მოცულობის ოთხივე (აღმოსავლეთ, დასავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ) ფასადების ფრონტალური სიბრტყეების სიმაღლეებსაც. სხვა სიტყვებით განისაზღვრა ჯვრის მკლავების განმსაზღვრელი, ცენტრალური ნეფების ანუ ტრანსეფტის ოთხივე მხარეს განთავსებული ნეფების სიმაღლე ფასადზე, მათი ფრონტონ(ებ)ის წვერამდე.

ამის შემდგომ წერტილზე გავავლოთ ჰორიზონტალური ხაზი და დაგარქვათ მას X დერძი $ACDB$ კვადრატის C და D წერტილებიდან აღვმართოთ მართობები, რომლებიც X დერძს გადაკვეთენ E და F წერტილებში. მიღებული მართკუთხედი წარმოადგენსტარის გუმბათქვედა მოცულობის (აღმოსავლეთის და დასავლეთის) განივი გვერდების ფასადების შემომსაზღვრელ ფრონტალურ სიბრტყეს.

ამრიგად, ჯვარგუმბათოვანი ტარის გუმბათქვედა მოცულობის სიმაღლე h_1 განისაზღვრება ფორმულა 1-ით.

$$h_1 = \frac{1}{2}\alpha\sqrt{5}(1);$$

სადაც: h_1 – ტარის გუმბათქვეშა მოცულობის სიმაღლეა; α – ტარის მცირე გვერდია; $\sqrt{5} = 2.23606797\dots$

თუ მიღებულ ფორმულა 1-ში ($h_1 = \frac{1}{2}\alpha\sqrt{5}$) ჩავსვავთ α -ს მეტრულ მნიშვნელობას მივიღებთ ტარის გუმბათქვედა მოცულობის სიმაღლეს მეტრებში.

- $QC = AQx\sqrt{5} = 5,70 \times 2,236 = 12,7455874717488 \approx 12,75 \text{ მ.}$
- ტემცა არსებობს სხვა გზაც, ა.შ.
2. ACQ მართკუთხა სამკუთხედში ცნობილია, რომ კათეტები $Q = \frac{1}{2}\alpha = 5,70 \text{ მ-ს}$ და $AC = \alpha = 11,40 \text{ მ.}$ QC პიპოტებუზა, თანახმად პითაგორეს ცნობილი ფორმულისა $c = \sqrt{(a^2 + b^2)}$ ტოლია:



$$QC = \sqrt{QD^2 + DC^2} = \sqrt{5.70^2 + 11.40^2} = \\ \sqrt{32.49 + 129.96} = \sqrt{162.45} = \\ 12.74558747174 \approx 12.75\text{მ.}$$

ორივე შემთხვევაში შედეგი ერთნაირია. ამგვარად, ტაძრის განივი გუმბათ-ქვედა მოცულობის სიმაღლის გამოსათვლელი ფორმულა განსაზღვრულია, ტაძრის განივი ზომა კი მოცემული იყო თავიდან. ასე, რომ განივი ფრონტალური სიბრტყების (ფასადების) პერიმეტრალური გაბარიტები დადგენილია. სიგანე = 11.40მეტრს და სიმაღლე უდრის $h_1 = \frac{1}{2}\alpha\sqrt{5} = 12.75$ მეტრს.

3.1.3. გუმბათქვედა მოცულობის გრძივი (L) გაბარიტი

წინამდებარე მეოთოდიკის ფარგლებში განვიხილოთ ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გუმბათქვედა მოცულობის ჩრდილოეთისა და სამხრეთის, გრძივი გვერდების (კედლების) ფრონტალურ სიბრტყეთა პორტაციების განსაზღვრის თეორიული მექანიზმი (სქემა 3). ამისათვის ნულოვან (± 0.000) ნიშნულზე მდებარე AB პორტონტალური წრფის შუა წერტილიდან აღვმართოთ დერძის მარცხნივ და მარჯვნივ 60° -იანი კუთხით დახრილი ორი QG და QT წრფე ისე, რომ მათ გადაკვეთონ პორტონტალური X დერძი. გადაკვეთის G და T წერტილებზე გავავლოთ დერძის პარალელური ვერტიკალური წრფეები, რომლებიც პორტონტალს M და N წერტილებში გადაკვეთენ. ამრიგად, შემოთავაზებული მეთოდიკის თანახმად, მონაკვეთები GT = MN მიჩნეულია ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გრძივი კედლების ზომად და მას აღვნიშნავთ L-ით.

მიღებული MGTN მართკუთხედი, განსაზღვრავს ტაძრის ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლების ფრონტალურ სიბრტყეთა საზღვრებს. ამ მართკუთხედის სიმაღლე ჩვენთვის ცნობილია, გავი-

გოთ მისი სიგრძე GT, რომელიც GO და TO მონაცემების ჯამს შეადგენს.

GOQ და TOQ მართკუთხა სამკუთხედებში QG და QT გვერდები წარმოადგენებ ჰიპოტენუზებს, QO კათეტი ორივე სამკუთხედისთვის საერთოა, ხოლო GO და TO მცირე კათეტებია. ამ სამკუთხედების კუთხეები $GQO=TOQ=90^\circ-60^\circ=30^\circ$. ცნობილია რომ, მართკუთხა სამკუთხედში 30° -იანი კუთხის მოპირდაპირე კათეტი ტოლია მიმდებარე კათეტი გამრავლებული $\tan 30^\circ = \frac{1}{\sqrt{3}}$. ჩვენს შემთხვევაში ორივე სამკუთხედისთვის საერთო მიმდებარე QO კათეტია, ხოლო საძიებო მოპირდაპირე კათეტები კი - GO = TO. ამ კათეტების ჯამი $GO + TO = GT$. გამოვიანგარიშოთ ერთ-ერთი მოპირდაპირე მცირე კათეტი GO = QO $\tan 30^\circ$. რადგან $QO = QC = \frac{1}{2}\alpha\sqrt{5}$, ამიტომ $GO = \frac{1}{2}\alpha\sqrt{5} \tan 30^\circ$, ანუ ტაძრის გრძივი ზომატოლია:


$$L = GO \times 2 = \left(\frac{1}{2}\alpha\sqrt{5} \times \tan 30^\circ \right) \times 2 = \alpha\sqrt{5} \times \tan 30^\circ$$

ე.ო. ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გრძივი ზომა, შემოთავაზებული მეთოდის თანახმად ტოლია, ტაძრის მცირე აგვერდი გამრავლებული $\sqrt{5}$ -დან და გამრავლებული $\tan 30^\circ = \frac{1}{\sqrt{3}}$. ამრიგად, ჯვარგუმბათოვანი ტაძრის სიგრძე გამოიანგარიშება ფრონტულა 2-ით:

$$L = \alpha\sqrt{5} \times \tan 30^\circ \quad (2);$$

სადაც L ტაძრის გრძივი ზომაა; α - ტაძრის განივი გვერდის სიდიდე; $\sqrt{5} = 2.2360$; $\tan 30^\circ = 0.5774$

ტაძრის გრძივი (ჩრდილოეთის და სამხრეთის) ფასადების სიგრძის დადგენით, ცნობილი გახდა ასევე ტაძრის გეგმის გრძივი ზომაც. ასევე ცნობილია გუმბათქვედა „კუბისებრი“ მოცულობის h_1 სიმაღლეც. ამგვარად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაძრის გუმბათქვედა გრძივი გვერდების პერიმეტრალური გაბარიტები ფრონტალურ სიბრტყეში დადგენილია და განსაზღვრულია ამ სიდიდეთა თეორიული ასკეტები.



2 ქართული მართლმადიდებლური ცენტრალურ-კარგუმბათოვანი რაძერის პროპრეზაონინირების კონკრეტულებრივი სფერის

**სქემა 2. ქართული მართლმადიდებლური ცენტრალურ-ჯვარულმბათოვანი ტაძრის
პროპორციონირების კონცეპტუალური სქემა**



თუ მიღებულ ფორმულა 2-ში ჩავსვათ ტაძრის განივი კედლის ზომას მეტრებში, α constanta =11.40 მეტრს, მივიღებთ ტაძრის სიგრძეს მეტრულ სისტემაში.

$$L = \alpha \sqrt{5} \times \tan 30^\circ = 11.40 \times 2.236 \times 0.5774 = 14.7237 \approx 14.70 \text{ მ-ს}$$

გრძივი ზომის დადგენით, მივე-დით კვლევის მნიშვნელოვან ეტაპზე, როდესაც ფაქტიურად ტაძრის გუმბა-თქვედა ნაწილის პროპორციათა გეო-მეტრის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტები ბოლომდე გარ-კვეულია და „კუბისებრი“ მოცულობის სამივე პარამეტრი ცნობილია.

* * *

3.1.4. ტაძრის სრული სამაღლის (H) განსაზღვრა

ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გუმბათოვანი ნაწილის გრძივი თუ განივი გაბარიტების განსაზღვრა უმნიშვნელოვანების მომენტია ტაძრის მოცულობით-სივრცითი სახის ფორმი-რების თვალსაზრისით. გუმბათი სახუ-რავთან ერთად, ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მან უზრუნველყოს მთლიანად ტაძრის გამომსახველობითი ხარისხი, განაპირობოს მისი სტრუქტურული მთლიანობა და კომპოზიციის ერთია-ნობა. გუმბათი თავისი ყელის ცილინ-დრისებრი ფორმით, მისი გაბარიტებით, წახნაგთა რაოდენობით, სახურავის დახრის კუთხით უნდა უზრუნველ-ყოფდეს ტაძრის ზეცისკენ სწრაფვის მუხტს და პასუხობდეს ცასთან, ზესკ-ნელთან ასოცირების თემას (სქემა 2; სქემა 3).

ტაძრის გუმბათოვანი ნაწილის სიმაღლის განსაზღვრა, წინამდებარე კვლევაში ორი ერთმანეთისგან რადიკა-ლურად განსხვავებული მიმართულე-ბით ხორციელდება:

1. ტაძრის გუმბათქვედა „კუბისებ-რი“ მოცულობის სიმაღლის განსაზ-

ღვრისას (იხ. 3.1.2.) ავაგეთ ACDB პვად-რატი. ეხლა ავაგოთ კიდევ ერთი CPUD კვადრატი ისე როგორც ეს ნაჩვენებია სქემა 3-ზე. მივიღეთ ახალი APUB მარ-თკუთხედი, რომელიც შედგება ACDB და CPUD კვადრატებისგან, ანუ ამჯერა-დაც საქმე გვაქვს „ორკვადრატიან“ მართკუთხედთან და ტაძრის სიმაღლედ წინამდებარე კვლევის თანახმად, მიღე-ბულია ახალი APUB მართკუთხედის დიაგონალის სიგრძე. BP-ს მივანიჭოთ რადიუსის ფუნქცია $BP=R=AB \times \sqrt{5}$ და შემოვხაზვთ PU' რკალი, რომელიც APUB მართკუთხედის BU გვერდის გაგრძელებულ წრფეს გადაკვეთს U' წერტილში. ამ წერტილიდან გავავლოთ X ჰორიზონტალური ღერძის პარალე-ლური PU' წრფე, რომელიც Y ღერძს გადაკვეთს Q' წერტილში. მიღებული APUB მართკუთხედი, წარმოადგენს ტაძრის სრული სიმაღლის განმსაზ-ღვრელ, განივი (აღმოსავლეთ და დასავლეთ) ფასადების ფრონტალურ სიბრტყეს, ხოლო Y ღერძზე QQ' წრფის მონაკვეთი წარმოადგენს ჯვარგუმბათ-ოვანი მართლმადიდებლური ტაძრის სრულ სიმაღლეს ± 0.000 ნიშნულიდან გუმბათის სახურავის წვერამდე.

ტაძრის სიმაღლე H) გამოითვლება ფორმულით:

$$H = \alpha \sqrt{5}(4);$$

სადაც: H - ტაძრის სიმაღლეა; α - ტაძ-რის განივი გვერდის სიდიდე; $\sqrt{5} = 2.2360$.

თუ ფორმულა (3)-ში შევიტანო ა-ს ციფრულ მნიშვნელობას, მივიღებთ ჯვარგუმბათოვანი ტაძრის სრულ სიმაღლეს გამოხატულს მეტრებში.
 $H = 11.40 \times 2.2360... = 25,491... \approx 25,50\text{მ.}$

2. როდესაც ტაძრის გრძივ ზომას ვაზღვრავდით X ღერძზე ჩვენ G და T წერტილები დავაფიქსირეთ (სქემა 3). ახლა ამავე წერტილებიდან 60° -იანი კუთხით დახრილი GQ' და TQ' წრფეები აღვმართოდ ვიდრე ისინი Y ღერძის Q'



წერტილში არ გადაიკვეთებიან. Q' წერტილით მონიშნული Y ღერძზე QQ' მონაკვეთით განისაზღვრება ტაძრის სრული H სიმაღლე ± 0.000 ნიშნულიდან გუმბათის სახურავის წვერამდე, რომელიც შედგება
 $h_1 + h_2 = \frac{1}{2}\alpha\sqrt{5} + \frac{1}{2}\alpha\sqrt{5} = \alpha\sqrt{5}; \text{ e.i. } H = \alpha\sqrt{5}(4')$


* * *

3.4. ტაძრის გეგმის „სტრუქტურული დაღერძვის მოდულური სისტემა“

ჩვენ უპვე აღვნიშნეთ, რომ ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი ტაძრის პროექტირების საწყის ეტაპზე უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება დასაპროექტებელი ტაძარის განივი (აღმოსავლეთის და დასავლეთის) ფასადების ზომა, რომელიც განიხილება როგორც ჯამური სიდიდე, რომელიც მოიცავს ცენტრალური და გვერდითი (ჩრდილოეთის და სამხრეთის) ნეფების სიდიდეებს, პლიუს ტაძრის მზიდი კედლების სისქე (min 60 სმ.). ცენტრალური ნეფის და გვერდითი ნეფების ღერძებს შორის მანძილის დადგენა ხორციელდება წინამდებარე მეთოდის ფარგლებში შემუშავებული, ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გეგმის სტრუქტურული დარერდების მოდულური სისტემის განსაზღვრის წესის საფუძველზე.

განვიხილოთ ტაძრის გეგმის სტრუქტურული დაღერძვის მოდულური სისტემა (ნახ.11). დავადგინოთ დასავლეთის და აღმოსავლეთის ფასადების, მათი შემადგენელი ცენტრალური და გვერდითი ნეფების, სიგანე ღერძებში. მოცემულ ნაშრომში, ცენტრალური ნეფის განივი ზომა ღერძებში, ჩვენს მიერ მიღებულია როგორც მოდული (M), ხოლო გვერითი ნეფების სიგანე ცენტრალური ნეფის ნახევარს ანუ $\frac{1}{2}M$ -ს შეადგენს. ამგარად, ტაძრის განივი გვერდი შედგება: ერთი მოდულის, ორი ნახევარი მოდულის და

კედლის სისქის ნახევრის ორი ნაწილისაგან. ტაძრის განივი გვერდი შედგება: ერთი მოდულის, ორი ნახევარი მოდულის და კედლის სისქის ნახევრის ორი ნაწილისაგან.



სქემა 3. ტაძრის განივი გვერდის სტრუქტურული დაღერძვის ანუ მოდულური სისტემის სქემა

ტაძრის განივი გვერდის სიდიდე აღნიშნულია ა ასონიშნით, მზიდი კედლის მინიმალური სისქე (60 სმ.) ავლინიშნოთ k ასონიშნით, ხოლო მის ნახევარი $\frac{1}{2}k$ -ით. შემდგომ მოვახდინოთ განივი გვერდის დაღერძვა სტრუქტურული დაღერძვის ანუ მოდულური სისტემის განსაზღვრის შემოთავაზებული წესის გამოყენებით. ამისათვის შემოვიდოთ ფორმულა:

$$a = \frac{1}{2}k + \frac{1}{2}M + (\frac{1}{2}M + \frac{1}{2}M) + \frac{1}{2}M + \frac{1}{2}k \quad (1)$$

სადაც: a – ტაძრის განივი გვერდია; M – მოდული; k – კედლის სისქე.

შემოვიდოთ მოდულის გამსაზღვრელი ფორმულა, უკვე ცნობილი საბაზო კომპონენტების a-ს და k-ს გამოყენებით

$$M = (a - k) : 2 \quad (2)$$

გვერდითი ნეფების განივი ზომა ღერძებში ნახევარი მოდული ტოლია,

$$M = [(a - k) : 2] : 2 = (a - k) : 4 \quad (3)$$

ხოლო მზიდი კედლების სისქე
 $k = 1/9 M$ -ს

თუ ფორმულა 2-ში შევიტანო ტაძრის განივი ზომის რიცხვით მნიშვ-

ნელობას სანტიმეტრებში $a = 11.40$ მ-ს =
 1 140 სმ-ს, ხოლო ტაძრის კედლის
 მინიმალურ სისქედ, როგორც ზემოთ
 აღვნიშვნეთ მიღებულია $k = 1/9$ $M = 60$ სმ.
 მივიღებთ:

$$M = (\alpha - k) : 2 = (1140 - 60) : 2 = 1080 : 2 = 540 \text{ lb},$$

აქედან გამომდინარე $M = 540$ სტ-ბ;
 $\frac{1}{2}M = 270$ სტ-ბ; კედლის სისქე ტოლია $k = 1/9M = 60$ სტ-ბ, ხოლო $\frac{1}{2}k = 1/18 M = 30$ სტ-ბ.

დაგვადგინოთ ცენტრალური და
გვერდითი ნეფების გაბარიტული განი-
ვი ზომები: ცენტრალური ნეფი - $\frac{1}{2}k+M$
 $+\frac{1}{2}k = M + k = 540 + 60 = 600$ სმ-ს.
გვერდითი (ჩრდილოეთი და სამხრეთი)
ნეფები a - (ცენტრ. ნეფი) : 2 = $(1140-600)$: 2 = $540:2=270$ სმ.

შენიშვნა: სასურველია ა-ს სიდიდე ისე ისე შეირჩეს, რომ ის უნაშთოდ იყოფოდეს 4-ტე.

* * *


3.5.ცენტრალური ნეფის სახურავის
კალთების დახრის კუთხისა და
ფრონტონის სიმაღლის განსაზღვრა

ტაძრის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბების საქმეში, ფრონტონის სახურავისკალთების დახრის კუთხის სწორად შერჩევა, მნიშვნელოვანი ფაქტორია. წინამდებარე მეთოდში, ეკლესიის კანონიკურ მოთხოვნათა ფარგლებში, შემოთავაზებულია ფრონტონის სახურავის კალთების დახრილი სიბრტყეების პროპორციონურების ორი ვერსია. უპირველესად, ტაძრის სქემაზე დავიტანოთ ცენტრალური ნეფი, რომის სიგანე (გარე გაბარიტი) განსაზღვრული გვაქვს და იგი ტოლია:

$$mn=mQ+Qn=\frac{1}{2}k+M+\frac{1}{2}k=6.00 \text{ მეტრს.}$$

ვერსია - 1. • CDB კვადრატის ფუძის Q წერტილიდან (სქემა 4), სიმეტრიის ვერტიკალურ ღერძზე კვადრატის სიმაღლის ტოლი რადიუსით (QZ=r) შემოვხაზოთ რკალი, რომელიც ACDB კვადრატის ვერტიკალურ გვერდებს გადაკვეთს C' და D' წერტილებში. ამ წერტილების შემაერთებელი პორიზონტალური CD' წრფე ცენტრალური ნეფის გარე კედლებს გადაკვეთს m' და n' წერტილებში. თუ ამ წერტილებს შევაერთებთ O წერტილთან მივიღებთ სახურავის ფრონტონის ორი ფერდის დახრის ჯუთხეს. ამ ვერსიაში დახრის კუთხე 44°-ის ტოლია.

ამრიგად, მიღებული $m'On'$ სამკუთხედის აგებით განისაზღვრა, როგორც ფრონტონის დახრილი გვერდების პუთხე (44°), ასევე მისი სიმაღლე ($\sqrt{5}$) და ფრონტონის ჰორიზონტალური სიბრტყის დონე ($\sqrt{\alpha^2 - \frac{1}{2}\alpha^2}$), რაც ნეფის ვერტიკალური პედლების სიმაღლის აღმართებულია.



სქემა 4. ნეიტონის საბურავის კალთების
დახრის კუთხისა და ფრონტონის
სიმაღლის განსაზღვრა ვერსია - 1.


- ანალოგიურ შედეგს მივიღებთ (სქემა 4), თუ წერტილიდან ACDB კვადრატის ჰორიზონტალური გვერდის მიმართ 60° -იანი კუთხით დახრილ QC' და



QD' წრფებს აღვმართავთ, რომლებიც გადადრატის გვერდით კედლებს იმავე C' და D' წერტილში გადაკვეთენ. მივიღეთ m'On' სამკუთხედი, რომელიც ცენტრალური ნეფის ფრონტონის წარმოადგენს. ამ ვერსიაშიც, ისევე როგორც წინა ვერსიაში, დახრის კუთხე ტოლია 44° -ის.

გავიგოთ ფრონტონის m'n' პორიზონტალური გვერდის ნიშნული. ცნობილია რომ მართკუთხა სამკუთხედში მცირე კათეტი $QB = \frac{1}{2}a$, კუთხე $QDB = 30^\circ$ -ს. მაშასადამე, პიპოტენუზა $QD' = \frac{1}{2}a \times 2 = a$ -ს. კათეტი ტოლია $BD = \sqrt{QD'^2 - QB^2} = \sqrt{a^2 - \frac{1}{4}a^2}$. გამოდის, რომ ცენტრალური ნეფის ფრონტონის პორიზონტალური სიბრტყე მდებარეობს $BD = \sqrt{a^2 - \frac{1}{4}a^2} = \text{სიმაღლე} \pm 0.000$ დონიდან.

ვერსია - 2. ACDB კვადრატის ცენტრში ჩაკაზოთ $\frac{1}{2}a$ -ს ტოლი რადიუსის მქონე წრფილი, რომელიც ცენტრალური ნეფის ვერტიკალურ გარე კედლებს გადაკვეთს თ და n' წერტილებში. ამ წერტილების შეერთებით წერტილთან მივიღებთ m'On' ტოლგვერდა სამკუთხედს, რომელიც განსაზღვრავს ცენტრალური ნეფის სახურავის კალთების დახრის კუთხეს.



სქემა 5. ნეფის სახურავის კალთების დახრის კუთხისა და ფრონტონის სიმაღლის განსაზღვრა ვერსია - 2.

m'On' ტოლგვერდა სამკუთხედის ფუძესთან კუთხეები ტოლია $36^\circ - 36^\circ$ -ის, ხოლო ფრონტონის წვეროსთან - 108° -ის, რაც იმას ნიშნავს, რომ m'On' ტოლგვერდა სამკუთხედი წარმოადგენს „ოქროს სამკუთხედს“.

ცენტრალური ნეფის სახურავის კალთებისდახრის კუთხის ორივე ვერსია სავსებით შეესაბამება წინამდებარე ნაშრომის კონცეფციას.

* * *


3.6. გვერდითი ნეფების სიმაღლე და მათი სახურავების დახრის კუთხე

გვედითი ნეფ(ების გაბარიტების (სიგანე, სიგრძე) დადგენის მეთოდი გეგმაზე, ადრე განვსაზღვრეთ, ეხლა განვიხილოთ, თუ როგორ ხდება შემოთავაზებული მეთოდით მათი სიმაღლის და სახურავის დახრის კუთხის განსაზღვრა. აქვეგვინდა აღვნიშნოთ, რომ ოთხივე გვერდითი ნეფი ერთმანეთის ტოლია და სიმეტრიულად არიან განთავსებულნი ცენტრალური, გრძივი ნეფის ორივემსარე, ამიტომ სავსებით საკმარისია ერთი მათგანის გაბარიტების დადგენა (იხ. სქემა 6) და გვეცოდინება ოთხივე მათგანის მონაცემები. გვახსოვს, რომ ACDB კვადრატი დაყოფილია ოთხ ტოლ მცირე კვადრატებად. QZbB მცირე კვადრატის $BZ = r^2$ დიაგონალით, როგორც რადიუსით Z3 რკალი, რომელიც კვადრატის BD გვერდს გადაკვეთს ციფრი 3-ით აღნიშნულ წერტილში და გავაკლოთ X დერძის პარალელური 33° წრფე, რომელიც ცენტრალური ნეფის nn' და mm' გვერდებს გადაკვეთს 44° წერტილში. მივიღეთ $n4 = m4 = r^2 = \frac{1}{2}a\sqrt{2}$. ამრიგად, გვერდითი ნეფის დახრილი სახურავის ზედა დონე ტოლია $\frac{1}{2}a\sqrt{2}$.

დავადგინოთ გვერდითი ნეფის დახრილი სახურავის ქვედა დონე ტოლია $\frac{1}{2}a\sqrt{2}$.



$Z'D = r_3 = \frac{1}{2}\alpha$ -ს რადიუსით შემოვხა-
ზოთ $Z'1$ რკალი, რომელიც n' ი
ვერტიკალს 1 წერტილში გადაკვეთს.
ამ წერტილზე გავლებული პორიზონ-
ტალური წრფე ტაძრის BD და AC
გვერდებს გადაკვეთს 2 და 2' წერტი-
ლებში. ამრიგად, გვერდითი ნეფ(ებ)ის
დახრილი სახურავის ქვედა დონე
დადგენილია.



სქემა 6. გვერდითი ნეფის ვერტიკალური
გაბარიტების და სახურავის დახრის
ძუთხის განსაზღვრა

3.7. განაშენიანების ფართობი (S)

იმის შემდგომ, რაც დავადგინეთ
ტაძრის განივი $\alpha = \text{constant}$ ზომა და
გავიგეთ ტაძრის გრძივი (L) სიდე, შე-
საძლებელია მარტივად განისაზღვროს
ტაძრის ძირითადი გუმბათქვედა მოცუ-
ლობის განაშენიანების ფართობი (S),
ცნობილ სიდიდეთა უბრალო გადამრა-
ვლებით. თუმცა შემოთავაზებული მე-
თოდის ფარგლებში არსებობს სხვა
გზაც. განაშენიანების ფართობის გან-
საზღვრა შესაძლებელია იმ შემთხვე-
ვაშიც კი როდესაც ცნობილია მომა-

ვალი ტაძრის მხოლოდ განივი ანუ
პირველადი ა ზომა.

$$S = \alpha x L = \alpha \alpha / 5 \times \tan 30^\circ = \alpha^2 \sqrt{5} x \tan 30^\circ$$

$$S = \alpha^2 \sqrt{5} x \tan 30^\circ \quad (5)$$

სადაც: S - განაშენიანების ფართობია;
 α - ტაძრის განივი გვერდი; L - ტაძრის
გრძივი გვერდი.

ამგვარად, ფორმულა (5) საშუა-
ლებას გვაძლევს, ტაძრის მხოლოდ
ერთი, განივი გვერდის ზომის α -ს
ცოდნის პირობებში, განვსაზღვროთ
მომავალი ტაძრის, ძირითადი მოცულო-
ბის, განაშენიანების ფართობი (S). ეს
ფორმულა განსაკუთრებით აქტუალუ-
რია ურბანული განაშენიანების პირო-
ბების შემთხვევაში, როდესაც მიწის
ნაკვეთის ფართობი, უმეტეს შემთხვე-
ვაში შეზღუდულია.

თუ ტაძრის განაშენიანებისათვის
მიწის ნაკვეთის ფართობის განმსაზღვ-
რებ ფორმულა (5)-ში დასაპროექტ-
დელი ტაძრის განივი ზომის მეტრულ
მნიშვნელობას შევიტანოთ, მაგალითად
 $\alpha=11.40$ მ-ს, მივიღებთ:

$$S = \alpha^2 \sqrt{5} \tan 30^\circ = 11.4^2 \times 2.2360 \times 0.5774 =$$

$$129.96 \times 2.2360 \times 0.5774 =$$

$$167.786989 \dots \approx 167.80 \text{ მ}^2$$

მეტი დამაჯერებლობისათვის გა-
დავამოწმოთ ფორმულა (5)-ის დახმარე-
ბით მიღებული სიდიდე $S=167.80 \text{ მ}^2$ -ს
და გამოვიანგარიშოთ ტაძრის განაშე-
ნიანების ფართობი მეტრულ სისტემი
ჩვენთვის უკვე ცნობილი (ტაძრის გაგ-
მის განივი $\alpha=11.40$ მ და გრძივი $L=14.72$
მ. სიდიდეების უბრალო გადამრავლე-
ბით.

$$S = \alpha x L = 11.40 \times 14.72 = 167.80 \text{ მ}^2.$$

მიღებული შედეგი დაემთხვა ფორ-
მულა (5)-ის გამოყენებით მიღებულ
შედეგს, რაც ადასტურებს ტაძრის გარე
პერიმეტრის (განაშენიანების) ფართო-
ბის გამოთვლის მეთოდის სისწორეს.




დასკვნა



წინამდებარე ნაშრომში განხილულია, ცენტრალურ ჯვარგუმბათოვანი ტაძრის არქიტექტურულ-კომპოზიციური აგების ალგორითმი. დაპროექტების შემოთავაზებული მეთოდოლოგია ეყრდნობა ქრისტიანული კანონიკური დოგმატიკის ფარგლებში, ქართული მართლმადიდებლური ტაძრის ტრადიციულ ფორმათა პროპორციონირების მრავალსაუკუნეობრივ გამოცდილებას, საკრალური გეომეტრიის და მათემატიკის ზოგადსაკაცობრიო კანონებს.

ტრადიციული მართლმადიდებლური ტაძრალურ კუროვების მართვის მიზანი
(პრიუტი შედგენილია წარმოდგენილი კანცელის მიხედვით)



სქემა7. ქართული, მართლმადიდებლური ცენტრალურ-ჯვარგუმბათოვანი ტაძრი. (პროექტი შედგენილია წარმოდგენილი მეთოდის მიხედვით)

ტაძრის განივი ზომა (a), შემოთავაზებული მეთოდის თანახმად, შერჩევითია, და აღინიშნება ა ასონიშნით. იგი

უცვლელია, ანუ წარმოადგენს კონსტანტინიული და ყველა სხვა ზომები მისგან იწარმოება და მასზეა დამოკიდებული. ა-ს გაზრდის ან შემცირების შემთხვევაში იცვლება ტაძრის გაბარიტები, მაგრამ მისი პროპორციები, უცვლელი რჩება და ტაძრის არქიტექტურა ინარჩუნებს თავდაპირველ სტრუქტურულ და კომპოზიციურ მთლიანობას.

■ ტაძრის გუმბათქვედა მოცულობის სიმაღლე (h_1) გამოთვლება ფორმულით: $h_1 = \frac{1}{2}a \sqrt{5}(1)$. თუ მოცემულ ფორმულაში ჩავსვათ ა-ს რიცხვით მნიშვნელობას მეტრებში მივიღებთ:

$$h_1 = \frac{1}{2} \times 11.40 \times \sqrt{5} = 5.70 \times 2.2360 = 12.7452 \approx 12.75 \text{ მ.}$$

■ გრძივი (L) ზომის დადგენა შესაძლებელია 2ან2' ფორმულებით.

$L = a\sqrt{5} \times \tan 30^\circ (2); L = H : \sqrt{3} = a\sqrt{5} : \sqrt{3}(2')$ ფორმულა 2-ში ჩავსვათ ა-სრიცხვით მნიშვნელობას მეტრებში, მივიღებთ:

$$L = 11.40 \times 2.2360 \times 0.5774 = 14.7181 \approx 14.72 \text{ მ.}$$

ან თუ გამოვიყენებთ ფორმულა 2-ს და ჩავსვათ ა-ს რიცხვით მნიშვნელობას მეტრებში მივიღებთ:

$$L = 25.50 : 1.7320 = 14.7228 \approx 14.72 \text{ მ.}$$

შედეგი ორივე შემთხვევაში იდენტურია.

ტაძრის სრული სიმაღლე (H) გამოიანგარიშება ფორმულებით: $H = a\sqrt{5}(3)$; ან $H = L\sqrt{3}(2')\text{მეტრულ სისტემაში}$ მივიღებთ:

$$H = 11.40 \times 2.2360 = 25.491 \approx 25.50 \text{ მ.}$$

■ განაშენიანების ფართობის (S) გამოსათვლელად შემუშავებულია ფორმულა (4) მეტრულ სისტემაში:

$$S = a \times L = a \times a\sqrt{5} \times \tan 30^\circ = a^2 \sqrt{5} \times \tan 30^\circ \quad (4).$$

$$S = (11.40)^2 \times 2.2360 \times 0.5774 = 129.96 \times 2.2360 \times 0.5774 = 167.7869 \text{ მ}^2 \approx 167.79 \text{ მ}^2.$$



შენიშვნა: ფორმულა (4) საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ ტაძრის ძირითადი მოცულობის განაშენიანების ფართობი. შესასვლელის, კიბის, პანდუსის ფართობები ფორმულაში არ აისახება. მათი განაშენიანების ფართობი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გამოითვლება ინდივიდუალურად.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. წიგნი V. თბილისი, 1990, 504 გვ.
2. ივ. ჯავახიშვილი. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, ტ.I, თბ. 1946წ.
3. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. გამომცემლობა «ხელოვნება», 1974 წ.
4. იო. ციციშვილი. ქართული არქიტექტურის საწყისები.
5. პ. ზაქარაია. ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა(XI-XII სს.), გამომცემლობა«ხელოვნება», თბილისი, 1975 წ.
6. П. Закарая. Памятники восточной Грузии. Издательство «Искусство», Москва, 1983 г.
7. პ.მოსულიშვილი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების სტრუქტურა
8. გამოცემული: «არქიტექტორთა კლუბი», თბილისი, 2012 წ.
9. გ. ყიფიანი,,მოწესრიგებული ქაოსი“ ქართულ არქიტექტურაში.
<http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library>.
10. Кеслер М.Ю. Православные храмы. 1-3 том. изд. Архитектурно-художественный центр Московской Патриархии. 2003 г.
11. Православные храмы, Том 2. Православные храмы и комплексы. Пособие по проектированию и строительству. (кСП 31-103-99). МДС 31-9.2003, Москва 2003 г.
<http://www.gosthelp.ru/text/MDS3192003Pravoslavnyexra.html>
12. მაია კაჭარავა. XIIსაუკუნის ქართული ჯვარ-გუმბათოვანი ძეგლების პროპორციები. გამომცემლობა „კლიო“, თბილისი, 2014 წ. ISBN 978-9941-441-31-8.
13. Неаполитанский С.М., Матвеев С.А. Сакральная геометрия, Издательство института метафизики, 632 с, илл. 2004 г.



**მორგვეობისა და ათეისტების
ღირებულებათა პგლება
საქართველოში**

**ხატია წიქლაური, ფსიქოლოგიის
დოქტორი**

ადამიანის ღირებულებების შესწავლა სოციალური ფსიქოლოგიის და პიროვნების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. პიროვნების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებას განსაზღვრავს პოლიტიკური და სოციალური გარემო, კულტურა, ოჯახი, პიროვნული მახასიათებლები, რელიგია. ღირებულებათა იერარქია მეტ-ნაკლებად სტაბილურია, თუმცა, იგი შეიძლება შეიცვალოს რადიკალური პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების პერიოდში, რასაც თან სდევს ძველი ღირებულებების გადაფასება და ახალი ღირებულებათა სისტემის შექმნა.

საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მიმდინარეობდა ღირებულებათა შორის ბრძოლა, რაც გამოწვეული იყო არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებების ცვლილებებით. ეს განსაკუთრებით ეხება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდს.

ამდენად, მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორ შეიცვალა ჩვენი საზოგადოება ბოლო 20-25 წლის მანძილზე, რა ცვლილებები მოხდა მის ღირებულებათა სისტემაში, რა ღირებულებებია ღომინანტური, რა ტენდენციებია საზოგადოებაში რელიგიურობის თვალსაზრისით, რამდენადაა რელიგიურობა მნიშვნელოვანი ადამიანებისათვის, განსხვავდება თუ არა ერთმანეთისგან სხვადასხვა აღმსარებლებისა და საზოგადოების არამორწმუნება ნაწილის ღირებულებათა სისტემები, და, თუ განსხვავდება, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავება, ხომ არ შეუქმნის ეს პრობლემას სხვადასხვა აღმსარებლების ადამიანთა თანაცხოვრებას საქართველოში. საქართველო ოდიოგან ტოლერანტული ქვეყანა

იყო. აქ მართლმადიდებლებთან ერთად საუკუნეების მანძილზე მშვიდობიანად ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიების მიმდევარი ადამიანები. თუმცა, ბოლო ათწლეულში ამ კუთხით აღინიშნა ძალაშობის ფაქტები, რაც, შესაძლოა, მიუთითებდეს რელიგიური რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის წარმოქმნის საშიშროებაზე. ამდენად, ეს კვლევა გარევეულ წარმოდგენას გვიჩნის აღნიშნული პრობლემის შესახებ – სხვადასხვა აღმსარებლობების მიმდევართა ღირებულებათა სისტემები იმდენად არის თუ არა განსხვავებული, რომ ეს დაპირისპირება რელიგიური მიზეზითაა გამოწვეული, თუ ეს კონფლიქტები თავსხმოსხვეულია პოლტიკური და სოციალური გავლენის შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ქვეყანაა, დღემდე არ ჩატარებულა კალევა, რომელიც შეისწავლიდა რელიგიური ფაქტორის გავლენას ჩვენი საზოგადოების ღირებულებათა სისტემებზე და გამოიკვლევდა მორწმუნებისა და ათეისტების პრიორიტეტულ ფასეულობებს.

2013-2015 წლებში ჩვენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შვარცის ღირებულებათა საკვლევი კითხვარის გამოყენებით ჩავატარეთ ჩვენთან გავრცელებული 5 ტრადიციული რელიგიის (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, მონოფიზიტობა, ისლამი, იუდაიზმი) აღმსარებლებისა და ათეისტების ღირებულებათა სისტემების კვლევა. საკვლევ კატეგორიებად არჩეულ იქნა ტრადიციული რელიგიების აღმსარებლები, რადგან საზოგადოების ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებას საკმაო დრო ესაჭიროება, ტრადიციული რელიგიები საქართველოში უკვე საუკუნეების მანძილზეა გავრცელებული და, ჩვენი აზრით, უფრო მეტად ახდენს გავლენას საქართველოში მცხოვრებ მორწმუნეთა ღირებულებათა სისტემების ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ბოლო პერიოდში შემო-



სული და გავრცელებული რელიგიური მიმდინარეობები.

გარდა ამისა, სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით გავაკეთეთ პროგნოზირება, თოთოვეული რელიგიური ჯგუფის რაოდენობრივი მატება ან კლება როგორ შეცვლის სახოგადოებას, რა მსოფლმხედველობრივი ცვლილებები მოხდება ადამიანების ღირებულებათა სისტემაში.

კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ეროვნების 8 დონის (ქართველი, რუსი, ბერძენი, იტალიელი, სომები, აზერბაიჯანელი, ფრანგი, ებრაელი), ორივე სქესის, ორი ასაკობრივი დონის (30 წლამდე და 30 წლის ზემოთ), განათლების ორი დონის (უმაღლესი, საშუალო), დასაქმების ორი დონისა (დასაქმებული, უმუშევარი) და მატერიალური მდგომარეობის სამი დონის (კარგი, საშუალო და მინიმალური) რესპონდენტებმა. შედეგების დამუშავებისას აღმოჩნდა, რომ ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე ყველაზე მეტ გავლენას ახდენს რელიგია, შედარებით ნაკლებ გავლენას - ეროვნება, ასაკი, სქესი, განათლება, დასაქმება და მატერიალური მდგომარეობა. კვლევის შედეგად ასევე აღმოჩნდა, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც მორწმუნებისა და ათეისტების, ასევე სხვადასხვა რელიგიების აღმსარებელთა ღირებულებები.

პირველ რიგში, შევადარეთ საშუალოთა განაწილება ტერმინალური და ინსტრუმენტული ღირებულებების მიხედვით როგორც ყველა ჯგუფის რესპონდენტებისთვის, ასევე ცალ-ცალკე მორწმუნეთა და ათეისტთათვის და მორწმუნეთა ხუთივე ჯგუფისათვის. რის შედეგადაც დადგინდა, რომ მორწმუნეთათვის დამახასიათებელია კოლექტივისტური („კეთილგანწყობა“, „კონფორმულობა“, „უსაფრთხოება“), ხოლო ათეისტებისთვის - ინდივიდუალისტური ღირებულებები („მიღწევა“, „დამოუკიდებლობა“, „სტიმულირება“).

მორწმუნებული მაღალი მნიშვნელობები მიიღო ღირებულებებმა: „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „ოჯახის უსაფრთხოება“, „ნამდვილი მეგობრობა“, „მშობლებისა და უფროსების პატივისცემელი“, „ერთგული“, „პატიოსანი“. ხოლო ნაკლებმნიშვნელოვანი აღმოჩნდა: „სოციალური ძალა“, „ავტორიტეტი“, „სიმდიდრე“, „განებივრებული“, „ტკბება ცხოვრებით“, „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“. მორწმუნეთათვის ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „სულიერი ცხოვრება“. ათეისტებთან ყველაზე მაღალი მნიშვნელობა მიიღო შემდეგმა ღირებულებებმა: „თავისუფლება“, „თანასწორობა“, „შინაგანი პარმონია“, „მიზანდასახული“, „დამოუკიდებელი“, „ჯანმრთელი“. ხოლო დაბალი შეფასების აღმოჩნდა ღირებულებები: „სულიერი ცხოვრება“, „სოციალური კუთვნილება“, „თვითდისციპლინა“, „დვითისმოსავი“, „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“, „განებივრებული“.

როგორც ჩანს, მორწმუნეთა ღირებულებების სისტემა ორიენტირებულია ახლობლებზე, ოჯახზე, სხვების პატივისცემაზე, საყოველთაო მშვიდობაზე, ხოლო ათეისტებისთვის უმთავრესია თავისუფლება, თანასწორობა და შინაგანი პარმონია, ნაკლებ მნიშვნელოვანი - სხვების აზრის გათვალისწინება და ტრადიციულობა. მორწმუნეთათვის მნიშვნელოვანია სულიერი ცხოვრება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ათეისტებისთვის.

რაც შეეხება სხვადასხვა აღმსარებლებების ადამიანებს, ღირებულებათა გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვანია 5-ვე რელიგიური ჯგუფისათვის. ესენია: „ნამდვილი მეგობრობა“, „ოჯახის უსაფრთხოება“, „მშვიდობა მთელ მსოფლიოში“, „სულიერი ცხოვრება“, „ტრადიციების პატივისცემა“, „ზრდილობა“, „სოციალური სამართლიანობა“, „ეროვნული უშიშროება“, „მშობლებისა და უფროსების პატივისცემელი“, „პატიოსანი“, „ერთგული“, „პა-



სუხისმგებელი“, „ღვთისმოსაგი“. ხოლო ნაკლებმნიშვნელოვანი ღირებულებები 5-ე რელიგიური ჯგუფისათვის არის: „სოციალური ძალა“, „სიამოვნება“, „ავტორიტეტი“, „განებივრებული“, „ტაბება ცხოვრებით“, „ცხოვრებისეული ვითარების მორჩილი“, „გავლენიანი“, „მამაცი“. თუმცა, ადსანიშნავია, რომ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების აღმსარებლების ღირებულებათა სისტემებს შორის არსებული მცირე სხვაობები იძლევა საკმარის რეზულტატს რელიგიურ ჯგუფებს შორის განსხვავებების დასადგენად.

ანალიზმა გვაჩვენა, რომ მორწმუნებსა და ათეიისტებს, ასევე სარწმუნოების ყველა ჯგუფს შორის უნივერსალიზმის გარდა, ყველა ღირებულებას აქვს სანდობის მაღალი მაჩვენებელი, ე. ი. სარწმუნოების მიხედვით ღირებულებებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, რაც იმას ნიშნავს, რომ რელიგიურობა ან არარელიგიურობა, ასევე სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლობა გავლენას ახდენს უნივერსალიზმის გარდა დანარჩენი სხვა ღირებულებების ჩამოყალიბებაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მორწმუნებისა და ათეიისტების, ასევე სხვადასხვა რელიგიების აღმსარებლებთა ღირებულებების სისტემები განსხვავდება ერთმანეთისაგან.

სხვადასხვა სარწმუნოებრივ ჯგუფებში ჩატარებული ანალიზით აღმოჩნდა, რომ მართლმადიდებლობის მატება ზრდის კოლექტივისტურ და ამცირებს ინდივიდუალისტურ ღირებულებებს, ამცირებს ასევე უსაფრთხოების მოთხოვნის უნივერსალიზმის განვითარებას. რაც ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ რელიგიურობა ადამიანს მატებს დაცულობის შეგრძებას და მას უსაფრთხოების მოთხოვნილება ნაკლებად აქვს. გამონაკლისია სტიმულირება, რომელიც მატულობს. კათოლიკებში რელიგიურობის მომატება ასევე ამცირებს ინდივიდუალისტურ ღირებულებებსა და უსაფრთხოებას. მონოფიზიტებში რელიგიურობის მომა-

ტება ამცირებს მიღწევასა და ძალაუფლებას, ხოლო პედონიზმს ზრდის. მაპ-მადიანებში რელიგიურობის მომატება ამცირებს სტიმულირებასა და პედონიზმს, ზრდის უსაფრთხოებას. ხოლო იუდეველებში რელიგიურობის მომატება იწვევს ტრადიციულობისა და მიღწევის მომატებას და უნივერსალიზმისა და დამოუკიდებლობის დაქვეითებას. ათეიისტებთან განსხვავებული სურათია: მათთან არარელიგიურობის მომატება ზრდის უნივერსალიზმს, დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას, იმატებს ასევე უსაფრთხოება, ხოლო კოლექტივისტური ღირებულებების მნიშვნელობა მცირდება.

როგორც ვხედავთ, მორწმუნებისა და ათეიისტების, ასევე სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების ღირებულებები რეგრესიული ანალიზითაც განსხვავდება ერთმანეთისგან. თუმცა განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია მორწმუნებისა და ათეიისტების ღირებულებათა სისტემებს შორის. როგორც ჩანს, აღნიშნული რელიგიები დაახლოებით მსგავს ღირებულებებს ამკვიდრებენ და საქართველოში მორწმუნები ცხოვრების წესით მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ყველა მათგანის ცხოვრებისეული ფასეულობები მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია, ამიღომ ისინი ერთმანეთს არ დაუპირისპირდებიან, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ რელიგიები თავიანთი არსით ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

კვლევის პროცესში შვარცის ღირებულებების ნუსხის გარდა კითხვარში შეტანილი გაქონდა ორი დამატებითი კითხვა. პირველი ეხებოდა ბედნიერების განცდას, მეორე კი - ტოლერანტულობას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში. ბედნიერების განცდა რთული ფენომენია. იგი წარმოადგენს სუბიექტური შეფასების პარამეტრს, რომელიც არ დაიყვანება ერთ რომელიმე მახასიათებელზე. ჩვენს კითხვარშიც არ იყო დაკონკრეტებული,



რა იგულისხმებოდა ბედნიერებაში, რესპონდენტი საკუთარი შეხედულებისამებრ სცემდა მას პასუხს. ჩვენ ამ კითხვაზე პასუხი გვაინტერესებდა იმდენად, თუ როგორ კავშირშია ბედნიერება რელიგიურობასთან ან არა-რელიგიურობასთან, არის თუ არა რელიგია ბედნიერების განცდის მომტანი.

როგორც აღმოჩნდა, ხუთივე რელიგიის წარმომადგენლებში ერთნაირად მაღალია ბედნიერების განცდა (88%-92%), ვიდრე ათეიისტებში (80,0%), რომლებშიც, გარდა ამისა, საკმაოდ მაღალია დადებითი პასუხი ვარიანტზე „უბედური“ რელიგიურ რესპონდენტთან შედარებით, რომლებთანაც აღნიშნული პასუხი არის 0% ან 1,0%. რამდენად შესაძლებელია ბედნიერების განცდა იმ სინელეგბის პირობებში, რომელიც ჩვენი ცხოვრების მუდმივი თანმდევია და მიუხედავად პრობლემების არსებობისა, ადამიანი მაინც ბედნიერად გრძნობს თავს? მორწმუნე სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს და ათეიისტი - სხვაგვარად. მორწმუნეს აქვს იმპერიური ცხოვრების იმედი, რომ ამპერიური განცდილ ტანჯვას იმქვენიური სიხარული შეცვლის, ათეიისტი კი რეალურად აფასებს მოვლენებს და უფრო მძაფრად განიცდის არსებულ პრობლემებს. ფრონდი ბედნიერების ასეთ განცდას „ილუზიას“ უწოდებდა, თუმცა ასეთი ილუზია, რომელიც ბედნიერების მონიჭებელია, ფსიქოლოგიურად ეხმარება და ოპტიმიზმს მატებს ადამიანს.

კითხვარში შეტანილი მეორე დამატებითი კითხვა ეხებოდა ტოლერანტულობას ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში. ეს ჯგუფებია: სხვა რასის წარმომადგენელი, შიდსით დაავადებული, უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელი, სხვა რელიგიის ასეთი განცდას „ილუზიას“ უწოდებდა, რომელიც ბედნიერების მონიჭებელია, ფსიქოლოგიურად ეხმარება და ოპტიმიზმს მატებს ადამიანს.

აღნიშნული კითხვა შევიტანეთ იმის გასარკვევად, ხომ არ არის რწმენაში ან ათეიიშმი ისეთი ფასეულობა, რომელიც აჩენს დაპირისპირებას საზოგადოებაში რაიმე ნიშნით განსხვავებულობის გამო.

როგორც კვლევის შედეგად აღმოჩნდა, 5-ვე რელიგიის აღმსარებლებისა და ათეიისტების დამოკიდებულება ერთიდაიგივე კატეგორიის ადამიანთა მიმართ მსგავსია. ყველაზე ტოლერანტული დამოკიდებულება გამომჟღავნდა ჩვენთან ტრადიციულად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ. ასევე საკმაოდ შემწყნარებლურია დამოკიდებულება სხვარასის წარმომადგენელთა და სხვა რელიგიის ან კონფესიის მიმდევართა მიმართ. რესპონდენტთა დაახლოებით 15% უარყოფითად არის განწყობილი ქორწინების გარეშე ერთად მცხოვრები წევილის მიმართ, მაგრამ მეტ ნაწილს მაინც ნეიტრალური დამოკიდებულება აქვთ ადამიანთა ამ ჯგუფისადმი. უცხოეთიდან ჩამოსული მუშახელის მიმართ უფრო მეტად უარყოფითად არიან განწყობილი მართლმადიდებლები, მაჰმადიანები, ქართველები, აზერბაიჯანელები, უფროსი ასაკის ადამიანები და მინიმალური მატერიალური მდგომარეობის მქონენი. შედარებით მეტი უარყოფითი დამოკიდებულება გამოიკვეთა შიდსით დაავადებულთა მიმართ, და ყველაზე მეტი უარყოფითი განწყობა დაფიქსირდა ლოთის (საშუალოდ 70-80%), ნარკომანისა (საშუალოდ 80-85%) და პომოსექსუალის (საშუალოდ 60-70%) მიმართ, რაც აიხსნება ზოგადი ეთნოკულტურული დირებულებით. ასეთი შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეული კატეგორიის ადამიანებთან მიმართებაში საზოგადოების არსებობს კონფლიქტები, რომელიც საჭიროებს პრევენციასა და საზოგადოების მეტად ინფორმირებულობას.



REZUME

The aim of this research is the study of values religious believer and atheist residents – weather the value systems differ between atheists and representatives of various religious groups and if so, how significant the differences are and weather these differences will lead to difficulties with religious diversity in Georgia. We surveyed members of 5 traditional religious organizations situated in Georgia (Orthodox Christians, Catholics, Oriental Orthodox Christians, Muslims and Jews) as well atheists to study the peculiarities of their value systems.

According to terminal and instrumental values religious people favor collectivist values, while atheists – individualist values. The value systems of religious people are oriented towards their family, friends and respect for others, common good. Atheists' values on the other hand are centered more on the self: freedom, equality, inner harmony. Religious people also greatly emphasize spiritual life, what appears to be unacceptable for atheists. The difference among religious groups was observed via dispersion analysis, which showed, that there is a difference between religious groups in values and this difference is statistically significant. The analysis showed, that the differences are the most trustworthy when conducted by religiosity, which means, that religious views play a major role in formation of person's value system.

As for the question of perception of happiness, the perception of happiness among all 5 religious groups are high in comparison to atheists (80%), among whom the answer „unhappy“ is higher (7%) than religious individuals, by whom the answer is either 0 or 1 percent.

As the research showed, the view of the same group as the respondent is similar among all 5 religious groups as well as atheists. The highest tolerance was exhibited towards ethnic minorities living in Georgia, while the least tolerant – towards people with alcohol or drug problems and homosexuals.

იაშვილები - ქართული ეპლაზის სამსახურში

ნუგათ (ზაზა) იაშვილი

იაშვილი ერთ-ერთი უძველესი გვარია საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოს“-ში ამ გვარს მოიხსენიებს როგორც ერთ-ერთ წარჩინებულ თავადურ გვარს რაჭაში: „...ხოლო რაჭას წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე...“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტომი IV, თბილისი, 1973 წ.).

იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის დროს იაშვილთა გვარის წარმომადგენლებს საეკლესიო სფეროში დიდი წარმატებისთვის მიუღწევიათ: ერთ-ერთ იაშვილს ცაგერის ეპისკოპოსის ხარისხი დაუმსახურებია, შემდეგში კი მაქსიმე იაშვილი ჯერ ბედის მიტროპოლიტი, ხოლო 1763-1769 წლებში ხონის მთავარი ეპისკოპოსი გამხდარა.

ჩვენ შევეხებით იაშვილების მხოლოდ სამ სასულიერო პირს, რომელთა შესახებაც ცნობები არქივებში მოვიძიოთ. ასევე გამოყენებული იქნა წლის წინ საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა ჟურნალში გამოქვეყნებული წერილები.

არქიმანდრიტი გერმანე – ერისკაცობაში გრიგოლ იაშვილი 1861 წელს, აზნაურის ოჯახში დაიბადა. წერა-კოთხება, საღმრთო წერილი, გალობა და საეკლესიო ტიბიკონი თბილისის ფერისცვალების სახელობის მონასტერში ისწავლა. 1885 წლის ამავე მონასტერში მორჩილად მიიღეს. შვიდი წლის შემდეგ ფერისცვალების მონასტერში ბერად აღიკვეცა და სახელად გერმანე უწოდეს. იგი მაღლ დიაკვნად აკურთხეს, ხოლო 1897 წლის ოქტომბერში მღვდლის ხარისხი მიიღო. ოთხი წლის შემდეგ მარტყოფის წმინდა ანტონის სახელობის მონასტრის მმართველად გადაიყვანეს. 1904 წელს სამკერდეო ქროს ჯვარი უბოძეს. 1912 წლის



ნოემბრში წმინდა სინოდის ბრძანების საფუძველზე, ქვათახევის ყოვლადწმინდა ღვთისმრბლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამდგრად დაინიშნა და არქიმანდრიტის წოდება მიენიჭა. როგორც ერთ-ერთი მონასტრის წინამდგარი, 1917 წელს მიწვევლი იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პირველ საეკლესიო კრებაზე დელეგატად. 1918 წელს არქიმანდრიტი გერმანე კვლავ მარტყოფის მონასტრში წინამდგრად გადაიჭანეს.

საქართველოში საბჭოთა რევიმის დამყარების შემდეგ დაიწყეს ტაძრებისა და მონასტრების დახურვა, სიწმინდეების შეურაცხყოფა, სასულიერო პირთა განუკითხავი დევნა-შევიწროება და მათი ლიკვიდაციაც კი. გამონაკლისი ცხადია, რომ არც მარტყოფის მონასტერი იქნებოდა. მართლაც, 1923 წლის აპრილში მარტყოფის აღმასრულებელმა კომიტეტმა აღწერა მონასტერი. მეტად ძელი იყო ბერებისათვის მონასტრის დატოვება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს. 1934 წელს, კომუნისტებმა მეორეჯერ დაარბიეს მარტყოფის მონასტერი და მამა გერმანეც სამმოს სხვა წევრებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა იქაურობა. იგი ქირით დასახლდა სოფლის ზემო უბანში. ყაჩაღებად მიგზავნილ ჩეკისტებს დაურბევიათ მისი ოჯახი, თავად მამა გერმანე კი სასტიკად უწამებიათ და მოხუცი ბერისათვის ცალ-მხარეს წვერი ჩამოჟპარსავთ. მოუხედავად ასეთი დამცირებისა და შეურაცხყოფისა ბერს ერთი სამდურავიც არ დასცდებია, რაც მის სიწმინდეს მოწმობს. მასში იმდენად დიდი იყო ღმერთისა და ხალხის სიყვარული, რომ ბერმა ყოველგვარი შევიწროების მიუხედავად არ დატოვა თავისი ადგილსამყოფელი, ერთი წამითაც არ შერყევია რწმენა და აღასრულებდა ღმრთისმსახურებას: ნათლავდა, მიცვა-

ლებულებს წესს უგებდა და შეძლების-დაგვარად წირვა-ღოცვასაც აღასრულებდა.

მამა გერმანე თავდადებულმა მსახურებამ უფლის წინაშე, მისმა სიწმინდეები, მრევლში დიდი ხნის მანძილზე შემოინახა თბილი და ტკბილი მოგონება. ერისა და ეპლესიისათვის თავდადებულმა მოღვაწე, არქიმანდრიტი გერმანე 1947 წელს გარდაიცვალა.

ქუთაისის გუბერნიის რაჭის მაზრის ულამაზეს პატარა სოფელ სომიწოში ცხოვრობდა მღვდელი ბასილი (ერისკაცობაში ვასილი იაშვილი). იგი თავის ოჯახში წარმომავლობით მეშვიდე თაობის მღვდელი იყო. ამ ოჯახის წევრთა უმრავლესობას განათლება ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული. ვასილი ბავშვობიდანვე დათისმოსაობით გამოირჩეოდა. მან სასულიერო სემინარია დაამთავრა და თავის მშობლიურ სოფელში დაიწყო მოღვაწეობა. სომიწოს გარდა მამა ბასილი დათისმსახურებას აღასრულებდა ახლო მდებარე სოფლების - ჟაშქის და პიპილეთის კლეისებში.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული რეპრესიების მიუხედავად მოღვარი მამა ბასილი ხელისუფალთა მუქარასა არ შეუშინდა და ძველებურად აგრძელებდა დათისმსახურებას. მამა ბასილს პიროვნული თვისებების გამო - უსაზღვრო კაცომოვარება, მიმდევებლობა, შემწყნარებლობა, განათლება - მრევლის მხრიდან უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რასაც იმჟამინდელი კომუნისტურ-კომკავშირებიც კი ვერ უვლიდნენ გვერდს. მათ მისთვის ცნობილი ბრალდების - „ხალხის მტრის“ მორგებაც კი ვერ შეძლეს. თუმცა ყოვლისშემძლე რეეიმმა ბასილი იაშვილის საქმიანობაში მაინც შეამჩნია „საერთო-სახალხო ინტერესებიდან“ გადახვევის ფაქტი და სასჯელმაც არ



დააყოვნა. მდგდელი ბასილი იაშვილი მალე დააპატიმრეს და დახვრიტეს. განაჩენის აღსრულებისას მისი ოჯახი-დან უამრავი ოჯახური რელიგია და საეკლესიო ინვენტარი – საღვთოსმსახურო წიგნები, ხატები, ჯვრები, შანდლები და სხვა დაუყოვნებლივ გაზიდეს. რეპრესირებული მდგდლის ოჯახის წევრები იძულებული გახდნენ, გაცლოდნენ მშობლიურ სოფელს და თბილისს შეხიზვნოდნენ. სომიწმი, პიკილეთსა და ქაშქაში დიდხანს ახსოვდათ მამა ბასილის დვაწლი.

დავით ილარიონის ძე იაშვილი კახეთში, 1872 წელს სოფ. საქობაოში, მდგდლის ოჯახში დაიბადა. მან ჯერ თელავის, ხოლო შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარია დაამთავრა. 1896-98 წლებში სოფელ ჯუგანის საეკლესიო-სამრევლო სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. 1898 წელს თბილისის სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში გორის ეპისკოპოსმა დეკონიდებ იგი დაიკვნად აკურთხა, ერთი კვირის შემდეგ კი მდგდლად დაასხეს ხელი და მშობლიური საქობაოს წმინდა სტეფანე პირველდიაკონის სახელობის ეკლესიის წინამდღვრად დაინიშნა.

მდგდლად კურთხევის შემდეგ დავითი განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იყო სიღნაღის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი და ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს თავმჯდომარე. 1912 წელს თბილისში, ავლაბრის წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიის წინამდღვრად გადაიყვანეს. მალე მას დეკანზის წოდება მიენიჭა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ დავით იაშვილი იძულებული გახადეს დაეტოვებინა საეკლესიო მდგდელმსახურება და მუშაობა საავადმყოფოში დაიწყო. თბილისის პირველ საავადმყოფოში მამა დავითმა 1934 წლამდე იმუშავა. 1934-48

წლებში იგი თვალის დისპანსერში საქმის მწარმოებლად და ბუღალტრად მუშაობდა. 1949 წლის 30 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატებ პვლავ ადადგინა მდგდლის ხარისხში და თბილისის წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიის წინამდღვრად დაინიშნა. 1952 წლის ივნისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ III ბერად ალპერცა და სახელად დიმიტრი უწოდა. მეორე დღეს ნინოწმიდელ ეპისკოპოსად და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად დაინიშნა. 1953 წლიდან მასვე დაევალა ბოდის ეპარქიის მართვა-გამგეობა. 1957-58 წლებში ალავერდის ეპარქიასაც განაგებდა. 1958 წელს ეკლესიაში ერთგული და დამსახურებული მოღვაწეობისთვის მიტროპოლიტის წოდება მიენიჭა. მიტროპოლიტი დიმიტრი 1961 წლის 22 ივნისს გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად იგი თბილისის წმინდა მოციქულთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში იქნა დაკრძალული.



რას გვამცხობენ ძველი პრინციპები შედებებები

**დავით გორგიძე,
გორგი კოკოშაშვილი,
გრიგოლ დავითაშვილი,
ზურაბ ჩახანიძე**

1877 წელს დაბა ყაზბეგში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს გ. ფილიმონოვის მიერ აღმოჩნდილ იქნა ბრინჯაოს, ვერცხლისა და რკინის ნაკეთობებისგან შემდგარი უმდიდრესი განძი, რომელიც სპეციალისტთა წრეში „ყაზბეგის განძის“ სახელითაა ცნობილი.

ლითონისა და კერამიკის ნივთების კოლექციაში დაფიქსირებულია ბრინჯაოს ჭურჭელი, 22 მშვილდ-საკინძი, ანუ ფიბულა, ირმის 12 ფიბულა, ბრინჯაოს ითიფალური ქანდაკები, კვერთხის ბუნიკები ზოომორფული გამოსახულებებით, რკინის მახვილები და მახვილის ტარები, ბრინჯაოს ქარის ბალთები, შუბისპირები და სხვა. აღნიშნული კომპლექსის დათარიღება მოხდა ვერცხლის ფიალისა და ცხვრის ფიგურის მიხედვით, რომლებიც აქემენიდური ხელოვნების ნიმუშების სტილშია შესრულებული. შესაბამისად ამ განძის ასაკი განისაზღვრა ძვ. წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეებით.

არტეფაქტებს შორის გამოირჩევა ბრინჯაოს მცირე ზომის ანთროპომორფული ქანდაკებები. აღნიშნულ ფიგურებს თავზე ადგათ სხვადასხვა ფორმის რქები, სახის მაგივრად ზოგიერთ მათგანს ცხოველის თავი აქვს, ხოლო ადამიანის სახე ძლიერ უტრიორებულია. შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყოველ მათგანს თავზე ნიდაბი აქვს ჩამოცმული, იმის მსგავსი, როგორსაც „ყენობის“ დროს იხურავდნენ „ბერიკები“. აღსანიშნავია, რომ ზოგადად ყველა ქანდაკება დინამიურ

პოზაშია გამოსახული. აშკარაა, რომ ეს მოძრავი ფიგურები რადაც რიტუალურ ქმედებას ასრულებენ. სწორედ ამის გამო შ. ამირანაშვილმა ისინი ეწ. „საქმისას“ ფერხულის მთავარი მოქმედი პირების გამოსახულებებად მიიჩნია.

სარიტუალო ფერხულის პერსონაჟებს შორის აღმოჩნდა ერთი ქანდაკება, რომელმაც მეცნიერების ყურადღება მიიქცა. იგი წარმოადგენს ორი, ერთმანეთისთვის მარცხენა ხელჩაკიდებული, კაცის ფიგურას. ფიგურები წელში წინ არიან გადახრილი და ისე დგანან ერთმანეთის პირისპირ დინამიურ პოზაში. სწორედ ამიტომ ეს ქანდაკებაც წლების განმავლობაში რელიგიურ-საკულტო ქმედების, ე.წ. „საქმისას“ ერთი შემადგენელი ნაწილის, კერძოდ კი რიტუალური ცეკვის – „ფერხისისას“ გამოსახულებად მიიჩნეოდა სამეცნიერო წრეებში.

ალტერნატიული აზრი გამოითქვა ქართული საბრძოლო ხელოვნების მკვლევრის – კახა ზარნაძის მიერ, რომელმაც აღნიშნული ქანდაკება რიტუალური ორთაბრძოლის გამოსახულებად მიიჩნია. მისი აზრით ფიგურების პოზიცია ერთმანეთის მიმართ და გამოსახულების დინამიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა, რომ ქანდაკება ასახავდა ჭიდაობის სცენას. თუმცა ამ თეორიის დამამტკიცებელი რაიმე სერიოზული არგუმენტი ბოლო დრომდე არ იყო ცნობილი. პრობლემას ნათელი მოვფინა 2015 წელს, როდესაც სტუს მკვლევართა ჯგუფმა გადაწყვიტა ქართული საბრძოლო ხელოვნების ცალკეულ დისციპლინათა მექანიკის შესწავლა. რათქმაუნდა, დღის წესრიგში დადგა ჩვენთვის საინტერესო ქანდაკების აღნიშნული კუთხით შესწავლის საკითხიც.

უნდა ითქვას, რომ საბრძოლო ხელოვნების და, კერძოდ ჭიდაობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყ



ვანა, რაც სხვადასხვა მანიპულაციით მიიღწევა.

ქართული ჭიდაობის ტექნიკური არსენალი დაყოფილია საერთო ნიშნით გაერთიანებული ილეთების რამდენიმე ჯგუფად, რომლებსაც პირობითად დარგებს უწოდებენ. ესენია: სარმები, კაურები, ცერულები, მოგვერდები, კისრულები და ნამგალები. ქართული ჭიდაობა ე.წ. ზეზელა ჭიდაობათა ჯგუფს განეკუთვნება, რაც მხოლოდ დგომში შერკინებას გულისხმობს და გამორიცხავს ქვეჭიდში ბრძოლას. შესაბამისად მისი ყოველი ილეთის მიზანია მოწინააღმდეგის წაქცევა ანუ გდების შესრულება. ქართული ჭიდაობის ყოველი ილეთი ისეა გათვლილი, რომ გდების განხორციელება ხდება (ილეთის სრულყოფილად შესრულების შემთხვევაში) ძალების მინიმალური დახარჯვითა და მოწინააღმდეგის ძალის გამოყენებით. ილეთის არსის ზუსტი გაგებისთვის საჭიროა იმ ზოგად პრინციპებში გარკვევა, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ შეგვაფასოთ ამათუ იმ ილეთის ოპტიმალურობის ხარისხი. თავისთვავად ნებისმიერი გდება არის მოძრაობა, რომელიც ემორჩილება მექანიკის კანონებს. სწორედ ამ კანონების გათვალისწინებით ჩვენ შეგვიძლია ყოველი ცალკეული ილეთი განვიხილოთ მოძრაობის ცალკეულ მოცემულ ფაზაში.

ვიდრე საქმის არსებით განხილვაზე გადავიდოდეთ გვინდა შევჩერდეთ ქართულ ენაზე გაედერებული რამდენიმე სპეციფიკური ტერმინის განმარტებაზე, რომელთა გამოყენება პირველად ამ ნაშრომში მოხდა.

როგორც ითქვა, ყოველი საჭიდაო ილეთის მიზანია მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოყვანა, ანუ სხეულის მდგრადობის დაძლევა, რც მიიღწევა ადამიანის სიმძიმის ცენტრზე ზემოქმედებით.

განასხვავებენ სტატიკურ და დინამიკურ მდგრადობას.

თუ სხეულზე არ მოქმედებენ დინამიკური ძალები (ცენტრიდანული და ინერციის ძალები) მისი მდგრადობა სტატიკურია.

შესაბამისად დინამიკური მდგრადობის დროს სხეულზე მოქმედებენ ცენტრიდანული და ინერციის ძალები და ასევე მათი გამარტინასწორებელი ძალები.

სხეულის მდგომარეობა სტატიკურად მდგრადია თუ ის გრავიტაციული ძალის ზემოქმედების მიუხედავად ინარჩუნებს წონასწორობას.

გარე ძალების არ არსებობის შემთხვევაში მდგრადობა განისაზღვრება სხეულის ზღვრული დახრის კუთხით, რომელსაც უწოდებენ სტატიკური მდგრადობის კუთხეს. ეს არის კუთხე სიმძიმის ძალის ვექტორსა და სხეულის მასის ცენტრიდან გადაყირავების ხაზამდე გავლებულ ხაზს შორის.

ადამიანის სხეულის როგორც მასის, ასევე სიმძიმის ცენტრი მდებარეობს ადამიანის ჭიპის ქვემოთ ოთხი თითის დადებაზე არსებული წერტილის გასწვრივ სხეულის სირქეში. ქართულად მას „დვინჭიპა“ ეწოდება.

სიმძიმის ძალის ფუძე ეწოდება წრფეს, რომელზედაც მდებარეობს სიმძიმის ძალა.

სხეულის მდგრადობას ასევე განსაზღვრავს ე.წ. ბაზური საყრდენი ფართი, რომელიც შემოსაზღვრულია, ერთი მხრივ, ადამიანის ტერფების გარეთა კონტურზე – ე.წ. „ხომზე“ – გამავალი წრფით, ხოლო მეორე მხრივ ქუსლებისა და ფეხის ცხვირების, ანუ ჭვინტების შემარტობებელი ხაზით.

ბაზური საყრდენი ფართი შემოსაზღვრელ წრფეებს ეწოდებათ გადაყირავების ხაზი.

თუ სიმძიმის ძალის ფუძის პროექცია ბაზური საყრდენი ფართის პერიმეტრზე ან მის შიგნითაა, მაშინ სხეული წონასწორობაშია.


სხეულის წონასწორობიდან გამოსაყანად საჭიროა სიმძიმის ძალის



ფუძის პროექცია გავიდეს ბაზური საყრდენი ფართის პერიმეტრის გარეთ, ანუ გადასცდეს გადაყირავების ხაზს. ამ შემთხვევაში სტატიკური მდგრადობის კუთხე გადააჭარბებს თავის ზღვრულ ნიშნულს.

მყარი სხეულის სტატიკური (ნელი) დახრის დროს ვარდნა ხდება აღნიშნული გადაყირავების ხაზის მიმართ.

საჭიდაო ილეთის შესრულება ბერკეტის პრინციპის გამოყენებაზეა აგებული. ბერკეტი კი, როგორც ცნობილია, არის მყარი სხეული რომელსაც შეუძლია ბრუნვა უძრავი საყრდენი წერტილის ირგვლივ ბრუნვის ღერძის მართობა სიბრტყეში მდებარედალების მოქმედებით.




სურ. 1. ბრინჯაოს ქანდაკება, მვ. წ.ა. VI ს.

ჩვენთვის საინტერესო ბრინჯაოს ქანდაკების (სურ. 1) ფიგურები წელში წინ არიან გადახრილი, და ისე დგანან ერთმანეთის პირისპირ დინამიურ პოზაში, თითქოს საჭიდაო ილეთის შესრულებას აპირებენ. თუ დაგაბირდებით ფოტოზე გამოსახულ მარჯვენა ფიგურას, შევნიშნავთ, რომ მას მარცხენა ხელი ბოლომდე აქვს გაშლილი და პრაქტიკულად საკუთარი სხეულის წინ, ე. წ. „დვინჭიპას“ გასწვრივ უჭირავს. წონასწორობა მარცხენა ფეხზე გადაუტანია და სხეულის მოქმედი სიმძიმით აწვება მოწინააღმდეგის ხელის მტევნებს. ამ უკანასნელის


მკლავი გაშლილი და დაჭიმულია, რაც მხოლოდ ხელის მტევნებზე მაჯის სახსრის ბუნებრივი ღუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით განხორციელებული დატვირთვის შედეგადაა შესაძლებელი. ამაზე მიუთითებს დაბლა დაწეული მარცხენა და აწეული მარჯვენა მხარი. მასაც (მარცხენა ფიგურას) სიმძიმე მუხლში მოხრილ მარცხენა ფეხზე გადაუტანია, თუმცა, პირველი ფიგურისგან განსხვავებით მარცხენა მკლავი გვერდზე აქვს გაწეული, რის გამოც წელში მარცხენივ გადახრილა და ჩანს, რომ წონასწორობიდანაა გამოსული. სურათზე მარცხენივ გამოსახული ფიგურის სიმძიმის ცენტრის პროექცია გასულია მისივე ფეხის ქუსლებზე გამავალი წარმოსახვითი ხაზის გარეთ, რაც უცილობლად მიუთითებს, რომ აღნიშნულ სხეულს დაკარგული აქვს მდგრადობა და იმყოფება ვარდნის მდგომარეობაში.

ბრინჯაოს ქანდაკების სქემატურ გამოსახულებაზე (სურ. 2) ვხედავთ, რომ ზურგით მდგარ ფიგურას მარცხენა ხელი იდაკვში აქვს მოხრილი, სიმძიმის ძალის ვეტორი გადახრილია მარცხენა ფეხისკენ და პროეცირდება ბაზური საყრდენი ფართის შიგნით, მარცხენა ტერფთან ახლოს. მდგრადობის კუთხის სიდიდე ნულზე მეტია, თუმცა არ სცდება ზღვრულ ნიშნულს. ეს უცილობლად მიუთითებს იმაზე, რომ სხეულს დაწეული აქვს მოძრაობა, მაგრამ ამავე დროს წონასწორობის მდგრამარეობაშია. შეიძლება ითქვას, რომ ფიგურა ასახავს გარკვეული მოძრაობის ერთ კონკრეტულ ეპიზოდს¹, რომლის მიზანი პარტნიორის მარცხენა ხელზე ზემოქმედებაა.

¹ „დვინჭიპას“ პროექცია, რომელიც თავიდან უნდა ყოფილიყო ქუსლების შემაერთებელი ხაზის შეა ნაწილში, ახლა გადაადგილებულია ერთ-ერთი ფეხის მიმართულებით, თუმცა ჯერ არ არის მისული ამ ფეხის



სურ. 2



სურ. 3

$$\begin{aligned}\sum X_i &= 0 \\ \sum Y_i &= 0 \quad G - R_B = 0 \\ \sum L_B &= 0 \quad G \cdot l \neq 0\end{aligned}$$

საყრდენ წერტილამდე, რაც მოძრაობის დამთავრების მაჩვენებელი იქნებოდა

იდაყვის სახსრით დაკავშირებული მხრისა და წინამხრის ერთობლიობა წარმოადგენს კინემატიკურ წევილს, რომელიც სხეულთან დაკავშირებულია მხრის სახსრით. კინემატიკური წევილი წარმოადგენს ერთმანეთის მიმართ მოძრავ, ორ შეერთებულ სხეულს. რამდენიმე კინემატიკური წევილის ერთობლიობა კი ქმნის კ. წ. კინემატიკურ ჯაჭვს. ხელის მტევნის, წინამხრის, მხრის და ბეჭის ერთმანეთთან სახსრებით დაკავშირებული ერთობლიობა და შემდეგ მათთან ხერხემლის მყენებითა და კუნთებით შეერთება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კინემატიკური ჯაჭვი.

სახსარზე ბუნებრივი ღუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით ზემოქმედების შედეგად სახსარი ანატომიურად იკეტება. მაჯის სახსრის ჩაკეტვას მოჰყება ხელის მტევნისა და წინამხარის თავისუფლების ხარისხის შემცირება და მათი ერთმანეთის მიმართ უძრავად დაფიქსირება. მსგავსი მანიულაციების გაგრძელებით, იკეტება იდაყვის სახსარიც, რასაც მოჰყება პარტნიორის მკლავის სრული გაშლა. მაჯისა და იდაყვის სახსრის ჩაკეტვის შედეგად, კინემატიკური ჯაჭვის ნაცვლად, ხელის მტევნის, წინამხრისა და მხრის ერთობლიობა წარმოქმნის მყარ სხეულს, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია მსგავსი ზემოქმედება განვახორციელოთ მხრის სახსარზეც. აღნიშნული ქმედების ტექნიკის აღწერა ამჟამად არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის მიზანს, რადგან ეს სპეციალურ ლიტერატურაში გვაქვს გათვალისწინებული. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ დასახელებული ტექნიკის მეშვეობით სახსრების თანმიმდევრული ჩაკეტვის შედეგად, ხელის მტევნის, წინამხრის, მხრის, ბეჭის და ხერხემლის თავისუფლების ხარისხის შეზღუდვით მივიღებთ ერთიან მყარ სხეულს, ბერკეტს, რომელიც წარმოადგენს შესატევ



ობიექტზე მოქმედი ძალის მხარს. ასეთი სურათი კარგად ფიქსირდება მოცემულ გამოსახულებაზე.

ცნობილია, რომ რაც მეტია მხარის სიგრძე, მით ნაკლები სიდიდის ძალის მოდებაა საჭირო სევულზე აუცილებელი ზემოქმედების განსახორციელებლად. შესაბამისად ხელის მტევნების მოდების შემთხვევაში მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოსაყანად დაგვირდება მინიმალური ძალისხმევა. ამ დროს კინემატიკური ჯაჭვის მაგივრად მიღებული მყარი სევულის, ანუ გაშლილი და გაჭიმული მკლავის მეშვეობით, რომლის მოდების წერტილია მხრის სახსარი, შემტევი აგრძელებს ზემოქმედებას პარტნიორზე – აწვება ქვემოთ და წრიულად, რის შედეგადაც მხრის სახსარზე მოდებული ძალა მოქმედებს ხერხემალზე – გრიხავს რა მას საკუთარი დერძის გასწვრივ. ამ დროს მაბრუნებელი მოქნები გადაეცემა სევულს, რომელიც თავის მხრივ იწყებს ტრიალს უძრავ საყრდენ წერტილზე (ქუსლზე) გამავალი დერძის ირგვლივ. აღნიშნული მოქმედებების შემდეგ შესატევი ობიექტის სიმძიმის ცენტრის ვერტიკალური პროექციის წერტილი ფიქსირდება გადაყირავების ხაზს მიღმა, ე.ი. სევული იმყოფება წონასწორობის ზღურბლზე. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი წონასწორობის დასაბალანსებლად იძულებულია კუნთის დაძაბვის ხარჯზე სცადოს სიმძიმის ცენტრის დაბრუნება წონასწორობის წრის შიგნით, რისთვისაც ხრის ფეხებს მუხლის სახსარში, ხოლო დაბლა დაწეულ მარცხენა მხარს აკომპენსირებს მეორე მხრის ნაწილობრივი გაშლითა და მაღლა აწვით. ასეთ მდგომარეობას ზუსტად შეესაბამება ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებაზე მარცხნივ მდგომი ფიგურის პოზა.

მსგავსი ბრუნვითი მოძრაობები, ზედა კიდურების სახსრების ჩაკეტვით,

დამახასიათებელია ცალხელა ჭიდაობის ზოგიერთი იღეთისათვის.

ამ პრინციპის იღუსტრაცია ქვემოთად მოყვანილი. შემდგომ კადრირებული სურათები დაგვეხმარება ორთაბრძოლის მექანიკაში გასარკვევად.

ფაზა 1



ნახ.1




ნახ.2


სისტემა წონასწორობაშია. მოწინააღმდეგის მდგომარეობა სტატიკური და მდგრადია. ის დგომში ორივე ფეხს ეყრდნობა. ბაზური საყრდენი ფართი ოპტიმალურია. სიმძიმის G ძალის ფუძე გაივლის საყრდენი ფართის ცენტრში.



დასკვნა; სისტემა სტატიკური და მდგრადია.



ნახ. 2ა



ნახ. 2ბ.

ფაზა 2. წონასწორობიდან გამოყვანა

მოწინააღმდეგის წონასწორობიდან გამოსაყვანად სახსრების თანმიმდევრობითი ჩაკეტვით ვქმნით ბერკეტს. ამასთან ვდგამთ ნაბიჯს, სხეულის სიმძიმე გადაგვაქვს გაშლილ ხელზე და ვაწვებით პარტნიორის მაჯას ქემოთ და განზე. ბერკეტის მეშვეობით, რომლის მხარის სიგრძე არის მთლიანად მკლავი, ხოლო ძალის მოდების წერტილები ხელის მტევანი და ბეჭი, ვმოქმედებთ სხეულზე ისე, რომ მოწინააღმდეგებს სიმძიმე გადააქვს მთლიანად მარცხენა ფეხზე. ამ დროს მარჯვენა ფეხი ოდნავ ეხება საყრდენ ზედაპირს და ადარ მოქმედებს რეაქციის ძალა. ბაზური საყრდენი ფართი მცირდება ტერფის ზომამდე, სადაც გაივლის სიმძიმის G ძალის ფუძე.

ფაზა 3. წონასწორობიდან გამოყვანა

გრძელდება წონასწორობის დარღვევა. ამისათვის მოწინააღმდეგეზე მოქმედებას იწყებს გადამყირავებელი და მაბრუნებელი მომენტი. წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, მოწინააღმდეგე კეტავს სხეულს და ამცირებს მოძრაობის თავისუფლების ხარისხს. მოწინააღმდეგეს აქვს ერთი საყრდენი წერტილი. მას შეუძლია შეასრულოს ბრუნვითი მოძრაობა ამ წერტილის გარშემო.

დასკვნა: სისტემა არამდგრადია. მოწინააღმდეგის მდგომარეობა არამდგრადია.



ფაზა 4. წონასწორობიდან გამოყვანა



ნახ.3ა

მოწინააღმდეგებებს როგორც გადამყრავებელი მომენტი, ასევე მაბრუნებელი მომენტი. ჯამური მომენტის ზემოქმედებით მოწინააღმდეგა ეცემა.



ნახ.4ა



ნახ. 3ბ.



ნახ.4ბ



ამ გარემოებათა გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკვლევი ბრინჯაოს ქანდაკება წარმოადგენს კომპოზიციას, რომელიც ასახავს ჩვენს მიერ შესწავლილი მოძრაობის ერთ-ერთ ფაზას და წარმოადგენს რიტუალური ორთაბრძოლის პლასტიკურ გამოსახულებას.

ასეთი ილეთი გვხვდება ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობის – „მაჯურას“ არსენალში. ამ ილეთში, რომელიც ცალი ხელით სრულდება, კარგად ჩანს გდების შესრულების დროს ბერკეტის გამოყენების პრინციპი. მყარი სხეულის შესაქმნელად მებრძოლები მიმართავენ შემდეგ ხერხს: ჯერ კეტავენ მაჯის სახსარს, რისთვისაც ძალას მოსდებენ სახსრის ბუნებრივი ღუნგის საწინააღმდეგო მიმართულებით. მიიღება მყარი სხეული, ანუ ბერკეტი, რომლისთვისაც ძალის მოდების წერტილი არის მაჯის სახსარი, ხოლო მხარი მთლიანად წინამსარი და ხელის მტევანი. ხელის მტევანზე დაწოლის შედეგად იკეტება იდაყვის სახსარიც და ახლა უკვე მთელი მკლავი აღმოჩნდება ხისტ მდგომარეობაში, რის გამოც ის შეარულებს ბერკეტის ფუნქციას საყრდენი წერტილით მხრის სახსარში. ამ ბერკეტის გამოყენებით სრულდება წრიული მოძრაობა, რომლის ამოცანაა უკვე მხრიდან ფეხის ტერფამდე სხეულის გადაყვანა ხისტ მდგომარეობაში და ქუსლის გამოყენება საყრდენ წერტილად. ამ ღროს მთლიანდ მკლავი და სხეული მხრიდან ფეხის ტერფამდე წარმოადგენს ბერკეტს (რადგან სახსრების ოანმიმდევრული ჩაკეტვის გამო იმყოფება ხისტ მდგომარეობაში), რომლის მოდების წერტილი არის ხელის მტევანი, ხოლო საყრდენი უძრავი წერტილი კი ფეხის ქუსლი. ხელის მტევანზე განხორციელებული შემდგომი დატვირთვის შედეგად შესატევი მიექმდი, შემტევის მხრიდან მცირე

დალების დახარჯვის შემდეგ, გამოდის წონასწორობის მდგომარეობიდან.

როგორც ვხედავთ ბრინჯაოს ქანდაკების მექანიკის შესწავლამ ცხადები, რომ „მაჯურა“ ჭიდაობის ერთ-ერთი ილეთისა და აღნიშნული ქანდაკების ფიგურათა დინამიკა პრაქტიკულად იდენტურია. ამასთან არ არსებობს ცეკვის არც ერთი სახეობა, თუნდაც რიტუალურისა, რომელიც გულისხმობდეს პარტნიორის წონასწორობიდან გამოყვანას მალისა და ტექნიკური მანიპულაციის მეშვეობით. ამიტომ შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ სტეფანწმინდის განძის კოლექციაში დაცული ბრინჯაოს ანთროპომორფული ქანდაკება, ორი ხელჩაკიდებული კაცის გამოსახულებით, წარმოადგენს რიტუალური ჭიდაობის სცენას და შეადგენს რელიგიურსაწესო ქმედების „საქმისას“ ნაწილს.

ამასთან ჩანს, რომ ბრინჯაოს ქანდაკების შემქმნელი კარგად ერკვევა კონტაქტური ბრძოლის საკითხებში. მან იცის სქემატური მოცულობითი გამოსახულების შექმნისას როგორ გაამახვილოს ყურადღება ზუსტად იმ დინამიურ პროცესზე, რომელიც მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის თუ პარტნიორის წონასწორობიდან გამოყვანას. გავიხსენოთ, რომ აღნიშნული ბრინჯაოს ნაკეთობის ანთროპომორფული ფიგურები არ წარმოადგენენ ანატომიის ზედინწევნითი სიზუსტით შესრულებულ ადამიანთა ქანდაკებებს. აქ ძირითადი ყურადღება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადატანილია თვითონ ჭიდაობის დინამიკაზე. ეს კი, როგორც ჩანს, მოქანდაკის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

საინტერესოა, რომ არსებობს მსგავსი შინაარსის სხვა პლასტიკური გამოსახულებები, რომლებიც ასევე საკულტო ობიექტისთვის არის შეწირული.

უძველესი ნაკეთობა, რომელიც საჭიდაო სცენას გამოხატავს, არის



ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც კაფაჯას კულტურას განეკუთვნება. იგი აღმოჩინებს მესოპოტამიაში, დაკლოს სამეფოში და დათარიღებულია ძველი წელთაღრიცხვის 2600 წლით. მასზე აღბეჭდილია ორი ათლეტური აღნა-გობის მოჭიდავე, რომლებსაც ერთმანეთისოფის ქამრებში ჩაუვლიათ ხელი. ამასთან თავზე ორივეს ადგას თიხის მაღალი ჭურჭლები (ქილები) (სურ. 3).



სურ. 3

ფაქტობრივად ეს ქანდაკება წარმოადგენს ანთროპომორფულ სტილიზებულ ჭურჭელს, რომელსაც, სავარაუდოდ, საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ცნობილია, რომ უძველესი ხანის საქართველოს სალოცავებში მიღებული იყო საკულტო ობიექტისოფის მცირე ზომის თიხის ჭურჭლით სხვადასხვა ხახის ძღვენის შეწირვა. მაგალითად, ზეთის, ღვინის, ხორბლის, თაფლისა და ა. შ. ამას ადასტურებს ივრის ხეობაში ბოლო დროს წარმოებული წარმართული ხანის სალოცავის გათხრების მასალები, სადაც აღმოჩნდა ათასობით მინიატურული თიხის ქილა, რომლებშიც ღვინისა და დამწვარი ხორბლის კვალი დაფიქ-სირდა (სურ. 4).



სურ. 4. შესაწირი თიხის ქილა, ძვ. წ. XIV ს.

ჩვენ ასევე ვიცით, რომ სალოცავებს სწირავდნენ ბრინჯაოს ქანდაკებებსაც, რომლებსაც სხვადასხვა დინამიურ პოზაში – მათ შორის საჭიდაო პოზაშიც – გამოსახავდნენ. ასეთია, მაგალითად მცირე აზიაში ქალღმერთ კიბელეს სალოცავისადმი შეწირული ბრინჯაოს ქანდაკება მებრძოლი ქალების გამოსახულებით (სურ. 5).



სურ. 5. ორი მებრძოლი ქალის ბრინჯაოს ფიგურა. მცირე აზია, ძვ. წ. VI ს.

ჩვენთვის საინტერესო სტილიზებული ბრინჯაოს ქანდაკება შეამდინარეთიდან წარმოადგენს სწორედ დინამიური გამოსახულებისა და თიხის



ჭურჭლის სინთეზს. პროფესორი გ. ელა-
შვილი ამბობს:

„უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს
პლასტიკური მანქრიო შესრულებული
მოჭიდავეების გამოსახულებაა და
საკულტო დანიშნულება აქვს. გაუ-
კვევლია ის, რომელი ტომის მიერ
არის გაკეთებული ზემოაღნიშნული
ბრინჯაოს ქანდაკება. მაგრამ თუ გა-
ვითვალისწინებთ, რომ შუმერებს კავკა-
სის მთებიდან წასულებად და იქ და-
სახლებულ ტომად მიიჩნევენ და საერ-
თოდ მათთან ბევრი რამ გვაკავშირებს,
უნდა ვთქვათ, რომ მოჭიდავეთა პოზა
მეტად ახლოა ქართულ ჭიდაობასთან.

ამის შესახებ საინტერესო მოსაზ-
რება გამოთქვა კ. კოლუამ. მან აღნიშ-
ნა, რომ შუმერული ჭიდაობის ილეთი
მეტად წაგავს ქართულ ფანდსო. შემდეგ კ. კოლუამ საეციალურად შეის-
წავლა შუმერული ენა და თავის
მოსაზრებას პასუხიც მოუძებნა. მან
ქართულ და შუმერულ ენებში აღმოა-
ჩინა საერთო სიტყვები, განსაკუთრე-
ბით ადამიანის ნაწილებისა და ჭიდაო-
ბის ფანდების სახლწოდებებში. კ. კო-
ლუამ ამ შედარებიდან ასეთი დასკვნა
გამოიტანა: „შუმერული მოჭიდავენი იმ
ფანდს ასრულებენ, რომელიც დღევან-
დელ ქართულ ჭიდაობას შემოუნახავს,
ენობრივი დამთხვევა მიუთითებს
ქართული ჭიდაობის შუმერულ წარმო-
შობაზე“ (ვასილ ელაშვილი, ქართული
ჭიდაობა, გამომცემლობა „საბჭოთა
საქართველო“, თბილისი, 1971).

პლასტიკური გამოსახულებების
სალოცავისათვის შეწირვის ჩვეულება
ქართულმა ეთნოგრაფიულმა ყოფამ
მეოცე საუკუნეშიც შემოგვინახა. საუბარია აღმოსავლეთ საქართველოს
მთიანეთში შემორჩენილ საწესო ქმედე-
ბაზე „ვაცაობაზე“, რომელიც შესა-
წირავი ცხოველის გამომცხვარი გამო-
სახულების – „ვაცის“ საკულტო
დანიშნულებით გამოყენებას ასახავს.
ეს წესი დიდმარხვის მეორე შაბათს
სრულდება და მას „სულთაკრეფა“
ჰქია. ამ დღეს მიცვალებულების პატ-
რონები წესისამებრ ამზადებენ სულის

საკურთხეს, თითოეულ მიცვალებულს
გაუშლიან ცალკე ტაბლას და ოჯახის
უფროსი დიასახლისი „დაზდებს
სახელს“ – დალოცავს კონკრეტული
მიცვალებულის სახელზე. ცხვება შესა-
წირი აკერები, ანუ „ვაცები:

„... ვაცს გამაცხობს ის, ვისაც
ყმაწვილი ხყავ მამკვდარი, დაზდებს
სახელს. ...

იციან კიდევ საზომის ვაცი.
ვისაც ვაჟი ხყავ ყმაწვილი სამ წლამ-
დინ, ზოგი ხუთ წლამდინაც, აცხობს
იმ ყმაწვილის ზომის ვაცსა-დ იმას
აყენებს. საზომის ვაცი იმით ხქიან,
რო ყმაწვილის ზომისაი ას. საზომის
ვაცს უფრო ის აცხობს, ვისაც სამა-
ნატურო ვაჟი ხყავ (სამანატურო: ვისაც
ვაჟიშვილი არ ხყავდა, ენატრებოდა და
ახლა შეეძინა). ზოგ კი სხოიც აცხობს.

... ყმაწვილები დილასავ გიტანენა-
დ დაყენებებს ვაცებს, მიიტანს ყველა
თავის მშვიდისარსა-დ ახლიან
ისრებს ერთსალაგზეთ.

... აქ რო გაათავებენ ვაცობას,
მერ სახლშით გამაცქვა, დაზდგმენ
ყველანი, ახლიან ისრებს, ვინაც რას
დახტრავს, იმას „შების“. (ალექსი ოჩია-
ური, ქართული ხალხური დღეობების
კალენდარი, თბილისი 2005, გვ. 57).

პლასტიკური გამოსახულებების
საკულტო დანიშნულებით გამოყენებას
საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს.
ამის დასტურია არქეოლოგიური შეს-
წავლის შედეგად აღმოჩენილი ანთრო-
პოლორფული და ზოომორფული ქანდა-
კებების სიმრავლე (და აღმოსავლეთ
საქართველოს მთიანეთის ყოფაში
დადასტურებული ეწ. „ვაცების“ შეწირ-
ვის ტრადიცია).

თუ ეს მოსაზრება მართებულია,
შეგვიძლია ვისაუბროთ სალოცავისათ-
ვის ჭიდაობის ამსახველი პლასტიკური
გამოსახულების შეწირვის ოცსაუქუ-
ნოვანი ტრადიციის არსებობაზე. უფრო
მეტიც – შეგვიძლია თამამად ვთქვათ,
რომ მსგავსი ტრადიცია ქრისტიანობის
პერიოდშიც გრძელდებოდა და შეა-
საუკუნეების საეკლესიო მხატვრობა-
შიც პოვა ასახვა. მხედველობაში



გვაქვს ალავერდისა და გელათის ფრესკები, ასევე ანისის ტაძრის ბარელიეფი, რომლებზეც ქართული ჭიდაობის სცენებია გამოსახული. ცნობილია, რომ ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი წარმართობის პერიოდის სალოცავის ადგილზეა აშენებული. ჭიდაობის სცენა ტაძრის დასავლეთ, ცენტრალური შესასვლელის თავზე არსებული წმინდა გიორგის ფრესკის მარცხენა დაბალ გუთხეშია წარმოდგენილი.





სურ. 6

მკვლევართა წრეში არსებობს მოსაზრება, რომ ზემოსხენებული ფრესკა უნდა გამოხატავდეს სასულიერო პირის მიერ იმ ხალხის წყევლა-კრულვას, რომლებიც ისეთ „ამქვეყნიურ“ გართობას მისდევენ, როგორიც ჭიდაობაა. ამას იმით ხსნიან, რომ შუა საუკუნეებში ქრისტიანობა მკაცრად ილაშქრებდა ყოველგვარი მიწიერი გართობის წინააღმდეგ. ასეთი მიღვომა მთლად გამართლებული არ უნდა იყოს, რადგან ქრისტიანული რელიგია და შესაბამისად ქრისტიანი მოძღვარი არ არის ვინმეს წყევლა-კრულვისათვის მოწოდებული; მთ უმეტეს, დაუშვებელი იქნებოდა ასეთი რამის ფრესკაზე გადატანა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა სახის ცოდვის ამსახველი და ცოდვისთვის სასჯელის გამომხატველი ფრესკები უცხო არ არის მართლმადიდებლური ტაძრებისათვის (მაგ., ნიკორწმინდის

ტაძრის ფრესკაზე სოდომური ცოდვის სასჯელის სცენა). რაც შეეხება ალავერდის ჩვენთვის საინტერესო გამოსახულებას, ჩვენი აზრით ის სრულიად სხვა მოვლენას ასახავს. ალბათ აქ წარმოჩნილია რელიგიური დღესასწაულის დროს მღლოველთა მიერ სალოცავისადმი მიძღვნილი ფიზიკური შრომის ღვაწლი. სავარაუდოდ, ფრესკა სწორედ წმინდა გიორგის დიდებას ასახავს და გიორგობის დღესასწაულის გამომხატველია.

ჭიდაობის სახით ფიზიკური ღვაწლის მიძღვნა სალოცავისთვის გამოხატული უნდა იყოს გელათის ფრესკაზეც, რომელიც იქრუსალიმში უფლის დიდებით შესვლას ანუ ბზობას ასახავს (სურ. 7).



სურ. 7



ტრადიციულად ამ ფრესკაზეც გამოხატულია კარაულზე ამხედრებული მაცხოვარი, რომელსაც ხალხი პალმის რტოებსა და ტანსაცმელს უფენს ფეხებაში. ყოველი მათგანი უფალს მიაგებს შესაწირს თავისი შესაძლებლობის მიხედვით, ერთი ნივთიერს – სამოსის სახით და მეორენი – საკუთარ შრომას, რომელიც პალმის რტოების მოკრეფაზე გასწიეს. ამავე ფრესკაზე ვხედავთ ორ ახალგაზრდას, რომლებიც საჭიდაო პოზაში დგანან და ერთმანეთისთვის ხელი ჩაუვლიათ. ერთ-ერთი მათგანი ცდილობს ქართული ჭიდაობის იღეთი – „ცერული“ შეასრულოს. ჩვენი აზრით, სამოსისა და პალმის რტოების შემწირველიც და მორკინალნიც ერთ იღეურ სივრცეში არიან გამოხატულნი – ისინი შესაწირს უძღნიან უფალს.

ამავე იდეის მატარებელი ჩანს ალავერდის ფრესკაც სადაც, ჩვენი აზრით, გიორგობის დღესასწაულის დროს მლოცველთა მიერ ფიზიკური დვაწლის, კერძოდ კი, ჭიდაობის, წმინდა გიორგისადმი მიძღვნა უნდა იყოს გამოსახული.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში საბრძოლო ხასიათის ვარჯიშობები ყოველთვის წარმოადგენდა საკულტო-საწესო ქმედების ორგანულ ნაწილს. ხევსურეთში ბოლო დრომდე დღეობების დროს იმართებოდა პაექტობა სამხედრო-ძალოსნურ სახეობებში – იქნებოდა ეს დოლი, ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა, სირბილი სხვადასხვა დისტანციაზე თუ ფარიკაობა (მაგ., სოფელ დელისგაკეში დამოწმებული „ხვთისკრობის“ დღესასწაული). სვანეთში „ლიფანაალის“ დღესასწაულზე იმართებოდა „ლიმურყვამალი“ ანუ კოშკობა, მასობრივი ჭიდაობა, რომელსაც საკულტო დანიშნულება ჰქონდა. გურიაში, სოფელ შუხუთში, ყოველწლიურად ტარდება ლელო, ბურთისთვის ბრძოლა, რომელსაც ასევე საკრალური დატვირთვა

აქვს. ქრისტიანული რელიგიური დღესასწაულების – მცხეთობისა და ალავერდობის დროს გამართული ჭიდაობის ამსახველი სცენები თავიანთ ტილოებზე გადაუტანიათ მხატვრებს გრიგორი გაგარინსა და გიგო გაბაშვილს. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. მთავარია, რომ აშკარად იჩნევთ თავს საქართველოში სამხედრო-სპორტული ტიპის ორთაბრძოლების რელიგიურ-საწესო ხასიათი.

თუ ჩვენი მოსახრება სწორია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულ კულტურულ სივრცეში რიტუალური ჭიდაობის მიძღვნას სალოცავისადმი მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია და ეს ვლინდება როგორც უშუალოდ ფიზიკური აქტივობის სახით ასევე ამ პროცესის ამსახველი პლასტიკური თუ ფერწერული ნამუშევრების შეწირვის გზით.



დიდი მოურავი და ქართლ-კახეთის სამეფო პარი

გაუა ოთარაშვილი, დოქტორანტი

ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ბრძოლა დასაბამიდან მომდინარეობს. ჩვენთვის უცხო არ არის სახელოვანი და წმინდანი წინაპრების შეურაცხყოფა. ჩვენ ვართ ის ერი, ვინც დავით აღმაშენებელის მიერ დიდგორის ომის მოგების მნიშვნელობა დაამცრო, მისი ძეგლი დედაქალაქის ცენტრიდან „მიუვალ ადგილზე“ „გიდამისამართა“, თამარ მეფის სახელი და დირსება შებილწა, კალას ხიდზე წამებულთა რიცხვი უჭმეშე დააყენა, გიორგი ბრწყინვალე გამოგონებულ ისტორიულ პერსონაჟად შერაცხა, გალაკტიონი სოფლელ ბიჭად „მონათლა“, ლადო ასათიანი „მკვდრად-შობილ“ პოეტად, ცოტნე დადიანის გმირობა ილუზიად მიიჩნია, გრიგოლ რობაქიძე ერის მოდალატედ შერაცხა, პაატა სააკაძის თავის მოკვეთამასხრად აიგდო, ილიას ტყვია არ აკმარა, ახლა აუგადაც იხსენიებს... და რამდენი ასეთი...

გიორგი სააკაძის სახელი მარადიული თანამგზავრია ქართველი ერის ტრაგიკული ისტორიისა და ერთ-ერთი გამორჩეული სიმბოლო ივერიელთა თავისუფლების მოყვარე და დაუმორჩილებელი სულისა. გიორგი სააკაძე მე-17 საუკუნის საქართველოს უდიდესი ეროვნულ-განმანავისუფლებელი მოძრაობის ბრწყინვალე წარმომადგენელია და მისი ახალი სიცოცხლე ქართველთა გულში, დიდი მოურავის თურქეთში (ალეპო, თოხათის ციხე) ტრაგიკული აღსასრულისთანავე დაიწყო. იგი შეიყვარა ქართველმა ერმა, დაადგა ეროვნული გმირის გვირგვინი და დიდი მოურავი უწოდა. მას 1663 წლიდან ისტორიულ საბუთებში უკვე „დიდ მოურავად“ იხსენიებენ. გიორგი სააკაძემ ივერიას ერთიანობისა და მართლიანობის სამართლებრივი სისტემის მიერთობაში.

სათვის ყველაფერი შესწირა: შვილები – პაატა, დავითი (იგივე აღაპიტი), ავთანდილი, ახლობლები და... საკუთარი სიცოცხლე. სულმნათი ივანე ჯავახიშვილი ბრძანებს: „გიორგი სააკაძეს რომ არ დაემარცხებინა საპრეზელები მარტყოფის გელზე, შეიძლებოდა საქართველო სამუდამოდ აღგილიყო პირისაგან მიწისა“...

გიორგი სააკაძე ახალ რეალობას მშობელი ხალხის სიყვარულმა დაუბრუნა და არა ფილმა თუ სკექტაკლმა. თავიდანვე საზღასასმელია, რომ ისტორიოგრაფიაში მოხსენებული დიდი მოურავის ყველა პირდაპირი წინაპარი ქართული ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის ერთიანობისათვის იბრძოდა. აუცილებელია, რომ ზოგიერთი ვაი ქართველის ნათელები სიცოცუის ნაცვლად საზოგადოებამ ისტორიული სიმართლე იცოდეს. იოანე ბაგრატიონის მიხედვით, სააკაძეთა წინაპრები ყოფილან ერთიანი საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-1072) სამსახურში. გამორჩეული ისტორიული გმირია დონა სააკაძე – XIV ს-ის მე-2 ნახევრის მოღვაწე და ბაგრატ V-ის (1360-1395) თანამებრძოლი, დედაქალაქის ციხისთავი. როდესაც თემურ-ლევების ლაშქარმა 1386 წ. 13 ნოემბერს თბილისი აიღო და დაატყვევა ქართველთა მეფე და დედოფალი, დატუსაღებულ მეფეს დონა სააკაძე კვალდაკვალ გაჰყვა და ნებაყოფლობით ჩაბარდა მტერს. მან საუკუნენახევრის შემდეგ ცოტნე დადიანის გმირი გაიმეორა...

დაწყებული ივანე სააკაძის დროიდან (მე-15 ს.) სააკაძეთა საგვარეულო ეკონომიურად და თანამდებობრივად ძალზე გაძლიერებულია და მსხვილ ფეოდალთა რიცხვს მიეკუთვნება, რაზეც წერს სულმნათი ივანე ჯავახიშვილი: „დიდებული ხელისუფალნი და ძლიერი გვარის შვილნი მეფესავით პატრონებად იწოდებოდნენ“.



დიდი მოურავის პაპის – გიორგი „პატრონის“ გარდაცვალების შემდეგ, ხდება სააკაძეთა ერთიანი სახლის გაყოფა ოთხ ძმას: ზემთაველს, სიაუშს, ჯანზურაბსა და ორანე შორის. დიდი მოურავის მამა, სიაუში მეფის სახლთუეცესია სიმონ I-ის, გიორგი X-ის და ლუარსაბ II-ის მეფობაში. საერთოდ, ოთხივე ძმა სამეფო კართან დაახლოებული, მეფის ერთგული და დაწინაურებული პირია. დიდი მოურავის მამა-ბიძები რომ ქართლის მეფის და სამშობლოს უერთგულესი მსახურები არიან, ისტორიული საბუთებით: სიგელ-გუჯარებით, წაჭლობის წიგნებით დასტურდება. მაგ: სიმონ I-ის 1569 წ. ყიზილბაშთა დატყვევების შემდეგ, 1573 წ. ქავთისევევში სამეფო რეზიდენციაში მყოფ „დედოფალ ნესტან-დარეჯანს ქსნის ერისთავი და ამილახორი მიუხდნენ“ და ააწიოკეს. ქართლის დედოფალს მხარში დაუდგნენ, გამოესარჩდნენ და ფიზიკურად დაიცვეს გიორგი სააკაძის მამა-ბიძებმა, რასაც ადასტურებს 1578 წ. გაცემული სიგელ-გუჯარი და ა.შ.

დიდი მოურავის მამა შიაოშ (სიაუშ) სააკაძე მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა სიმონ მეფის კარზე. მას ცოლად პყავდა დიდი ფეოდალების, ბარათაშვილების გვარიდან ქალი – თამარ ბარათაშვილი-გიორგი სააკაძის დედა – თამარი ყველა ისტორიულ საბუთში „საპატიო ქალბატონად“ მოიხსენიება. იგი ამაყი, დვოთისნიერი, სამართლიანი, შეუვალი, მამულის მოყვარული ქალბატონი ყოფილა. თავად გიორგი სააკაძე ყველა ისტორიულ საბუთში დედას კრძალვით მოიხსენიებს: „ბატონმან დედაჩემან“. თამარ ბარათაშვილი და მისი ქალიშვილი შესანიშნავი კალიგრაფები ყოფილან და ლეგენდასავით შემორჩა ქართული ლიტერატურის ისტორიას: თუ როგორ გადაწერეს ერთ დღედამეში უკვდავი „გეფხისტეაოსანი“...

ზოგიერთ უვიცს პგონია, რომ გიორგი სააკაძის აღზევების უმთავრესი მოვლენა მეფე ლუარსაბ II-თან მისი დის ქორწინებას უკავშირდება, რაც ლოგიკურად, აბსურდია ზემომოყვანილი ისტორიული საბუთუბიდან კარგად ჩანს, გიორგი სააკაძის წინაპრები როგორ და რისთვის არიან აღზევებულნი. ახლა კი თავად დიდი მოურავის – საქართველოს ეროვნული გმირის შესახებ სიმართლე, რასაც დღემდე სრული სახით არ ახმაურებდა, არ ამზეურებდა ისტორიოგრაფია სხვადასხვა მიზეზთა გამო, კერძოდ: ქართველი მეისტორი ბაგრატიონები, რომლებიც საკუთარ მტრად მიიჩნევენ გიორგი სააკაძეს; რუსეთის მეფის ცარიზმი, რომლისთვისაც მიუდებელი იყო ეროვნულ-განმანათვავისუფლებელი მოძრაობის მეთაური, ბოლშევიკური ხელისუფლებისთვის პატრიოტული სულისკეთების სახალხო გმირი იდეოლოგიური მტერი იყო; მამადიან მეისტორიეთავის გიორგი სააკაძე – „ვერაგი მოურავი“ და მათი ჯარების გამნადგურებელი იყო და ა.შ.

გიორგი სააკაძე 1570-75 წლების მონაკვეთში ქართლში დაიბადა. როგორც ისტორიული წყაროები მეტყველებენ, დიდი მოურავი სამოღვაწეო ასაპარეზზე სრულიად ახალგაზრდა გამოვიდა და მისი „აღზევება“ არ უკავშირდება ლუარსაბ II-ს. ეს დასტურდება მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტით, კერძოდ, სვიმონ მეფის (სვიმონ I) წყალობის წიგნით გიორგი სააკაძისადმი, რომელიც თარიღება 1594 წ. 10 აგვისტოთი: „... მეფეთ მეფემან პატრონმან სვიმონ ეს წყალობის წიგნი... გიბოძეთ ჩუენს ერთგულს თავდადებით ნამსახურს ყმასა სააკაძეს გიორგის...“ „წყალობის წიგნის“ მიღებისას გიორგი სააკაძე 20-23 წლის ჰაბუქია და უკვე „აღზევებული“. ამ დროს ლუარსაბ მეფე 13-15 წლის უმაწვილი იქნებოდა, რასაც ცხადყოფს იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანის“



შემდეგი სტრიქონები: „მეფეს ლუარ-საბს როს ვახლდი, ვით ვიყავ მისად ქებამდი; ოცი წლის მამამ მიმართვა, ის იყო ცამეტებამდი...“

ახალგაზრდა გიორგი სააკაძე სტამბოლშიც ახლდა თავის პატრონს – დატყვევებულ სეიმონ მეფეს. შემდეგ კიროცამისი ტყვეობიდან დასხენის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა, მეფის ნებართვითვე ქართლში დაბრუნდა და გიორგი X-ის სამსახურში ჩადგა. მან თავი გამოიჩინა გიორგი X-ის მიერ ოსმალეთის წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ბრძოლაში 1604-1605 წლებში. გიორგი სააკაძე გამორჩეული ყოფილა 1604 წლის 9 ივნისს ერევნის ციხის აღების დროსაც. ამ ბრძოლებიდან, 1604 წელს ქართლში დაბრუნებულ გიორგი სააკაძეს გიორგი მეფემ თარხნობა უბოძა და დანიშნა ახალგაზრდა ლუარსაბის სამხედრო ხელოვნებაში გაწაფვის ხელმძღვანელად, ხოლო 1605 წელს უბოძა თავადმთავრობა სააკაძე-მოურავის გვარით, რაც დასტურდება ბაგრატ VII-ის „წაჭლობის წიგნით“. სამწუხაროდ, 1605 წ. 7 ნოემბერს ქართლის მეფე გიორგი X საეჭვო ვითარებაში უეცრად გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა ლუარსაბ II, რომელმაც გამეფებისთანავე გიორგი სააკაძეს თბილისისა და ქართლის სანახების მოურავობას კიდევ ორი სახელო დაუმატა, ცხინვალისა და ლვალეთის მოურავობა. გიორგი სააკაძე 1606წ.-დან დაუდალვად იბრძვის ლუარსაბ მეფის მხარდამხარ ცენტრალიზებული სახელმწიფოს გასაძლიერებლად, ქმნის პირველ ქართულ „სპეციაზმს“, ამარცხებს აჯანყებულ დვალ-ოსებს. ამ დროს მეფე ლუარსაბი და გიორგი სააკაძე ერთი გუნდია – ქაეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი ეროვნულ-პროგრესული ძალა. ლუარსაბ II „დიდად მადლიერია“ გიორგი სააკაძისა, რასაც ადასტურებს 1608 წელს გაცემული ქართლის მეფის „წყალობის წიგნი“, თავდადებით ნამსა-

ხურსა გიორგი სააკაძესა“... ამ პროგრესული რეფორმების, ქვეყნის გაერთიანების წინააღმდეგნი არიან მსხვილი ფეოდალები... თუ დავესესხებით ქალბატონ რიმა ფირცხალაიშვილს: „გიორგი სააკაძის სახელმა ფაქტიურად ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაჰყო მთელი მაშინდელი საქართველო, ეს იყო ეროვნული და ანტიეროვნული ძალთა ბანაკები“. დავსძენდი: ეს იყო პროგრესულად მოაზროვნე და ქვეყნის ანარქიის მომხრეთა ბანაკები...“

განვიხილოთ ისტორიული მოვლენები და კულტურული, რამაც გამოიწვია ურთიერთობის დაძაბვა მეფესა და დიდმოურავს შორის. XVII ს. პირველ მეოთხედში ქართლ-კახეთში მომხდარ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენებში შაპ-აბასის და ირანის აგენტურის მზაკვრული ხელი ერია. 1607 წელს თეიმურაზ მეფემ იქორწინა მამია გურიელის ასულზე – ანაზე. 1610 წელს ანა გარდაიცვალა. შაპ-აბასმა 1611 წელს სამძიმრის წერილი გააგზავნა თეიმურაზ მეფესთან. შაპის ანკესს (და არა სააკაძის!) წამოეგო ორივე მეფე: ლუარსაბიც და თეიმურაზიც. შაპის მიერ „დალოცვილ“ კახეთის მეფეს შაპ-აბასის ბრძანებით ლუარსაბის უფროსი და, ხორეშანი მოჰყავს ცოლად – საკუთარი პაპიდაშვილი! ქრისტიანული მრწამსით უდიდეს ცოდვად ითვლება – სისხლის აღრევა. თეიმურაზი და ხორეშანი ხომ და-მმის კახთა მეფე ალექსანდრე II-ისა და ქართლის დედოფლის ნესტან-დარეჯანის შვილიშვილები იყვნენ. რადგან ეს ქორწინება შაპის ზეწოლით ხდებოდა, აღნიშნულს უნდა შეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებელი ეკლესია და იმდორინდებლი საზოგადოება. ამ დროს შაპ-აბასს ცოლად ჰყავდა ლუარსაბის და – თინათინი (იგივე ლელა ხათუნი). ვერც ლუარსაბ მეორე და ვერც თეიმურაზი წინააღმდეგობას ვერ უწევენ შაპ-აბასის სურვილს და უდიდესი ცოდვის მორევში აღმოჩნდე-



ბიან, რაც 1611 წლის გაზაფხულზე გრემის სასახლეში დიდი ქორწილით მთავრდება. არქანჯელო ლამბერტი ერთგან აქდერებს კახეთის სამეფო კარის ძალიან საყურადღებო შეხედულებას, კერძოდ, „მისიანებმა თემურაზს სწორედ დარეჯანის შერთვა ურჩიეს: რამდენადაც მას სხვა მა არ ჰყავდა გარდა ლუარსაბისა, ხოლო ისიც უშვილო იყო, ადგილად შეიძლებოდა ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ თემურაზი მისი სამეფოს ბატონ-პატრონიც გამხდარიყო... თემურაზი მოხიბლული იყო ამ მეფის ასული ქალის სილამაზით (ანუ საკუთარი პაბიდაშვილის – ვ.ო.) ასევე იმ იმედით, რომ ერთ დღეს ამ შესანიშნავი ქვეყნის (ქართლის) ბატონიც გახდებოდა...“

